საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

# პირთა ანოტირებული ლექსიკონი

## XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით

## III

მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს
ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა

ტომი შეადგინეს დარეჯან კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ

გამომცემლობა არტანუჯი

წარმოდგენილ ტომში გრძელდება პუბლიკაცია ქართულ დოკუმენტურ წყაროებში მოხსენიებულ პირთა შესახებ. დოკუმენტებიდან მოპოვებული ცნობები ყოველ ცალკეულ პირზე დაჯგუფებულია თემატურად, შესაბამისად იმ ფუნქციისა, რომელსაც ესა თუ ის პირი ასრულებდა მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

„ლექსიკონში" წარმოდგენილ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ფეოდალური საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ მეცნიერული წარმოდგენის შესაქმნელად. დაინტერესებული მკითხველი აქ იპოვის საქართველოს ისტორიულ რეგიონებში დემოგრაფიული სურათის ამსახველ მასალებს, დოკუმენტურ მონაცემებს ცალკეული ფეოდალური სახლების აღზევებისა და დაცემის, მათი გენეალოგიური განშტოებების შესახებ. „ლექსიკონის" ცნობები საყურადღებოა ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების, სასამართლო პრაქტიკის შესასწავლად.

მოცემული ტომისათვის მასალები წყაროებიდან ამოკრიფეს და სარედაქციოდ მოამზადეს: ანა ბაქრაძემ (ასო მ), ლევან რატიანმა (ასო ნ), გიორგი ოთხმეზურმა (ასო ო).

ტომის რედაქტორი **ზაზა ალექსიძე**

ISBN 99940-11-79-0

© გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2004.

# მ

მაგანაშვილი შალიკა — საყავრეში მცხოვრები, ი გ ი გოშფარ და როინ ჯავახიშვილების ;გაყრის დროს ერგო გოშფარს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

მაგდან-ოღლი-ახმადა — მ ა ს ნაზარალი-ხანისაგან დროებით მფლობელობაში ჰქონია ყაიყულში ნაწყალობევი სოფელი ბეთლემი, რომლის მოურავობაც მეფეს შემდგომ იასე დოლენჯიშვილისათვის უწყალობებია. ნაზარალი-ხანმა მ ა ს „სამუქფოდ"უწყალობა ყაიყულის ზემოთ ორთლუ (1692 წ. XII.13. Hd–6042).

მაგლია — ფარისში მცხოვრები, ნუგზარის მეკოდისპურე ყ მ ა- გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448–3602).

მაგოა — მ ი ს ი ქულბაქი ესაზღვრებოდა კავუჯანაანთ ოჰანას მიერ შუენუაანთ ოჰანასათვის მიყიდულ ქულბაქს. მ ო წ მ ე ა ამ ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. YI.22. 1450–19/87).

მაგრაქველიძე ბეჟიტა — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] გოჩია მაგრაქველიძისა, იხ.

მაგრაქველიძე გოჩია — ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბეჟიტა. ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ორი კოდი იფქლი, ერთი კოდი ქერი,სამი საკლავი, სამი ქათამი, სამი კასრი ღვინო, ათი კვერცხი, ერბო, ხაჭო, მარილი(1621წ. ქსძ. III. N91).

მაველა: ტერ-მაველა — შ ვ ი ლ ი ტერ-ხაჩატურასი. მ ო წ მ ე საკას და ჰანას მიერ ტერ-დავითასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა(1645წ. III.1. გუჯ.173–174).

მაველაშვილი: ტერ-მაველაშვილი ონანა — 1665--1671 წწ. ხელთუბნელი (1665 წ. Sd–54), „დ ა მ ხ ვ დ ო მ ი და გ ა რ დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი" პაატა შატბერაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. Y.1. Sd–54); მ ო წ მ ე: პაპუნა შატბერაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ.IY.1.Sd–30), გიორგი შოშიაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ.YII.6.Sd–59).

მაზანა — ი გ ი მამულით ერგო უცნობ პირს ([1619–1631 წწ.] Sd–868).

მაზ[ა]ნა — დირბელი, მ ო წ მ ე ელუე მამისაშვილის მიერ თბილელი [ელისე] საგინაშვილისათვის მიცემული ფიცის წიგნისა (1638 წ. 1450–26/83).

მაზანა — მ ი ს ი ნასახლარი ბეითალმანი მამული შილდაში თეიმურაზ მეფემ უწყალობა პიაურის მოურავ შანშე [ჩოლაყაშვილს] (1639 წ.1450–32/304).

მაზანა — მ ო წ მ ე ნასყიდა ხოსრუაშვილის მიერ მანგლელი [ათანასე] ტატიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1639 წ. Hd–6170).

მაზანა — სახუნდარს მცხოვრები, ერთი კომლი, ი გ ი პაპია და დოლმაზა შანშიაშვილების გაყრის დროს ერგო დოლმაზას (1667 წ. Hd–9292).

მაზანა — მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა: მაზიტა იმარასშვილის მიერ ასა-

ტურა ბეჟანიშვილისათვის მიყიდულ მიწას (1680 წ.XII.15. 1450—49/112), ქიტესა პატატისშვილის მიერ ასატურ ბეჟანიშვილისათვის მიყიდულ მიწას(1681 წ. III.1. 1450—49/114).

**მაზანასშვილი||მაზანაშვილი**

**მაზანასშვილი** — გულეულს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა როსტევან ჯანიაშვილს ([1537—1538 წწ.] YIII.16. 1450—11/112).

**მაზანასშვილი რევაზ**— არადეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციცი — შვილების გაყრისას, ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688—1703 წწ.] Hd — —1636).

**მაზანაშვილი შავერდ** — კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449—1792).

**მაზანდარაშვილი ბერიკა** — ი ყ ი დ ა როჭიკა ვეფხაძისაგან სამი დღის მიწა ფშნამდე, ხატის საზღვრამდე და ბასილას მიწამდე (1670 წ.X. 1449—469).

**მაზანდაშვილი პაატა** — მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ლუარსაბ სადაღასშვილის მიერ ნაზარა ფირალისშვილისათვის მიცემული სახლ -კარის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. I ნახ. 1450—45/225).

**მაზია** — ჯიმითელი, ალექსანდრე მეფემ ი გ ი შესწირა სვეტიცხოველს (1601 წ. 1448—5526).

**მაზია** — იმაშაშვილთან ერთად ქვენაფლაზს მცხოვრები ყ მ ა, იხსენიება ციციშვილების ყმების ნუსხაში ([1658—1675 წწ.] Hd—14534 ბ).

**მაზია** — ი გ ი შვილებითურთ გიორგი და ლეონ ბატონიშვილებმა შესწირეს ურბნისის წმინდა სტეფანეს ეკლესიას (1669 წ. 1448—9999).

**მაზია** — საღირაშენში მცხოვრები, გ ლ ე ხ ი, ი გ ი მამულით, ნაზირალიხანმა უწყალობა ზაალ ბარათაშვილს (1694 წ. IX.20. Ad—1371).

**მაზია** — იმერელი, ცხვილოსს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბო დ ა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

**მაზია** — ნაწრეტს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, ჰ ყ ა ვ ს გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბერიკა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

[მა]**ზიტა** — გაბრიელ ივანიასძის ნაქონი, ალექსანდრე მეფემ ამილბარ მაღალაძეს უწყალობა ტფილისს, ქალაქისთავს, მ ა ზ ი ტ ა ს სახლი (1391 წ. sic! [1412—1443 წწ.] 1449—777).

**მაზიტა** — წოდორეთს მცხოვრები, ი გ ი გულიაურის მამულით [როსტომ] მეფემ უწყალობა უცნობ პირს (1652 წ. 1450—1/5 ფრაგ.).

**მაზიტა** — გომელი, ი გ ი ტატიასთან ერთად ქრისტეფორე კათალიკოსმა უწყალობა რამაზ დეკანოზისშვილ -[ზუმბულიძეს] (1652 წ.1450—31/95).

**მაზიტა** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ოთიასი, იხ.

**მაზიტა** — ციცი [ციციშვილის] ყმების ნუსხის მიხედვით, მ ა ს წიმოეთში ჰყავდა ორი კომლი ყმა ([1658—1675 წწ.] Hd—14534 ა).

**მაზიტა** — მ ი ს მიწამდე იყიდა ქრისტესიამ მიწა [სველნელი იმარაშვილებისაგან] (1661 წ. Sd—1136).

**მაზიტა** — მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ მ ე რეხელი პაპიას მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. III.5.Sd— —35).

მაზიტა – კ ა ნ დ ე ლ ა კ- დ ე კ ა ნ ო ზ ი, მ ო წ ი ც ა რ ი ქვათახევის წინამძღვარსა და მაღალაძეებს შორის სამამულე დავის გარჩევის დროს ([1676–1688 წწ.] 1448–5065).

მაზიტა – მ ო წ მ ე ქიტესა პატატისშვილის მიერ ასატურ ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. III. 1. 1450–49/114).

მაზიტა – ატენში მცხოვრები, ი გ ი, თავისი ნასყიდი მამულით, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრისას, ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd –1636).

მაზიტა – შაბიანში მცხოვრები, ჯავიაშვილის ყ მ ა, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

მაზიტა – მანგლელისა და ფარემუზ [ჯავახიშვილის] გარიგებით, ოთია გოგიბედაშვილმა მ ი ს ი ნაქონი წყარო, რომლის სამი წილი ოთიას ეკუთვნოდა, ხოლო მეოთხედი– მჭედლიშვილს, დაანება ზურაბ და შერმაზან ჯავახიშვილებს (1695 წ. IY.6. Hd–8265); მ ა ზ ი ტ ა ს ხევის პირას ადგილი შოთა გოგიბედაშვილს დაუჭერია. მ ი ს ი ვ ე ნაქონი წყაროს სამი წილი მეფის სასამართლომ შოთა გოგიბედაშვილს მისცა, ერთი წილი– მჭედლიშვილს (1697 წ. სს.8I. N311).

მაზიტა – მ ი ს გ ა ნ ნაყიდი ორი დღის მიწა დოლმაზა ზურიკაშვილმა მიჰყიდა ფარსადან ფრიდონასშვილს (1697 წ.IY. 1450–17/17).

მაზიტა – მიჰყიდა კონტორაშვილს სველნეთში ქვათახევის მიწა– „მელის ხვრელი" ([1700 წ.] 1449–1869).

მაზიტა – რეჳს მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო მ ო ლ ა შ ქ რ ე, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მაზიტასშვილი||მაზიტაშვილი

მაზიტაშვილი – მ ა ზ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ბაგაში და კიდევ სხვა მამულში პაპუნა ფავნელიშვილმა დედოფლის დეკანოზს, დავითს, გაუცვალა და მიჰყიდა ოზიური ვენახი, ყურაულის ბაგა და მოედნის პირს– ორმოცდაექვსი ადლი მიწა (1667 წ. Qd–9611).

მაზიტაშვილი ბერი – ძ ყ ა ე ს ძ მ ე ბ ი: თამაზა, დათუნა, პატატი, მაზაზა. მ ი ჰ ყ ი დ ა კარის დეკანოზ პეტრეს სამი დღის მიწა „მესაჭდელაურს სამთოს გზასთან, გელას მოსყიდულს მიწას ქვეით, პანიაურის ზომა" (1682 წ. Qd–9602).

მაზიტაშვილი ბერი – მ ო წ მ ე ყაყა წინამძღვრისშვილის მიერ აბელისათვის მიცემული ზვრის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. IX.24. Qd–9672).

მაზიტასშვილი ბერუა – მდივან იარალი [ყორღანაშვილის] ყ მ ა, მ ო წ მ ე ნადირა მირზაშვილის მიერ ივანე სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.Y.1.Sd–149).

მაზიტაშვილი გიორგი – მ ო წ მ ე გიორგი მიდევასშვილის მიერ ივანე სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XI. 15. Sd–7).

მაზიტაშვილი გიორგი – მ ი ჰ ყ ი დ ა ოთია ინანაშვილს ნაკალოების უკან მდებარე ტყე ორთაშუას გზამდე და ჯლიასშვილის [მიწის] პირამდე(XYII ს. შუა ხანები. Sd–1784 ა).

მაზიტაშვილი დათუნა – ძ მ ა ბერ მაზიტაშვილისა, იხ.

მაზიტაშვილი თამაზა – ძ მ ა ბერ მაზიტაშვილისა, იხ.

**მაზიტაშვილი მაზაზა** – ძ მ ა ბერ მაზიტაშვილისა, იხ.

**მაზიტაშვილი მამისა** – მ ო წ მ ე ნადირა გოგაციძის მიერ პაპუა მაღალაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. 1450–30/127).

**მაზიტაშვილი პატატი** – ძ მ ა ბერ მაზიტაშვილისა, იხ.

**მაზიტასშვილი პეტრია** – ზაალ ჯანდიერისშვილის ყ მ ა, ერთი კომლი, ერთი თავი (XYII ს. Hd–14912 დ).

**მაზიტასშვილი სუხიტა** – ციცი ციციშვილის აზნაურის მკვიდრი ყ მ ა. ციცი ციციშვილმა ი გ ი შვილებითურთ, შესწირა სვეტიცხოველს (1664 წ. YII. 13. 1449–2664).

**მაზიშვილი ავთანდილ** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბარათა. მ ი ს ი კუთვნილი [ყმები]: შოშიტა, გოგია და მაზიტა, მათი საკომლოებით, თაყა ბარათაშვილმა მიჰყიდა შიოშ ლარაძეს, ხოლო ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს სანაცვლოდ მისცა საკომლო ტბისში (1690 წ. YII. 1450–10/136).

**მაზიშვილი ბარათა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ავთანდილ მაზიშვილისა, იხ.

**მაზმადაშვილი გიორგი** – სეხნია ტატიშვილის ყ მ ა, მ ო წ მ ე სეხნია ტატიშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული ვენახის თარხნობისა და სახასო მიწის წყალობის წიგნისა (1692 წ. XI. 10. Sd–560).

**მაზმანაშვილი** – გორს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მაზმანაშვილი ჯანია**–[უკანა შავნს] მცხოვრები, ბარათაშვილების ნაყმევი. როსტომ მეფემ ი გ ი უწყალობა ბარათა ბარათაშვილს (1648 წ. 1450–12/99).

**მაზმანისშვილი||მაზმანიშვილი**

**მაზმანიშვილი** – დმანისს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მაზმ[ა]ნიშვილი** – სამწევრისში მცხოვრები, ციცი ციციშვილის ყ მ ა. შაჰნავაზმა ი გ ი უწყალობა ციცი ციციშვილს ([1658–1676 წწ.] 1449–328).

**მაზმ[ა]ნიშვილი** – სამწევრისში მცხოვრები, ერთი კომლი, მოხსენიებულია ციცი [ციციშვილის] ყმების ნუსხაში ([1658–1675 წწ.] Hd–1453).

**მაზმანიშვილი** – იესე და ოთარ მურვანიშვილებსა და ამილახვრის შვილებს შორის სამ მ ულ ე დ ა ვ ი ს გარიგების წიგნის მიხედვით მ ი ს ი ბაგა და მიწები ერგო მურვანიშვილებს (1698 წ. Ad–1077).

**მაზმ[ა]ნიშვილი** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა გძელაში კირაკოზა ღთისიასშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიყიდულ მიწას (XYII ს. 80–ანი წწ. 1450–45/238).

**მაზმ[ა]ნიშვილი ამირბეგ** – მ ო წ მ ე გრიგოლ ჩაჩ[ი]ბაშვილის მიერ ასვატურა ჩნახაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს. Qd––9018).

**მაზმ[ა]ნიშვილი ბეჟუა** – [ძ მ ა] როსტომა მაზმ[ა]ნიშვილისა, იხ.

**მაზმანისშვილი დემურა** – შ ვ ი ლ ი ხატისა მაზმანისშვილისა, იხ.

**მაზმანისშვილი** (ვარ. **მაზმისშვილი**) **ვარძიელა** – [1664]–1681 წწ. [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ყანდუა მაზმისშვილისა, იხ. ი,გ ი წილად ხვდა ქაიხოსრო [ციცი–შვილს] ([1664–1673 წწ.] 1448–5042); მ ო წ მ ე: პაატა ანტონაშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. 1448––8782), კირაკოზა ღთისიასშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიცემული

მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. 80–90–ანი წწ. 1448–8766).

მაზმ[ა]ნიშვილი მამულია – კარალეთში მცხოვრები, ქაიხოსრო ციციშვილის მეკოლისპურე ყმა (1700 წ. 1448–3602).

მაზმანისშვილი მარქარა – შვილი ხატისა მაზმანისშვილისა, იხ.

მაზმ[ა]ნიშვილი როსტომა – ჰყავს [ძმა] ბეჟუა. მისცა თავმდებობის წიგნი ყმების წაუსვლელობის შესახებ ზაალ ციციშვილს (XYII ს. Sd–945).

მაზმანისშვილი ქამალა – შვილი ხატისა მაზმანისშვილისა, იხ.

მაზმანისშვილი ხატისა – ჰყავს შვილები: ღემურა: ქამალა, მარქარა. იგი იოანე რატისშვილმა შესწირა კაბენის გეთსამანიის ღმრთისმშობელს და დააკისრა ორი ლიტრა სანთლისა და ერთი ჩარექი საკმევლის გადახდა (XYI ს. 1449–418).

მაზმისშვილი||მაზმიშვილი

მაზმიშვილი – მის მიწამდე მიჰყიდა სულხანა გოგალაძემ არდაშელ ბუნიათიშვილს მიწა (1689 წ. Hd–811).

მაზმისშვილი ვარძიელა – იხ. მაზმანისშვილი ვარძიელა

მაზმისშვილი ყანდუა – სამწევრისში მცხოვრები, ჰყავს [სახლიკაცი] ვარძიელა. მოწმე კირაკოზა ღთისიასშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს.80–90 –ანი წწ. 1448–8766).

მაზოანთ გასპარა – მოწმე ბეჟანა რაგვიაშვილის მიერ სოლაღა ხ[ა]ტისაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.Y.30. 1449 – –1861).

მაზრ[ა]შვილი ბეჟან – მოწმე ბადურა ზაალისშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ.III.1450– –1/77).

მაზუა – შვილი იოვანესი, იხ.

მაზუტა – მსახური, მოწმე გიორგი სამაღანისშვილის მიერ მანგლელი მთავარეპისკოპოსის, ათანასესათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1618–1646 წწ.] Hd–3240 ა).

მათარხი – სამეფო კარის მდივანი, დამწერი ალექსანდრე კახთა მეფის მიერ დავით ჯორჯასძისათვის მიცემული მალის ამოკვეთის წიგნისა (1577 წ. I.5. 1448–540).

მათარხისშვილი ჯაჯანა – მოწმე ზაალ გაბაშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1653 წ. 1450 – –38/36).

მათაშა – ჰყავს შვილები: სალინა, ბუჟინა, საფარა, გიორგი. მიჰყიდა აშოთან [მუხრანის] ბატონისშვილს თავისი მკვიდრი სახლ-კარი, რომელიც ესაზღვრებოდა პასრათასა და ხოჯინას სახლებს და რასტაბაზარს(1678წ. I.23.1450–5/101).

მათე – დეკანოზი, მოწმე წმინდა გიორგის მონასტრის მიერ მურადბეგ თაყაშვილისათვის მიცემული ახალგორის მამულის წყალობის წიგნისა (XIY–XY სს. H–2125. 118r –134 r ).

მათე – სამთავნელი მთავარეპისკოპოსი, დაამტკიცა ბაგრატ მეფის მიერ გიორგი ქურულისათვის მიცემული სასისხლო სიგელი(1472 წ. Qd–7118 სას.).

მათე – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მირძია ბულაძის მიერ აკდილას წმინდა გიორგისათვის მიცემული ყანის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს.H–1782.89 v); დ ა მ წ ე რ ი ბასილ ხუციშვილის მიერ აკდილას წმინდა გიორგისათვის მიცემული ვენახის შეწირულების წიგნისა (XYI ს. H–1782. 101 v).

მათე – დ ა მ წ ე რ ი ქრისტეფორე კათალიკოსის მიერ ხუცია მაღალაძისათვის მიცემული სახელოსა და მამულის წყალობის წიგნისა (1624 წ.YIII. 17. Ad–1756).

მათე – შ ე ი ლ ი ქიტიასი, იხ.

მათე – კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, მ ო წ მ ე ანანია ქიტუასშვილის მიერ ოჰანა ყავარდელაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.X.27. Hd–13130).

მათე – დ ა მ წ ე რ ი პაპუნა მანაგაძის მიერ გიორგი ნინიაშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა სახლ-კარზე უდაობის შესახებ (1691 წ.YII.25. 1449–2684).

მათე – კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, მ ო წ მ ე მანიას მიერ რამაზა მამისიმედისშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა სახლ-კარზე უდაობის შესახებ ( 1691 წ. YII.25. 1449–2684).

მათე – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე გენათელი მიტროპოლიტის, მარკოზ ლაშხიშვილის მიერ სვიმონ დეკანოზისათვის მიცემული ყმის წყალობის წიგნისა (1691 წ. Hd–7883).

მათე -ნასუპარსევის (sic!) დ ე კ ა ნ ო ზ ი, წინამძღვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მ[ა]თე – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: მამ[ა]გულაი, ხიზ[ა]ნა. ი ყ ი დ ა შალუტა წვერელიშვილისაგან ერთი დღის სახატე მიწა, რაშიც გადაიხადა ერთი ფური და ორი აბაზი თეთრი (XYII–XYIII სს. მიჯნა. Hd–1639 (3).

მათენაშვილი ბასილა – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ქიტა. მ ო წ მ ე ოთია რატიშვილის მიერ დემეტრე თურქიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. 1450–45/258).

მათენაშვილი ქიტა – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბასილა. მ ო წ მ ე ოთია რატიშვილის მიერ დემეტრე თურქიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. 1450–45/258).

მათეოზ– ხარჭაშნელი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, დ ა მ წ ე რ ი ზაალ ერისთავის მიერ ალავერდის ტაძრისათვის მიცემული ყმების შეწირულების წიგნისა (1650 წ. 1449–2656).

მათეოზ– რუსთველი ა რ ქ ი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, არჩილ მეფის ბრძანებით, მ ა ნ მისცა პირობა თბილელ ეპისკოპოს იოსებს, რომ ყოველწლიურად მიართმევდა სამ საპალნე ღვინოს ([1664–1675 წწ.] Ad–39).

მათეოზ– ბოდბელი მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, არჩილ მეფემ მ ა ს მისცა პირობა მის (ბოდბელის) მამულში სამეფო მოხელეთა მიერ ღალის აუღებლობის შესახებ (1669 წ. 1448–1439).

მათეშელი ივანე – უ წ ყ ა ლ ო ბ ა მიქაელ ხუცესს შუაღელეთი, ივანწმიდასთან რომ მიწა იყო, რომლის ნახევარიც ნიგვზით ჰქონდა ნაყიდი. ვინც მოშლიდა უნდა ეზღო 10 ბოტინატი (XII ს. Gr.28. 121v–122 r).

მათესშვილი || მათეშვილი

მათეშვილი ბერუა – ბ ჰ ე ხიზანას და მედის შორის სასისხლო საქმის გარჩევის დროს (1657 წ. Hd–1562).

მათეშვილი ბოლდია – კეხისჯვარელი, ბაღათარ ხოსაშვილის ნაქონი [ყ მ ა]. ი გ ი კონსტანტინე მეფემ უწყალობა ქართლში გადმოსახლებულ ზაზა ფანასკერტელს (1467 წ. 1448–64).

მათესშვილი მახარებელი– მ ო წ მ ე ნიკოლოზ პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშერასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1477 წ. YII.4. Qd–9814 ა).

მათეშვილი ნიკოლოზ– მ ო წ მ ე პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.XI. 15. 1450–15/50).

მათვალა – [1653 –1700 წწ.] ქრცხინვალის მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ- მ ე: დათუნა შალულასშვილისა და უცნობი პირის დავის გარიგების წიგნისა ([1653–1658 წწ.] Hd–2295 ფრაგმ.), პა[ა]ტა არჩვაძესა და ზა[ა]ლ წინამძღვ- რისშვილს შორის დადებული მამულის გირავნობის წიგნისა (1700 წ. YI.5. Hd– –14565 ბ).

მათვალასშვილი || მათვალაშვილი

მათვალასშვილი დათუნა – მ ო წ მ ე გიორგი ზედგინიძის მიერ დავითი- სათვის მიცემული პირობის წიგნისა გაქცეულ ყმებზე უდაობის შესახებ(1678წ. III.15. Hd–2823).

მათვალაშვილი იოსებ – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა მარდახ, რომელთან ერთად მ ო წ- მ ე ა ოთარ ჩინჩალაძის მიერ ზაალ წინამძღვრიშვილისათვის მიცემული ვენა- ხის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. XII.28. Hd–1705).

მათვალაშვილი (ვარ.მათვალასშვილი) მარდახ – [1688], 1699–[1703] წწ. მძოვრეთში მცხოვრები ([1688–1703 წწ.] Hd–1636), მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა იოსებ (1699 წ. Hd–1705). ი გ ი ედიშერ და პაპუნა [ციცი- შვილების] გაყრის დროს მამულით ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636); მ ო წ მ ე ოთარ ჩინჩალაძის მიერ ზაალ წინამძღვრიშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. XII.28. Hd–1705), [არჩვაძის] მიერ ელ- ყაზარაშვილისათვის მიცემული მამულის გირავნობის წიგნისა (1700 წ. ახლო. Hd–14565 ა).

მათია – მეჯვრისხევს მცხოვრები, ი გ ი თამარ დედოფალმა უწყალობა გულჩარაბაჯის (1611 წ. 1448–8760).

მათია – მ ო წ მ ე დემეტრე ზედგინიძის მიერ იესე დედაბრიშვილისათ- ვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (XYII ს. Y.1. Sd–67).

მათიაური – ფრცას მცხოვრები, მ ი ს ი მამული უცნობმა პირმა უწყა- ლობა შოშიტა რიკაძეს (XYII ს. Hd–8050).

მათიასშვილი || მათიაშვილი

მათიასშვილი – სუმბატ ურდოელაშვილის ყ მ ა, ი გ ი გიორგი მეფემ დაუმტკიცა სუმბატის შვილობილს, მესტუმრე ვირშელ ზვიადისშვილს(1460 წ. I.30. 1449–1171).

მათიაშვილი მამუკა – დ ა მ წ ე რ ი მისტანა შალიკაშვილის მიერ სულხან გუდაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1601 წ. 1448–1493).

მათიაშვილი ოტია – ავლაბრის ხ ა ს ა დ ა რ ი, მ ო წ მ ე ბერ ჰიქაშვი-

ლის მიერ გივი [თუმანიშვილისათვის] მიცემული თავნასყიდობის წიგნისა(XYII ს. II ნახ. Hd –13058).

მათიაშვილი პაატა – ზემოყურს მცხოვრები, ერთი კომლი, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448–5032).

მათისშვილი თამაზ– მ ო წ მ ე ბერია ლაშხისშვილის მიერ ცახრასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა ([1664–1675 წწ.] 1450–35/37).

მათოზა – კრეფას მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მათოზა – შ ვ ი ლ ი ტერ-მიკირტიჩასი, იხ.

მათოზასშვილი – მ ი ს ნასყიდ მიწაზე მანუჩარ [თუმანიშვილი] ესარჩლებოდა ბორტი [მაჩაბელს] (XYII ს. II ნახ. Hd –14856).

მათუაშვილი – მ ი ს სანაცვლოდ ყორჩიბაშ ბაადურ [ციციშვილს] წილად ხვდა დაღეთში იოსებ მჭედლიშვილი ([1651 წ.] 1450–37/153).

მათურასპა (sic!)– მ ო წ მ ე ნიკოლოს კათალიკოსის მიერ ვარსიმესა და თევდორესათვის მიცემული წყალობის წიგნისა ([1584–1589 წწ.] 1449–2340).

მაითურა – ძეგველი, ი გ ი და მათურა სადალაშვილი მამულებით როსტომ მეფემ უწყალობა დეკანოზ [იასე] ზუმბულიძეს (1639 წ. 1450–31/141).

მაითურაშვილი – ძეგვს მცხოვრები, ი გ ი ქონებით წილად ხვდა გიორგი [ზუმბულიძეს] ([1695–1697 წწ.] 1450–31/142).

[მაითურაშვილი] ზალია (ვარ.ზალიკა)– გ ა ნ ა ყ ო ფ ი ხატია მაითურაშვილისა, იხ.

მაითურაშვილი ხატია – ძეგვს მცხოვრები, ჰ ყ ა ე ს გ ა ნ ა ყ ო ფ ი ზალია||ზალიკა. რამაზ და ქაიხოსრო ზუმბულიძეების გაყრისას ისინი წილში ხვდნენ რამაზს (1651 წ. II.13. 1450–31/105, 1651 წ. 1450–31/102).

მაისა – საბუეეს მცხოვრები, ი გ ი თეიმურაზ ბატონიშვილმა უბოძა მაქსიმე ბოდბელს (1568 წ. 1448–2384).

მაისაშვილი დათუნაი – მ ო წ მ ე ერასტი ფიფიაშვილის მიერ ზაალ წინამძღვრიშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ.Y.21. Sd –565).

მაისაშვილი ესტატე – სამთავისს მცხოვრები, სამთავნელის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მაისაშვილი ნასყიდა – გიორგი ერისთავის მკვიდრი ყ მ ა, ი გ ი ცოლ-შვილით გიორგი ერისთავმა მიართვა თავის ბიძას, ენისელთ მოურავს, სულხან [ჯორჯაძეს] ([1688–1694 წწ.] 1448–4683).

მაისაძე – მოხნა კოხის ჭალაში სიზიაშვილის ორი დღის მიწა (1666 წ. ახლო. Hd –802).

მაისაძე– მ ი ს მიწასთან მდებარე ოთხი დღის მიწა გრძელაში ყაყა წინამძღვრიშვილმა მიჰყიდა აბელს (1691 წ. XI.13. 1450–2/131).

მ[ა]ისურაძე– [მაჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხის მიხედვით, ი გ ი და ფალეიშვილი ამილღაბარ [მაჩაბელს] დაუჭერია და წაურთმევია მისთვის ბადურ [მაჩაბლის] მიერ გატანებული ნივთები ([1688–1703 წწ.] Qd –8674).

მ[ა]ისურ[ა]ძე – [მაჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხის მიხედვით,

მ ი ს თ ვ ი ს მიუყიდიათ დაკარგული ჰარბაძის საკომლო ([1688–1703 წწ. ] Qd –8674).

მ[ა]ისურ[ა]ძე – ნ ა ც ვ ა ლ ი, მ ო წ მ ე მახა თედელაურის ფიცის წიგნისა იმის შესახებ, რომ ვენახი პეტრე და გაბრიელ რ[ა]ჯაბაშვილებს ეკუთვნოდა (XYII ს. Hd –9375).

მაისურაძე– რევს მცხოვრები, ბოგანო მოლაშქრე, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448–5032 ).

მ[ა]ისურაძე– მ ო წ მ ე ოთანა მაისურაძის მიერ ზაზა ქარუმიძისათვის მიცემული პირობის წიგნისა ვალის გადახდის შესახებ (XYII–XYIII სს.მიჯნა. Qd –3696).

მაისურაძე ალექსა – ქინძათს მცხოვრები, მეულაყე ან მესეფე ყ მ ა – –გ ლ ე ხ ი, ერთი კომლი. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ი შერმაზანა და მისი ნაშენი. მოხსენიებულია ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს.II ნახ. Qd –7071).

მაისურაძე ბერი – XYII ს. 70–ანი, 1691–1697 წწ. გ ა ნ ა ყ ო ფ ი ნასყიდა მაისურაძისა, იხ. მ ო წ მ ე: ზაზა მაჩაბლის მიერ ალხაზ მაჩაბლისათვის მიცემული ყმისა და მამულის გაცვლილობის წიგნისა (XYII ს. 70–ანი წწ.1450– –26/2 16). ნადირა მეტრე[ვ]ლის მიერ ალხაზ მაჩაბლისათვის მიცემული წიგნისა სისხლის დაურვების შესახებ (1691 წ. Hd –10399), ნასყიდა მაისურაძის მიერ ბეგთაბეგ [მაოტიროზიშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. III.27. 1450–2/8).

მაისურაძე ბერი – ძარწემელი, შიოშ მაჩაბლის მ ე კ ო დ ი ს პ უ რ ე ყ მ ა (1700 წ. 1448–3602 ).

მაისურაძე გიორგი – ძ მ ი ს წ უ ლ ი მამუკა მაისურაძისა, იხ., [ბ ი ძ ა– შ ვ ი ლ ი] ნასყიდა მაისურაძისა, იხ.

მაისურაძე გიორგი – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: იორამ, თამაზ, პატა, მასურა. ი გ ი, შვილებით, იასე ხერხეულიძემ მიჰყიდა ბოქაულთუხუცეს პაპუა გერმანოზიშვილს (1676 წ. Y.1. Hd –10366).

მაისურაძე გიორგი – აღაიანელი, ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი]: დათუნა და მასურა. ი გ ი ძმებითურთ ერგო ადამ [მაღალაძის] შვილებს მათი სახლიკაცების ყმების ფარდად (XYII ს. ბოლო. 1448–5079).

მ[ა]ისურაძე დათა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ოთანა მაისურაძისა, იხ.

მაისურაძე დათუნა – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი მამუკა მაისურაძისა, იხ.

მაისურაძე დათუნა – ერედვში მცხოვრები, ხ უ ც ე ს ი. ოთარ ფავნელისშვილის მ ე კ ო დ ი ს პ უ რ ე ყ მ ა- გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448–3602 ).

მაისურაძე დათუნა – დიცში მცხოვრები, ერეკლე მუხრანბატონის მ ე კ ო დ ი ს პ უ რ ე ყ მ ა (1700 წ. 1448–3602 ).

მაისურაძე დათუნა – [ძ მ ა] გიორგი მაისურაძისა, იხ.

მაისურაძე დოვლათირა – ძ მ ი ს წ უ ლ ი დურაბა მაისურაძისა, იხ.

მაისურაძე დურაბა – ქინძთას საუფლისწულოს მცხოვრები, ერთი კომლი. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: შერმაზან, დოვლათირა და იმათი ნაშენი ორი ვაჟი. მოხსენიებულია ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ. Qd –7071).

მაისურაძე ვახტანგა – მ ო წ მ ე ქველ [შერაზადიშვილის] მიერ თავისი

განაყოფის, მამაჩასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XV–XVI სს. ქმ. N 649).

**მაისურაძე თამაზ**– შ ვ ი ლ ი გიორგი მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე თამაზ** (ვარ.თამაზა)– ძ მ ა ნასყიდა მაისურაძისა, იხ.

**მ[ა]ისურ[ა]ძე თევდორე** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მ[ა]ისურ მ[ა]ისურ[ა]ძისა,იხ.

**მაისურაძე ივანე** – ძ მ ა მამუკა მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე იორამ** – შ ვ ი ლ ი გიორგი მაისურაძისა, იხ.

**მ[ა]ისურ[ა]ძე მ[ა]ისურ** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ხოსია, ჩუტული, თევდორე. მ ი ჰ ყ ი დ ა ბადურ მაჩაბელს მიწა ([1666–1688 წწ.]Qd–8678).

**მაისურაძე მამუკა** – ნიკოლოზ ფავნელიშვილის ყ მ ა, ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ივანე, შ ვ ი ლ ი ნასყიდა, ძ მ ი ს წ უ ლ ი გიორგი, შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი: დათუნა, პატა. ბაადურ მაჩაბლის ყმას, ყარამა გამყრელიძის შვილს, მ ი ს ი ძმა ივანე შემოკვლომია. დავა შაჰნავაზის მონაწილეობით გაურიგებიათ. რადგან ორივე მხარეს ედო ბრალი, მოკლული ივანეს საქმე „ჩაარონინეს“ და მ ა მ უ კ ა ნასისხლად ბაადურს უბოძეს (1666 წ. ახლო. Qd–8925).

**მაისურაძე მასურა** – შ ვ ი ლ ი გიორგი მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე მასურა** – [ძ მ ა] გიორგი მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე ნასყიდა** – [1666]–1697 წწ. შ ვ ი ლ ი მამუკა მაისურაძისა,იხ. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ე ბ ი: თამაზ, სეხნია (1697 წ. 1450,2/4, 2/8). [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი] გიორგი, გ ა ნ ა ყ ო ფ ი: ღმთისია, ბერი (1697 წ. 1450–2/4). მ ი ჰ ყ ი დ ა მდივან ბეგთაბეგ [მარტიროზიშვილს] ვენახი ვარძიელაშვილისა და ქონიაშვილის საზღვრამდე (1697 წ. III.27.1450–2/8); მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა ბეგთაბეგ [მარტიროზიშვილს]:ვენახზე უდაობის შესახებ (1697 წ. III.7.1450–2/4).

**მ[ა]ისურაძე ოთანა** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დათა. ზაზა ქარუმიძეს მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა, რომ თუ აპრილამდე ვერ გადაიხდიდა ტყის საზღაურს– ხუთ თუმან თეთრს, მაშინ მისცემდა კოლელისშვილისეულ ვენახს, რომელიც მდებარეობდა მეტრეველისა და ლალასშვილის ვენახებს შუა (XVII–XVIII სს. მიჯნა. Qd–3696).

**მაისურაძე ოთია** – ვანათში მცხოვრები, ნუგზარის მ ე კ ო დ ი ს პ უ რ ე ყ მ ა- გ ლ ე ხ ი (1700 წ. 1448–3602).

**მაისურაძე ოთია** – ვანათში, რაჯაბასშვილის მამულზე მცხოვრები მ ე კ ო დ ი ს პ უ რ ე [ყ მ ა] (1700 წ. 1448–3602).

**მაისურაძე ოთია** – მ ო წ მ ე ოთარ ფავნელისშვილის მიერ ბერ ვახტანგაშვილისათვის მიცემული ნასახლარის ნასყიდობის წიგნისა (XVII–XVIII სს. მიჯნა. 1448–1120).

**მაისურაძე პატა** – შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი მამუკა მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე პატა** – შ ვ ი ლ ი გიორგი მაისურაძისა, იხ.

**[მაისურაძე] პაპუნა** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ღთისია მა[ი]სურაძისა, იხ.

**მაისურაძე სეხნია** – ძ მ ა ნასყიდა მაისურაძისა, იხ.

**მა[ი]სურაძე ღთისია** – ჰ ყ ა ვ ს გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი: პაპუნა, ჯავახ, ძამა. [მაჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ი გ ი და მისი განაყოფები ამილახვარ [მაჩაბელს] აუყრია და კათალიკოსის მამულში დაუსახლებია ([1688–1703 წწ.] Qd–8674).

**[მაისურაძე] ღმთისია** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ნასყიდა მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე შერმაზან** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ღურაბა მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე შერმაზანა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ალექსა მაისურაძისა, იხ.

**მაისურაძე შუშატა** – ერედვში მ ი ს მამულზე ესახლა მჭედელი ბერი (1700 წ. 1448–3602).

**მ[ა]ისურ[ა]ძე ჩუტული** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მ[ა]ისურ მ[ა]ისურ[ა]ძისა,იხ.

**[მაისურაძე] ძამა** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ლთისია მაისურაძისა, იხ.

**მ[ა]ისურ[ა]ძე ხოსია** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მ[ა]ისურ მ[ა]ისურ[ა]ძისა, იხ.

**[მაისურაძე] ჯავახ** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ლთისია მაისურაძისა, იხ.

**მაკარაშვილები** – ერტისს მცხოვრებნი. როსტომ მეფემ ი ს ი ნ ი უწყალობა ჰასანბეგ ბარათაშვილს (1633 წ. 1448–3267).

**მაკარაშვილი ივანე** – თაყა ბარათაშვილის ყ მ ა, მ ო წ მ ე თაყა ბარათაშვილის მიერ წრაუთის მამასახლის მარქარასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680–ანი წწ. Hd–8783).

**მაკარი** – [გელათის] დიდი საყდრის წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. მოხსენიებულია ბაგრატ მეფის მიერ იოსებ ფანჩულიძისათვის მიცემული მთავარანგელოზის ეკლესიის წყალობის წიგნის მტკიცებით ნაწილში (1527 წ.IY.27.Sd–2894).

**მაკარი** – ხ უ ც ე ს ი, ი გ ი. თავისი მამულით როსტომ მეფემ შესწირა ეჩმიაწინის მონასტერს (1657 წ.I.15. მატ.252. N 4. I).

**მაკარი** – მ ღ ვ დ ე ლ ი, ძ მ ა სიონის ღმრთისმშობლის საყდრის ყმის, იოანესი, იხ., თბილელმა ი გ ი იოვანესთან ერთად დაასახლა თეიმურაზის მიერ შეწირულ მიწაზე (1688 წ. ახლო. 1450–34/183).

**მაკარი** – მ ა მ ა საკასი, იხ.

**მაკარი** – თაყა ბარათაშვილის ყ მ ა. მ ო წ მ ე თაყა ბარათაშვილის მიერ თამაზა ალავერდაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა(1698წ. II.27.1450–19/13).

**მაკარიოზ**– [ანტიოქიის] პ ა ტ რ ი ა რ ქ ი. მ ა ნ ოქონის მაცხოვრის საყდარში ჟამი წირა ამ საყდრის წინამძღვრის [ქრისტე]ფორეს (?) სახელზე. იმ ჟამად საყდარს სხვა წინამძღვარი ჰყოლია, მას განუახლებია შეწირულება საყდრისათვის. მ ა რ კ ო ზ მ ა მოუწოდა ყველას, რომ არ გამოეწირათ საყდრისათვის ყმა-მამული ([1664–1666 წწ.] ქმ. N 1003).

**მაკარიოზ**– ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი, მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი გიორგი იაშვილის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. ახლო. Hd–2239).

**მაკარისშვილი || მაკარიშვილი**

**მაკარისშვილი** – ნოჯიკეთში მცხოვრები, ი გ ი მამულით ვამიყ და სარო შაბურისძეებმა საკანონოდ შესწირეს მცხეთის საყდარს, მარკოზის კათალიკოსობის დროს (1465 წ. IY.23. 1449–1486).

**მაკარისშვილი ბარამა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა, იხ.

**მაკარისშვილი ბასილა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა, იხ.

**მაკარისშვილი ბერუა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა, იხ.

**მაკარიშვილი ბერუკა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა პაატა, მ ო წ მ ე დავით ადიკაშვილის მიერ ალავერანა საფარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. ახლო. 1448–1243).

**მაკარისშვილი თამაზა**– [შ ვ ი ლ ი] ნონია მაკარისშვილისა, იხ.

**მაკარისშვილი თევდორე** – ძ მ ა ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკარისშვილი იესე – [შ ვ ი ლ ი] ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკარიშვილი ივანა – ერტისს მცხოვრები, მ ო წ მ ე ბიძინა სოლაღაშვილის მიერ ელიზბარ სოლაღაშვილისათვის მიცემული ტაგნაგეთის ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. IY.16. Sd–751).

მაკარისშვილი იობ – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკარისშვილი მაკარი – მ ღ ვ დ ე ლ ი, ძ მ ა ნონია მაკარისშვილისა,იხ.

მაკარისშვილი ნონია – სიონის ღმრთისმშობლის ყ მ ა, მ ა მ ა მ თ ა ვ ა რ ი. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ე ბ ი: მღვდელი მაკარი, თევდორე, [შ ვ ი ლ ე ბ ი]: იესე, ქრისტესია, შიო, თამაზა, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: აბრამა, იობ, ოქროპირ, პატატა, ბერუა, ბასილა. ი ყ ი დ ა მარტყოფში, ნორიის უბანში, ბეჟუა რამაზისშვილისაგან ერთი საკომლო– ამოვარდნილი ოიტაძის მამული, რომელიც ბეჟუას მამას თეიმურაზ მეფისაგან ჰქონიანაწყალობევი (1682 წ.IY.3.1450–34/192).

მაკარისშვილი ოქროპირ – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკარიშვილი პაატა – მ ო წ მ ე თაყაშვილისა და თაყა [ბარათაშვილი]––ასანბეგიშვილის მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. II. 9. 1450–38/45).

მაკარიშვილი პაატა – 1671–[1693] წწ. ერტისში მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ბერუკა, საკო. მ ო წ მ ე: ქიტიას მიერ ალავერანა საფარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. 1448–5), დავით ადიკაშვილის მიერ ალაეერანა საფარასშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. ახლო. 1448–1243).

მაკარისშვილი პატატა – ძ მ ი ს წ უ ლ ი ნონია მაკარისშვილისა,იხ.

მაკარიშვილი საკო – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა პაატა, მ ო წ მ ე დავით ადიკაშვილის მიერ ალავერანა საფარაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ.ახლო. 1448–1243).

მაკარისშვილი ქრისტესია – [შ ვ ი ლ ი] ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკარისშვილი შიო – [შ ვ ი ლ ი] ნონია მაკარისშვილისა, იხ.

მაკრახიძე გიორგი – მ ო წ მ ე შიოშ ფალავანდისშვილის მიერ გიორგი გულიკაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1518 წ. 1448––2612).

მაკუჰასძე||მაკუჰაძე

მაკუჰაძე ბერი – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ჯაბანა მაკუჰაძისა, იხ.

მაკუჰასძე თათარა – [ძ მ ა] ივანე მაკუჰასძისა, იხ.

მაკუჰასძე ივანე – მცხეთიშვილი, მისაქციელის მ ო უ რ ა ვ ი, ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი]: ფრიდონ, თათარა. ი ს ი ნ ი, მკვიდრი, ნასყიდი და მეფისაგან ნაწყალობევი ერწოული მამულებით, ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს, დასვა მცხეთიშვილებად, გაათარხნა და დაადგინა მწირველებად (1441 წ. 1448––1976).

მაკუჰასძე ფრიდონ – [ძ მ ა] ივანე მაკუჰასძისა, იხ.

მაკუჰასძე ჯაბანა – ზაქარია რუსთველის საეპისკოპოსოს ნ ა ც ვ ა ლ ი, ჰ ყ ა ვ ს ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ბერი. მ ი ს თ ვ ი ს რუსთველ [ნიკოლოზ] ამილახვრისშვილს უბოძებია ყმა-მამული, რომელზედაც ეცილებოდა ხუცესი ბერეკაშვილი. ზაქარია რუსთველის გარიგებით, მ ა ს მიაკუთვნეს მიწა ქინქლაძის

მამულის საზღვრამდე (1697 წ. 1449–170).

მაკუპიძე მამისმამა – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგლისა (XYI–XYII სს. ქმ.N 1608 სას.).

მაკხაშვილი – თვალში მცხოვრები, ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა წინამძღვარ ონოფრე [მაპუტაძისათვის] მიბარებულ გარეჯის ყმათა ნუსხაში ([1690–1733 წწ. ] Ad –42 1).

მალა–ოღლი მუსა – ყორჩიბაშის თაბუნის წევრი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ნაბია. მეჯლისის დროს ევალებოდა მეფის უკან იარაღით დგომა (XYII ს. 90–ანი წწ. Ad –62 0).

მალა–ოღლი ნაბია – ძ მ ა მალა.ოღლი მუსასი, იხ.

მალაქია – 15 11–15 37. [15 38] წწ. ქ ა რ თ ლ ი ს მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი (15 11–[15 32 ] წწ. 1449–15 33, Ad –712 ); კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი|| ქ ა რ თ ლ ი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ს- პ ა ტ რ ი ა რ ქ ი (15 32 –15 37,[15 38 წწ. Ad –16, ქრ. II. 375, Ad –504, 1449–1496 ა, ქრ. II. 389, 390, 1449–1647, 1448–2 285, Ad ––5 50). მ ი ს ი ჩარევით, გიორგი მეფემ მცხეთის საყდარს საკანონოდ შესწირა სოფელი კუნელნი, ერწოს სოფელი ჩეკურნი და დაადგინა ალაპი მეფე ალექსანდრეს სახელზე(15 11წ. 1449–15 33); ლეონ მეფემ შეუთვალა მ ა ს მარკოზისა და ყარაასლანის პირით, რომ ჩამოართვა თავის შვილს უკახოხოდ დაჭერილი მცხეთის მამულები და მას სამაგიეროდ მისცა, ხოლო გარეჯის უდაბნონი სვეტიცხოველს უბოძა. ამავე დროს წაუყენა პირობა კათალიკოსს, რომ არ მოეკლო გარეჯისათვის იმაზე მეტი, ვიდრე დადგენილი იყო, ვინაიდან ამ შემოსავალზე ალაპები იყო გაჩენილი და ტრაპეზს მოაკლდებოდა; შეუთვალა, აგრეთვე, დაებრუნებინათ გარეჯისათვის იქიდან წამოსვენებული ხატები და წმინდანთა ნაწილები. გარეჯის მამულებზე მეფემ დაიტოვა მხოლოდ ლაშქარ-ნადირობისა და მალის უფლება. ამას გარდა, თუ მეფე ჩავიდოდა გარეჯაში, ძღვენით უნდა დახვედროდნენ. მეფე მცხეთის საყდარს დაჰპირდა სხვა სააღაპე მამულებს იმ პირობით, რომ მცხეთას მოეკლო: ჯვრის, მეტეხის, სარკის, ვირშის მონასტრები თავ-თავიანთი შესავლით, ქადაგის მონასტერი მისი სახელოთი და შესავლით. პირობა დადო, რომ მოიკლებდა თავისი პაპის სამწირველოს. ქადაგის დანიშვნის უფლება მეფემ თვითონ დაიტოვა. სოფელი ახალშენი ისევ მცხეთას დაუტოვა სამსახურის უფლებით, ხოლო გამოსავალს მეფე მოიხმარდა. ლეონმა ითხოვა, რათა [კახეთიდან] გამოგზავნილი აბრეშუმი, პური და ღვინო შეენახათ, რადგან ესენი კალატოზებისათვის სჭირდებოდა ([ 1520 ––15 32 წწ. ] Ad –712 ); ი გ ი ლევან მეფემ კათალიკოსად დაადგინა იმ ჟამს , „ოდეს მცხეთის საქმე შემცირებული იყო“ და განუახლა ადრე მიცემული სოფლებისა და მამულების თარხნობა შესწირა: გარეჯის უდაბნონი და მამულები მათი შესავლით, რომელთა გამოსავლის ნახევარი მცხეთას ეკუთვნოდა, ნახევარი კი– გარეჯის უდაბნოებს; გრემს– სამი ვაჰარი და „არაგვს აქეთ, რაც მცხეთის მამულის მალი“ იყო, მთლიანად; პაპამისის მიერ ადრე შეწირული სოფლები:ახალშენი, ერწოს– ნოდოკრა, გორანა, პიტლოვანი, კუერნასძეული, სუიმერნელი, ნოჯიკები, ძაგნაკორნა, ზვიადისშვილნი, ოდიშელისძენი, ხატისწობენი, ახატანს–[ალა], ფოსვი, ჯაპვი,ოროტაი (15 32 წ.ქრ.II.375), მ ი ს ი კათალიკოსობის დროს სვეტიცხოველს შესწირეს: [ლუარსაბ] მეფემ– ტფილის-ქალაქს მეტეხის მონასტერი წინამძღვრით და მეტეხელით; ქორდს– ქანდიასშვილი მამულით; თრიალეთს– სოფელი ეძანი და უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჰარი გორს და ერთი ქალაქს. ქალაქში ორი ლიტრა საკმელი: ერთი მეტა-

თი ვაჴარი გორს და ერთი– ქალაქს. ქალაქში ორი ლიტრა საკმელი: ერთი მეტამღეზე და მებაჲეზე; ნასიძისათვის კათალიკოსის მიერ ბოძებული გომნი აღარ გამოართვა როინ და ელიზბარ ჯავახისშვილებს და სხვა საყდრიშვილების მსგავსი სამსახური დააკისრა მათ; შესწირა აგრეთვე სოფლები: თელოვანი, ქუაბთა, სრულიად სამცხეთო მამულები და ყმები მტკვრის გაღმა-გამოღმა, ქალაქსა და გორში თხვ-თავიანთ გადასახადებით: მალითა და საბალახოთი, წინაუბანს– ვირშელ ეზრასშვილი ([1532–1534 წწ.] 1449–1647); ,გუსტან ჴილასძემ, რომელმაც თავის შვილს ლუარსაბ მეფის და შჷრთო, სა,კანონოდ– სამოც|ი ლიტრა ცვილი ([1532–1534 წწ.] 1448–2285); მან შესწირა სვეტიცხოვლს თავისი ნაღეაწი და მოგებული: ერთი ძძიმედ ნაკერი ომფორი თვალ-მარგალიტით შემკული, ერთი ბისონი, ენქერი, სამკლავენი, მძიმედ ოქროქსოვილი თეთრი ქამხის სტიხარი, „კეერთხი თევზისკბილისაი“ ოქროთი მოჭედილი და თვალ-მარგალიტით შემკობილი, ორი მაცხოვრის ხატი ვერცხლით მოჭედილი და თვალ-მარგალიტით შემკობილი, მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ორი ვერცხლით მოჭედილი ხატი, პეტრე და პავლე მოციქულთა ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით მოჭედილი ორი ხატი. ეს ოთხი ვერცხლის ხატი ბაადურ ჩოლაყაშვილს შეუწირავს და მალაქიას თავისი საფასით მოუჭედია, შესწირა აგრეთვე სამღვდელმთავრო ოქროს ყელსაკიდი ხატი, მიქელ მთავარანგელოზის პატარა ოქროს ხატი, ერთი დიდი– ოქრო–ჯაჭვიანი და ერთი პატარა– ოქროსთვლიანი ბეჭედი; ერთი ქაღალდის მეტაფრასი, ერთი ეტრატის ძლისპირი; სამი ბედაური ჭაკი ცხენი მისი „საშენებითურთ“ (კვიცები უნდა გაეყიდათ და ნავაჭრი სასაყდრედ დაედოთ"); ერთი კონდაკის ღერი ვერცხლისა, ოთხი ჩინური თეფში და ოთხი ჯამი, ერთი თეფში, ერთი ჩინური ჯამი, ერთი ვერცხლის სუფრა (სურა?), ერთი ვერცხლის მაშრაფა, ერთი მძიმე ოქროქსოვილი ხავერდი, ექვსი ორხაო, ათი ქვაბი, ორმოცდაათი სპილენძის თეფში, სამი ზედადგარი, ორი ფინარი, ცხრა სპილენძის ჯამი, ერთი ვერცხლის გრძელი ჯაჭვი, საყდრის კლიტეთა მხარულის დასაკიდი ასოცდაერთი თავითურთ, ოთხი ფური ხბოიანი კამეჩი, ერთი მთავარანგელოზის ხატი „პერილევტისა“ თვალზედა გამოჭრილი, ერთი ოქროქსოვილი ქარაიის ბისონი ლეონ მეფისაგან ბოძებული, ერთი მუშაბახიანი სპილენძის მანკანა, ერთი საკურთხეველის საყდარზე დასაფენელი ხალიჩა, ერთი ორხაო, გარეთ „საყდარზედ დასაფენელი“, ერთი სეფისკვერის დასაჭრელი დანაკი, თევზის კბილის „ხარათა ოქროზარნიშნიანი,ერთი დიდი დევაი ტაფა“, ერთი ვერცხლის საზედაშე აბრაიგი, ორასოცი ცხვარი, რვა ჩინური ჯამი ([1532–1538 წწ.]Ad–16); დაამტკიცა: ალექსანდრე მეფის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული საალაპე წიგნი ([1532–1534 წწ.] Ad–504), ლეონ მეფის მიერ გედეონ მაღალაძისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი (1537 წ. 1449–1496 ა); მას მისცეს პირობა: ქერობინმა, ავთანდილმა და ზაალმა იმის შესახებ, რომ მეტეხის საყდარში თავიანთი გვარის კაცს არ დაასაფლავებდნენ. მათ უნებართვოდ მეტეხის საყდარში დაუსაფლავებიათ თავიანთი მამა, რაზედაც მალაქია გამწყრალა ([1532–1534 წწ.] ქრ. II. 388), ლეონ მეფემ– საკანონოს დაურღვევლობისა და ჩაურევლობის შესახებ ([1532–1534 წწ. ] ქრ. II. 390); ჩამოთვლის თავისი წინამორბედი კათალიკოსის, ბასილის შეცოდებებს მცხეთის საყდრის წინაშე და უყენებს მცხეთის ქონების დანიავების ბრალდებას: ბასილის მცხეთის მამულები თვითნებურად დაურიგებია, კუნენელთა სა-

მი კომლი კაცი თავისი ძმისწულებისათვის, ხოლო დანარჩენი– პატრონ ბაგრატისათვის [მუხრანის ბატონი] მიუცია; მისაქციელში, თეკენაში და წეროვნის ნახევარზე კოპინაშვილები დაუსახლებია და მცხეთისათვის დაუკარგავს; წეროვანსვე უყიდია მოყალნეების მიწები, სასახლე და ჰურ-მარანი; ბასილის ძმისწულებს დაუყიდიათ ალაიანში წისქვილი, ზვარი, მიწები, მარტაცი მცხეთის პურ-ღვინითა და ბამბით და სხვა მამულები, „გამოუღიათ ფასად“ მცხეთისავე მამული სათალგამისი, რეჭელი მამული და მცხეთის სასახლე. მცხეთის მამულისათვის სხვა შინაურსა და გარეულსაც მიუყვია ხელი. სოფელი ფონთხელა ჰარმაულს უყიდია გუშაშვილისაგან. [მალაქიას] ბრძანებით, თუ გაირკვეოდა, რომ იგი ბასილის დროს არ დაკარგულა, მაშინ იმის მწერლისათვის უნდა გადაეხდევინებინათ; თუ მართალი იქნებოდა, სარიდანა და მისი ძმები უნდა „დაეკარგათ“, როგორც მცხეთის „დამქცევენი“. როცა მეფეს ბასილის საქმიანობა შეუტყვია, მისთვის საეგვტრო წაურთმევია და გაუგდია. მალაქიას, მეფისავე ბრძანებით, ბასილისათვის მარტაცი წაურთმევია და ძველი პატრონისათვის უბოძებია ([1532–1538 წწ.] Ad–550); იხსენიება: მას აუშენებია სოფელი ჯვარი (1559 წ. Hd–8729), [უცნობი] მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მამულების შეწირულების განახლების წიგნში აღნიშნულია, რომ მას აუშენებია სოფელი ჯვარი და შეუწირავს სვეტიცხოვლისათვის (XYII ს. II ნახ. 1449––1787); მისი ხელრთვა აქვს საბუთს Ad–550.

მალაქია – 1527–[1532] წწ. აფხაზეთის კათალიკოსი|| აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქი. დაამტკიცა ბაგრატ მეფის მიერ იოსებ ფანჩულიძისათვის მიცემული მთავარანგელოზის ეკლესიის წყალობის წიგნი (1527 წ. IY.27. Sd–2894); შექმნა გელათის საეპისკოპოსო და გელათის ეპარქიის ეპისკოპოსად დაადგინა გელათის ტაძრის მიტროპოლიტი მელქისზედეკი; გაუჩინა სამწყსო საზღვრებით: რიონსა და ქუთაისს ზევით,ყვირილას გამოღმა, კაცხის საზღვრებამდე, ხრეითს აქეთ, რაჰის მთამდე; ოკრიბა მასში შემავალი ტბებითა და სოფლებით; დაუწესა საკურთხი და პირველი საწირავი – ასი თეთრი ([1529–1532 წწ.] Ad–2895).

მალაქია – ნინოწმინდელი, ფილიპე ამბა-ალავერდელთან ერთად პირობა მისცა კათალიკოს დომენტის რჯულის საქმეში ერთგულების შესახებ([1599––1603 წწ.] Ad–1892).

მალაქია – [1616],1621–1629,[1639] წწ. აფხაზეთის კათალიკოსი; ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი ([1616–1621 წ. ქსძ. III. N92 ). შვილი გიორგი გურიელისა ([1616 ], 1621–1629, [1639] წწ. ქსძ. III. N91, 92, 92–3, 1448–5109, Hd–11203,ღსსს, II. 172, Sd–2904, Ad–2251). შესწირა ბიჰვინთის ღმრთისმშობლის ეკლესიას საეკლესიო ნივთები: ძვირფასი სამღვდელო ტანსაცმელი, ჯვრები, ხალიჩები და სხვა საგნები ([1616–1639 წწ.] 1448–5109); კათალიკოსის მოლაშქრე კაცთა ნუსხის მიხედვით, მას ეკუთვნოდა: ნავენახევის თავს ბეჟან ლალიძე და იოთამი მათი მსახურებით; ოთარ ბარჩიკვატიძე მსახურით და კიდევ სამი სხვა მსახურით; საგენათლოში– ხუთი მსახური; ქუთათისს– აზნაურისშვილი ბეჟან ლალიძე და გოჩიაი; ჯიმიშტარას– მგალობელი ათანასე და ორი სხვა მსახური; გეგუთს – ლაზარე და მისი განაყოფი; ფარცანაყანევს, ხონსა და ჯუთობანს – ექვსი მსახური; ხონის წმინდა გიორგის ოცდაათი მსახური;მან-

თხოჯს— ცხრამეტი აზნაურიშვილი და მსახური; საქუჩულორიოს — სამი მსახუ-
რი; ნაგვაზაუს — ოთხი მსახური, ხიბულას— ოცდაათი აზნაურიშვილი და მსახუ-
რი; ჯგალში— ოცდათვრამეტი აზნაურიშვილი და მსახური; საცაიშლო სამოც-
დასამი აზნაურიშვილი და მსახური; დარჩელს— ოთხმოცდახუთი აზნაურიშვი-
ლი და მსახური; ჭალას— ორი მსახური; ჩოხათს— ხუთი მსახური; ნაყანეულს —
—ოცდათხუთმეტი აზნაურიშვილი და მსახური; ხოირს— ოცდაორი მსახური; მუ-
ხურს— ოცდაათი აზნაურიშვილი და მსახური; სახაუქელო— თხუთმეტი მსახუ-
რი; თილითს და ჭალას— ცამეტი მსახური; ხეთას— ოცდაათი მსახური; წყარი-
გზას და სენაკს — ოთხი მსახური; ლაჩხუთს და ლესას— ოცდაათი აზნაურიშვი-
ლი და მსახური; ჯუმათს და ბა[ი]ლეთს — თვრამეტი აზნაურიშვილი და მსახუ-
რი; ქობულეთსა და ჩაქუს— ხუთი აზნაურიშვილი და მსახური, ოცხანას— ცხრა
აზნაურიშვილი და მსახური ([1616—1621 წწ.] ქსძ. III. N 92—3); საცაიშლო გა-
მოსავლის დავთრის მიხედვით, მ ა ნ, ლეონ დადიანის ბრძანებით, აღადგინა
ცაიშის ეკლესია, შეამკო ხატებით, ჯვრებით და სხვა სამკაულით; ვინაიდან და-
ვთრები „განრყუნილ იყო", დააწერინა ცაიშის ეკლესიისა და მისი გარშემო სო-
ფლების საზღვრებისა და გამოსავლის გუჯარი ([1616—1621 წწ.] ქსძ. III. N 92);
მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა: მოურავ გიორგი [სააკაძეს], ქაიხოსტო ბატონიშვილს,
ბარათა, გიორგი, გერმანოზ [ბარათაშვილებს] და მათთან მყოფ აზნაურებს მფა-
რველობისა და უვნებლობის შესახებ ([1616—1621 წწ.] Hd—1908), მ ა ს მისცა
პირობა როსტომ ქორთოძემ მამულზე უდაობის შესახებ ([1616—1639 წწ.] Hd—
—11203); მ ი ს ი კათალიკოსობის დროს შესწირეს ბიჭვინთის ღმრთისმშობელს:
გიორგი ლიპარტიანმა ბონბოთში მცხოვრები მახარებელ ნაჭყებია სახლ-კარითა
და მამულით და დაიწესა წირვა ყოველ წელიწადს ([1616—1620 წწ.] დსსს. II.
172), სეფედაულე ამირეჯიბმა — ერთი ცოლ-ქმარი და ივანე ტკბელაძისეული ერ-
თი საგლეხო პარტახტი ჭიბრევში ([1616—1621 წწ.] 1448—1527), მამუკა ჭილა-
ძემ საკანონოდ— ეწერში და ჭანგას ყმები ([1616—1639 წწ.] Ad—2251 მგ), ლე-
ვან დადიანმა— ყმა-მამული (1628 წ. Sd—2904); მ ი ს ი მოთხოვნით, „ცოდვის
საქმის" გამო ლომკაც ჭილაძემ ბიჭვინტის ღმრთისმშობელს შესწირა ორი კომ-
ლი: იოვანე და თვალთვალეი გუნიები (1629 წ. Ad—2251 კც); აფხაზეთის საკა-
თალიკოსო ბეგრის დავთრის მიხედვით, მ ა ს შეუწირავს ბიჭვინტისათვის სა-
ქუჩულორიოს სასახლე (1621 წ. ქსძ. III. N 91); მ ი ს ი ხელრთვა აქვს კუჭუხი-
ძეთა ბეგრის ნუსხას ([1616—1639 წწ.] 1448—1536).

მალაცისძე||მალაციძე||მალაცაძე

მალაცაძე — ამბრიას მ ა მ ი ნ ა ც ვ ა ლ ი, ივანასა და ამბრიას დავის გარ-
ჩევის დროს ივანამ ი გ ი ბჭედ დასვა (1661 წ. Ad—1687).

მალაციძე — მ ი ს მიწამდე მიჰყიდა ივანე მეხარიშვილმა პაპუნა თუხარელს
მიწა (1677 წ. IY. 20. Sd—51).

მალ[ა]ციძე — მ ი ს მიწამდე მიჰყიდა გოგილა მახვილ[ა]ძემ პაპია ჭყვაპი-
ასშვილს დღენახევრის მიწა თეძმის პირას (1687 წ. Ad—1675-ბ).

მალაცისძე ესტატე — ი გ ი, ახალშენსა და ცხირეთში მცხოვრებ გლეხებთან
ერთად გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს, ერგო როინსა და მის
ბიძაშვილებს ([1527—1558 წწ.] Qd—605).

მალაციძე ესტატე — მ ო წ მ ე ზაქარია მეჭრიშვილის მიერ პაპუნა თუხა-
რელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. I.10. Sd—60).

მალ[ა]ციძე ესტატე – ხანდაკელი, მ ო წ მ ე ივანე ძამანსაშვილის მიერ ყანდინა ედილსაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ( 1690 წ. IY.22. Ad–1605).

მალაცისძე იმედა – ი გ ი ახალშენსა და ცხირეთში მცხოვრებ გლეხებთან ერთად, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ერგო როინსა და მის ძიძაშვილებს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

მალაციძე იმედა – მ ო წ მ ე ესტატე გულუასშვილის მიერ ყანდინა ედილასშვილისათვის მიცემული წიგნისა ვალის გადახდის შესახებ (1693 წ. XII.1.Hd–10917).

მალაციძე მამუკა – მ ო წ მ ე ზაქარია მეკრიშვილის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. I.10. Sd–60).

მალაციძე მახარა – 1640–1678 წწ. ცხირეთს ცუცუბანს მცხოვრები, ი გ ი მამულით, უწყალობა როსტომ მეფემ ამოან თუხარელს (1640 წ. Hd–14436 ბ); მ ო წ მ ე თარხან გიორგი სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. Y.28. Sd–63).

მალაციძე ნონიკა – 1677, 1678 წწ. მ ო წ მ ე: ივანე მეხარიშვილის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. IY. 20. Sd–51), თარხან გიორგი სააკაძის მიერ პაპუნა თუხარელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. Y.28.Sd–63).

მალაძე დემეტრე – დისევს მცხოვრები, ი გ ი დავით მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1516 წ.IY.13. 1449–1658).

მალექმანიძე – წესს მცხოვრები, [სორის?] მონასტრის ყ მ ა, ბედან ერისთავმა მ ი ს ი შეწირულება განუახლა [სორის] მონასტერს (XY ს.H–1707.54r ).

მალიძეშოშიტაი (ვარ.შოშიაი)– 1584–[1600] წწ. ოსეურში (ვარ.ოსიაურს) მცხოვრები, გიორგი ბატონიშვილმა ი გ ი შვილებითა და მამულით,დოროთეოს კათალიკოსის თხოვნითა და საფასით, შესწირა ნიტრიის ეკლესიას (1584 წ. Sd–2909, [1589–1600 წწ.] 1448–5008).

მ[ა]ლიჯანა – მ ო წ მ ე დ იხსენიება მიწის ნასყიდობის წიგნის ფრაგმენტში (1690 წ. Hd–14815 ფრაგმ.).

მალიჯ[ა]ნასშვილი ფიროა – მ ო წ მ ე ნასყიდა გრიგოლასშვილის მიერ გიორგისა და დათუნასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს.IY მეოთხ. 1450–2/103).

მალულიძე აბრამ – შ ვ ი ლ ი გოგილა მალულიძისა, იხ.

მალულიძე ბეჟუაი – მ ო წ მ ე პაპუნა ყაზ[უ]ასშვილის მიერ მამუკა გურგენიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. 1448–272 ).

მალულიძე ბერუა– შ ვ ი ლ ი გოგილა მალულიძისა, იხ.

მალულიძე ბერუა – 1680–1681 წწ. მ ო წ მ ე: ბერუკა რევაზისშვილის მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემული სამამულე დავის გადაწყვეტილების წიგნისა (1680 წ. XII.18. Ad–1017), პაპუნა ყაზ[უ]ასშვილის მიერ მამუკა გურგენიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. 1448–272 ).

მალულიძე ბიძანა (sic)– მ ო წ მ ე ქიტია ქუბაშვილის მიერ გოგილა მალულიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. III.15.Sd–57).

მალულიძე გოგილა – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ბერუა, პაატა, აბრამ, ივანე. ი ყ ი დ ა რუისში ქიტია ქუბაშვილისაგან დღენახევრის მიწა ბეჟიტაშვი-

ლის ვენახამდე და ნადირას მიწამდე (1672 წ. III.15. Sd–57).

მალულიძე იეანე – შ ვ ი ლ ი გოგია მალულიძისა, იხ.

მალულიძე პაატა – შ ვ ი ლ ი გოგილა მალულიძისა, იხ.

მალუშია ქომიშელა – ცაიშელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, შვიდი ლიჯი ღომი, შვიდო ფოხალი ღვინო და გოჰკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N 92).

მალურავა შურითოლი – თილით მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ორი ქანდაქის ხმელი ბეგარა, მესამე წელს ერთი ქანდა – ქის საკლავი და სამოგუე, ორი კოკა ღვინო, ორი ჯამი ღომი, კვირაში ორი დღე ყანაში მუშაობა, ნაჯგიბიუს მამულში ყურძნის კრეფა (1621 წ. ქსძ.III.N 91).

მალხაზასშვილი – კარბში მ ი ს მამულზე ესახლა ბიძინა ბიძინასშვილი (1700 წ. 1448–3602).

მამა – კარშაგარს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1588 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მამაგულ (ვარ.მამაგულა)– ძ მ ა ძღვევის მთავარმოწამის ღეკანოზის, მღვდელ თევდორესი, იხ.

მამაგულაი – ძ მ ა მ[ა]თესი, იხ.

მამაგულასშვილი||მამაგულაშვილი (შდრ.ყორხმაზაშვილებს)

მამაგულაშვილი ავთანდილ – ძ მ ა კახაბერ მამაგულაშვილისა, იხ.

მამაგულასშვილი ბერიკა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მამაგულა მამაგულასშვილისა, იხ.

მამაგულაშვილი ბერუა – 1665–1693 წწ. სამწევრისში მცხოვრები (1670 წ. Hd–5242), მ ო წ მ ე: როსტევან ვართანაშვილის მიერ ბაინდურ პაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. 1450–7/17), ბოლნისის ეპისკოპოსის, იოსებ რევიშვილის მიერ ღონმაზ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის გაცვლილობის წიგნისა (1670 წ.YIII.2.Hd–5242), მამასახლისის ძმის, ყაზარას მიერ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. II. 1692 წ. II.15. 1450–7/15), ხოსრუა ასლუა – შვილ-ზურაბაშვილის მიერ ღოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული ვალის დაბრუნების წიგნისა (1693 წ. Hd–6604).

მამაგულაშვილი გიორგი – გლეხი, მ ო წ მ ე უსუფბეგ ასანბეგაშვილის მიერ პაპუნა გოსტაშაბისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1653 წ. Hd–10026).

მამაგულასშვილი ებალა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მამაგულა მამაგულასშვილისა, იხ.

მამაგულასშვილი იმედა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მამაგულა მამაგულაშვილისა, იხ.

მამაგულაშვილი ირემა – ელფიას მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ერგო უცნობ პირს (1658 წ. Hd–5506).

მამაგულასშვილი მამაგულა – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ებალა, იმედა, ბერიკა. მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა [ბარათაშვილს] ტბისში ამირასშვილის ვენახთან მდებარე ვენახი (XYII ს. 70–ანი წწ. Hd–10120).

მამაგულასშვილი პაპუა – სახუნდარელი, ძ მ ი ს წ უ ლ ი შერმაზან მამაგულასშვილისა. მ ო წ მ ე გასპარა დარისპანასშვილის მიერ ღოლმაზა შანშიაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.YI.1.Hd–1780).

**მამაგულაშვილი როსტომა** – იხ. ყორხმაზაშვილი როსტომა

**მამაგულაშვილი** (ვარ.მამაგულასშვილი) **შერმაზან** – [1672]–1694 წწ. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ი პაპუა (1690 წ. Hd–1780). მ ო წ მ ე: კახაბერ ყორხმაზაშვილის მიერ თავისი ბიძის, ავლოზანისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. ახლო. 1450–16/151), გასპარა დარისპანასშვილის მიერ დოლმაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. YI.1.Hd–1780), დუშია გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IY.7. 1450–6/36).

**მამად ბაღირა** – იხ. მაჰმად ბაღირ–ბეგ სადულ

**მამადა** – მიჯას მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მამადა** – მეფის ნ ა ც ვ ა ლ ი, მ ო წ მ ე წინა საგარეჯოელთა მიერ ჰავჰავაძეებთან მიწებზე დავის გამო დადებული ფიცის წიგნისა (1654 წ.I.2. 1449–2658).

**მამად–არზაბეგა** – აღა, მ ო წ მ ე ვახტანგაანთ ნასყიდას მიერ პაატაბეგისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1669 წ.X.27.1450–21/9).

**მამადედა** – ღარიბასძის რ ძ ა ლ ი, ჰ ყ ა ვ ს: თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე საგია, [მ ა ზ ლ ი] ინდუსტარ, [მ ა ზ ლ ი ს] ც ო ლ ი – დუნაი, შ ვ ი ლ ე ბ ი: ქავთარელა, ფოცხუერ. მ ა ნ და დუნაიმ ვანის ქვაბებს შესწირეს ყანა მჰედლისუბანში და ვენახი ტოლოშში თავ-თავიანთი ქმრების საალაპედ (XY ს.Ad–933. მე–12 კეფი v).

**მამადედაშვილი დონდარა** – დაღეთის მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა შალვა. მ ა ს დედოფალმა ნესტანჯარმა უწყალობა დაღეთის მამასახლისობა და გაუთარხნა ნარიკასულის მიწა მისი სავენახით (1556 წ.Sd–138).

**მამადედაშვილი შალვა** – ძ მ ა დონდარა მამადედაშვილისა, იხ.

**მამადყულაშვილი** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ნადირა გოგაციძის მიერ პაპუა მაღალაშვილისათვის შუაველში, თელათგორის რუსაკენ, მიყიდულ მიწას (1664 წ. 1450–30/127).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: მ ა ს ეყმნენ გიორგიმ და ნასყიდა სალარიძეები (1677 წ. 1448–5067), ლევან ბატონიშვილმა ი გ ი დააყენა სვეტიცხოველში „სამარო-ანის" ს ა რ ქ რ ა დ და უბოძა მ ა ს სააღაპედ შეწირული ხატისსოფლის მოურაობა. დაევალა საყდრის იარაღის, ხატისა და საგანძურის დაცვა. სანთ-ლისა და საკმლის მომტანად დაუნიშნა ქალაქელი ყმა– ზარხოშაშვილი და გო-რელი ვაჭარი– მამულაშვილი ([1678–1700 წწ.] Ad–30); დაწერა ანდერძი, მას-ში ჩამოთვლილია მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ჩატარებული საქმიანობა: აუშენებია და დაუსახლებია სოფლები: შილდას ბოლოს, სოფელ ფაშაანში დაუ-სახლებია თორმეტი კომლი კაცი, შაბადინში გაუყვანია რუ, მაშევარზე– ველკე-თილი, ქციაზე– თავმრგვალა, დიღომთან– ნაქულბაქევი, გორის პირს – აშენდა. ბერძენაული, თრიალეთს– ბეშქენშენი, ჰიტები და კლონეთი. აუშენებია მარნე-ბი და საწნახლები ძეგვში, წეროვანში, ციხედიდში, აღაიანში და ატენში. და-უსახლებია კავთისხევში სოფელი შეუბანი, წყლუთი და ზერტი. აუშენებია კავ-თისხევში ხუთი წისქვილი, ჩოჩეთში– ოთხი წისქვილი, კავთისხევში შეუძენია ორი ხოდაბუნი, სიონის ბოლოს მიწა, ჩოჩეთს, წინარეხს, ციხედიდსა და აღაი-ანში შეუძენია ვენახი. ნიაბში დაუსახლებია შვიდი კომლი, აუშენებია ზვრები, აქედან ერთი ზვარი თავისი ძმისათვის, გედევანისათვის მიუცია, მეორე ზვრი-დან კი ხუთასი კოკა მოდიოდა. თავისი ძმებისათვის, გედევანისა და ბეჟანისათ-ვის, უბოძებია ნასყიდი და დასახლებული თექვსმეტი კომლი კაცი. ნიაბში აუშე-ნებია კიდევ სხვა ვენახი, საიდანაც სამას კოკას იღებდა. ზერტში დაუსახლებია სამი კომლი კაცი. კავთისხევში– ორი საკომლო ვენახი, უყიდია ორი ხოდაბუნი ქვლივიძისაგან და შიხიდარაშვილისაგან. უყიდია სიონში მიწა ლაპუაშვილისა-გან, ჩოჩეთში– ჰყოპიაშვილისაგან, წინარეხში, სადაც ი გ ი ცხოვრობდა, თე-თრით ჰქონდა შეძენილი სასახლე და მიმდებარე მიწები, ზოგი ჰიაურთ მოურა-ვისაგან, ზოგიც– მისი ყმებისაგან. ციხედიდში უყიდია სავენახე მიწა, არმა-ზის ბოლოს– საფიჩხულე მიწა, დიღომს– ვენახი და საწისქვილე. მცხეთაში აუ-შენებია დარბაზი, მარანი, სახლები, ეზო და ბოსტანი. ციცი [ციციშვილისაგან] უყიდია ხუცესი ქიქნაძე და დაუსახლებია იგი საგარეჯოში თავის ნაყიდ მიწა-ზე. ლევან ბატონიშვილს ი გ ი დაუყენებია სვეტიცხოველში თავისი სასაფლა-ოს სარქრად, ამის შემდეგ უბოძებია მ ი ს თ ვ ი ს სომხითში ხატისსოფლის მოურაობა, სამი კომლი ყმა და ბეთუაშვილი. მ ა ს ვ ე უშოვია სამკვიდროდ ციხედიდის მოურაობა, აუშენებია წინარეხში ორი სასახლე. ერთი დაუთმია თავისი გაყრილი ძმის, ბეჟანისათვის. შაჰნავაზისაგან მიუღია წყალობა–თრი-ალეთში ახალშენი, გელხაურები. აღაიანში უყიდია ვარდიაშვილი. ანდერძის თანახმად, ი გ ი უნდა დაესაფლავებინათ ბეთლემში (1681 წ.YI.1.1448–5038); ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა: მ ი ს ი ყმა, რომელიც ქველ ფხეიძესთან ყოფილა, მიუთვისე-ბია მამუკა ჰლიკასშვილს ([1644–1660 წწ.] Ad–514), არჩილ მეფის მიერ სვეტი-ცხოვლისათვის ბოძებული სააღაპე წიგნის მიხედვით, არჩილს ი გ ი დაუმტკი-ცებია მოურავად (1670 წ. YII.18. Ad–1837), მ ი ს სახელზე ნიკოლოზ მაღალა-ძემ ქობულაშვილს დაავალა აღაპის გადახდა (1698 წ.1448–5060).

**მაღალაძე პაპუა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ნიკოლოზ მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე პაპუნა** – 1561–1565 წწ. მ ე დ ვ ი ნ ე თ უ ხ უ ც ე ს ი (1561 წ. Qd–6994). ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ი ს წ უ ლ ი] გედევან (1561 წ. Qd–6994). მ ა ს უწ-ყალობა სვიმონ მეფემ სამოურაოდ სოფელი გომნი, თრიალეთზე– სოფელი ეძანი, ჩოჩეთი, თეალაზე მიწა და საგლეხო თავისთვის გამოურთმევია და ამის სანაცვ-

ლოდ მისცა გიორგი იმნაძე მამულით (1561 წ. Qd–994); იყიდა: ელისბარ სოლალაშვილისაგან კავთისხევს გლეხი დემეტრე მამულით, ორი ხოდაბუნი: ერთი დამპალაში და მეორე – თვალათუბნის ბოლოს, ორივე ოცდაათი დღისა და ყოველივე, რაც კი ქოთახევში მისი წილი იყო (1565 წ. IX.25.1448–5087).

**მალალაშვილი პაპუნა** – 1680–1691 წწ. გიორგი მეფემ მას უწყალობა კავთისხევში, ძლევის ქედს ქვემოთ მდებარე, სახასო ხოდაბუნი (1680 წ. XII.15. 1448–5062); იგი და ფირან მალალაშვილი დასწრებიან ადამ და ერასტი მალალაძეებს] შორის ყმა-მამულის გაცვლაზე ბჭობას (XYII ს.ბოლო მეოთხ. Ad––1787); მოწმე ლონენა ზუმბულიძის მიერ რევაზ მალალაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IX.8. 1450–30/110); იხსენიება მოურავისშვილების და მალალაძეების სამამულე და სასისხლო დავის განჩინებაში: მოურავისშვილმა თარხანმა გიორგიმ მალალაძეთა ურიგო საქმეებზე მრავალი საჩივარი გამოთქვა. პაპუნამ ეს საჩივრები მოგონილად გამოაცხადა და სასამართლომაც მისი განცხადება ირწმუნა (1691 წ. 1448–3268).

**მალალაძე რევაზ**– 1649–1699 წწ. სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი (1678–1699, [1700] წწ. Ad–1498–20, 1448–2283, Hd–7221, Ad: 1757, 1646, 1450–30/135, 1448–5075, Hd–6346, Qd–1345, Ad: 36– ბ,1766, Qd–1349, Ad–1781, 1449: 1834, 1833, 1448–5137, Qd–1342, 1450–30/110, 1448: 3268, 5072, Ad: 1676, 125, Qd–9087, 1448–2235, Hd–1305, Ad: 1708, 1878, 1883, 1448–5066, 1449–1190, Qd–7025, 1450–31/124, Sd–407, 14450–29/37, Hd––1934, 1450–33/256, Hd–1936, Ad: 1787, 1670–4, 1448–5077), მოურავი) 1689, 1692 წწ. Qd–1349, Ad–1676), [კათალიკოსის] კარის მდივან-მწიგნობარი (1675 წ. 1450–2/177), ქადაგი, მდივანი (1681 წ. XII. 25. 1448–2283). ციხედიდის და არმაზის (1681 წ. 1448 – 2283), გომის მოურავი (1693 წ.Hd–1305). ჰყავს: მამა პაპუა მალალაძე,იხ., ძმები: ნიკოლოზ მალალაძე, იხ. ([1678–1690 წწ.] Ad–1498–20, 1448–2283, Hd–7221, Ad, 1757, 1646, 1450–30/135, 1448–5075, Qd–1342, 1448: 3268, 2235, Hd–1305, Ad––1878, 1450–29/37, 1448–5077), ადამ მალალაძე, იხ.,ზურაბ (1678–1699 წწ.Ad––1498–20, 1448–2283, Hd–7221, Ad: 1757, 1646, 1450–30/135, 1448–5075, Qd: 1345, 1349, Ad–1781, 1448–5137, Qd–1342, 1450–30/110, 1448–3268, Ad––1676, 1448–2235, Hd–1305, Ad–1878, 1450–29/37, 1448–5077), დემეტრე (1678–1699 წწ. Ad–1498–20. 1448–2283, Hd–7221, Ad: 1757, 1646, 1450–30/135, 1448–5075, Qd: 1345, 1349, Ad–1781, Qd–1342, Ad–1676, 1448–2235, Ad––1878, 1450–29/37, Qd–1326); შვილები: ამილბარ (1678–1699 წწ. Ad–1646, Qd–1349, Ad–1781, Hd–1305, Ad–1878, 1450–29/37, 1448–5077), სოლომონ (1687–1699 წწ. Ad: 1646, 1781, 1878, 1450–29/37), სარიდან (1690–1699 წწ. Ad–1781, 1450–29/37), [ბიძაშვილები]: იასე, სეხნია, ხუცო (1691 წ. 1448–3268). მას განუახლა: წყალობა ნიკოლოზ კათალიკოსმა ზერტში მოსივე მკვიდრი ყმების: ხეჩუა მიქელაშვილის და მამულა მირაქაშვილის (1678 წ. YII.5. Hd–1498–20), გიორგი მეფემ– სახლთუხუცესობა, მდივნობა და ქადაგობა, უწყალობა აგრეთვე ციხედიდისა და არმაზის მოურაობა, ბეთიაშვილი მამულით; დაუმტკიცა ქართლიდან კახეთამდე სვეტიცხოვლის შემოსავლის ოცისთავი ღვინოზე, პურზე, თეთრზე, ძროხაზე და ცხვარზე (1681 წ.XII. 25. 1448–2283), სულეიმან ბატონიშვილმა– შერმაზან რჩეულაშვილისაგან გა-

ქცეული და სვეტიცხოველს შეკედლებული ყმა— ხიზანა მონასელიძე შვილებით (1686 წ. Ad–1757), ნიკოლოზ კათალიკოსმა: სოფელი ციხედავი და დაუბრუნა ადრე ჩამორთმეული, ციხედიდში ნაყიდი ვენახი (1686 წ. Hd–7221), დიღომში— რომნაზაული ზვარი და ესტატე ფეიქრისშვილი ძმებით, ეს ზვარი რევაზის პაპას გაუყიდია სვეტიცხოვლის დაკარგული ბეჭდის საფასურში, შემდეგ კი კათალიკოსს დაუხსნია (1687 წ. Ad–1646), იოვანე კათალიკოსმა: ციხედიდში სამი კომლი კაცი: ზაალა და დათუნა გოჩიაშვილები, პეტრია პეტრიაშვილი, დათუნა კბილაშვილი მამულებით და ზუმბულიძის ნაქონი გლეხები სამოურაოდ (1692 წ. Hd–1305), ქალაქს მცხოვრები უმკვიდროდ დარჩენილი გიორგი მეჭურჭლის სახლ-კარი კალოუბანში ([1687–1700 წწ.] Qd–1324), მანვე— ამავე გიორგის სასახლე და ქურა იმ პირობით, რომ ნაწყალობევ ადგილზე დასახლებული პირი სვეტიცხოვლისათვის გამოიღებდა სანთელს ყოველწლიურად (1692 წ.ახლ. Ad–1708), ნაზარალი-ხანმა— გომი სამოურაოდ (1693 წ. Hd–1305); ი ყ ი დ ა: იასე მრელიასშვილისაგან— მამული, ალვენაურს აქეთ, ხრამის პირს, ბაგა თავისი საკაფით გოჩიასშვილის, ულუმბელაშვილის და ბერინას საზღვრებამდე(1689წ. XII.12. Qd–1349), შოშია ბერიაძისაგან— ნაფარეხევი ციციშვილის შავწყალას ხევამდე და რუსხმულამდე (1689 წ. Qd–1345), ბახუტა ელიოზისძე-ხუციასშვილისაგან— ახოტში მისი მეოთხედი წილი მამული და ექვსი ნასოფლარი: დოლანი, მეძლეთი, გოგასგვერდი, სახვენი, ლანიბა და შეხვეტილა (1689 წ.1450-30/135), დათია ყვავიშვილისაგან— ორი დღიური მიწა ზაქარიასა და აბეწვაშვილისეულ მიწებამდე (1689 წ. 1448–5075), ლონენა ზუმბულიძისაგან— ხანჯალისშვილის ნაქონი ვენახი და სასახლე (1690 წ. IX.8.1450–30/110), პაატა კარალაშვილისაგან— ახოტში სახლ-კარი გარშემო მდებარე მიწებით, მეძლეთს— სახლის მიწა და გზაზე— ქვიანი მიწა, ლერწმიანში— მიწა, ჰინჰრიანში— სათიბი,სახუნდარში— ორი მიწა, მის ზემოთ ვარცლა, სახვევის გზაზე— ორი მიწა, მარიამულში— დიდი მიწა, ელიას წვერზე— მიწა, სოფლის ზემოთ— ნაფუძარი, გზის ზემოთ— გვერდის მიწა, ქვემოთ— ტყაუჭი მიწა, საჩხიკვის ხევზე— ორი მიწა, საბუზარზე— მიწა, დოლა[ნს]— დიდი მიწა (1690 წ. 1448–5137), ბატატი მახარაშვილისაგან— ნაგოს ხევზე ბაგა ნაგოს ხევიდან შარამდე, კოზუას კალომდე, ნონია [მახარაშვილის] მიწამდე, მთის მიმართულებით— გელხაურის მიწამდე. ბაგის საფასურის ნაწილში გადაიხადა ფული და ნაწილში— სავენახე მიწა (1690 წ. Qd–1342), სამებისა ბერუაშვილისაგან— მარდაცის ბოლოს ორი დღის მიწა (1692 წ. Ad–1676), მახარა ვარსიმაშვილისაგან— ხოდაბუნის ბოლოს, რუსხმულზე, სამი დღის მიწა სოსიაშვილის მიწამდე (1692 წ. 1448–2235), თავისი ბიძაშვილის, ბაგრატ ხოსიაშვილისაგან — ზერტში დავითას ნაქონი მამული და ნავენახევი ტერუნას სახლის უკან (1699 წ. 1450–29/37), ტატი მახარასშვილისაგან— მიწა (?) (XYII ს. ბოლო მეოთხ. 1448–5077 ფრაგმ.); ჰ ქ ო ნ დ ა ს ა მ ა მ უ ლ ე დ ა ვ ა მოურავისშვილ თარხან გიორგისთან. დავა გაარჩიეს: ნაზარალი-ხანმა, იოვანე კათალიკოსმა, მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ,არაგვის ერისთავმა გიორგიმ, ამილახორმა გივიმ, სარდალმა თამაზ [ორბელიშვილმა], მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთავმა]. დავა ასე გადაწყდა: მთის საძოვრის ადგილიდან, „ობოლის კლდეს აქეთ, სასთალოს ღელემდე", გაბრიელის სადგომი მაღალაანთ დარჩა, დანარჩენი— მოურავისშვილებს. მაღალაშვილებს დარჩა აგრეთვე ვარდისუბანი, შუბათი და ოჩლაური. სადაო საწისქვილოზე, მოსამართლე-

თა გადაწყვეტილებით, კავთაშვილს თავკაცად უნდა დაეფიცა, რომ ქვათახევს ეკუთვნოდა, თუ დაიფიცებდა, ქვათახევის წინამძღვარს დარჩებოდა და შენების ხარჯი მაღალაძეთათვის უნდა აენაზღაურებინათ, თუ ვერ დაიფიცებდა — — როგორც იყო აშენებული, მოურავისშვილებს ისევე უნდა აეშენებიათ და მაღალაძეებისათვის მიეცათ. მოდავე მხარეების აზნაურიშვილებს, ცალქალამანიძეებსა და გოგიბეშვილს ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დაუკრიათ. მოდავე მხარეების ჰრილობები ორივე მხარეს ერთმანეთში შეუფარდებიათ და ამ რიგად გასწორებულიყვნენ. ამავე დროს გადაწყდა ისიც, რომ მამამთავარ ნიკოლოზის გადაწყვეტილების თანახმად, მოდავე მხარეებს ყოველ მესამე წელიწადს დრამა და საკანონო გადაეხადათ (1691 წ. 1448—3268); დ ა ა მ ტ — კ ი ც ა კათალიკოს იოვანე დიასამიძის ბრძანება დავით გარეჯის მონასტრისათვის წლიური სარგოს გაჩენის შესახებ (1689 წ. I.20. Ad—36 ბ); დ ა მ- წ ე რ ი და მ ო წ მ ე ყარაბუდახ შიოშბეგის შვილის მიერ ღმანელ ქრისტეფორე ბარათაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა(1665 წ. Sd—622), დოლმაზა ასატურასშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. XII.10. 1449—1191), დურმიშხან ბარათაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1669 წ. IY.1.1449—2670), ბეჟან გამცემრისშვილის, ზურაბ წერეთლისა და სხვათა მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1673 წ. IX.20. 1448—1287), იესე გამცემრისშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1673 წ. IX.20. 1449—1197), ჯანო ენდრონიკაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1673 წ. IY.15. 1449—1187), დომენტი კათალიკოსის მიერ ზაქარია ჰარმაულისადმი მიცემული გაყრის წიგნისა (1675 წ. YI.5.1450—2/177); ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ გიორგი ელიოზიძე-გუდევანიშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნისა (1678 წ. III.28. Qd—45), ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ ძაგველთათვის მიცემული წყალობის წიგნისა (1678 წ. IY.12. Hd—2918), ნიკოლოზ კათალიკოსის კათალიკოსის მიერ დიღმელ ათანელისათვის მიცემული დეკანოზობის დამტკიცების წიგნისა (1678 წ. Hd—1036); მ ო წ მ ე: კათალიკოზ იოვანე დიასამიძის მიერ ოჰანა ეზაშვილ-ფასინაშვილისათვის მიცემული სასახლის წყალობის წიგნისა(1689 წ. Hd—6346), დავით გარეჯის მონასტრისათვის მიცემული ზვრის შეწირულების წიგნისა (1690 წ. III.20.1449—1833), აკოფასა და მისი შვილების მიერ გარეჯის მონასტრისათვის მიცემული თავშეწირულების წიგნისა (1690 წ. 1449—1834), იოვანე დიასამიძესა და გივი ამილახორს შორის ზერტული და სობისის რუებზე დავის გარიგების წიგნისა (1692 წ. Y.23. Ad—1251), კათალიკოს იოანე დიასამიძის მიერ: დეკანოზ ფოცხვერასათვის მიცემული კრწანული მამულისა და ველძეთილის მელალეობის წყალობის წიგნისა (1692 წ. IX. Qd—9087), „ერთობილ" თრიალელთათვის მიცემული მოხელეთაგან შეუვალობის წყალობის წიგნისა (1697 წ. IY.23.1448—5066), ფარსადან ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ კათალიკოს იოანესათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. 1449—1190), კათალიკოს იოვანე დიასამიძის მიერ ნიკოლოზ თუხარელისათვის მიცემული სახელოს წყალობის წიგნისა (1698 წ. Sd—407); ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა: აბაზყულიხან-

მა სვეტიცხოველს განუახლა კახური მამულების შეწირულებანი და ჩააბარა ამ მამულების საქმეები რევაზ მაღალაძეს (1689 წ. Ad–1766), ფარსადან ციციშვილმა მისი ვალისაგან დაიხსნა თავისი ყმა ნინია, სამაგიეროდ მას მისცა დოელი ხუდუაშვილები: როსტომა, დათუნა და მათი შვილები(1690 წ. Ad–1781), ზიად ოღლი ქალბალი-ხანმა სვეტიცხოველს განუახლა კახური მამულების შეწირულება და ამ მამულების საქმეები ჩააბარა რევაზ მაღალაშვილს (1696 წ. III.24. Ad–1751), კათალიკოს [იოვანე] დიასამიძის ბრძანებით მან ჩოლახ გოგინა ოპანაშვილს დაუთმო „ბოზ“ დარეჯანის შვილის ნასახლარი ქალაქში ([1687–1700 წწ.] 1450–33/256).

**მაღალასძე რომანოზ**– მცხეთიშვილი, ქადაგი (1542 წ. Hd–1353), მამა გედეონ მაღალაძისა, იხ., თეოდოსი კათალიკოსმა მას უწყალობა მცხეთაში იოვანე მჭედლიშვილისეული სახლ-კარი, ბაღჩა ბოსტნით და დილუამსმზევასძის ვენახი (1542 წ. Hd–1353).

**მაღალაძე რომანოზ**– შვილი გედეონ მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე საამ** – [ძმისწული] პაპუა მაღალაძისა, იხ., ძმა ხუცია მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე სარიდან** – შვილი რევაზ მაღალაძისა, იხ., ძმისწული ნიკოლოზ მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე სეხნია** – შვილი ხუცია მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე სეხნია** – 1664–1691 წწ. [ძმისწული] პაპუა მაღალაძისა, იხ., ძმა ერასტი მაღალაძისა, იხ., [ბიძაშვილი] ადამ, იხ., რევაზ, იხ., ნიკოლოზ, იხ., მაღალაძეებისა. მოწმე და შუამდეგი: ბახუტა ხუციასშვილელიოზისძის მიერ რევაზ მაღალაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. 1450–30/135), დარბაზის მოურავ ხუცის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ანდერძის წიგნისა (1691 წ.1448–5072).

**მაღალაძე სოლომონ** – შვილი რევაზ მაღალაძისა, იხ., ძმისწული ნიკოლოზ მაღალაძისა, იხ.

**მაღალაძე ფირან** – XYII ს. ბოლო მეოთხ., ძმა ხუცია მაღალაძისა, იხ., [ბიძაშვილი] ადამ მაღალაშვილისა, იხ., ადამ და ერასტი [მაღალაშვილების] სამამულე დავის გარჩევის დროს იგი მოსამართლეებმა: ლუარსაბ [გარაყანიძემ] და გიორგი [გედევანისშვილმა] დაჰკითხეს. იგი, პაპუნა მაღალაშვილთან ერთად, მოწმე ყოფილა ადამისა და ერასტის შეთანხმებისა ყმა-მამულის გაცვლის თაობაზე (XYII ს. ბოლო მეოთხ. Ad–1787).

**[მაღალაძე] შიოშ** – ძმა ერასტი მაღალაძისა, იხ., მას გაუჩეხავს და გადაუწვავს ადამ [მაღალაძის] ბაღი, რადგან ადამს ვერ შეუსრულებია ერასტისთან დადებული პირობები ყმა-მამულის გაცვლის თაობაზე, აღნიშნულია ადამ და ერასტი მაღალაძეების დავის განჩინებაში (XYII ს. ბოლო მეოთხ.Ad–1787).

**მაღალაძე ხორაშან** – იხ. ხორაშან, პაპუა მაღალაძის ასული.

**მაღალაძე (ვარ.მაღალაშვილი) ხოსია** – შვილი ხუცია მაღალაძისა,იხ., ძმა პაპუა მაღალაშვილისა, იხ., მამა ბაგრატ [მაღალაშვილისა], იხ.

**მაღალაძე ხუცია** – 1605 – 1634 წწ. გომის მოურავი (1624 წ. Ad – 1756). ჰყავს: [სახლიკაცი] დავით მაღალაძე, იხ., [ძმა] იოვანე (1610 – 1634 წწ. 1448 – 5086, Ad – 1756, 1448 – –5138, Ad–1700), შვილები: გედაონ (1610 წ. 1448–5086), სეხნია (1624,

1626 წწ. Ad–1756, 1448–5138), ზაალ (1624 წ. Ad–1756), პაპუა (1626, 1634 წწ. 1448–5138, Ad–1700), ხოსია (1626 წ. 1448–5138), პაპუნა (1634 წ. Ad–1700). მ ა ს უწყალობა: ზებედე კათალიკოსმა ყმები– პარაშვილი ესტატე და ევედრასშვილი სუთია (1610 წ. 1448–5086), ქრისტეფორე კათალიკოსმა– სოფელი გომნი სამოურაოდ (1624 წ. YIII.17. Ad–1756); კათალიკოსმა ევდემოზმა განუახლა მისი მკვიდრი სოფლის, არმაზის წყალობა (1634 წ. Ad–1700), ქიაურთ მოურავის, შანშე ჩოლაყაშვილისაგან ი ყ ი დ ა მისი სასახლის მამული – –ოჩლაური-რუს ქვეშ, სალოკის ხევამდე (1626 წ. 1448–5138).

**მალალაძე (ვარ.მალალაშვილი) ხუცია (ვარ.ხუცო)**– 1664–1700 წწ. აშენდის მ ო უ რ ა ვ ი (16[7]8,1700 წწ. 1450–23/64, 1448–5619). ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა ბეჟან მალალაშვილი (1700 წ. 1448–5619), [ბ ი ძ ა] პაპუა მალალაძე,იხ.,ძ მ ე ბ ი: ფილიპე (1678 წ. 1450–23/64), საამ, ზაზა (1678, 1700 წწ. 1450–23/64, 1448–5619), ფირან (1700 წ. 1448–5619), [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი] ადამ მალალაძე (XYII ს. ბოლო მეოთხ. Ad–1787), გ ა ნ ა ყ ო ფ ი იასე მალალაძე ( 1700 წ. 1448–5619). ნიკოლოზ კათალიკოსმა სამოურაოდ უწყალობა მ ა ს სოფელი აშენდა (16[7]8 წ. 1450–23/64); კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ მ ა ს განუახლა აშენდის მოურაობა, რაც ადრე ხუციას მამას, ბეჟანს, [დომენტი] კათალიკოსისაგან ჰქონდა მიღებული. ამჟამად ეს სახელო ხ უ ც ი ა ს განაყოფს იასეს ეპირა. კათალიკოსმა ხ უ ც ი ა ს დაუბრუნა მისი სამკვიდრო სახელო, ხოლო იასეს უბოძა წილში ნარგები ვეძისპევის მოურაობა (1700 წ. 1448–5619); მ ო წ მ ე კათალიკოს იოანე დიასამიძის მიერ ქალაქის მელიქის, გიორგისათვის მიცემული საოთახე ადგილის წყალობის წიგნისა (1700 წ. YI.26.Hd–13131); ადამ და ერასტი [მალალაძეების] სამამულე დავის გარჩევისას ი გ ი მოსამართლეებმა დაჰკითხეს (XYII ს. ბოლო მეოთხ.Ad–1787); მოურავისშვილ თარხან გიორგისა და რევაზ მალალაძეს შორის სამამულე და სასისხლო დავის გარიგების წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს წისქვილი ცუდ ადგილზე აუშენებია, რუებისათვის „სამარცხებელი იყო და თემისკაცს დაექცია". სასამართლოზე გადაწყდა, რომ შენობის ფასი მ ი ს თ ვ ი ს აენაზღაურებინათ, ხოლო წისქვილი იმავე ადგილზე მ ა ს აღარ უნდა აეშენებინა (1691 წ. 1448–3268).

**მაღბუნაშვილი დემურა** – ძ მ ა სარუხანა მაღბუნაშვილისა, იხ.

**მაღბუნაშვილი მანთაშა** – შ ვ ი ლ ი ხოსროვა მაღბუნაშვილისა, იხ.

**მაღბუნაშვილი პაპუა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი ხოსროვა მაღბუნაშვილისა, იხ.

**მაღბუნაშვილი პაპუნა** – ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი სარუხანა მაღბუნაშვილისა,იხ.

**მაღბუნაშვილი სარუხანა** – 1687–1689 წწ. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ე ბ ი: დემურა, ულუხანა, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი პაპუნა, გ ა ნ ა ყ ო ფ ი ხოსროვა მაღბუნაშვილი, იხ. (1689 წ.1450–9/13). მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა ედიშერაშვილს ერთი დღის მიწა (1689 წ. 1450–9/13 მინაწ.); მ ო წ მ ე შაყუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. IX.30. Hd–14179).

**მაღბუნაშვილი ულუხანა** – ძ მ ა სარუხანა მაღბუნაშვილისა, იხ.

**მაღბუნაშვილი ხოსროვა** – ქაიხოსრო ჰილაშვილის ყ მ ა. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ი ს წ უ ლ ი პაპუა, შ ვ ი ლ ი მანთაშა, გ ა ნ ა ყ ო ფ ი სარუხანა მაღბუნაშვილი, იხ., მ ი ჰ ყ ი დ ა დათუნა ბიძინაშვილს ერთი დღის მიწა ავაქაანთ ავაქას და თავისი განაყოფის, სარუხანას მიწებამდე (1689 წ.III.1.1450–9/13).

**მაღდადაშვილი ბაისოლულა** — ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ი ნასყიდი. ძმისწულთან გაყრის შედეგად მ ა ს ერგო: ქულბაქების გვერდი თამამშაანის შვილების სახლების წინ — ერთი გვერდი თამამშაანთ სახლებამდე, მეორე გვერდი — დურმიშას ქულბაქამდე (კარი უნდა გაეხსნათ თამაზას ქულბაქის უკან) და აგრეთვე — ფირბუდაღას ქულბაქი და ჩარდახი (1670 წ. 1450–50/204).

**მაღდადაშვილი ნასყიდა** — ძ მ ი ს წ უ ლ ი ბაისოლულა მაღდადაშვილისა, იხ.

**მაღელდიანი** — მ ა ს მიქელ სეტიელმა ხარი წაგვარა, შირუანის მაგიერ „ორსმეგიანის პირობასა ზედან" წაგვრილი ხარის სამუქფოდ (XY ს. დასაწყ. სსძ.II.N40).

**მაღენთ** — ბაადურ [ციციშვილის] სამწევრისული გამოფიცული მიწების ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ი ს ი წისქვილი ჰქონდა პაატა საყვარელიძეს (1671 წ. Hd–833).

**მაღიაშვილი ულუხანა** — მ ო წ მ ე სეხნია საგინაშვილის მიერ ვერდუა მარქარაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.II.Hd–15151).

**მაღლაკელიძე**— ხონის საყდრის ყ მ ა, ე მ ა რ თ ა [ხონის საყდრის] ბეგარა: ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, საპურობოდ— ერთი წლის საკლავი,ერთი ქათამი, ორი თეთრის თევზი, სამი კოდი ღომი, ორი კოკა ღვინო, ოთხი ქათამი, სამაპრობო, ორი თეთრის საყველიერო, ათი კოკა ღვინო, ათი კოდი ღომი, ერთი ურემი შეშა, ერთი ურემი თივა, ერთი გოდორი სამეჯინიბო, მჰადი და მუშაობა (XYI ს. ბოლო. 1448–5034).

**მაღლაკელიძე ნასხიდა** — ქუთაისს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა— ჰურპლის სამსახური (1578 წ. H–626).

**მაღლანიძე ითამ** — მ ა ს უწყალობა კონსტანტინე მეფემ სოფელი ზერტი (1472 წ. I.2.Ad–1669).

მაღლაქველიძე||მაღლაქუელისძე

**მაღლაქუელისძე ავთანდილ** — შ ვ ი ლ ი ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღლაქუელისძე ბეშქენ** — ძ მ ა ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღლაქველიძე გამდელ** (შდრ.ივანე მაღლაქუელისძე)— მ ო წ მ ე: გიორგი ალფასიძის მიერ იოვანკიმე ფალდაძისათვის მიცემული წახლ[–]არის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს. I მეოთხ. Hd–1552 ())، გოგიტა [ალ]ფასიძის მიერ იოვანკიმე ფალდაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს. I მეოთხ. Hd–1552 გ).

**მაღლაქუელისძე გი(ორ)გი**— ძ მ ა ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღლაქველიძე გიორგი**— მ ო წ მ ე სამნია ბერიკაძის მიერ იოვანკიმე ფალდაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს. I მეოთხ.Hd–1552 ე).

**მაღლაქუელისძე გოგილა** — შ ვ ი ლ ი ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღლაქუელისძე ესტატე** — ძ მ ა ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღლაქუელისძე ივანე** — ალექსანდრე მეფის გ ა მ ზ რ დ ე ლ ი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: გი(ორ)გი, ბეშქენ, ოქროპირ, ესტატე. შ ვ ი ლ ე ბ ი: ავთანდილ, გოგილა. მ ა ს ალექსანდრე მეფემ გაუჩინა სისხლის ფასი— 120.000 ძველი თეთრი (1504 წ. Y.S. Qd–7877).

**მაღლაქუელისძე ოქროპირ** — ძ მ ა ივანე მაღლაქუელისძისა, იხ.

**მაღნარაძე გეგელაი** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

**მაღნარაძე გიორგი** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

**მაღნარაძე გუაგილაი** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

**მაღნარაძე გუაგუვინაი** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე გუგუაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ესთატე – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ივანე – ს ა ყ დ რ ი ს შ ვ ი ლ ი, ინდოეთს მოსახლე. ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: გიორგი, ზეგელაი, ივა<ა>ნე, გუგუაი, მამისთევნა, ესთატე, მუქაფაი, ივანეშეი, ქრისტეზია, ღმრთისავარ, მამისთემნა, კირველიში, უკლებაი, მიქაი, კაკიაი, გუაგილია, გუაგუვინაი, მამაბედი, ივანე. დავით მეფემ მ ა ს გაუჩინა სისხლის ფასი– 400 ათასი ძველი კირმანაული და სანახშირედ– 2000 ათასი თეთრი (XY ს.ბოლო. 1448–5040 სას.).

მაღნარაძე ივა<ა>ნე – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ივანე – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ივანეშეი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე კაკიაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე კირველიში – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე მამაბედი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე მამისთევნა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა,იხ.

მაღნარაძე მამისთემნა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე მიქაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე მუქაფაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე უკლებაი – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ქრისტეზია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღნარაძე ღვთისავარ – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე მაღნარაძისა, იხ.

მაღრანელი – ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი, ლუარსაბ მეფემ ი გ ი მამულით უწყალობა ბარზი ამილახორს (1609 წ. III.10. Ad–1208).

მაღრანელი ბეჟუა – ახალდაბაში ეკუთვნოდა ორი მეკოდისპურე კომლი (1700 წ. 1448–3602).

მაღრანელი ბერუკა – ახალდაბაში ეკუთვნოდა ერთი მეკოდისპურე კომლი (1700 წ. 1448–3602).

მაღრანელი გიორგი – ახალდაბაში ეკუთვნოდა ერთი მეკოდისპურე კომლი (1700 წ. 1448–3602).

მაღრანელი დათუნა – საამილახვროს დავთრის მიხედვით, ჰ ყ ა ვ დ ა ყ მ ე ბ ი: ახალდაბას მგელია, იოსება ხუცესი და ბოგანო ბერიკა (XYII ს. II ნახ.1448–5032).

მაღრანელი რევაზ– საამილახვროს დავთრის მიხედვით, ჰ ყ ა ვ დ ა ყ მ ე ბ ი: ახალდაბას ნადირა კუსრაძე, ბაბილა კუსრაძე, ბოგანო ბადურა, ბოგანო შიუკა, რომელთაც ევალებოდათ ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448–5032).

მაღრაძე– [გაბელიძეების] მიერ ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტრისათვის შეწირული ყმა-მამულის ნუსხის მიხედვით, მ ა ს უნდა გადაეხადა ერთი აღაპი (XYI ს. ქრ. II. 212).

მაღრაძე ზაამან (ვარ.ზაზან)– 1673–1685 წწ. ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ე ბ ი: გივი, მამუკა, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: დავით, ქია, სამადაველე, შ ვ ი ლ ი სეხნია(1678წ. 1450–14/62); მ ი ს ი ერთი გლეხი აყრილა და მისულა თავმრგვალას [საკათალიკოსო მამულში]; ეს გლეხი მან დაუტოვა კათალიკოს დომენტის თავისი ძმების სულის საწირავად და „საიერუსალიმოთ" (1673 წ. ქრ. II.488); შაჰნავაზის დროს ედავებოდნენ ციცი ციციშვილს თაგვეთზე. შემდეგ უკვე გიორგის მეფობაში თაგვეთზე ციციშვილები დაობდნენ. ციციშვილთან სამამულე დავის გარი–

გების შედეგად მას ერგო თაგოეთი და მასში მოსახლე ერთი კომლი ჰავჰანიძე, ერთი კომლი ლაციძე, ერთი კომლი ჯაეელაძე, ერთი კომლი აბიძე, რომლებიც ადრე ციცი ციციშვილს ჰყავდა დასაკუთრებული (1678 წ. 1450–14/62); მოწმე მანუჩარ იარალიშვილის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1685 წ. YI.27.Sd–542).

**მაღრაძე ბეჟან** – ციციშვილის აზნაური; შაჰნავაზმა იგი უბოძა ციცი ციციშვილს ([1658–1676 წწ.] 1450–32/252).

**მაღრაძე გივი** – ძმა ბაამან მაღრაძისა, იხ.

**მაღრაძე დავით** – ძმისწული ბაამან მაღრაძისა, იხ.

**მაღრაძე იესე** – მოურავი; მოწმე მახარა მუქადაბიძის მიერ თამაზა ზღუდაშვილისათვის მიცემული მიწის გაცვლილობის წიგნისა (1688 წ. XI. 30.Ad–1260).

**მაღრაძე მამუკა** – მოწმე ავთანდილ მინიაშვილის მიერ ფილასონ ქურდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1569 წ.1450–47/12).

**მაღრაძე მამუკა** – ჰყავს: ბიძა ფიზია (XYII ს. დამლევი.Hd–821), ძმა ბაამან მაღრაძე, იხ., ედავებოდა: სახლთუხუცეს ბააკას ყრისისხევის მთაზე. ბატონ ციცი ციციშვილის, ნუგზარ არაგვის ერისთვიშვილის, ქაიხოსრო ჩხეიძისა და მისი შვილის, თეიმურაზის, ქსნის ერისთავის, ბოქაულთუხუცეს ჩერქეზის, აბაშიძის სახლთუხუცეს თამაზა სავანელის და საციციანო აზნაურიშვილების დადაწყვეტილებით: ძველ სამანთან, ახოს თავს სამანი ჩასვეს, რომლის გასწვრივ ორი ნაძეიდან, ერთი მამუკას მხარეს დარჩა, ხოლო მეორე სამანს წარმოადგენდა. ამ ნაძვის გასწვრივ ადგილი ღუდისაკენ მამუკას დარჩა (XYII ს. II ნახ. Hd–801). ციცი [ციციშვილი] მისი ბიძის, ფიზიას, ნაქონ მამულზე. მამუკას ფიცის გათვალისწინებითა და ბეჟან ჰილაშვილის გადაწყვეტილებით, მას დარჩა: ურჯამელაშვილი მამულით, ქოქუაშვილი ქონებით, დაბრუნდაშვილის მამულის გარდა, გაბრიელა ქონებით; ღუდაში– ჯავახაშვილი მამულით; მიწობში– ჯალაბაშვილი მამულით, ვედრიაშვილისაგან ნასყიდი ვენახი, დათუა და შოში მუქადაბიძეებისაგან ნასყიდი მიწები, გაბუაშვილისაგან ნასყიდი სასაფლაო, პაპიაშვილისაგან ნასყიდი მიწა გარეზმანში ტრანკაშვილისაგან ნასყიდი სახასო ხოდაბუნი და მიწა ჰომაში; ყრცისის ბოლოს ჩაკასგან ნასყიდი მიწა; ჰომაში გუერწითელისაგან ნასყიდი მიწა; ყრცისისხევს– შრატიაშვილისაგან და თუთუშიძისაგან ნასყიდი მიწა, იქვე ბოლოკაძისაგან ნასყიდი მიწა; მთიულიშვილი უმამულოდ, დემეტრაშვილი, კიდევ დემეტრაშვილი, ხუციშვილი, მგელიაშვილი, ბესიაშვილი, სორაზანაშვილი, დემურაშვილი და ღუდას ლაცაბიძე მამულებით (XYII ს.ბოლო. Hd–821).

**მაღრაძე სამადავლე** – ძმისწული ბაამან მაღრაძისა, იხ.

**მაღრაძე სეხნია** – შვილი ბაამან მაღრაძისა, იხ.

**[მაღრაძე] ფიზია** – ბიძა მამუკა მაღრაძისა, იხ.

**მაღრაძე ფინეზ**– მოწმე ავთანდილ მინიაშვილის მიერ ფილასონ ქურდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1569 წ.1450–47/12).

**მაღრაძე ქია** – ძმისწული ბაამან მაღრაძისა, იხ.

**მაღრიანი გაბრიელ** – უსახელოს მცხოვრები, შვილი მიქელა მაღრიანისა, იხ.

**მაღრიანი მიქელა** – უსახელოს მცხოვრები, ჰყავს შვილი გაბრიელ, ემართათ ცაგერის საყდრის ბეგარა: ოცდაათი თეთრი, ხუთი გორო ღვინო, სამი

გორო პური, პურის ქამა, სამსახური და ერთი თეთრის ყველი (XVI ს.ლაი.H 84–85, 87a–89b).

**მაღრიბასშვილი გიორგი** – [თაყა ფალავანხოსროშვილის] მსახური, მოწმე ბერუკას მიერ პაპუნა [გოსტაშაბიშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. V.27. Hd–2064).

**მაღრიბაშვილი მაღრიბა** – მისცა პირობა ნიკოლოზ ალავერდელს ქრისტიანული მარხვის წესების შესრულების შესახებ (1685–1694 წწ. Ad 824).

**მაყაშვილები** – თეიმურაზ მეფის პირობის წიგნში ხახულის ღმრთისმშობლისადმი აღნიშნულია, რომ იგი მოაგვარებდა მონასტრის დავას მაყაშვილებთან რუს თაობაზე (1641 წ. Ad–52).

**მაყაანთ** – ლეონ მეფემ და შემდგომ (?) თეიმურაზ ბატონიშვილმა ბოდბელ მაქსიმე [ჩოლაყასშვილს] უწყალობეს და გაუთარხნეს საბუეეში მცხოვრები მაყაანთ ყმები: ბოცოსეული გოგიჩა და ირემა, ქეიხოსროსეული ხურსია და ზაალა, ზაალისეული დათუია მჭედელი და მისი ძმები, მამუკასეული ლუიტური მღთისია, მინაზარისეული ოსიკა, გივისეული ბასილა და ტეტიკა, შალვასეული ზურაბა, მამულა, დათუია და კურდღელა, ბარძიმისეული იმარინდო (1568 წ. 1450–32/306, 1448–2384).

**მაყაანთ||მაყაშვილი**

**მაყაშვილი** – რუსთველი ეპისკოპოსი, მოწმე და დამხდური გიორგი ტაირიშვილის მიერ კათალიკოს ზაქარიასათვის მიცემული ყმა-მამულის გაცვლილობის წიგნისა (1626 წ. 1449–1800).

**მაყაშვილი** – სამებელი ეპისკოპოსი, ლუარსაბ [მაყაშვილთან] ერთად ყმაზე ედავებოდა ქსნის ერისთავს. აშოთან [მუხრანის] ბატონიშვილისა მდივან გიორგი [თუმანიშვილის] გარიგებით, სადაო საქმე უნდა გადაეწყვიტა ოთხ იყალთოელ შეგდებულ მოფიცარს, რომელთა შორის იყვნენ მაყაშვილის მკვიდრი ყმები– გაბიტაური და ათანაშვილი (1670–1696 წწ. Ad –612); მისი სამებლობის დროს სამების მამულში დასახლებულან და სამებას შესწირეიან მარტყოფელი დათუნა და გიორგი თევდორაშვილები (XVII ს.ბოლო.1449–1840).

**[მაყაშვილი] ბაზიტა** – განაყოფი ლუარსაბ [მაყაშვილისა], იხ., იგი გადახვეწილა ყაენთან. მისი მამულიდან ორი კომლი თეიმურაზ მეფემ უწყალობა ლუარსაბ [მაყაშვილს] (1606 წ.Ad–693).

**მაყაანთ ბარძიმ** – იხსენიება ლეონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ბოდბელ მაქსიმე [ჩოლაყასშვილისათვის] ბოძებულ წყალობის წიგნებში, იხ. მაყაანთ ([1568 წ. 1450–32/306, 1448–2384).

**მაყაშვილი ბოსტოღანა** – მეაბჯრეთუხუცესი, [სახლიკაცი] გუგუნა მაყაშვილისა, იხ.

**მაყაანთ ბოცო** – იხსენიება ლეონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ბოდბელი მაქსიმე [ჩოლაყასშვილისათვის] ბოძებულ წყალობის წიგნებში. იხ., მაყაანთ (1568 წ. 1450–32/306, 1448–2384).

**მაყაანთ გივი** – ბიძა მაყა მაყაშვილისა (1589 წ. Hd–14423). ალექსანდრე მეფემ მისი წილი მამული მამრეხსა და იყალთოში უწყალობა მაყა მაყაშვილს (1589 წ. Hd–14423); იხსენიება ლეონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ბოდბელი მაქსიმე [ჩოლაყასშვილისათვის] ბოძებულ წყალობის

წიგნებში, იხ. მაყაანთ (1568 წ. 1450–32/306, 1448–2384).

**მაყაშვილი გიორგი** – ძმისწული მაყა მაყაშვილისა, იხ.

**მაყაშვილი გოშფარ** – [სახლიკაცი] მაყა მაყაშვილისა იხ.

**მაყაშვილი გუგუნა** – ჰყავს [სახლიკაცი] ბოსტოღანა. გიორგი მეფემ მას უწყალობა სოფელი ბოტკოი და მიანიჭა შეუვალობა (1377 წ. Ad–1284).

**[მაყაშვილი] (ვარ. ბარძიმისშვილი) გუგუნა** – იყალთოში მცხოვრები, ალექსანდრე მეფემ იგი სასახლით, საყდრით, ვენახით და ოცდაათი კომლი კაცით, შესწირა ხახულის ღმრთისმშობელს (1594 წ. 1449–1509).

**მაყაანთ ზაალა** – იხსენიება ლეონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ბოდბელი მაქსიმე [ჩოლაყასშვილისათვის] ბოძებულ წყალობის წიგნში, იხ. მაყაანთ (1586 წ. 1450–32/306, 1448–2384); მოწმე ალექსანდრე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული მამულის შეწირულების განახლების წიგნისა (1579 წ. Sd–364).

**მაყაშვილი ზაქარია** – 1637–1654 წწ. ნინოწმინდელი (1651–1654 წწ. 1449: 2657, 1781, 1450–48/105). ჰყავს: მამა ლუარსაბ (1637 წ. Hd–14481), ძმისწულები: ლუარსაბ (1637, 1654 წწ. Hd–14481, 1450–48/105), როსებ (1654 წ. 1450–48/105). როსტომ მეფემ მას გიწუახლა „შიგნით კახეთს, ან გამოღმა კახეთს და ან პირაქეთ საგარეჯოს“ მდებარე ლუარსაბის ნაქონი მამულების წყალობა (1637 წ. Hd–14481); მისი ნინოწმინდელობის დროს ნინოწმინდის საყდარს როსტომ მეფემ მიანიჭა თარხნობა „ტყუე არა სდებია თქუენს საყდარსო“ (1651 წ. 1449–1781); იყიდა თარხან იორამ სააკაძისაგან მისი მკვიდრი ყმები: დათუკა, გიორგი, ნინიკა და ბერუკა მესხიშვილები (1654 წ. XII. 1450–48/105); მონაწილეობა მიიღო ნინოწმინდელთა და თვალელთ შორის სახოხბის ჰალაზე დავის გარჩევაში (1651 წ. Y. 29. 1449–2657)

**მაყაშვილი ინდო** – მოწმე კათალიკოს აბრამ აბალაკის მიერ შედგენილი საბუთისა სვეტიცხოვლის კახური მამულების საზღვრების გადამოწმების თაობაზე ([1492–1497 წწ.] 1448–2041).

**მაყაშვილი ლუარსაბ** – 1606–1637 წწ. მეჯინიბეთუხუცესი (1610–ანი წწ. Ad–513), უზუქანთის მოურავი (1610–ანი წწ. Ad–513). მამა ზაქარია მაყაშვილისა, იხ., ჰყავს განაყოფი ბაზიტა (1606 წ. Ad–693). თეიმურაზ მეფემ მას უწყალობა: ბაზიტას მამულიდან ორი კომლი კაცი – დავით ბოტასაშვილი და მგელიკა საროასშვილი (1606 წ. Ad–693), თოლაში – იოსაფატის ნაქონი სამოურაო და უზუქანთის მოურაობა (1610–ანი წწ. Ad–513); თეიმურაზმა განუახლა აგრეთვე ლომიტა და გიორგი ზამთარაულების წყალობა (1610 წ. Ad–530).

**მაყაშვილი ლუარსაბ** – [1614]–1657 წწ. შვილიშვილი მარიამისა, იხ. ძმისწული ზაქარია მაყაშვილისა, იხ., ჰყავს ძმა როსები, იხ. ([1648]–[1654] წწ. Ad–605). როსტომ მეფემ მისცა მას მფარველობის წიგნი ერთგული სამსახურის პირობით ([1648–1658 წწ.] Ad–605); მისი პაპისათვის თეიმურაზ მეფეს უწყალობებია ამოვარდნილი ბიძაშვილის, მინაზარისშვილის მამული, რომელიც ლუარსაბისა და როსაბის ობლობის დროს მათ განაყოფს დაუკავებია. ეს მამული როსტომ მეფემ ისევ ლუარსაბ მაყაშვილს და მის ძმას დაუმტკიცა (1654 წ. Hd–14684); მას თან

ხლებია გიორგი ამირეჯიბის ყმები: ხუმარაძე, მღვდელი გიორგი და დათუნა. მოსწონებია ისინი და უთხოვია პატრონისათვის. ამ უკანასკნელს ისინი ლუარსაბისათვის დაუთმია (1651 წ. 1450—48/109).

**მაყაშვილი ლუარსაბ** — [1670]—[1696] წწ. შვილი როსებ მაყაშვილისა, იხ., მას და სამებელ მაყაშვილს დავა ჰქონდათ ქსნის ერისთავთან ყმის თაობაზე ([1670—1696 წწ.] Ad—612).

**მაყაანთ მამუკა** — იხსენიება ლეონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მაქსიმე ბოდბელისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში, იხ. მაყაანი (1658 წ. 1450—32/306, 1448—2384).

**მაყაშვილი მაყა** — [1574]—[1605] წწ. ჰყავს: [სახლიკაცი] გოშფარ ([1574—1605 წწ.] 1449—1040), ბიძა მაყაანთ გივი, იხ., ალექსანდრე მეფემ მას უწყალობა მაყაანთ გივის წილი მამული მამრეხსა და იყალთოში (1589 წ. Hd—14423); მანვე დაუბრუნა იყალთოში მაყას განაყოფის მიერ წართმეული ორი კომლი ალექსიშვილები, ვეფხია და მგელია (1597 წ. YIII. Ad—616); განუახლა აგრეთვე დავით მეფის მიერ ნაწყალობევი მამულისა და სახლოს წყალობა ([1603 წ.] Ad—706); ჰქონდა სამამულე დავა გიორგიწმინდელებთან ყარაღაჯის სახნავ მიწებზე. საქმის გარჩევა ალექსანდრე მეფემ დაავალა საგარეჯოს მოურავს და ჩერქეზ ხასფილადს ([1574—1605 წწ.] 1449—1040).

**მაყაშვილი მაყა** — 1675—[1703] წწ. შვილი როსებ მაყაშვილისა, იხ., ჰყავს: ძმა პატა, ძმისწული გიორგი ([1675—1703 წწ.] Ad—923). ნაზარალი-ხანმა მას მისცა პირობა, რომ კახეთში გაბატონების შემდეგ მამულებს უწყალობებდა, თუ კი იგი არ მიემხრობოდა არაგვის ერისთავსა და შაჰნავაზის შვილებს, არჩილსა და გიორგის ([1675—1703 წწ.] Ad—923).

**მაყაანთ მინაზარ** — ლეონ მეფემ და თეიმურაზ ბატონიშვილმა მაქსიმე ბოდბელს უწყალობეს მისი ნაქონი ყმები საბუეში, იხ. **მაყაანთ** (1586 წ. 1450—32/306, 1448—2384).

**[მაყაშვილი]—მანაზარისშვილი** — ამოვარდნილი, მისი ნაქონი მამული თეიმურაზ მეფემ უწყალობა ლუარსაბ მაყაშვილის ცოლყოფილს, მარიამს ([1614—1648 წწ.] Ad—687), შემდგომში განუახლა ამ მამულის წყალობა როსტომ მეფემ ლუარსაბ მაყაშვილს (1654 წ. Hd—14684), მისი ნაყმევი გოგრაჰიშვილები არჩილ მეფემ უწყალობა როსებ მაყაშვილს (1675 წ. Ad—719).

**მაყაშვილი პატა** — ძმა მაყა მაყაშვილისა, იხ.

**მაყაშვილი როსებ** (ვარ. როსაბ)— [1648]—1675 წწ. ძმისწული ნინოწმინდელ ზაქარია მაყაშვილისა, იხ., ჰყავს: ძმა ლაუარსაბ, იხ. (1657 წ. Ad—944), შვილები: ლუარსაბ, მაყა (1675 წ. Ad—719). მას მისცა როსტომ მეფემ მფარველობის პირობა (1657 წ. Ad—944); არჩილ მეფემ მას განუახლა წყალობა თიანეთში მცხოვრები მისი მკვიდრი ყმებისა, ბერიკა და ვეფხია ზამთარაულების, [მაყაშვილ]—მანაზარისშვილისეული ყმებისა — — გოგრაჰიშვილების: მამუკასი, ხარებასი, ჰრელისა და ლაზარესი ძმისწულებით (1675 წ. Ad—719); მას მისვლიან ციცი ციციშვილის ყმები, ლომიტა და მისი შვილი გოგიტა, რომლებიც ციციმ ფეშქაშად მიართვა (XYII ს. 70—ანი წწ. 1450—48/101); მოწმე ბახუტა თულაშვილის მიერ პაპუნა იასონასშვილისათვის მიცემული თავდახსნილობის წიგნისა (1665 წ. IY. 1450—48/111).

**მაყაშვილი სარიდან** — გიორგი მეფემ მას მისცა მფარველობისა და წყა-

ლობის პირობა ([1676–1688 წწ.] Hd–2159).
**მაყაშვილი ფარსადანა** – მ ო წ მ ე იასე და დათუნა გერმანოზიშვილების
მიერ ქალიბ ჯაფარასათვის მიცემული საბუთისა ამ უკანასკნელისაგან ვალის
აღების თაობაზე (1693 წ. III.30. ხს. I.426).
**მაყაანთ ქაიხოსრო** (ვარ.ქეიხოსრო)– ლეონ მეფემ და თეიმურაზ ბატონი–
შვილმა მ ი ს ი ნაქონი ყმები საბუეეში უწყალობეს მაქსიმე ბოდბელს, იხ.
მაყაანთ (1586 წ. 1450–32/306, 1448–2384).
**მაყაანთ შალვა** – ლეონ მეფემ და თეიმურაზ ბატონიშვილმა მ ი ს ი ნა-
ქონი ყმები საბუეეში უწყალოზეს მაქსიმე ბოდბელს იხ. მაყაანთ (1586წ.1450–
–32/306, 1448–2384).
**მაყვალასშვილი დათუნა** – მ ო წ მ ე როსტევან მახვილაძის მიერ თამაზა
დათეიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ.X.10. Hd –
–14523).
**მაყვარილი** – გ ლ ე ხ ი, [ჩხარის] ციხის მეციხოვნემ, მარცვალაშვილმა, მ ა ს
წაართვა ერთი თვალი ფეტვი, ხოლო ნასყიდა მიქაძემ – ერთი ზურგი ღვინო და
თან სცემა (XYII ს. Ad–2233-ბ).
**მაყიანი** – სეტიელსა და გეულ ცხველიანს შორის დავის გარიგების დაწერილ-
ში აღნიშნულია, რომ სეტიელი ცხველიანის გამო მ ა თ არ უნდა ერჩოდეს
(XIY ს. ბოლო. სსძ. II. N82).
**მაშანაშვილი მხითარა** – ქალაქში მცხოვრები, ი გ ი მამულით ერგო მანუ-
ჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს (1656 წ. ახლო. Hd–14665).
**მაზაშვილი** – მ ი ს თ ვ ი ს წაურთმევია ს(ა)მ(ა)საშვილს ექვსი დღის მიწა,
აღნიშნულია ზაზა და ქაიხოსრო [ციციშვილებს] შორის სადაო ყმა-მამულის ნუ-
სხაში (1666 წ.ახლო. Hd–802).
**მაშაშვილი ბერია** – მოხსენებულია ყმების ნუსხაში (XYII ს.Hd–15088).
**მაშვნია**:– [ძ მ ა] ხოსიტასი, იხ.
**მაშისძე დედისმამაი** – ლადარია მაშისძესთან ერთად მოხსენიებულია შა –
მანდავლა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის ბოძებული საკა–
თალიკოსო სარგოს განწესებაში ([1455 წ.] 1449–1571).
**მაშისძე დეისმამა** – ლევან დადიანმა განუახლა მ ი ს ი შეწირულება ხო-
ბის ტაძარს ([1626–1647 წწ.] Hd–1551 ა).
**მაშისძე ლადარია** – დედისმამაი მაშისძესთან ერთად მოხსენიებულია შა–
მანდავლა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის მიცემული საკა-
თალიკოსო სარგოს ყმა-მამულის განწესებაში ([1455 წ.] 1449–1571).
**მაჩაბელაშვილი** – პატა და პაპუნა გლურჯიძეებს შორის სამამულე დავის
განჩინების შედეგად ი გ ი ერგო პაატას (1638 წ. Qd–10128).
**მაჩაბელაშვილი იორდანე** – მ ო წ მ ე ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ
გიორგი გლურჯიძისათვის მიცემული მიწის გაცვლილობის წიგნისა ([1527 –
– 1556 წწ.] 1448–522).
**მაჩაბელი** – უცნობი პირის საჩივრის წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს გა-
დაურჩენია თვალების დაწვას [მომჩივანი?]. შემდგომში მ ა ჩ ა ბ ლ ი ს შეპყ-
რობა განუზრახავს მომჩივანის მტრებს (XIII ს. II ნახ.Hd–1589).
**მაჩაბელი** – ციხელის მიერ დოროთეოს კათალიკოსისათვის მიცემულ პირო-
ბის წიგნში აღნიშნულია, რომ თუ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ციხელის თავს კათალიკოსს
არ დაანებებდა, ციხელი კათალიკოსის მიერ ნაწყალობევი მამულის მოსავლიდან

არაფერს არ „გაიტანდა“ (1504 წ. ქრ. II. 320).

**მაჩაბელი: მაჩაბლისეული** — მამუკა პარკაძემ დავით გარსევანიშვილს მიჰყიდა მაჩაბლისეული ნაწისქვილარი (1680 წ.XI.18. გსიემ 7601/59).

**მაჩაბელი ავთანდილ** — შვილი დათუნა მაჩაბელისა, იხ.

**მაჩაბელი ავთანდილ** — ძმისწული ალხაზ მაჩაბლისა, იხ., ძმა პაატაბეგ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი ალხაზ** — 1678—1693 წწ. უზბაში (1680 წ. 1450—26/219), ჰყავს: ამოვარდნილი ბიძები: რატი, გიორგი (1678 წ. 1448—521), ძმა შიოშ (1678—1691 წწ. 1448—521, 1450: 26/219, 222, 1448—5130, Hd—10399, 1450—26/216), ბიძაშვილი ქაიხოსრო (1686 წ. 1448—5130), შვილები: ლევან (1678—1691 წწ. 1448—521, 1450: 26/219, 222, Hd—10399), დავით (1685 წ. ახლო. —1691 წწ. 1450—26/222, Hd—10299); ძმისწულები: ავთანდილ, ფარსადან (1691 წ. Hd—10399). გიორგი მეფემ მას უწყალობა მისი ამოვარდნილი ბიძების, რატის და გიორგის ნაქონი ყმა-მამული: ნაზვრევი, პაატა არაბაშვილი მამულით და ურია დათუნა ხანანაშვილის ნასახლარი(1678წ. 1448—521), მანვე უწყალობა საბაწმინდის საყდარი თავისი გლეხებით სასაფლაოსათვის და განუახლა როსტომ მეფის მიერ ბოძებული პაპელიშვილების (რომლებიც საბაწმინდის „სადაყუდებლო“ გამხდარიყვნენ, ეს საყდარი კი სახასო ყოფილა) წყალობა ([1685—1709 წწ.] 1450—26/222); გიორგი მეფემ მის ოთხ კომლ ყმას თამარაშენში: გიორგი, ზურაბა და დავითა ვერმიშასშვილებს, ქრცხინვალში ფირალა შირვანასშვილს, ურიებს: ხახანა, შალომა და მათვალა ხახანასშვილებს და დავითას მოუხსნა ქალაქში, გორსა და ქრცხილვანში ბაჟი თევზზე, შაბზე, ხამზე, მარილზე და მატყლზე. დაუტოვა ბაჟი ფარჩაზე (1680 წ. Y. 12. 1450—26/219); ქაიხოსრო მაჩაბლისაგან იყიდა მისი მკვიდრი მამული (1686 წ.1448—5130); მოწმე: ნინია ბაბუსიძის მიერ აშოთან [მუხრანის ბატონისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ.III.1461—3/131), დემეტრე სა[ა]კაძის მიერ ოთ[ა]რ [თუმანიშვილისათვის] მიცემული საცივის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. Hd—14397); სხვადასხვა: მისი მსახური ღონა მოუკლავს ნადირა მეტრე[ვ]ელის ბიძას, რომელიც გაქცეულა და რაჭის ერისთავს შეჰკედლებია, მაგრამ ქართლში სიარული არ შეუწყვეტია. იგი შეუპყრია ალხაზს და სასახლეში დაუბამს. ნადირას მოუხერხებია ბიძის გათავისუფლება და მისი გადახვეწა. შემდგომში ნადირა და მისი ძმა მდივანში ბარძიმ [ერისთვისშვილთან] გამოცხადებულან. საქმის გარჩევის შედეგად გადაწყდა, რომ ნადირა მეტრე[ვე]ლს ალხაზ მაჩაბლისათვის უნდა მიეცა ორი ნასყიდი გოგო, ქურთაში საწისქვილე, მიწა ყალანაძის საზღვრამდე, აგრეთვე მიწები: რუს პირას, ბასიშვილისა და ყალანაძის საზღვრებამდე და გაღმა — სავანის მიწა რუმდე და კეხურამდე (1691 წ. Hd—10399). ზაზა მაჩაბელმა მას მისცა თავისი მკვიდრი ჯერკუალისშვილი მამული დიცში ნაცვლად საბანაძისა (XYII ს. 70—ანი წწ. 1450—26/216).

**მაჩაბელი (ვარ.ლომკაცისშვილი) ამილამბარ (ვარ.ამილაბარ)** — 1666 — —[1703] წწ. ჰყავს: ბიძა ბაადურ მაჩაბელი, იხ., [ძმა] შედან ([1688— —1703 წწ.] Qd—8674), [სახლიკაცი] დავით [მაჩაბელი], იხ., [მაჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მას წაურთმევია და გაუყიდია ბაადურ [მაჩაბლისათვის] ყმა-მამული, ნივთები და საქონელი. მას

და შედანს სჯერიათ სფირდო და საუმცროსოდ ჯავახი. აქვე აღნიშნულია, რომ მა[ი]სურაძე ღთისია და მისი განაყოფები მას აუყრია და კათალიკოსის მამულში დაუსახლებია ([1688–1703 წწ.] Qd–8674); მას მოუკლავს ერეკლე მეფის ერთგული ყმა, იესე მაჩაბელი. ერეკლემ მისი ყმები ქრცხილვანში: სეხნია ზოზიაშვილი, ურია დათუნა და კიდევ ერთი საკომლო საკანონოდ შესწირა სვეტიცხოველს (XYII ს. მიწ. 1449–2349).

**მაჩაბელი ბაადურ** (ვარ.ბადურ)– 1633–1688 წწ. ჰყავს: მამა ქაიხოსრო მაჩაბელი, იხ., [ბიძაშვილი] თამაზ მაჩაბელი, იხ., ძმა ლომკაც მაჩაბელი (1667 წ. Qd–810), შვილები: ბაინდურ (1666–1688 წწ. Qd: 8710,8677, 1449–1184, 1450–26/157), ფირან (1666–1688 წწ. Qd: 8710, 8677, 1450–26/157), პელა, ბორტი, ფარემუზ (1680–ანი წწ.–1688 წ. Qd–8677, 1450–26/157),სეხნია (1688 წ. 1450–26/157), ძმისწულები: ქაიხოსრო, შედან, ზა[ა]ლ,ამილღამბარ, როსებ, როსტომ (1666 წ. Qd–8710). გიორგი მეფემ მას უწყალობა საბაწმინდაში სადაყუდებლო ყმა-მამულით (1688 წ.1450–26/157); მიჰყიდა დომენტი კათალიკოსს ხაბაზი ივანე კელასარიძე (1667 წ. IX.20. 1449–1184); იყიდა პაპუნა ჯვედიანელისაგან შედან [მაჩაბლის] კერძი ხოდაბუნი წყაროს თავში (1680–ანი წწ. I.14. Qd–8677); მეფეს მიართვა თხოვნა სახლიკაცებთან გაყრის შედეგად თავისი დაკარგული წილი მამულის დაბრუნების თაობაზე.თხოვნაში აღნიშნულია, თუ რამდენი ჯაფა და თანხის გაღება დასჭირდა თავისი მამულების გამოსახსნელად. და რამდენი უბედურება გადახდა თავს [სახლიკაცებთან] დავის გამო: ვაშაყაშვილის მამულისათვის, რომელიც იორამ თარხანს ეჭირა, მეფე-დედოფლისათვის მიურთმევია 1700 მარჩილი, ხოლო 40 მარჩილი, ერთი თასი და ერთი ქვაბი– იორამ თარხნისათვის, სახლთუხუცეს ყაია [ციციშვილისათვის] მიურთმევია 30 მარჩილი, სარდალ პაპუნა [ციციშვილისათვის]– „გამოფრდული ბედური ხმალი", ბირთველ [თუმანიშვილისათვის], წიგნის საწერად– 1 თუმანი და 10 მარჩილი, სამი ფლური– ვეზირისათვის, სამი– მუსტოფისათვის, 2 მირსა და ერთი მინალთუნი– შალვა მარტილოზიშვილისათვის, ერთი ნაქსოვი– მამუკასათვის, ხოჯასათვის – 1 მინალთუნი, ბატონისათვის – 2 ცხრა ფლური, 10 მარჩილი– ბირთველისათვის წიგნის დასაწერად, 5 ფლური– კარისკაცისათვის ბეჭდის დასასხმელად; მარიამ დედოფალს მისთვის უბოძებია ქრცხინვალში ერთი კომლი კაცი, რაშიც მას დედოფლისათვის მიურთმევია 20 ფლური, 1 მინალთუნი– შალვა მარტილოზისშვილს, 1 მარჩილი– მამუკას ხოჯას წიგნის დასაბეჭდად. ამავე თხოვნაში ჰყვება თავის ამბავს: სახლიკაცებს ეხვეწებოდა, ნუ გავიყრებითო, კათალიკოსი და თბილელი შუამავლებად მიუგზავნია.მიუგზავნია აგრეთვე ქაიხოსრო და დავით ამირეჯიბები,არდაშელ თაქთაქიშვილი, შეუთვლია, გასამყრელოსა და სახასოს ბევრს წაგვართმევენ, ვარიანსაც დავკარგავთო. ვერ დაუყოლიებია თავისი სახლიკაცები. ეს მამულები მართლაც დაუკარგავთ. ორი კვირა საკაცეზე მეწვა მკვდარი ცოლი, არ მატირესო. მოუნდომებია თავის სახლიკაცებთან ისევ შეყრა, მაგრამ კვლავ ვერ დაითანხმა ისინი. ბატონიშვილ [ლევანისათვის] მიურთმევია 18 თუმანი თეთრი, ერთი „კაი" თასი– –ლევან ბატონიშვილისათვის, ამილახვრისათვის– ერთი სასახლო ქირაფქა; აბაშვილისათვის და მიუთხოვებია, თორმეტ ტყვეში ერთი გამოფრდული ხმალი აუღია, რაც ამილახვრისათვის მიურთმევია ([1660–1676 წწ.] Qd–8670); ნიკოლოზ ფავნელიშვილის ყოფილი ყმის, მამუკა მაისურაძის მიერ ყარშა გამყრელიძისა–

ვის მიცემულ პირობის წიგნში სასისხლო საქმეზე უდაობის შესახებ აღნიშნუ-ლია, რომ ბაადურ მაჩაბელსა და ნიკოლოზ ფავნელიშვილს შორის დიდი ჩხუბი მომხდარა. ამ ჩხუბში ყარშასშვილს ივანე მაისურაძე, მამუკას ძმა, შემოკვდომია. საქმე გაარჩიეს მდივანში შაჰნავაზ მეფემ, [დომენტი] კათალი-კოსმა, კოსტანტილე ბატონიშვილმა, სარდალმა გივი ამილახორმა, მდივანბეგმა ედიშერ ერისთვისშვილმა, სახლთუხუცესმა ზაზა [ციციშვილმა], ბოქაულთუხუ-ცესმა ელიზბარ [დავითიშვილმა], თბილელმა, ბოლნელმა, რევაზ ბარათაშვილმა და მდივანმა გიორგი თუმანიშვილმა. რადგან ორივე მხარეს ედო ბრალი, ამი-ტომ მოკლული ივანეს საქმე „ჩაარონინეს" და მამუკა მაისურაძე ნასისხლად ბაადურს მიაკუთვნეს (1666 წ.ახლო. Qd–8925); ნიკოლოზ ნიქოზელთან სტუმრობის დროს შემოაკვდა პაპუნა ფავნელიშვილის მსახური. გაასამართლა იგი შაჰნავაზმა, რის შემდეგაც პაპუნა ფავნელიშვილმა მას და მის აზ-ნაურს, გამყრელიძეს მისცა კეთილმოყვრობის პირობა (1666 წ. Qd–8710); [მა-ჩაბლების] დაკარგული ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მისი ფუ-ლი და საქონელი ებარა ოკრიბელაშვილს. ამილღამბარ [მაჩაბელს] წაურთმევია ეს ქონება მისთვის და გაუყიდია ([1688–1703 წწ.] Qd–8674).

მაჩაბელი ბაადურ – ჰყავს: ძმა ზაზა (XYII ს. II ნახ.Qd: 8671, 8678), [სახლიკაცები]: ბარძიმ, ბესია, ტეტია, სარიდან ([1666–1688 წწ.] Qd–8678). იყიდა მ[ა]ისურ მ[ა]ისურაძისაგან მიწა ([1666–1688 წწ.] Qd–8678); მისი ძმა, ზაზა, თავმდებად დაუდგა თედეშვილს ბაადურის წინაშე, რადგან იგი თედეშვილს „პოლასა და დახაიბრებას" უპირებდა. ზა-ზამ დაუდო პირობა, თუ თედეშვილი ბაადურის ყმობიდან მაინც წავი-დოდა, ზაზა თვითონ დაუწყებდა მას ძებნასა და დევნას (XYII ს. II ნახ.Qd–867).

მაჩაბელი ბაინდურ – შვილი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ბარძიმ – [სახლიკაცი] ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ბესია – [სახლიკაცი] ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ბორტე – XYII ს. II ნახ.– 1688 წ. [შვილი] ბაადურ მაჩაბ-ლისა, იხ., ედავება მანუჩარ [თუმანიშვილს] საზღვრების თაობაზე (XYII ს. II ნახ. Hd–14856).

[მაჩაბელი] გიორგი – ამოვარდნილი ბიძა ალხაზ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი გიორგი – ჰყავდა ყმები: ძარწემში– ბახ[უ]ტა ქებაძე, ზემთხვისში– გიორგი რაზმაძე და პაპია ფერისაური (1700 წ. 1448–3602).

მაჩაბელი დავით – შვილი ალხაზ მაჩაბლისა, იხ.

[მაჩაბელი] დავით – ჰყავს [სახლიკაცი] ამილღამბარ, რომელთან ერთადაც მოუკლავს ბიძინასა და ღუშიას ნათესავი. მოკლულის სისხლის საფას-ურში ნაზარალი-ხანმა მათ 240 თუმნის გადახდა დააკისრა. სისხლის საფასურის ნაწილი აპატიეს, ხოლო დარჩენილი 60 თუმნის ანგარიშში დაზარალებულებისა-თვის უნდა მიეცათ: ვარიანში– ხუცესი უკარმელაშვილი ძმებით, ბერუკათი და ხუცოთი, ძარში– მამუკა ტრამაკიძე ძმებითა და მამულით, აგრეთვე– ამილღამ-ბარის წილიდან ოცი დღის მიწა ვარიანში ([1688–1703 წწ.] Hd–2004).

მაჩაბელი დათუნა– ჰყავს: ძმა შიოშ, შვილი ავთანდილ. იყიდა თავისი ძმის, შიოშ მაჩაბლისაგან ბერუკა ბუზალაძის მამული: ნახევარი ვენა-ხი ნაფუძრით, ბაღი და ბუზალაძის სასაფლაო (1696 წ. XI.1.Hd–4080).

მაჩაბელი ელისბარ – შვილი რუსი მაჩაბლისა, იხ., ძმა ზაზა მაჩაბ-

ლისა, იხ.

**მაჩაბელი ზაალ** – [1621]–1671 წწ. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ქვაბულ მაჩაბელი,
იხ., იოთამ (1671 წ. 1448–93). შაჰნავაზმა დაუბრუნა მ ა ს თამარაშენში ზა-
ალ ერისთავის მიერ წართმეული მკვიდრი ყმები: დათუნა ჩუყელაშვილი, მარდა-
ხა, ავარანა ელიაშვილი, ბეგლარაშვილები ბაინდურა და მერაბა, პაპინაშვილე-
ბი (1671 წ. 1448–93).

**მაჩაბელი ზაალ** – [ძ მ ა] ქაიხოსრო მაჩაბლისა, იხ., ძ მ ი ს წ უ ლ ი ბაა-
დურ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი ზაზა**– მ ი ჰ ყ ი დ ა შიო საბანაძეს „ფიჩხის-ქალაქში“ ტოხაუ-
რი მიწა მენდისშვილისა და გუნდისშვილის მიწებამდე (1612 წ. III. Hd–9440).

**მაჩაბელი ზაზა**– ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ბაადურ მაჩაბელი, იხ. (XYII ს.II ნახ.
Qd–8671). თ ა ვ მ დ ე ბ ა დ დაუდგა თედეშვილს თავისი ძმის, ბაადურის წი-
ნაშე. პირობა დადო, რომ თუ თედეშვილი ბაადურის ყმობიდან მაინც წავიდო-
და, ზაზა თვითონ დაუწყებდა მას დევნასა და ძებნას (XYII ს. II ნახ.Qd–8671).

**მაჩაბელი ზაზა**– XYII ს. 40–70–ანი წწ. ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა რუსი მაჩაბე-
ლი, იხ., ძ მ ა ელისბარ, [შ ვ ი ლ ე ბ ი]: იესე, ლუარსაბ, ზურაბ. ალხაზ მაჩა-
ბელს მ ა ნ მისცა დიცში ჯერკუალისშვილის მამული საბანაძის სანაცვლოდ
(XYII ს. 70–ანი წწ. 1450–26/216).

**მაჩაბელი ზაზა**– 1681–[1703] წწ. მ ო წ მ ე: ნინია ბაბუსიძის მიერ აშო –
თან [მუხრანის ბატონისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1681წ.
III.1461–3/131), იობის მიერ აშოთან [მუხრანის ბატონისათვის] მიცემული გლე-
ხების ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.1461–3/133); მაჩაბლების დაკარგული ყმა-
–მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ი ს ი შ ვ ი ლ ი ს „კაცს“– მაისურა-
ძეს, მიჰყიდეს ჰარბაძის საკომლო, ხოლო მ ი ს მეზვრეს– თანდილა მეტრეველ-
ლის განაყოფი– ბერი ([1688–1703 წწ.] Qd–8674).

[**მაჩაბელი**] **ზაზა**– მ ა ს დაუჭერია ბეჟანა ჯაშეშვილი, რომელსაც დაუპა-
რებია ზ ა ზ ა ს „კაცის“ აყრა. ფავლენა ალხაზაშვილი, ელისბარა ჯაფიაშვი-
ლი, ჯანა ბირთველაშვილი ბეჟანას თავმდებად დაუდგნენ ბატონ ზაზას წინა-
შე და იგი გააშვებინეს (XYII ს. Qd–8679).

**მაჩაბელი ზურაბ** – შ ვ ი ლ ი იესე მაჩაბლისა, იხ., ძ მ ა შიოშ მაჩაბლი-
სა, იხ.

**მაჩაბელი ზურაბ** – [შ ვ ი ლ ი] ზაზა მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი ზურაბ** – მ ა ს შეუთვალა ეშიკაღასბაშმა ავთანდილ [ამილახორ-
მა], რომ მის მიერ ოთარ და პაატა ფავნელისშვილებს შორის შართულზე დავის
გარიგების თანახმად, ზ უ რ ა ბ ს პაატა ფავნელიშვილის მამულზე ხელი უნდა
აემართა (XYII ს. II მეოთხე მეოთხ. 1450–17/163); მ ა ს ჰყავდა მეკოდისპუ-
რე ყმები: სვერში– ხახუტა ჯირკვალისშვილი, ხეთერელი გოგია, გიგაური პაატა,
გოჩიასშვილი შიო,... დათუნა, ბეზალაძე პაპუნა, ხეთერელი ივანე, ბაროლიძე ბე-
რი, ხეთერელი ლავუტი (?),სულ– ცხრა; ქეხერტში (ქემერტში?)– რაზმაძე გიორ-
გი, კასრაძე...,ხაჭაპურიძე, სულ– ოთხი; ძარწემში– იოველიძე რომანოზა; ზემოხ-
ვისში– საბანაძე შუქი და ბერი, მაჩაჩიძე ნასყიდა, ბუგნიასშვილი პაატა;ფიჩხის-
-ქალაქს – მეტრეველი ბერი და ხოსია, მეტრეველი დათუნა, ნიკოლისშვილი მამუ-
კა, ივანა; ფარისში...; დიცს– კეკელისშვილი ზაქარია, სოსიასშვილი მახარა, ჩა-
რეულასშვილი პაპუა, ყორანასშვილი ნასყიდა, მაძინარისშვილი დათუნა, იორდა-
ნესშვილი გიორგი, ტრანკასშვილი (1700 წ. 1448–3602).

**მაჩაბელი თამაზ** (ვარ.თამაზა)– 1633–1657 წწ. ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა სეხნია (1656 წ. Qd–8967), [ბ ი ძ ა] ქაიხოსრო მაჩაბელი, იხ., [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი]: ლომკაც და ბადურ მაჩაბლები (1656, 1657 წწ. Qd: 8967, 8711). მ ა ს უწყალობა: როსტომ მეფემ ამოწყვეტილი მაჩაბლის კერძი მამულები ვარიანში, ძარწემში, ძარაში და ზემთხუისში, რაც პაპუნა ვაშაყაშვილს ეჭირა (1656 წ.YIII.1. Qd–8967), მარიამ დედოფალმა– ქრცხილვანში სახასო გლეხი ივანე ჰმელაშვილი (1657 წ. Qd–8711).

**მაჩაბელი თაყა** – შ ვ ი ლ ი იესე მაჩაბლისა, იხ., ძ მ ა შიოშ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი იესე** – [შ ვ ი ლ ი] ზაზა მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი იესე** (ვარ.იასე)– 1681–1691 წწ. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: შიოშ, ზურაბ (1686, 1691 წწ. 1450–46/194, Sd–529), პაატა, ფარემუზ, ქუაბულ, თაყა (1691 წ. Sd–529). მ ი ჰ ყ ი დ ა: ოთარ თუმა იშვილს გარეჯვარში თავისი ყმის,. მერაბიშვილის ნაფუძარი მურადას სამოსახლომდე და ბეგაშვილის ვენახამდე (1686 წ. 1450–46/194), დათუნა გაგნიძეს – სამი დღის მიწა (1691 წ. Y. 30. Sd–529); მ ო წ მ ე: ნინია ბაბუსიძის მიერ აშოთან [მუხრანის ბატონისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ.III.1481–3/131), შალვა ფავნელისშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ.I.1.Ad%584); ი გ ი მოკლა ამილღამბარ ლომკაციშვილმა. მ ი ს ი სიკვდილის ჯურუმად ერეკლე მეფემ სვეტიცხოველს მიართვა [ამილღამბარის ნაქონი] გლეხები ქრცხილვანში: სეხნია ზოზიაშვილი, ურია დათუნა და კიდევ ერთი საკომლო (XYII ს. მიწ. 1449–2349).

**მაჩაბელი იოთამ** – ძ მ ა: ქვაბულ მაჩაბლისა, იხ., ზაალ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი ლევან** – როსტომ მეფემ მ ა ს უწყალობა სვერში პაპელიშვილი მამულით (1638 წ.X.11.1450–26/218).

**მაჩაბელი ლევან** –1678–1700 წწ. შ ვ ი ლ ი ალხაზ მაჩაბლისა, იხ., ფიჩხის-ქილიქში მ ა ს ეკუთვნოდა ვ[ა]ჩიძე ოთია (1700 წ.1448–3602).

**მაჩაბელი ლომკაც** – შ ვ ი ლ ი ქაიხოსრო მაჩაბლისა, იხ., [ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი] თამაზ მაჩაბლისა, იხ., ძ მ ა ბადურ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი ლუარსაბ** – [შ ვ ი ლ ი] ზაზა მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი პაატა** – შ ვ ი ლ ი იესე მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი პაატა** (ვარ.პაატაბეგ) - ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა ავთანდილ (1700 წ. Hd–1534, 1450–10/16). ი ყ ი დ ა იესე დიასამიძე-სეხნიაშვილისაგან ქვემო ნიქოზში მისი ყმა ბერი ოქროაშვილი ცოლ-შვილით, სახლ-კარით, სასაფლაოთი და მამულით ბატიაშვილისა და ჰილიკაძის საზღვრამდე. ი ყ ი დ ა აგრეთვე ნაფუძარი და ბაღი საბოსტნითა და კალო-საბძელით, აგრეთვე ვენახი ოქროაშვილის ვენახამდე და ჰილიკაშვილის ნაფუძრამდე, ქვემო ნიქოზის ბოლოს მდებარე მინდვრის მიწა, რომელსაც სამი მხრიდან ბრმის მიწები ესაზღვრებოდა, ბოლოში– ფხვნელი კაცის მიწები (1700 წ.Y.28. Hd–1534); მ ი ს ც ა პ ი რ ო ბ ა ფარემუზ გოგიბაშვილ-პაპიასშვილს ქვემო ბოლნისის საზღვარზე მდებარე სოფელ ურწაშენის თაობაზე უდაობის შესახებ (1700 წ.YI.1.1450–10/16); ძარწემში მ ა ს ეკუთვნოდა გიორგი ქებაძე, გარეჯვარში– ერთი კომლი, ზემთხვისში– რაზმაძე გიორგი (1700 წ. 1448–3602).

**მაჩაბელი ყეშტელ** – დ ა მ წ ე რ ი ქიშვარ თუმანიშვილის მიერ ხუცეს ტერ-ასატურა პარვართაშვილისათვის მიცემული ქულბაქისა და მიწის გაცვლილობის წიგნისა (1482 წ. Hd–8711 ა).

[მაჩაბელი] რატი — ამოვარდნილი ბ ი ძ ა ალხაზ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი როსებ — ძ მ ი ს წ უ ლ ი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი როსტომ — ძ მ ი ს წ უ ლ ი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი რუსი — ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზაზა, ელისბარ. მ ი ს ი მკვიდრი ყმა ბეჟიტა აყრილა და სვეტიცხოველს ყმობია. მ ი ჰ ყ ი დ ა ქაიხოსრო ზუმბულიძეს ბეჟიტა ცოლ-შვილით (XYII ს. 40 -ანი წწ. 1450–31/101).

[მაჩაბელი] სალუყაზან — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი სეხნია — მ ა მ ა თამაზ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი სეხნია — შ ვ ი ლ ი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი სიაოშ — მ ი ს ი ნაწყალობევი მიწები მეღვრეკისში დაუსაკუთრებია ფავნელიშვილს ([15191 1530 წწ.] 1449–1619).

მაჩაბელი ტეტია — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ფარემუზ— შ ვ ი ლ ი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ფარემუზ— შ ვ ი ლ ი იესე მაჩაბლისა, იხ., ძ მ ა შიოშ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ფარსადან — ძ მ ი ს წ უ ლ ი ალხაზ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ფირან — შ ვ ი ლ ი ბაადურ მაჩაბლისა, იხ.

მაჩაბელი ქაიხოსრო — 1626–1644 წწ. ჰ ყ ა ვ ს: შ ვ ი ლ ე ბ ი: ლომკაც,ბაადურ, [ძ მ ი ს წ უ ლ ი] თამაზ (1633 წ. Qd–8924), გ ა ნ ა ყ ო ფ ი ქუაბულ მაჩაბელი (1644 წ. 1448–86). როსტომ მეფემ მ ა ს განუახლა წყალობა მისი ამოვარდნილი ნათესავის, სალუყაზან [მაჩაბლის] მამულისა გარეჯვარში და თამარაშენში მცხოვრები აზნაურებისა: ლულუნაშვილის, გულიტა ქებაძის, ბაბუციძის, ხუცესი კობახიძის და გამსახურდასი (1633 წ. Qd–8924); მონაწილეობა მიიღო დავით და რამაზ დავითისშვილებს შორის სამამულე დავის გარჩევაში (1634 წ.X.23. Qd–8235); მ ი ს გ ა ნ ჰქონია ნასყიდი ზაქარია კათალიკოსს გიორგი ტაირიშვილის ნაქონი მამული, რომელიც შემდგომში ისევ გიორგი ტაირიშვილს გაუცვალა (1626 წ. 1449–1800); ი გ ი ქუაბულ მაჩაბლის (მ ი ს ი განაყოფის) მცირეწლოვნების გამო დაპატრონებია მის ყმებს (1644 წ.1448–86).

მაჩაბელი ქაიხოსრო — 1666–1700 წწ. ჰ ყ ა ვ ს: ბ ი ძ ა ბაადურ მაჩაბელი, იხ., [ძ მ ე ბ ი]: შედან და ზაალ, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: ალხაზ და შიოშ (1686 წ.1448–5130). ალხაზ მაჩაბელს მ ი ჰ ყ ი დ ა თავისი მკვიდრი მამული (1686 წ.1448–5130); მ ა ს ეკუთვნოდა ძარწემში ნინია გუნდისშვილი (1700 წ. 1448–3602).

მაჩაბელი ქობულ — [1527]–[1558] წწ. მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო: გერმანოზ ბარათაშვილსა და კათალიკოსს შორის სასაზღვრო დავის გარიგებაში ([1527 –1558 წწ.] ლაი H13–20 a, E-73, 87a–88a), იოთამ და ორბელ ბარათაშვილების გაყრაში ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112), ბარძიმ ამილახორისა და ერეკლე [მუხრანის ბატონიშვილს] შორის სამამულე დავის გარჩევაში ([1543–1558 წწ.] Hd–13750).

მაჩაბელი ქვაბულ (ვარ.ქუაბულ)— [1621]–1658 წწ. ი გ ი ყოფილა როსტომ მეფის გაზრდილი (1658 წ. Hd–14419), ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ზაალ ([1621]–1644 წწ. Hd–14419, 1448–86), იოთამ, თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე — პაპუნა ბარათაშვილის და (1658 წ. Hd–14419). გ ა ნ ა ყ ო ფ ი ქაიხოსრო მაჩაბელი (1644 წ. 1448–86). ოსთა მოძალებისა და დიდი შიმშილობის შედეგად ზემო ჯა-

ვა ამომწყდარა და გაუკაცრიელებულა, ამ დროს ქვაბულმა ივანესა–გან იყიდა ზემო ჯავაში ძიგანიძის უმკვიდროდ დარჩენილი მამული ([1621–1650 წწ.] Hd–1959); მისი მცირეწლოვნების დროს ქაიხოსრო მაჩაბელს მისთვის წაურთმევია ყმები: ბერუა ფუტკარაძე ძმითა და ძმისწულებით, თამარაშენში– სომეხი ბადურა, ლელში– ზაქარია რაზმაძე. ეს ყმები როსტომ მეფემ ქაიხოსროს ჩამოართვა და ქვაბულს დაუბრუნა (1644 წ. 1448–86 ); როსტომ მეფემ მას შერთო პაპუნა ბარათაშვილის და (1658 წ. XI.1.Hd –14419).

**მაჩაბელი ქუაბულ** – შვილი იესე მაჩაბლისა, იხ., [ძმა] შიოშ მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი შედან** – 1666–[1703] წწ. ძმისწული ბაადურ მაჩაბლი–სა, იხ., [ძმა]: ამილღამბარ მაჩაბლისა, იხ., ქაიხოსრო მაჩაბლისა, იხ., [მისი] კუთვნილი ხოდაბუნის მესამედი წყაროსთავში პაპუნა ჯვედიანელმა მიჰ–ყიდა ბადურ მაჩაბელს (1680–ანი წწ. I.14.Qd–8677). [მაჩაბლების] დაკარგუ–ლი ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მას და ამილღამბარს ეპირათ სფირდო და საუმცროსოდ ჯავახი ([1688–1703 წწ.] Qd–8674).

**მაჩაბელი შიოშ** – 1686–1696 წწ. ჰყავს: მამა იესე მაჩაბელი, იხ., ძმები: დათუნა, ზურაბ, ფარემუზ, თაყა, ქუაბულ (1696 წ.Hd–4080). მიჰყიდა თავის ძმას, დათუნას, ბერუკა ბუზალაძის მამული – ნახევარი ვენახი ნაფუძრით, ბაღი და სასაფლაო (1696 წ.XI.1.Hd–4080).

**მაჩაბელი შიოშ** – ძმა ალხაზ მაჩაბლისა, იხ., ბიძაშვილი ქაიხოსრო მაჩაბლისა, იხ.

**მაჩაბელი შიოშ** – 1680–1681 წწ. მოწმე: დათუნა დედანისშვილის მიერ აშოთან [მუხრანის ბატონისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.1461–3/130), ლევან ათაბეგისშვილის მიერ ბეჟან შალიკაშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა მიწაზე უდაობის შესახებ (1681 წ. III.8.1450–48/139).

**მაჩაბელი შიოშ** – ძარწემში მას ეკუთვნოდა ბერი მაისურაძე, გარეჯვარში– ივანა მამასშვილი და მღთისია კვირიასშვილი (1700 წ.1448–3602 ).

**მაჩაბელი ჟილა** –შვილი ბაადურ მაჩაბლისა,იხ.

**მაჩაბლიანი** – შედიოდნენ საამილახვროს სადროშოში ([1606 – – 1648 წწ.] Hd–2124).

**[მაჩა]ბლისძე იესე** – მონაწილეობა მიიღო ჯავახიშვილების სასისხლო დავის გარჩევაში ([1561–1602 წწ.] Qd–8584).

**მაჩალაძე ნასყიდა** – რიონს მცხოვრები, ერთი კომლი, ბაგრატ მეფემ იგი მამულით შესწირა გელათის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1660 წ.ახლო.Ad–598).

**მაჩარიძე ნასყიდა** – ზემთხევისს მცხოვრები, ზურაბ მაჩაბლის მეკოდისპურე ყმა (1700 წ. 1448–3602 ).

**მაჩახაშვილი ზურაბა** – მოწმე ბალაძის მიერ ელიზბარ ნომაშვილი–სათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. XII.20.1448–2940).

**მაჩურაშვილი გიორგი** – ერთი კომლი, შეტანილია [ალავერდის ტაძრის] კომლების ნუსხაში (XYII ს. Ad–848).

**მაჩხაშიშვილი თუქია** – მოწმე დავით ბერისძის მიერ ელიოზ კათალიკოსისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1411 წ. X.25.1449–1651).

**მაჩხაძე ნადირა** – რეჭს მცხოვრები, ონანას ყმა, საამილახვროს დავთ-

რის მიხედვით, ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XVII ს. II ნახ. 1448 – –5032).

მარხიასშვილი სარქისა – მძოვრეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd – –1636).

მარხოიტისძე ოთანე – სეფის მწიგნობარი, დამწერი ძაგან აბულეთისძის მიერ მღვიმის მონასტრისათვის მიცემული სოფელ ანგროინის შეწირულების წიგნისა ([1259 წ.] Ad–5).

მაცა – ლეონ მეფემ იგი უწყალობა და გაუთარხნა მაქსიმე ჩოლაყაშვილს (1566 წ. I.19. 1449–2285).

მაცაცაშვილი პატა – მოწმე ბერუა როინასშვილის მიერ სეხნიასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XVII ს. Hd–15005).

მაცრიტისძე დავით – [მწიგნობარი], დამწერი [გიორგი მეფის მიერ გამრეკელ ჯავახიშვილისათვის მიცემული გლეხების წყალობის წიგნისა (1345 წ.X.12.Hd–11627).

მაცხონასშვილი დარჩია –იმერხევში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს იგი მამულით ერგო ედიშერს ([1688–1703წწ.] Hd–1636).

მაძინარისშვილი დათუნა – დიცში მცხოვრები, ზურაბ მაჩაბლის მეკოდისპურე ყმა (1700 წ. 1448–3602).

მაძღუაბლაშვილი – ხაუეელს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ქანდაქი, სამოგუე ხუთი კოკა ღვინო, მუშაობა, სამსახური, ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. N91).

მაწნაძე– იყიდა გაბიტა ელგემიძისაგან ქვედელაში სავენახე მიწა მორიანას, ყოყიაშვილისა და ჯომარდიძის მიწებამდე (1674 წ. 1448–5397).

მაწონაძე კაცია – 1690–1694 წწ. მოწმე: შიო კოლიაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.III.12. Sd–554), აბრამ ბიბიაშვილის მიერ დავით ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ . YI.12.Sd–561).

მაჰავარიანი ავთანდილ – ჰყავს: [ძმები]: ვარძიელ, ივანე, შვილი სიაოშ. ალექსანდრე მეფემ მას გაუჩინა სისხლის ფასი– 450 ათასი თეთრი, 16 ათასი– სანახშირედ (1496 წ . YI.12. ქ.მ.N875 სას.). .

მაჰავარიანი გიორგი – მოურავი და მოწმე შატმაზ [...]რიანის მიერ ივანე სეტიელისათვის მიცემული წარკუეთილი გარდაწყუედილობის დაწერილისა მისგან სარჩლის აღების შესახებ (XIY–XY სს. მიჯნა. სსძ.II.N93).

[მა]ჰავარიანი გიორგი – შვილი ქაიხოსრო [მა]ჰავარიანისა, იხ.

მაჰავარიანი გოგია – ჰყავ [სახლიკაცი]: გოგნია, გიორგი მეფემ მას განუახლა სოფლების: [ზ]ოვრეთის, წევასა და ილემის წყალობა(1452 წ. YI.12.Ad–1564).

მაჰავარიანი გოგნია – [სახლიკაცი] გოგია მაჰავარიანისა, იხ.

მაჰავარიანი გურგი – [სახლიკაცი] ჩხეტ მაჰავარიანისა,იხ.

მაჰავარიანი დავით – მწიგნობარი, დამწერი რამაზ ბატონიშვილის მიერ სიონის ღმრთისმშობლისათვის მიცემული სოფელ ფიცხისის შეწირულების წიგნისა (1551 წ.YI.9.1449–1542).

**მაჭავარიანი ელია** – ჰყავს [სახლიკაცი] შალვა. იგი და მისი ყმა, ურიაყოფილი უჩიოდნენ კოსტანტილესა და მის ყმას, ურიაყოფილს სასისხლო საქმეზე. დავა გაარჩია გიორგი მეფის სასამართლომ. ელია კოსტანტილეს და მის ყმას შემდეგს აბრალებდა: ურიაყოფილმა (კოსტანტილეს ყმამ) გვენეტაძე მოკლა, სამაგიეროდ გვენეტაძის „მოსამართლეებმა" გვენეტაძის მკვლელის ნაცვლად ელიას უდანაშაულო ყმა ურიაყოფილი დაწვეს. იქვე შალვა მაჭავარიანი დახვდომიათ, მაგრამ იგი ველარ დაუწვავთ და მოტაცებული ქონებისა და ალაფის (მაჭავარიანების?) ანაწერი საბუთიც თან წაუღიათ. კოსტანტილე ამ ბრალდებას უარყოფდა და ამბობდა, რომ მის დროს ასეთი არაფერი მომხდარა. ბჭეებმა დაადგინეს, რომ ეს ბრალდება ფიცით შეემოწმებინათ და, თუ დადასტურდებოდა დანაშაული, მაშინ კოსტანტილეს ზარალი უნდა აენაზღაურებინა; ელია ნამეკობრევს აბრალებდა მოწინააღმდეგე მხარეს.ამ ბრალდების შემოწმება და გარჩევა ბჭეებმა ხევისთავს მიანდვეს; ედავებოდნენ ერთმანეთს პარტახტებზე და სხვა ადგილებზე. ეთანხმდნენ: რაც რამაზისათვის ბატონს (მეფეს) ჰქონდა ნაბოძები, ის კოსტანტილეს უნდა დარჩენოდა, რაც კი არ ჰქონდა მეფისაგან ნაბოძები– ის ელიას; ელია ჩიოდა:შენი ყმა ჩემს ყმას ედავებოდა, ლაშქრით თავს დაგვესხაო. შუამავლად შიოშ ალა[ვი – ძე] მივუგზავნე, მაგრამ მოციქულს არ უსმინეს და ისრები დაუშინესო. ამაზე ატყდა ბრძოლა და მეც დამკრეს, სიძე დამიკრეს და ყმა დამირბიესო; მოწინააღმდეგე მხარემ ეს ბრალდებაც უარყო და ჩხუბის დამწყებად ელიას მხარე გამოაცხადა. გადაწყდა: ეს ბრალდებაც უნდა შემოწმებულიყო მოფიცართა ჩვენებებით. ურიაყოფილს უნდა დაეფიცა ცხრამეტი კაცით; ორივე მხარე ჩიოდა მოსამართლეების (აქ: მომხრეების) დაკრას. გადაწყდა, რომ „რა რიგათაც ლიხთ-იმერით ყოფილიყოს, ისრე უყონ ერთმანერთსო"; ელია ჩიოდა: კოსტანტილეს ბიძა, დავითი, ერთი ზამთარი ჩამიდგა ოჯახითურთ და ერთი ცხვარი მომცაო. როგორც კი დავითი წავიდა, რამაზმა სახლ-კარი დამირბია, ცოლს ფეხი მომიტეხა და ცხვარიც წამართვაო. გადაწყდა: კოსტანტილეს უნდა მოეყვანა ერთი აზნაურიშვილი, სულხანაი და ორი გლეხი. მათ უნდა დაეფიცათ, თუ ვერ დაიფიცებდნენ, მაშინ 800 თეთრი უნდა გადაეხადა კოსტანტილეს ელიასათვის; კოსტანტილე მას უჩიოდა მამიდის უპატიობას. თუ დადასტურდებოდა ფიცით ეს დანაშაული, მაშინ ელიას კოსტანტილესათვის 1000 თეთრი უნდა ეზღო ([1665–1583 წწ.] Hd–1797).

**მაჭავარიანი ვარძიელ** – [ძმა] ავთანდილ მაჭავარიანისა, იხ.

**მაჭავარიანი ივანე** – [ძმა] ავთანდილ მაჭავარიანისა, იხ.

**მაჭავარიანი ინანა** – 1692–1700 წწ. ჩხეიძეების აზნაურიშვილი; შვილი როსაბ მაჭავარიანისა, იხ., მოწმე ქაიხოსრო ჩხეიძის მიერ კათალიკოს იოვანე დიასამიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ. Ad–1610).

**მაჭავარიანი მამუკა** – მოწმე თამარ დედოფლის მიერ წინამძღვარ მარკოზ წერეთლისათვის მიცემული ყმის წყალობის წიგნისა (1694 წ. Hd–2706).

**მაჭავარიანი მელქისედეკ** – კაცხის მონასტრის წინამძღვარი, აბულახსარ ამირეჯიბის შვილმა იგი დააყენა კაცხის მონასტრის წინამძღვრად ([1515–1535 წწ.] H–1781. 13r–15r).

**მაჭავარიანი პატა** – შუამავალი გიორგი ფალავანდიშვილის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.

ახლო.Hd–2527).

**მაჰავარიანი რამაზ**– შ ვ ი ლ ი როსაბ მაჰავარიანისა, იხ.

**მაჰავარიანი როსაბ** (ვარ.როსაფ, როსაპ)– 1671–1692 წწ. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ინანა, რამაზ (1692 წ. Hd–3199). მ ი ს ი წისქვილი ესაზღვრებოდა მთავარეპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ ნასყიდი ბაქრაძისათვის ნაწყალობევ მამულებს (1671 წ. 1450–35/89, 1672 წ. Qd–2173); მისცა ჩხეიძეებს ოთხასი მარჩილის საფასურად თავისი მხლებელი, ასი მარჩილი და თასი ციხეში გამოკეტილი ქურდაძეების დასახსნელად, რის გამოც ივანე და პაპუნა ქურდაძეები მ ა ს ეყმნენ (1692 წ. Hd–3199); სეხნია აბაშიძისაგან ი ყ ი დ ა რამაზა ქათმისშვილისეული ადგილი (XYII ს. II ნახ. Hd–9862).

[**მა**]**ჰავარიანი როსტომ** – შ ვ ი ლ ი [ქაიხოსრო] [მა]ჰავარიანისა, იხ.

**მაჰავარიანი სამსონ** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ჩხეტ მაჰავარიანისა, იხ.

**მაჰავარიანი სიაოშ** – შ ვ ი ლ ი ავთანდილ მაჰავარიანისა, იხ.

**მაჰავარიანი ფარემუზ**– მ ა ს დაავალა ევახუშტი აბაშიძემ მის მიერ კაცხის მონასტრისათვის შეწირულ ყმა-მამულზე მეურვეობა წევასა და საწერეთლოში ([1550–1570 წწ.] 1449–1583).

**მაჰავარიანი ქაიხოსრო** – 1673–1696 წწ. დედოფლის მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი (1687 წ.Hd–15043). ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, როსტომ (1687წ. Hd–15043). დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მამაში შერგელაიას და გამახადი კაკაჩიას შორის დავის გარიგების წიგნისა ([1680 წ.] სმ I–248–249); მ ო წ მ ე: კაცია იაშვილის მიერ კათალიკოს დავით ნემსაძისათვის მიცემული პირობის წიგნისა საკათალიკოსო ყმების მიუტაცებლობის შესახებ ([1673–1696 წწ.] 1448 – – 1517), ალექსანდრე მეფის მიერ ბიჭვინტის ღვთისმშობლისათვის მიცემული ყმის შეწირულების წიგნისა (1685 წ. 1448–2144); მ ა ს უწყალობა თამარ დედოფალმა სადედოფლო მოლარეთუხუცესობა (1687 წ. Hd–15043).

**მაჰავარიანი შალვა** – [ს ახ ლ ი კ ა ც ი] ელია მაჰავარიანისა. ელია მაჰავარიანის მიერ კოსტანტილეს წინააღმდეგ აღძრულ საჩივრის წიგნში მოთხრობილია, რომ მოკლული გვენეტაძის გამო შურისძიების მიზნით გვენეტაძის „მოსამართლენი" თავს დასხმიან მაჰავარიანების სახლს, დაუწვავთ უდანაშაულო ყმა, ურიაყოფილი. იქ დახვედრიათ შ ა ლ ვ ა მ ა ჰ ა ვ ა რ ი ა ნ ი, რომელიც ვერ დაუწვავთ ([1565–1583 წწ.] Hd–1797).

**მაჰავარიანი ჩხეტ** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: გურგი და სამსონ. მისცა ივანე სეტიელს „წარკუეთილი გარდაწყუედილობის" დაწერილი მოკვეთილობის შესახებ (XIY–XY სს. მიჯნა. სსძ. II. N 96).

**მაჰავარიანი ხოხუა** – ნავარძეთში მ ი ს ი ნაქონი ყმა-მამული გიორგი მეფემ უბოძა ეპისკოპოსს და მის ძმას, ზაქარიას ([1605–1639 წწ.] Hd–2483).

**მაჰარაშვილი ბასილ** – შ ვ ი ლ ი ლაზარე მაჰარაშვილისა, იხ.

**მაჰარაშვილი ბორჯალა** – ბარაუნში მცხოვრები. ნიკოლოზ კათალიკოსმა ი გ ი მამულით უწყალობა გედეონ ელიოზიშვილს (1588 წ.Hd–2526).

**მაჰარაშვილი გიორგი** – ძ მ ა ლაზარე მაჰარაშვილისა, იხ.

**მაჰარაშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი ლაზარე მაჰარაშვილისა, იხ.

**მაჰარაშვილი დათუნა** – შ ვ ი ლ ი ლაზარე მაჰარაშვილისა, იხ.

**მაჰარაშვილი ლაზარე** – ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა გიორგი, შ ვ ი ლ ე ბ ი: ბასილ, საბა, პაპუნა, დათუნა, გიორგი. ზაალ წერეთელმა მ ა ს უწყალობა ოსიტა ნასხასშვილისეული პარტახტი იმ პირობით, რომ თუ ამ მამულს მემკვიდრე გა-

მოუჩნდებოდა, ლაზარეს სხვა მამულს მისცემდა (XYII–XYIII სს. მოჯნა. Sd–1171).

**მაჭარაშვილი პაპუნა** – შვილი ლაზარე მაჭარაშვილისა, იხ.

**მაჭარაშვილი საბა** – შვილი ლაზარე მაჭარაშვილისა, იხ.

**მაჭარასძე||მაჭარაძე**

**მაჭარაძე** – კარსანში მცხოვრები,. ნაზარალი-ხანმა ი.გ ი მამულით უწყალობა რევაზ [მაღალაძეს] (1693 წ.Qd–1305).

**მაჭარაძე გიორგი** – ხონს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: შვიდი მთელი ღვინო, „ურომოული ღომი", ათი თეთრი, ორი თეთრის სათავზო, ერთი ხეში, ერთი სასუქი ქათამი (1621 წ. ქსძ. III. N 91).

**მაჭარაძე გიორგი** – ხონს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ოთხი მთელი ღვინო, ნახევარი ურემი ღომი, ათი თეთრის საკლავი, ერთი ბიშტის ყველი, ერთი სასუქი ქათამი (1621 წ. ქსძ. III. N 91).

**მაჭარასძე იოთამ** – დამწერი და მოწმე იოვანე ზუმბულიძის მიერ შერმაზან მაზევაძისათვის მიცემული საეგვტრო მიწის წყალობის წიგნისა (XYII ს. დასაწყ. Hd–14897).

**მაჭარაძე ოქრუა** – გალმა ჭოლიბაურს მცხოვრები, მამულით ერგო [ფეშანგ ფალავანდიშვილს] ([1676–1709 წწ.] 1450–31/2).

**მაჭარაძე გიორგი** – კნოლეთს მცხოვრები. მამულით ერგო [ფეშანგ ფალავანდიშვილს] ([1676–1709 წწ.] 1450–31/2).

**მაჭიხოლია** – ხაუეელს მცხოვრები, ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, ქანდაქი, სამოგუე, ხუთი კოკა ღვინო (1621 წ.ქსძ. III . N 91). ·

**მაჭუტა: მაჭუტაური** – მაჭუტაური მამული გენათელ-ნიკორწმინდელმა გედეონმა იყიდა კაცია კუჭაიძისაგან (1664 წ. 1448–1534).

**მაჭუტაძე** – მოწმე ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნისა ოქონის ნასისხლად ბოძების შესახებ (1488 წ. YII.1. Hd–8731).

**მაჭუტაძე** – მისი ნაქონი ყმა-მამული აჭყვისთავს, ჭახათს, ჩაქვს, მარგს, და ქობულეთში გიორგი გურიელმა უწყალობა ბოქაულთუხუცესს მირზაბეგ თაუდგირიძეს ([1664–1677 წწ.] ლაი 800.I. N 1201).

**მაჭუტაძე** – ნაკაშიძეების საჩივრის წიგნში გიორგი მამულაიშვილისადმი აღნიშნულია: გიორგი მამულაიშვილი თავმდებად დადგომია ნაკაშიძის მოღალატე ანთელიძეს, რომელიც შემდგომ ნაკაშიძისაგან მაჭუტაძესთან წასულა ([1689–1717 წწ.] Hd–10345).

**მაჭუტაძე ალექსანდრე** – სახლთუხუცესი; მოწმე ქაიხოსრო გურიელის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული ბაილეთისა და ჩუხედენას შეწირულების განახლების წიგნისა ([1647–1658 წწ.] Hd–10274 ა).

**მაჭუტაძე მაქსიმე** – იხ. მაქსიმე მაჭუტაძე, კათალიკოსი.

**[მაჭუტაძე] მაქსიმე** – 1696–1699,[1700] წწ. ბოლნელი ეპისკოპოსი, ნება დართო ხოხუა ასლუაშვილს, რათა გაეცვალა ვენახი ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის (1697 წ.IX.27. Hd–10257); მისი თანდასწრებით, ბახუტა შატბერაშვილმა მისცა პირობის წიგნი ქვათახევის წინამძღვარ ეფთვიმეს ([1700 წ.] 1449–1867); მოწმე: ზურაბ ჯავახიშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ.YII.3.Qd–

–9037-ა); ერეკლე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმის შეწირულების წიგნისა (1696 წ. VIII. ქრ. II. 515–516), ოთარ და შიოშ [თუმანიშვილების] მიერ ქვათახევის წინამძღვარ ეფთვიმესათვის მიცემული ფიცის წიგნისა ერთგულების შესახებ ([1696–1700 წწ.] 1449–1862), იოვანე კათალიკოსის მიერ დეკანოზ ათანასესათვის მიცემული სახელოსა და ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1648 წ. sic! [1696–1697 წწ.] 1450–31/149), უცნობი პირის მიერ [სათალ]მიშა [საქუაშვილისათვის] მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1698 წ. Sd–764), შერმაზ ხურდაყულიშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. 1450–20/28).

მაპუტაძე ონოფრე: ოთარ-ყოფილი – 1683–1700 წწ. [1733] წწ. ავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი, 1690–1700 წწ. მას უწყალობა ლევან ბატონიშვილმა სამწევრისის მესთვლეობა (1683 წ. Ad–381); ერეკლე მეფის ბრძანებით, კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ, ნიკოლოზ ამბა-ალავერდელმა, არსენ ნინოწმიდელმა და სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოსებმა დაადგინეს იგი დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად და განუსაზღვრეს საწინამძღვრო სარგო (1690 წ. Ad–349); ნაზარალი-ხანმა მას გაუჩინა ყოველწლიური ულუფა: ასი კოდი პური, [ასი] ლიტრა ბრინჯი, ათი ლიტრა ერბო, ათი საპალნე ღვინო (1690 წ. ახლო. Ad–355); მას უბოძა ერეკლე მეფემ გარეჯის უდაბნოების თარხნობის წიგნი (1692 წ. Ad–89); ლეკებს დაურბევიათ მონასტერი, რის შემდეგაც, მისი მოთხოვნით, ნაზარალი-ხანმა მას კვლავ უბოძა გარეჯის სოფლების თარხნობის წიგნი (1693 წ. VII.6. Ad–69), აბაზყული-ხანმა მისი მოთხოვნით გაუთარხნა გარეჯის მონასტერს ყმები (1693 წ. IX.29. 1448–2923); ლეკებს დაურბევიათ გარეჯის მონასტრები. მისი თხოვნით ნაზარალი-ხანმა მონასტერს დაუნიშნა ჯამაგირი: წელიწადში ცხრა თუმანი, ხუთი ლიტრა სანთელი, ერთი ლიტრა საკმელი, ერთი ლიტრა შული, ცამეტი ლიტრა ზეთი (1696 წ. XI.18. Ad–86); მისი წინამძღვრობის დროს: მამადყული-ხანმა განუახლა გარეჯას ლევან, ალექსანდრე და თეიმურაზ მეფეების მიერ ბოძებული სოფელ აკურას შეწირულება (1698 წ. II.11. 1461–7/36), ნაზარალი-ხანმა განუახლა გარეჯას ქართლიდან კუთვნილი ულუფა და დაუმატა ახალი: ასი კოდი პური, ათი საპალნე ღვინო, ასი ლიტრა ბრინჯი, ასი ჩარექი ერბო, ასი ლიტრა ყველი, ასი ლიტრა მარილი, სამოცი წყვილი დოში, სამოცი წყვილი მკერდი, ორმოცი ზურგიელი, ორმოცი კუდი, ოცდაათი ლიტრა ხიზილალა, ორმოცდაათი ლიტრა სამარხო, ორმოცდაათი ჩარექი ნიგოზი, ოცდაათი ლიტრა ხახვი, ოცი ლიტრა მატყლი (1699 წ. XII.8. Ad–87), ერეკლე მეფემ შესწირა გარეჯის უდაბნოს იალაღები და დაუმტკიცა ულუფა და ჯამაგირი (1700 წ. V.20. Ad–2220); მან სთხოვა ნაზარალი-ხანს, დაებრუნებია გარეჯისათვის მისი კუთვნილი ვენახი, რომელიც უკანონოდ ჰქონდა ნაწყალობევი დათუნა გრატიაშვილს. ნაზარალი-ხანმა მისი თხოვნა შეასრულა (1699 წ. 1449–1830); წარუდგინა ნაზარალი-ხანს ერთობლივ კახ. ეპისკოპოსთა და დარბაისელთა საფიცრის წიგნი, რომლის მიხედვითაც, გარეჯის ყმები საურისაგან და სხვა ბეგრისაგან გათავისუფლებულებიი იყვნენ (1699 წ. V.19. 1448–1469-მინაწ.); იყიდა გარსევან გილასშვილისაგან მიწა ვედრიასშვილის საზღვრამდე (1695 წ. Ad–2055); მოწმე: გარეჯელთა, გიორგიწმინდელთა, თვალელთა და ბერთუბნელთა მიერ არსენ ნინოწმინდელისათვის მიცემული პირობის წიგნისა ([1688–1894 წწ.] Ad–116), ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისათვის მიცემული საალაპე წი-

გნისა (1696 წ. 1448–5060), ქვათახევის წინამძღვრის, ეფთვიმეს მიერ ოთარ თუმანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის დამტკიცების წიგნისა (1700 წ. Ad –1008), გიორგი ფერინოზისშვილის მიერ პაპუნასათვის მიცემული ვალის დაბრუნების ხელწერილისა ([1690–1733 წწ.] Ad –497); მას ეცილებოდა ზაალ საგინაშვილი უდაბნოსათვის შეწირულ დუდაურების მამულზე, ვენახზე და სასახლეზე. ნინოწმინდელთან ერთად მან იჩივლა ხანთან. ხანის დავალებით, ფლიანმა ონანამ გაარიგა სადაო საქმე ([1690–1703 წწ.] 1449–1859); ნაზარალი-ხანის ბრძანებით, მონაწილეობა მიიღო ქვათახევის მონასტრის წინამძღვარ ეფთვიმესა და ავთანდილბეგ გორგიჯანაშვილს შორის სველნეთის საწინამძღვრო მიწებზე დავის გარჩევაში (1700 წ. 1449–1863); მისი თანდასწრებით, ბახუტა შატბერაშვილმა მუჩალგა და შეცოდების წიგნი მისცა ქვათახევის წინამძღვარ ეფთვიმეს ([1696–1699 წწ.] 1449–1867); დოდოს მონასტრის წინამძღვარს, ზაქარიას მისცა პირობა ძველი გუჯრების დაცვისა და მათი გამოყენების თაობაზე ([1690–1733 წწ.] Ad –487); ნაზარალი-ხანმა დაავალა საგარეჯოს მოხელეებს, რომ მიეცათ წინამძღვარ ონოფრესათვის და საყდრისათვის წლიური სარჩო ( წინამძღვრის ულუფა და საყდრის ულუფა ერთად): ასი კოდი ქერი, ასი ლიტრა ბრინჯი, ათი ლიტრა ერბო, ათი საპალნე ღვინო (1690 წ. ქკმეის. 12 –19); ნიკოლოზ სამებელის მიერ მრავალმთის იოვანე ნათლისმცემლის მონასტრისათვის მიცემული ვენახის შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ მას მონასტრის სხვა ძმებთან : ხარიტონთან, სვიმონთან, ბესარიონთან ერთად ბევრი უზრუნია იოანე ნათლისმცემლის განახლება-შემკობაზე (1690–ანი წწ. 1449–1835 ); მას ებარა გარეჯის მონასტრის პატარძეულელი ყმების ნუსხა ([1690–1733 წწ.] Ad – 421); მას ჩაუბარებია პატარძეულსა და თვალში უდაბნოს ყმები. პატარძეულში : ქლაფერიშვილი ერთი კომლი, ესტატაშვილი ერთი კომლი, უსუფაშვილი ერთი კომლი, ჟატელი ერთი კომლი, კაწარალის სახლისკაცი ერთი კომლი; თვალში: მოძმანაშვილი ერთი კომლი, კურდგელაშვილი ერთი კომლი, ჟატელი ერთი კომლი, მჭედლისშვილი რამაზა ერთი კომლი, მჭედლისშვილი გიორგი ერთი კომლი, მჭედლისშვილი შიო ერთი კომლი, მჭედლისშვილი ბასილი ერთი კომლი, მჭედლისშვილი ქიტას შვილები ერთი კომლი, მჭედლისშვილი მახარებელი ერთი კომლი, ყაზარაშვილი ბაისოღულა ერთი კომლი, ყაზარაშვილი ნურალა ერთი კომლი, მთიულიშვილი ზურაბა ერთი კომლი, მისი განაყოფი ბასილა ჯაფარიძე ერთი კომლი, მელვრეკელი ერთი კომლი, იორდანესშვილი ერთი კომლი, ვედრიაშვილი ერთი კომლი, ფერინოზისშვილი ერთი კომლი; თავად ონოფრე წინამძღვარს დაუსახლებია და შეუმატებია მონასტრისათვის შემდეგი ყმები: პატარძეულში– გავთელა ერთი კომლი, თვალში– ნასყიდა და ირემა ერთი კომლი, ხებრიელაშვილი ერთი კომლი, ბუზარიაშვილი ერთი კომლი, მეძმაშვილი თევდორე ერთი კომლი, მეძმაშვილი ებალა ერთი კომლი, იასე ლახურაული ერთი კომლი, მანუჩარა მიქელაშვილი ერთი კომლი, ბერიკაშვილი ერთი კომლი, ფეიქარი ზურაბა ერთი კომლი, ლაზარე ქალელიშვილი ერთი კომლი, ელისბარა აკოფაშვილი ერთი კომლი, გიორგი აკოფაშვილი ერთი კომლი, ფეტვია ერთი კომლი, გუგლია ერთი კომლი, ნალებაშვილი ერთი კომლი, კუდა მახარა ერთი კომლი ([1690–1733 წწ.] Ad –421).

მაჭუტაძე რამაზ– სახლთუხუცესი, მოწმე ვახტანგ გურიელის მიერ შემოქმედის ზარზმის საყდრისათვის მიცემული შეწირულების წიგნისა

(1572 წ. ახლო. ქსძ.YI.333).

**მაჰუტაძე საყან** — მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგლისა (XYI–XYII სს. ქმ. N 1608 სას.).

**მახა** — ქინძარას მცხოვრები, წინამძღვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მახაჟლისშვილი** — შეტანილია სამების ყმების ნუსხაში (XYII–XYIII სს. მოჯნა. 1449–1841).

**მახათაძე გოჩა** — ძ მ ა შოშიტა მახათაძისა, იხ.

**მახათაძე შოშიტა** — წირქვალს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა გოჩა. ბაგრატ მეფემ ი გ ი უწყალობა ყუდანათ წერეთელს (1678 წ. Hd–14781).

**მახალდიანი გოჩია** — უსახელოში მცხოვრები; გიორგი მეფეს ი გ ი და გიორგი ფოჩიანი უწყალობებია გაბრიელ ცაგერლისათვის. შემდგომში ისინი ცაგერელს სხვაგან დაუსახლებია და შეუწირავს ცაგერის ღმრთისმშობლისათვის (1656 წ. Qd–9085 ე).

**მახანასშვილი||მახანაშვილი**

**მახანაშვილი ნონია** — ამილახვრის ყ მ ა; მასთან მისულა დვანიდან აყრილი კაცი ბედუჩა ბელაშვილი. ამ კაცზე ნ ო ნ ი ა ს შეედავა იორამ ოქრომჭედელი, ბედუჩას [ძველი მამულის] პატრონი. მათი დავა გაარჩიეს მდივანბეგმა როინ [ჯავახიშვილმა], ბირთველ და თუმან [თუმანიშვილებმა. ბედუჩა ბელაშვილი დარჩა იორამ ოქრომჭედელს ([1638–1658 წწ.] 1450–31/211).

**მახანაშვილი პაატა** — 1619–1626 წწ. იოთამ ამილახვრის||ამილახვრის კარის მ დ ი ვ ა ნ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი. დ ა მ წ ე რ ი: ანდუყაფარ ამილახვრის მიერ ამირაღა მესხასატურაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1619 წ გსიიემ N 7601/49), იოთამ ამილახვრის მიერ დავით თეგთურმაზისძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (1626 წ.XI.2.Ad–1388).

**მახანასშვილი საბა** — ტკოცაში მცხოვრები, ს ა ხ ა ს ო მ ს ა ხ უ რ ი, ერთი კომლი, ჰ ყ ა ვ ს სამი ძ მ ა. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ. Qd–7017).

**მახარა; მახარაული** — ხევდურეთში მ ა ხ ა რ ა უ ლ ი მამული კონსტანტინე მეფემ უწყალობა ზაზა ფანასკერტელს (1467 წ. 1448–64).

**მახარა** — კარშაგარს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მახარა** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა — — შვიდი ჩითახური (1558 წ. H–626).

**მახარა** — კორთხს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ერთი ურემი ღომი, ერთი ლიტრა სანთელი, ორი კვერცხი (1558 წ. H–626).

**მახარა** — ჰოლევს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ცამეტი კოკა ღვინო, ოცი თეთრის საკლავი, ორი ქათამი, ერთი თეთრი, სამარხო ძღვენი, თევზი, საყდრის მუშაობა, ათი კვერცხი, ერთი ნაოთხალი ღომი (1578 წ. H–626).

**მახარა** — ჰოლევს მცხოვრები, მეაბრეშუმე. ჰქონდა პარტახტი [მამული], ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა ქუთაისის საყდრის ბეგარის გადახდა ისევე, როგორც სხვებს (1578 წ. H–626).

მახარა – ყანდახში მცხოვრები, გუგუნა მაყაშვილის ყ მ ა, ალექსანდრე მეფემ ი გ ი შესწირა ხახულის ღმთისმშობლის ეკლესიას (1594 წ.1449–1509).

მახარა – ღვერთეთს მცხოვრები, მესხი, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამღ. Qd–7014).

მახარა – ბუეთს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა გელათის საყდრის ბეგარა: ათი თეთრი, ათი კოკა ღვინო, ორი ძღვენი, ერთი ნაოთხალი ღომი (1621 წ. ქსძ. III. N 91).

მახარა – გორუნჯუკს მცხოვრები, როსტომ მეფემ ი გ ი უწყალობა პაპუნა თურქისტანიშვილს (1640 წ.1450–10/102).

მახარა – დალეთს მცხოვრები, განაყოფი აბულასი, რომლის ფარდათაც ი გ ი წილად ხვდა ყორჩიბაშ ბადურ [ციციშვილს] ([1651 წ.] 1450–37/160).

მახარა – მოხსენებულია [მესაურე] ყმების ნუსხაში ([1658–1675 წწ.]Hd–14534-ბ).

მახარა – [ძ მ ა] მარინდასი, იხ.

მახარა – მამუკა ამირალაშვილის ყ მ ა, მ ი ს ი სახლი ესაზღვრებოდა მამუკა ამირალაშვილის მიერ ასატურა ბეჟინაშვილისათვის მიყიდულ ფხევიას სახლ-კარს (1670 წ. XII.15. 1450–49/102).

მახარა –შ ვ ი ლ ი ქიტიასი, იხ.

მახარა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] რევანდასი, იხ.

მახარა – მ ო უ რ ა ვ ი, მ ო წ მე სუხია მუსლისშვილის მიერ მურადასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. XII. Hd–11048).

მახარა – მ ო წ მ ე იმან რჩეულიშვილ-ულულისშვილის მიერ ბეჟან როსტომასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ.1450–27/289).

მახარა – მ ჭ ე დ ე ლ ი, ყინცვისის მონასტერში მცხოვრები. ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი ნახევარი საგანაყოფოთი. ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

მახარა – ხვედურეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრისას, მ ი ს ი მამული ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

მახარა – „დაკარგული", ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, მღვდელი საბა, შოშიტა, დარჩია. ი ყ ი დ ა სეფია უჯარმისშვილისაგან გრძელაში ნასყიდი მიწა (1690 წ.IY.20.Hd–2889).

მახარა – „კუდა", თვალში მცხოვრები, ერთი კომლი, გარეჯის წინამძღვარმა ონოფრე მაჭუტაძემ ი გ ი დაასახლა თვალში და შეჰმატა გარეჯის ყმებს ([1690–1733 წწ.] Ad–421).

მახარა – მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ მ ე დათუნა ბატკუაშვილის და ივანა ბატატაშვილის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. YIII. 1450–51/102).

მახარა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ამირასი, იხ.

მახარა – [ძ მ ა] გოგლასი, იხ.

მახარა – ნაბახტევს მცხოვრები, ი გ ი ქონებით წილად ერგო მოურავსა და ზურაბ [სააკაძეს] (XYII ს. IY მეოთხ. Hd–9347).

მახარა – ყ მ ა, მ ი ს ი ობოლი ცხოვრობდა ლუროში (XYII ს.90–ანი წწ. Hd–14912 ბ).

მახარა — მ ი ს ფარდად მოურავს და ზურაბ [საავაძეებს] ერგოთ გოსტიბეს მცხოვრები შემაზა გასიტაშვილი ქონებით (XYII ს. IY მეოთხ.Hd—11922).

მახარა — მოხსენებულია ყმების ნუსხაში (XYII ს. Hd—15088).

მახარა — ი გ ი კაკნიაშვილის მამულთან ერთად წილად ხვდა ზურაბ [ჯავახიშვილს] (XYII ს. II ნახ. Qd—1039).

მახარა — ძ მ ა ივანა სარაჯისა, იხ.

მახარა — ახრისს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

მახარა —კუარხითს მცხოვრები, ბეჟიტას ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა(XYII ს. II ნახ. 1448—5032).

მახარა — სოზისს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

მახარა — ტყიურეთს მცხოვრები, ამირანის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

მახარა — ორჰოშანს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448—5032).

მახარა — აკურისში მ ი ს ი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] ( XYII ს. ბოლო. 1450—33/286).

მახარაული — მ ა ხ ა რ ა უ ლ პარტახტ მამულზე მცხოვრებს ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ცხრა კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი ქათამი, საბელი და ყოველდღე მუშაობა (1558 წ. H—626).

მახარასშვილი||მახარაშვილი

მახარაშვილი — სკრაში მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერგო გოშფარს ([1527—1558 წწ.] Qd—605).

მახარაშვილი — შაგთგოზს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537—1538 წწ.] YIII.16. 1450—11/112).

მახარაშვილი — ქვემო ნიქოზში მცხოვრები, ნაზარალი-ხანმა ი გ ი უწყალობა თმოგველ ფავნელიშვილს (1688 წ.XII.27.1450—35/119).

მახარაშვილი — საპონაურში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის შედეგად ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688—1703 წწ.] Hd—1636).

მახარაშვილი — ძ მ ი ს წ უ ლ ი გოგია მახარაშვილისა, იხ.

მახარაშვილი — მ ი ს და გიორგის [მიწამდე] მიჰყიდა სეხნია საგინაშვილმა ვარდუა მარქარაშვილს ზედა ირდასუბანში თავისი სამკვიდრო მამული(1690წ. II გასული, Hd—5151).

მახარაშვილი — რეჯს მცხოვრები, ამილახვრის სახასო ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

მახარაშვილი აბრაჰამა —[ ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ] ბატატა მახარაშვილისა,იხ.

მახარაშვილი ბასილა — 1697—1700 წწ. რუისში მცხოვრები, ერეკლე მეფემ და იოანე კათალიკოსმა ი გ ი შესწირეს ურბნისის წმინდა სტეფანეს ტაძარს

(1697 წ. 1448–9999 ფრაგმ.); მ ო წ მ ე იოსებ ურბნელის მიერ პაპუნა ყოყოლაძისათვის მიცემული თარხნობის წიგნისა (1700 წ. YIII.27. Hd–1193).

**მახარაშვილი ბატატა** – ჩინთელი, ავთანდილ ქანდარაშვილის ყ მ ა, მ ო წ მ ე ავთანდილ ქანდარიშვილის მიერ ალავერდელ არსენ ავალიშვილისათვის მიცემული ყმების შეწირულების წიგნისა ([1642–1651 წწ.] 1449–1853).

**მახარაშვილი ბატატა**– [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბატატი მახარაშვილისა, იხ.

**მახარაშვილი ბატატი** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: გოგიჯანა, აბრაჰამა, ბატატა. მ ი ჰ ყ ი დ ა რევაზ მაღალაძეს ბაგა ნაგის ხევზე,კოზუას კალომდე, თავისი განაყოფის, ნონია [მახარაშვილის] და გელხაურის მიწებამდე (1690 წ. Qd–1342).

**მახარაშვილი ბერუა** – ძ მ ა შერმაზანა მახარაშვილისა, იხ.

**მახარაშვილი გიგოლა** – 1681–1685 წწ. მ ო წ მ ე: არაზა ტერსტეფანაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. Y. Hd–1781), ნიკოლოზ ბოლნელის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული ლალის ამოკვეთის წიგნისა (1685 წ.X.30. Hd–14178).

**მახარაშვილი გოგია** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ი მახარაშვილი, იხსენიება მ ო ფ ი ც რ ა დ გერმანოზიშვილების: პაპუას, გუგუნას და ვარაზას დაის გარიგების წიგნში: თუ ი გ ი დაიფიცებდა, რომ არ იყო გაყრილი თავის ძმისწულთან, მაშინ ი გ ი დარჩებოდა ვარაზას, თუ ვერ დაიფიცებდა– [მისი კომლი] სამად უნდა გაეყოთ ([1688–1703 წწ.] Sd–577 ა).

**მახარაშვილი გოგიჯანა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბატატი მახარაშვილისა,იხ.

**მახარასშვილი დათუნა** – ნულს მცხოვრები, ბოგანო, ერთი კომლი,ჰ ყ ა ვ ს ერთი ვ ა ჟ ი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ. Qd–7017).

**მახარაშვილი ზა[ა]ლ**– მ ო წ მ ე ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699 წ. IX.27 . Hd–10257).

**მახარაშვილი ზაქარია** – კულბითში მცხოვრები, ყიასაბეგის ყ მ ა (1700 წ. 1448–3602).

**მახარაშვილი ზურაბა** – მ ო წ მ ე ნადირა ჯავახიშვილის მიერ გიორგი ლარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ([1689–1700 წწ.] 1450–10/124).

**მახარაშვილი თევდორა** – ძ მ ა ნინია მახარაშვილისა, იხ.

**მახარაშვილი ნადირა** – ძ მ ა ნინია მახარაშვილისა, იხ.

**მახარაშვილი ნინია** – სურნისში მცხოვრები, პაპუა ტატიშვილის ყ მ ა, ერთი კომლი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ნადირა, პაპუნა, თევდორა და ოთხი იმათი ნაშენი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ. Qd–7017).

**[მახარაშვილი] ნონია** – 1689–1692 წწ. გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბატატი მახარაშვილისა (1690 წ. Qd–1342). მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ბატატი მახარაშვილის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიყიდულ ბაგას; მ ო წ მ ე ა ამ ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. Qd–1342); მ ო წ მ ე: იასე მრელიასშვილის მიერ რევაზ მაღალაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. XII.12. Qd–1349), მახარა ვარსიმაშვილის მიერ რევაზ [მაღალაძისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. 1448–2235), სამებისა ბე-

რუაშვილის მიერ რევაზ [მაღალაძისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. Ad–1676).

მახარაშვილი პაპუნა — ძ მ ა ნინია მახარაშვილისა, იხ.

მახარაშვილი პატა — მ ო წ მ ე ესტატე [თუმანიშვილის] მიერ თავისი განაყოფის, ზურაბ [თუმანიშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. Y.15. Sd–12).

მახარაშვილი სალუყაზარ – სუქანათ უბანში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრისას ი გ ი მამულით ერგო ედიშერს ([1688 – – 1703 წწ.] Hd–1636).

მახარაშვილი სისაური — სუქქნათ უბანში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრისას ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

მახარაშვილი ქაიხოსრო — შ ვ ი ლ ი შერმაზან მახარაშვილისა, იხ.

მახარაშვილი ქიტუნა — მ ი ჰ ყ ი დ ა კარაპეტა ხეჩატურაშვილს სახლი ვანქის უბანში, მიტოანთ სახლებთან და მეჯორე ჰასანას სახლთან, დერეფნითა და ეზოთი. (1687 წ.YIII.15. 1448–4811).

მახარაშვილი შერმაზანა — ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ბერუა, შ ვ ი ლ ე ბ ი: ქაიხოსრო, ზა[ა]ლ (1689 წ.Qd–9086 ა), ბერძენ აბრამას შვილს, ლაზარეს, მიჰყიდა ერთი ქულბაქი ოთახით, გალავნის გარეთ (1689 წ. IY.4. Qd–9086–ა); ამავე ლაზარესთან ჰქონდა დავა ქულბაქზე. მას სადაო ქულბაქი მიუქირავებია ლაზარესათვის. შემდეგ მიუყიდია მისთვის შეგირდი. მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთვისშვილმა] მათი დავა გაარჩია, შეგირდის საფასურში ქულბაქი დაუტოვა ლაზარეს (1689 წ.ახლო.Qd– –9086 ბ). ·

მახარაშვილნი — ხოდაშენში მცხოვრებნი, გიორგი მეფემ ი ს ი ნ ი შესწირა გარეჯას (1513 წ. YI.4. Ad–2175).

მახარაძე– ზინდისს სურამში მცხოვრები, ი გ ი ნიტრიის ეკლესიას უყოდია გიორგი მეფისაგან (1584 წ. Sd–2909).

მახარაძე ათანასი — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღომი, სამი პური და სამსახური (1558 წ. H–626).

მახარაძე გიორგი — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: შვიდი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

მახარაძე გიორგი — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თექვსმეტი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ.H–626).

მახარაძე ვარდანა — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა— ექვსი ჩითახური და დანარჩენი იმავე რაოდენობით, რაც გიორგი მახარაძეს (1558 წ. H–626).

მახარაძე ზავლია — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ.H–626).

მახარაძე ივანე — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ერთი ჩითახური, ერთი ქათამი,ერთი საკლავი,ერთი ფსომიარე ღომი,ხუთი საწყავი ღვინო,სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე ივანე** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ექვსი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, სამსახური და პარტახის ორი ჩითახური(1558 წ. H–626).

**მახარაძე ილარიონ** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე იმირდონი** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ერთი ჩითახური, ერთი ქათამი, ერთი საკლავი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე ლომია** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე ლომისკაცი** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ექვსი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე ლომისკაცი** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ათი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ.H–626).

**მახარაძე მახარობელი**— ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაო ღვინო, სამი პური და ოჩის სამსახური (1558 წ. H–626).

**მახარაძე ოზბეგ** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: რვა ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური და სამსახური პარტახტის— ორი ჩითახური(1558 წ. H–626).

**მახარაძე შენაწირა** — ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა — შვიდი ჩითახური (1558 წ.H–626).

**[მახა]რე**— იხსენიება მ ო წ მ ე დ საბუთის ფრაგმენტში (XYI ს.A 222, 151v–152 r).

**მახარე** — შ ვ ი ლ ი ბასილასი, იხ.

**მახარებელი** — ალავერდელის ძ ე, მ ო წ მ ე ჩაფქევასძეთა მიერ ვერხუაისძისათვის მიცემული სავენახის ნასყიდობის წიგნისა ([1247–1260 წწ.] Ad–7 დ).

**მახარებელი** — ჯ ვ ა რ ი ს მ ტ ვ ი რ თ ვ ე ლ ი, მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ მაკუჰასძეთათვის მიცემული მცხეთიშვილობისა და თარხნობის წიგნისა (1441 წ.1448–1976).

**მახარებელი** — მ ღ ვ დ ე ლ ი, დ ა მ წ ე რ ი უცნობი მეფის მიერ მამისთუალ თაელისძისათვის მიცემული სასისხლო სიგელისა (1461 წ. მე–8 ინდიქტ. Hd–1537 სას.).

**მახარებელი** — მარკოზ კათალიკოსის მიერ მამისა ბერინასშვილისათვის მიცემული მემკვიდრეობის დამტკიცების წიგნში აღნიშნულია, რომ მამისა ბერინასშვილი უშვილებია მის სიმამრს, მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს, დაუტოვებია მისთვის ყმამამული: ფოსუი, ორონტა, კუტალაში აბნაშვინი და ჯუარის ბოლოს ვენახი(1464 წ. XII.13. 1448–5024).

მახარებელი— მ ო წ მ ე ნიკოლოზ პალატისშვილის მიერ გოგიტა არდაშერასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1477 წ. YII.4. Qd – –9814 ა).

მახარებელი – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მეჯინიბეთუხუცეს მამისას მიერ ზაქარიასათვის დატოვებული ანდერძის წიგნისა (1477 წ. Hd–1354).

მახარებელი – ძ მ ი ს წ უ ლ ი სვიმონისა, იხ.

მახ[ა]რებ[ე]ლი– მ ო წ მ ე ელიაზარ ელიოზისშვილის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა (1492 წ. 1449 – – 1615).

მახარებელი – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი გიორგი, ჩალათა ცორცოლაძემ დადგინა ი გ ი თავის მწირველად და უწყალობა ნატარალევი სასახლე, ბრსენაული საფლავი, შქერნლის ნახევარი, კოკას საყანის თავისი მოძმისეული ნახევარი, ველას ერთი საყანე ვა ჩიბერაძის საზღვრამდე და კოკის ჰალას ლუკუფხნას ნახევარი. დააკისრა ალაპის გადახდა— ყოველ ახალ კვირას ერთი ცხვარი (XY ს. ქმ. N655).

მახარებელი – წმიდა გიორგის დეკანოზის, ფილიპეს, ანგარიშების წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ს მისთვის მიუცია საორმოცე თ ა ვ ი ს თ ვ ი ს და თავისი ცოლისათვის ([1505–1525 წწ.] Hd–9409).

მახარებელი – 1508–1520 წწ. ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი. დ ა მ წ ე რ ი შალვა ქავთარასშვილის მიერ ნესტარჯანისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1508 წ. Y.1. Sd–732); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მერაბ ციციშვილის მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული·საალაპე შეწირულების წიგნისა (1520 წ. 1449–1494).

მახარებელი – გ ო რ ი ს დ ე კ ა ნ ო ზ ი, დ ა მ წ ე რ ი [დავით მეფის] მიერ დავითასათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1511 წ. გსიემ 7601–31 ფრაგმ.). .

მახარებელი – ერტისში მცხოვრები, [ბარათაშვილების] გაყრის შედეგად ი გ ი ერგო გერმანოზს (1523 წ. Ad–1299 ა).

მახარებელი – ოძისს მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის შედეგად ი გ ი მამულით ერგო როინს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

მახარებელი – გომარეთში მცხოვრები, ი გ ი მამულით ერგო ოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მახარებელი – მირტაშენს მცხოვრები, მამულით ერგო ოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მახარებელი – მანაკერტში მცხოვრები, მამულით ერგო ოთამ ბარათა – შვილს ([1537–1538 წწ.] YIII. 16. 1450–11/112).

მახარებელი – ნავროზა ჯოჯმიტაშვილმა მიჰყიდა გიორგის ხევთაშუა მდებარე ნასყიდი ვენახი, რომელსაც ესაზღვრებოდა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს ადრე მიყიდული მიწა (1547 წ. 1448–353).

მახარებელი – ხ უ ც ე ს ი, საწერეთლოში მცხოვრები. ი გ ი შესწირა ვახუშტი აბაშიძემ კაცხის მონასტერს. უნდა გამოელო: ორი ჩარექი სანთელი , მისი მკედი, ორი ცხვარი, ერთი ლიტრა მარილი ([1550–1570 წწ.] 1449–1583).

მახარებელი– მ ო წ მ ე ხესარაშვილის მიერ დათუა თათარაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1563 წ. 1448–1051).

მახარებელი – არატუაზანში მცხოვრები, გუგუნა მაყაშვილის ყ მ ა, ალექსანდრე მეფემ შესწირა ი გ ი ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიას (1594 წ. 1449–1509).

მახარებელი – ჯიმითელი ხ უ ც ე ს ი, ალექსანდრე მეფემ ი გ ი სახლით, შესწირა სვეტიცხოველს (1601 წ. 1448–5526).

მახარებელი – შ ვ ი ლ ი შალვასი, იხ.

მახარებელი– მ ო წ მ ე მხითარას მიერ თბილელი ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის მიცემული სიონის ღმრთისმშობლისადმი ყმობის წიგნისა (1619 წ.1449––2642).

მახარებელი – ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ი ს დ ე კ ა ნ ო ზ ი, დ ა მ წ ე რ ი დ ა მ ო წ მ ე: არდაშელ სოლაღაშვილის მიერ დავით მოსესშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1620–ანი წწ. 1450–38/124), ნადირას მიერ გიორგი თევდორესშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა ( XYII ს. 20–ანი წწ. 1450–38/129).

მახარებელი– მ ე ა ლ ა პ ე ყ მ ა მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებისა; ამაღლება დღეს საყდარში უნდა მიეტანა: ერთი თოხლი, ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური (1657 წ. Ad–962).

მახარებელი – მ ი ს ი ნასყიდი მიწა ზვრის თავში, ფშატთან, [ნიკოლოზ] კათალიკოსმა გაუცვალა ნიკოლოზ მებუნისშვილს სამი დღის მიწაზე სხერტაში ([1678–1687 წწ.] Qd–3694).

მახარებელი – თხინვალელი, მ ო წ მ ე შოშია ბერაძის მიერ სახლთხუცეს რევაზ [მაღალაძისათვის] მიცემული ნაფარეხავის ნასყიდობის წიგნისა (1689წ. Qd–1345).

მახარებელი– დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მარკოზ რომნასძის მიერ დავითისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ.1450–38/127).

მახარებელი– მელიქ შერმაზანის ყ მ ა, მ ო წ მ ე შერმაზანსა და მის ძმებს: ქაიხოსროს, სულხანსა და თამაზას შორის სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1699 წ. შემდეგ. Hd–13043 ბ). .

მახარებელი – შვილი ი ო ვ ა ნ ე ს ი, იხ.

მახარებელი– ი გ ი შვილით, მაგრამ უმიწოდ, ბეჟან [თუმანიშვილმა] საუპატიოდ დაუდვა თავის ბიძას, ზურაბ თუმანიშვილს (XYII ს. 60–70– ანი წწ. Hd–15040).

მახარებელი – მძოვრეთს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს.II ნახ. 1448–5032).

მახარებელი – წინუბანს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მახარებლისშვილები – ი ს ი ნ ი მამულით წილში ხვდნენ დავით ქარსიძეს (1651 წ. 1450–29/59).

მახარებლისშვილი||მახარებლიშვილი

მახარებლისშვილი – ი გ ი ლეჟერ ჩიკვილაძემ მისცა სისხლის ფასად შალვა შერაზადიშვილს ([1484–1510 წწ.] ქშ. N 647 სას.).

მახარებლისშვილი – იფნობს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათა–

შვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მახარებლისშვილი** – მ ი ს მიწამდე მიჰყიდა გოჯასპ საგინაშვილმა ქაიხოსრო აბაშისშვილს მიწა (1697 წ. XI.1.1450–15/5).

**მახარებლისშვილი** – მ ი ს ი მიწის საზღვრამდე მიჰყიდა როსტომ სალირიძემ ბერ ენუქაშვილს ორი დღის მიწა (XYII ს. Qd–0159).

**მახარებლისშვილი ავთანდილ** – ოქონელი, მ ო წ მ ე გიორგი სამალნიშვილის მიერ ათანასე მანგლელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა([1618––1646 წწ.] 1450–46/10 ა).

**მახარებლისშვილი ბეჟუა** – მ ო წ მ ე როსტომ სალირიძის მიერ ბერ ენუქაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს. Qd–9159).

**მახარებლიშვილი ბერი** – წაბლუანს მცხოვრები, ერთი კომლი. მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამღ.Qd–7014).

**მახარებლიშვილი გიორგი** – წაბლუანს მცხოვრები, ერთი კომლი, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამღ.Qd–7014).

**მახარებლიშვილი თამაზა** – წაბლუანს მცხოვრები, ერთი კომლი, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამღ. Qd–7014).

**მახარებლიშვილი ნადირა** – წაბლუანს მცხოვრები, მ ი ს ი მამული მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამღ. Qd–7014).

**მახარებლისშვილი ჟოჟონა** – იხ. სულხანაშვილი ჟოჟონა

**მახარებლიძე ბერუა** – მ ო წ მ ე დათუა ქებაძის მიერ იორამ ნამორაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ.1450–33/363).

**მახარებლიძე ნასხიდა** – მ ო წ მ.ე ბასილ კოპაძის მიერ მეკონდახე დათუნასათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1669 წ.Y.17. 1448–2934).

**მახარესშვილი პაპუნა** – ბერშოეთელი, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448–3602).

**მ(ა)ხარისძე ამილბარ** – მ ი ს გ ა ნ ნაყიდი ვენახი ტყემლუანას მურვან მცარქოზისძემ საალაპედ შესწირა თისლის მონასტერს (XY–XYI სს. Par. géor .4. 35 v).

**მახარობელა** – გეაზაურში მცხოვრები საეკლესიო გ ლ ე ხ ი (XYII ს. Hd––11221).

**მახარობელი** – იხსენიება ბოცო [ბოცოსძის] მიერ ალის მონასტერში დადებული საწირავის წიგნში (XIY ს. S–1245. 6–23).

**მახარობელი** – 1377–1415 წწ. სამეფო კარის მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი. დ ა მ წ ე რ ი: გიორგი მეფის მიერ გუგუნა მაყაშვილისათვის მიცემული შეუვალობისა და მამულის წყალობის წიგნისა (1377 წ. Ad–1284), გიორგი მეფის მიერ სვეტი–ცხოვლისათვის მიცემული შეუვალობის წიგნისა (1401 წ. 1448–532), გუგუნა კაჩიმისძის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული მამულის შეწირულების წიგნისა (1415 წ.ქრ. II.223).

**მახარობელი** – მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი, დ ა მ წ ე რ ი ბაგრატ მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა (1466 წ.ქრ. II. 287–288).

**მახარობელი** – მ ი ს ი ვენახი ესაზღვრებოდა ესტატე [თუმანიშვილის] მიერ მანუჩარ [თუმანიშვილისათვის] მიყიდულ ზვარს (1673 წ.Qd–9037–იგ).

**მახარობელი** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: გოდერძი, ბასილი. ი ყ ი დ ა ლორტუკაანთ მერაბასშვილ ამოანასაგან ერთი ბაღჩის ადგილი მირზაჯანას,გუ-

ლოაანთ, არაქელას და ამსარქისას სახლებამდე (1682 წ.XI.1.1450–5/175).

მახარობელი – დეკანოზისშვილის ყ მ ა, მ ო წ მ ე სეხნია ტატიშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული საფქვავის ამოკვეთის წიგნისა (1692 წ.ახლო.Hd–732).

მახარობელი – მ ო წ მ ე გიორგი მელიქის შვილის, ქაიხოსროს მიერ პაპუნა ამურასაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.III.20. Hd–13043 ა).

მახარობელი – ზემო ბოლნისის მ ო უ რ ა ვ ი, მ ო წ მ ე ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლილობის წიგნისა (1699 წ.IX.27. Hd–10257).

მახარობელი – უცნობი ეკლესიის ყმათა ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ა ს ე მ ა რ თ ა ორი-სამი დორა ღვინო (XYII ს. 1448–1523 ფრაგმ.).

მახარობელი – ს ი ძ ე თევდორე რაზმაძისა, იხ.

მახარობელი – ქალაქს მცხოვრები ხ უ ც ე ს ი, მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XYII–XYIII სს. Hd–819).

[მახარობელიძე] გოგია – მ ო წ მ ე თავისი განაყოფის, ზაქარია მახარობელიძის მიერ ხოჯა ხოჯასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. 1450–33/15).

მახარობელიძე ზაქარია – ჰ ყ ა ვ ს: შ ვ ი ლ ი სეხნია, გ ა ნ ა ყ ო ფ ი გოგია [მახარობელიძე]. მ ი ჰ ყ ი დ ა ხოჯა ხოჯასშვილს მიწა (1684 წ.1450–33/15).

მახარობელიძე სეხნია – შ ვ ი ლ ი ზაქარია მახარობელიძისა, იხ.

მახარობლიშვილი – მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი პური და „ერთი საკლავი“ ცვილით ბედან ერისთავმა სააღაპედ შესწირა [სორის?] მონასტერს (XY ს. H–1707. 54v–55r); მ ი ს ი შეწირულება ლომინ ერისთავმა განუახლა [სორის?] მონასტერს ბედან ერისთავის სააღაპედ (XYI ს.H–1707.54 r).

მახარობლისშვილი გიორგი – ძ მ ა ნიკოლოზ მახარობლისშვილისა,იხ.

მახარობლისშვილი ნიკოლოზ – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა გიორგი. ცალ-ცალკე დაგირავებული ყოფილან; თავი დაუხსნიათ და შეწირვიან გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერს. უნდა მიერთმიათ მონასტრის კრებულისათვის ყოველ წელიწადს ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი საკმელი, სამი ლიტრა ზეთი (1692 წ. III. 1. 1449–1838).

მახარტელი – ნაქალაქევში მცხოვრები, ჯანგაზ და ფირან მხეციძეებმა ი გ ი შესწირეს გელათის ხახულის ღმრთისმშობელს (1540 წ.ახლო.1449–1674).

მ[ა]ხ[ა]სშვილი მახარებელი – მ ო წ მ ე გიორგი ჯაყელურის მიერ შიოოჯა ტარსიჰაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს.Ad–1478).

მახასძე– მ ო წ მ ე ნიკოლოზ კათალიკოსის მიერ არვანბეგ საბაისძისათვის მიცემული შეუბანის წყალობის წიგნისა ([1281/1282 წწ.] 1448–5037).

მახატელა – [ჩხარის] ციხის მ ე ც ი ხ ო ვ ნ ე, სხვა მეციხოვნეებთან ერთად თავს დაესხა სოფელს და დაარბია გლეხები. წაართვა: მახარებელა დეკანოიძეს ერთი ლორი, ერთი პური ღვინო; გოგიჩა დეკანოიძეს– მეციხოვნე მარცვალაშვილთან ერთად– ერთი თხა, მეზუა კობალაძეს– ერთი ხარი (XYII ს. Ad – –2233 ბ).

მახატელაშვილი– სკრას მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების]

გაყრის დროს ი გ ი ნახევარი მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

**მახატელაშვილი სულა** – სკრაში მცხოვრები, ი გ ი როინ და გოშფარ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ნახევარი მამულით ერგო გოშფარს ([1527–1558წწ.] Ad–605).

**მახატელი**– მ ო წ მ ე ნინოს მიერ ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული სააღაპე შეწირულების წიგნისა (1477 წ. 1449–1488).

**მახატელი** – გორში მ ი ს გ ა ნ შეძენილი თანდილა კოტოშიძე დომენტი კათალიკოსმა უწყალობა ხუდადა ხოჯაშვილს (1660 წ. Sd–2913).

**მახატელი**– მ ო წ მე გიორგი გზამრუდისშვილ-ყანჩიელის მიერ სახლთუხუცესის შვილის, ფილიპესათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. X.18. Hd–5814).

**მახატელი პაატა** – მ ო წ მ ე შალვა ფავნელისშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. I.1. Ad–984).

**მახაძე**– მ ო წ მ ე ამირან გაბელისძესა და სიაოშ ფალავანდიშვილს შორის სასისხლო დავის გარიგების წიგნისა (1488 წ. YII.1. Hd–8731).

**მახაძე**– დოროთეოს კათალიკოსმა ი გ ი იყიდა გიორგი მეფისაგან და შესწირა ნიტრიის ეკლესიას ([1589–1600 წწ.] 1448–5008).

**მახაძე გიორგი** – მ ო წ მ ე როსტომ გურიელის მიერ ნასყიდა იაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1534–1566 წწ.] АПГА 282–283).

**მახაძე გიორგი** – მ ე ჯ ი ნ ი ბ ე თ უ ხ უ ც ე ს ი, მ ო წ მ ე გიორგი გურიელის მიერ ბოქაულთუხუცეს მირზაბეგ თაუდგირიძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1664–1677 წწ.] ლაი. 800.I. N 1201).

**მახაძე გოჯასპ** – ქ ა ლ ა ქ თ უ ხ უ ც ე ს ი; მ ო წ მ ე როსტომ გურიელის მიერ ნასყიდა იაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1534–1566 წწ] АПГА 282–283).

**მახაძე ლომინ** – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ კაციბერ თოფურიძისათვის მიცემული სასისხლო სიგლისა (XYI–XYII სს. ქმ. N 1608 სას.).

**მახახრასშვილი** (sic!) **ბასილა** – მ ო წ მ ე ურბნელი იოსებ ჯავახიშვილის მიერ რევაზ ქოქოლაძისათვის მიცემული თარხნობის წიგნისა (1700 წ. YIII. 27. 1448–1193).

**მახაჯარებლისძე მაღრიბა** – ზებედე კათალიკოსმა ი გ ი მამულით უწყალობა დავით ელიოზისძეს (1610 წ. 1450–38/180).

**მახეცოა დათუნა** – ცხვილოსელი; ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448–3602).

**მახვილასძე||მახვილაძე**

**მახვილასძე**– ბარათაშვილების გაყრის დროს ი გ ი ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523 წ. Ad–1299 ა).

**მახვილაძე**– მ ს ა ხ უ რ ი, მ ო წ მ ე პაპუნა ბარათაშვილის მიერ ზურაბ ყორღანაშვილისათვის მიცემულ ნასოფლარ ზემო შავნის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. III. 15. Hd–1375).

**მახვილაძე**– მ ი ს ი ფარეხის "ჩამოსწორ" მიჰყიდა გოგია ლიპუაშვილმა ბეჟუა ბარამიძეს საწისქვილე (1665 წ. 1450–26/120).

მახვილაძე ამოან (ვარ ამუან - შ ვ ი ლ ი გოგინა მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე ბასილი — ზაქარია ქვარიანის გ ა ზ რ დ ი ლ ი. ზაქარიამ ი გ ი კურსებში, ხახულის ღმრთისმშობლის კუთენილ ადგილზე, დაასახლა და შესწირა ხახულის ღმრთისმშობელს (1644 წ.YI. ქმ. N 139).

მახვილაძე ბეჟიტა — [ძ მ ა] გოგინა მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე ბერუა — შ ვ ი ლ ი სეხნია მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე გივი — [ძ მ ა] გოგინა მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე გოგინა (ვარ.გოგილა)— 1641—1687 წწ. ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი ]: გივი, ბეჟიტა (1641 წ. Ad—1770); შ ვ ი ლ ე ბ ი: ზაზუნა, ამოან (1641—1687 წწ. Ad: 1770, 1675 ბ), ყ მ ა ბიძინა (1641 წ. Ad—1770). პაპია ქყოპიაშვილს, თავისი ორი ძმისწულის მონათვლის საზღაურად,არუქა ორი დღის მიწა ზემო და ქვემო დრისში (1641 წ. Ad—1770); მ ი ჰ ყ ი დ ა პაპია ქყოპიაშვილს დღენახევრის მიწა თეძმის პირას მალცაძის საზღვარამდე (1687 წ. Ad—1675 ბ).

მახვილაძე დავით — მ ო წ მ ე დარისპანა ბერძნიშვილის მიერ ოსიუმა ბუძღულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYI ს.Hd—1571 ).

მახვილაძე დავით — შ ვ ი ლ ი როსტევან მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე დათუნა — შ ვ ი ლ ი სეხნია მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე ზაალ — ძ მ ი ს წ უ ლ ი როსტევან მახვილაძისა, იხ.

მახვილასძე ზაზა— გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი ძმებით და მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527—1558 წწ.] Qd—605).

მახვილაძე ზაზუნა — შ ვ ი ლ ი გოგინა მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე თამაზა — 1665—1688 წწ. ჰ ყ ა ვ ს მ ა მ ა სეხნია მახვილაძე, იხ., ძ მ ა სახლთუხუცესი პაპუა (1688 წ. 1450—35/22). მ ო წ მ ე: გოგია ლიპუასშვილის მიერ ბეჟუა ბარამიძისათვის მიცემული საწისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. 1450—26/120), ფარემუზ ჯავახიშვილის მიერ თამაზა ნინიასშვილისათვის მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XII.10. 1450—35/22).

მახვილაძე იასე — ძ მ ა პაპუა მახვილაძისა, იხ.

მახვილასძე იასე — მ ო წ მ ე გამრეკელ ჯავახიშვილის მიერ თავისი შვილის, შამანდუხისათვის მიცემული მზითვის წიგნისა (1597 წ.Hd—14425).

მახვილაძე ოთარ — ძ მ ი ს წ უ ლ ი როსტევან მახვილაძისა, იხ.

მახვილაძე პაპუა — 1619—1689 წწ. ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი (1688 წ. 1450—35/22), ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა სეხნია მახვილაძე, იხ., ძ მ ე ბ ი: თამაზა, იასე (1688 წ. 1450—35/22), როსტევან (1689 წ. 1450—33/233). მ ი ჰ ყ ი დ ა არაქელ [სპანდიერისშვილს] მამული, რომელსაც ესაზღვრებოდა ნინიაშვილის მამული ისლამირზიშვილის ბოგირის ბოლომდე და ლიპუაშვილის მიწა (1689 წ.Y.1450—33/233); მ ო წ მ ე: გოგია ლიპუაშვილის მიერ ბეჟუა ბარამიძისათვის მიცემული საწისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ.1450—26/120), ივანე მეხარიშვილის მიერ პაპუნა თუხარლისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. IY.20. Sd—51), ფარემუზ ჯავახიშვილის მიერ თამაზა ნინიასშვილისათვის მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ.XII.10. 1450—35/22).

მახვილაძე პაპუნა — ელისბარ [დავითიშვილის] მკვიდრი ყ მ ა, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი. ელისბარმა მ ა ს უწყალობა მიქოს (sl x l) [ნიქოზს?] ვეშაპის-

ძისაგან ნაყიდი სასახლის ადგილი და ყამაზაშვილისაგან ნაყიდი ვენახი, დაასახლა ამ მამულზე, სანაცვლოდ დააკისრა ალაპის გადახდა ბატონ ანა-ხანუმისათვის (1656 წ.Sd–605).

**მახვილაძე როსტევან** – 1689–1698 წწ. ძ მ ა პაპუა მახვილაძისა, იხ.(1689წ. 1450–33/233); ჰ ყ ა ვ ს: შ ვ ი ლ ი დავით, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: ზაალ, ოთარ (1696–1698 წწ. 1450–33/234, Hd–14523). ტერ-მარქარას მ ი ჰ ყ ი დ ა და გ ა უ ც ვ ა ლ ა ვენახი ვენახზე შაქარაშვილისა და ტერ-მარქარას მიწამდე. ალო „სხვა სართი და ფასი" (1696 წ. YIII. 1450–33/234), თამაზა დათეიაშვილს მიჰყიდა მიწა (1698 წ. X.10. Hd–14523); უცნობმა პირმა (მეფემ?) ი გ ი, შვილებით, უწყალობა ფარემუზ ჯავახიშვილს იმ პირობით, რომ ფარემუზისათვის მახვილაძეებს უნდა ემსახურათ მის სიცოცხლეში ([1697–1712 წწ.] Hd–7574).

**მახვილასძე როსტია** – გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527–1558 წწ.]Qd–605).

**მახვილაძე სეხნია** – 1619–1669 წწ. რევაზ და ფარემუზ ჯავახიშვილების ა ზ ნ ა უ რ ი ს შ ვ ი ლ ი (1669 წ. 1449–1825 ბ), ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: თამაზა, იხ., პაპუა, ბერუა, დათუა, როსტევან. მ ი ს მ ა განაყოფმა პაპია ქყოპიაშვილს მიჰყიდა თეძამზე სავენახე მიწა. ს ე ხ ნ ი ა მ ქყოპიაშვილს ამ მიწაზე დავა დაუწყო, რის გამოც ქყოპიაშვილმა ხელმეორედ შეიძინა ეს მიწა ს ე ხ ნ ი ა ს ა გ ა ნ (1619 წ.Ad–1857); მ ა ს ექირა მანგლისის ღმრთისმშობლის ცამეტი დღის მიწა, რომლის სანაცვლოდაც რევაზ ჯავახიშვილმა მანგლისის ღმრთისმშობელს სხვა მიწები შესწირა (1669 წ.1449–1825 ბ).

**მახუილასძე სურამელა** – გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

**მახუილასძე ლამბარა** – მ ი ს ი მამული, სურამელას მამულის გარდა, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ერგო გოშფარს ([1527–1528წწ.] Qd–605).

**მახიადიდი** – მარიამ დედოფლის მ ა ხ ი ა დ ი დ ი მოხსენებულია სამეფო კარის მსახურთა სიაში ([1688–1703 წწ.] Ad–763).

**მახიაშვილი** – მ ღ ვ დ ე ლ ი, მ ი ს ი წყალობა განუახლა გიორგი მეფემ იბაშერ [შალიკაშვილს] (1682 წ.Y.25.1450–35/137).

**მახმადაშვილი გოგია** – ზემო ძვიმლეთს მცხოვრები, ბეჟან ტატიშვილის ყ მ ა, ერთი კომლი, მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XY.II ს. II ნახ. Qd–7017).

**მახნია** – ერტისს მცხოვრები, [ბარათაშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523 წ. Ad–1299 /ა).

**მახნიაშვილი** – ვახუშტი აბაშიძემ ი გ ი შესწირა კაცხის მონასტერს ([1550–1570 წწ.] 1449–1583).

**მახნიშვილი** – აბანოს მცხოვრები, მ ი ს ი მამული მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს.დამდ.Qd–7014).

**მახნიაშვილი** – სომხითში მ ი ს ი ნაქონი ყმები: მახნიაშვილი, ზიგოლა იბაშერ, ალექსანა ბეჟან ამილახორმა უწყალობა იოვანე წინამძღვარს (1642 წ. X.2. 1450–30/139).

**მახნიაშვილი** – იოსებ ტფილელის მიერ წინარეხელთათვის მიცემულ დავის გარიგების განახლების წიგნში სარწყავი რუს თაობაზე აღნიშნულია, რომ მ ი ს და უკუწირიძის მამულში წყალს, რიგით ყოველ მეორე ხუთშაბათს, დღე და ღამე

უნდა ელინა ([1661–1688 წწ.] 1449–5032).

**მახნიაშვილი გოგია** – ცხინურს მცხოვრები, პაატა ბასილაშვილის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მახოტელი პაატა** – კულბითში ეკუთვნოდა სიბანასშვილი გიორგი, გიორგისშვილი ბერი (1700 წ. 1448–3602).

**მახტუმაშვილი** – ენაგეთს მცხოვრები, ა ზ ნ ა უ რ ი, [ბარათაშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერთ წილად ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523წ. Ad––1299 ა).

**მახუა** – მ ო წ მ ე იაგანა პაპუაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის შუამავლობის საფასურად მიწის მიცემის წიგნისა (1673 წ. XI. 1450–7/6).

**მახუტა** – ხევისჯვარელი, თამარ დედოფალმა ი გ ი უწყალობა გულჩარაბაჯის (1611 წ. 1448–8760).

**მახუტაშვილი** – წინაგორს მცხოვრები, ერთი კომლი, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მახუტია გომთინირია** – მუხურს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: საპურობო, ოზურული, ლაშქრობა (1621 წ. ქსძ. III. N 91).

**მახუჯიგიანი ფრანგი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ჩერეგ მახუჯიგიანისა, იხ.

**მახუჯიხიანი ჩერეგ** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ფრანგი. გაბისვიანთ მისცა დაწერილი მოკვეთილ შედგომის შესახებ (XIY–XY სს. სწძ. I. N 19).

**მაკა** – ი გ ი და დედილი ერთმანეთს წაკიდებიან. ამ საქმის მოურავთა გადაწყვეტილებით, დედილს მ ი ს სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ორასი თეთრი, რომელიც სეტიელმა გადაიხადა (XIY ს. ბოლო. სსძ. II. N 83).

მაჯანისძე||მაჯანიძე

**მაჯანისძე** – იმერხევს მცხოვრები, გიორგი მეფემ ი გ ი შესწირა სვეტიცხოველს (1447 წ. 1448–5016); კონსტანტინე და [სვიმონ] მეფეებმა განუახლეს მისი შეწირულება სვეტიცხოველს ([1503–1505 წწ.] 1449–1656, 1559 წ. XII. 1. Ad–1572).

**მაჯანისძე ბადრია** – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბოთუერა. ბეგამ, სარგისმა, ნოდარმა და ამილღაბარმა მისცეს პირობა ბასილი კათალიკოსს, რომ მ ი ს სამამულე დავას სამართლიანად გაარჩევდნენ ([1517–1528 წწ.] 1449––1618).

**მაჯანიძე ბერი** – [შ ვ ი ლ ი] პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჯანიძე ბერი** – ძ მ ა სეხნია მაჯანიძე-ოთიასშვილისა, იხ.

**მაჯანიძე ბოთუერა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბადრია მაჯანისძისა, იხ.

**მაჯანიძე გიორგი** – შ ვ ი ლ ი სეხნია მაჯანიძე-ოთიასშვილისა, იხ.

**მაჯანიძე გოგია** – ძ მ ა პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჯანიძე ელიზბარა** – ნახშირგორელი, წილად ხვდა თამაზ [ბარათაშვილს] ([1638–1658 წწ.] 1448–2318).

**მაჯანიძე ელიზბარა** – მ ო წ მ ე ოთარის მიერ ბერუა იაგულასშვილისათვის მიცემული მიწის წყალობის წიგნისა (1663 წ. I. 22. 1450–32/355).

**მაჯანისძე თამაზა** – [შ ვ ი ლ ი] პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჯანიძე თევდორა** – ძ მ ა პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჯანიძე ივანა** – [შ ვ ი ლ ი] პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჯანიძე მახარა** – ძ მ ა სეხნია მაჯანიძე-ოთამიშვილისა, იხ.

**მაჯანისძენი** – ალექსანდრე მეფემ შესწირა ი ს ი ნ ი სვეტიცხოველს ([1476–1511 წწ.] 1449–1642).

**მაჯანისძენი** – იმერხევს მცხოვრებნი, ეკუთვნოდნენ სარკის წმინდა გიორგის. [სვიმონ] მეფემ განუახლა მ ა თ ი შეწირულება სვეტიცხოველს (qeo1 s1c!) ([1559 წ.] Hd–8712).

**მაჯანიძე-ოთიასშვილი სეხნია** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: მახარა, ბერი. შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, პეტრე. მ ი ჰ ყ ი დ ა ბიძინა ავთანდილასშვილს მისი განაყოფისაგან ნაყიდი ნაფუძარი საზვიაშვილის ნაფუძრამდე (1682 წ.1450–38/200).

**მაჯანიძე პაპუნა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: გოგია, თევდორა. [შ ვ ი ლ ე ბ ი]: ბერი, ქუმსი, ივანა, თამაზა (1682 წ.1450–38/207); მ ი ჰ ყ ი დ ა ბიძინა ავთანდილასშვილის მიწა მისივე კალოს პირას (1682 წ.1450–38/207); მ ო წ მ ე: სეხნია მაჯანიძე-ოთიასშვილის მიერ ბიძინა ავთანდილასშვილისათვის მიცემული ნაფუძრის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ.1450–38/200).

**მაჯანიძე პეტრე** – შ ვ ი ლ ი სეხნია მაჯანიძე-ოთიასშვილისა, იხ.

**მაჯანიძე ქუმსი** – [შ ვ ი ლ ი] პაპუნა მაჯანიძისა, იხ.

**მაჰმადა** – მ ე ჯ ო რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი, ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ჰუსეინა, შ ვ ი ლ ე ბ ი: აბასყული და იმამვერდი. ი ყ ი დ ა გიორგი სანჯარაშვილისაგან ერთი სახლი (სიგრძეში 9 ადლი, ჩარექით ნაკლები, სიგანეში 6 ადლი, ჩარექით ნაკლები) და საკუჰნაო (სიგრძეში 5 ადლი, სიგანეში– 2) ჰამაზას კედლამდე, ბეზოტასა და შერმაზანას სახლებამდე (1646 წ.ახლო. 1450–53/120).

**მაჰმადა** – მ ი ს ი ვენახი ესაზღვრებოდა: ჰასანა მირზაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიყიდულ მიწას (1652 წ. I.13. 1450–6/14) და როსტომ მეფის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის დამტკიცებულ ნასყიდ სავენახეს სამწევრისში (1652 წ. 1450–6/33), ლევან ბატონიშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის ნაწყალობევ ვენახს (1682 წ. 1450–5/46).

**მაჰმად-აღა** – მ ო წ მ ე როსტომ-ფაშას მიერ ქაიხოსრო ციციშვილისათვის მიცემული სადგერის ხეობის წყალობის წიგნისა (1672 წ.ახლო.1448–5548).

**მაჰმადაღა** – ყორჩიბაშის თაბუნის წევრი, მეჯლისის დროს ევალებოდა მეფის უკან შეიარაღებული დგომა (XYII ს. 90–ანი წწ. Ad–620).

**მაჰმად ბაღირ-ბეგ სადული** (ვარ. მამად ბაღირა)– 1689–1693 წწ. სეფაიბთის მ ი ნ ბ ა შ ი (1689 წ. Hd–14590), სამეფო კარის მ უ ს ტ ო ფ ი (1690, 1693 წწ. 1448: 543, 542). ნაზარალი-ხანმა მ ა ს განუახლა წყალობა სამეფო კარის მუსტოფობისა და გაუჩინა ჯამაგირი– წელიწადში ოცი თუმანი(1690წ. III.1.1448–543), ნაზარალი-ხანმა ჩამოართვა მამული და უწყალობა სანაცვლოდ სხვა– რატიშვილებისა და ბაინდურა შანშიაშვილისათვის ჩამორთმეული ზემო სახუნდარი (1693 წ. YI.21. 1448–542), მანვე უწყალობა ყმები– გურგენა და მისი შვილები, გიუნა და გოდერძი, რომლებიც მუსტოფ ხან-ყულის გასამყრელოდ ჰქონდა აღებული თავისი ყმების, ყარაშვილებისაგან (1691 წ.YIII.28. 1448 – –544); გივი თუმანიშვილს მ ა ნ მისცა ყაბზის გაცუდების წიგნი (1689 წ.Hd– –14590).

**მაჰმად ზამანა** – მ უ ს ტ ო ფ ი, შაჰნავაზმა მ ა ს უწყალობა მუსტოფობა და დაუნიშნა ჯამაგირი– წელიწადში ოცი თუმანი და მუსტოფის სარგო (1659 წ.IX.10. 1448–550).

**მაჰმადყული** – იხ. კონსტანტინე ბატონიშვილი

**მაჰმადყულიბეგ** – შვილი სეფიყულბეგისა, იხ.

**მაჰმუდა** – ქალაქში მცხოვრები, მანუჩარის ყმა, ნაზარალი-ხანმა დაუმტკიცა მისი წყალობა მანუჩარს (1689 წ. 1450–53/97).

**მგალობლისშვილი ათანასე** – ძმა ბეჟანა მგალობლისშვილისა, იხ.

**მგალობლისშვილი ბეჟანა** – ჰყავს ძმები: ათანასე, პეტრე. მათთან ერთად მოწმეა გრიგოლ ალავერდელის მიერ კირილე ბოდბელისათვის მიცემული წყალობის წიგნისა (1670 წ. 1448–636).

**მგალობლისშვილი გიორგი** – ალავერდის საყდრის აზნაურიშვილი, მოწმე ალავერდელი ნიკოლოზ ანდრონიკეშვილის მიერ დემეტრა გამსახურდასშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1687 წ.1449–1856).

**მგალობლისშვილი იოსებ** – დამწერი და მოწმე ალავერდელ ნიკოლოზ ანდრონიკეშვილის მიერ დემეტრა გამსახურდასშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1687 წ.1449–1856).

**მგალობლისშვილი პეტრე** – 1670–[1688] წწ. მდივანი, ძმა ბეჟანა მგალობლიშვილისა, იხ., იგი უნდა ხლებოდა ერეკლე მეფეს რუსეთში,მაგრამ გზაში დაუჭერიათ; შემდეგ იგი ემსახურებოდა ერეკლეს კახეთსა და ისპაანში, ამის გამო ერეკლემ მას უწყალობა მდივნის სახელო ([1675–1688 წწ.] 1448–555).

**მგალობლისშვილი სვიმონ** – დამწერი და მოწმე: პაატა ჭარმულაურის მიერ ავთანდილ ბეგვერდისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1622 წ.I.4.1450–35/73), ბასილა ქყიტიაშვილის მიერ ავთანდილ ბეგვერდისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1622 წ.I.1450–35/71).

**მგელა** – გლეხი, კისისხევში მცხოვრები, თეიმურაზ მეფემ შესწირა იგი ალავერდის ტაძარს თავისი მეუღლის, ანას სააღაპედ (1612 წ.Y.10.1448–5071).

**მგელა** – დაღეთს მცხოვრები, წილში ერგო ყორჩიბაშ ბადურ [ციციშვილს] (1651 წ. ახლო. 1450–37/164)

**მგელა** – თუში, ახალშენში მცხოვრები, ბოგანო, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის ყმათა ნუსხაში (1689 წ.1449–1792).

**მგელა** – საშვებს მცხოვრები, ლიპარტისშვილის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მგელაშვილები** – ციცქიურში, ვერტყუილას, ჭალასა და ნადაბაურში მცხოვრებნი, თეიმურაზ მეფემ უწყალობა ისინი ბატონ ლევანს და მის სიძეს – ამილღამბარს (1628 წ. X.30. Hd–14680).

**მგელაშვილი** – ერთი კომლი, ლუარსაბ მეფემ განუახლა მისი შეწირულება სიონის ეკლესიას (1552 წ. 1449–1498).

**მგელაშვილი** – თორტიზას მცხოვრები, ვარამის ყმა, ერთი კომლი, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს.II ნახ. 1448–5032).

**მგელაშვილი ხერიკა** – კარალელი, მოწმე მამუკა შავშიშვილის მიერ მითარა საღრიჩაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ. 1449–1848).

მგელაშვილი გოგია – თელოვნელი, სვეტიცხოვლის ყ მ ა, როსტომ მეფეს ი გ ი თავისი სასაფლაოს აზნაურიშვილის, თანია გაბრიელისშვილისათვის უწყალობებია. შემდგომში გ ო გ ი ა დამდურებია თავის ბატონს და აელაზარში ჩასულა. როსტომ მეფემ აელაზრიდან აყარა და ისევ თანია გაბრიელისშვილს დაუბრუნა (1657 წ. 1449–25).

მგელაშვილი გოგია – ყურს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა ლაშქრობა (XYIII ს. II ნახ. 1448–5032).

მგელაძე – გელაძე და მისი განაყოფი მ გ ე ლ ა ძ ე სახლ-კარით შესწირა მამია გურიელმა ბიჭვინტის ღმრთისმშობელს (1610 წ. ახლო. 1448–2156).

მგელაძე გიორგისაი – [1661]–1664 წ. ახლო. იოვანე კბილიანისშვილის ყ მ ა (1664 წ.ახლო. 1448–2157), ვამეყ დადიანმა შესწირა ი გ ი ბიჭვინთას([1661წ.] 1448–2155), გიორგი გურიელმა შესწირა ი გ ი ბიჭვინთას ღმრთისმშობელს (1664 წ.ახლო. 1448–2157).

მგელაძე ნასყიდა – ნაქალაქევში მცხოვრები, ჯანგაზ და ფირან მხეციძეებმა შესწირეს ი გ ი გელათის ხახულის ღმრთისმშობელს (1531 წ.ახლო. 1449–1674).

მგელია – არატუაზანში მცხოვრები, გუგუნა მაყაშვილის ყ მ ა, ალექსანდრე მეფემ შესწირა ი გ ი ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიის (1594 წ. 1449–1509).

მგელია – ბ ო გ ა ნ ო, წილში ერგო ხოსია [ბარათაშვილს] (1640 წ. 1450–11/92ვ)

მგელია – მ ჭ ე დ ე ლ ი, წვიმეტიძის ბიძის ყოფილი ყ მ ა, შიმშილობის დროს პაპუნა ბარათაშვილმა დაასახლა ი გ ი აგუდანეთში. თექვსმეტი წლის შემდეგ პაპუნას მასზე შეედავა მოურავისშვილი; როსტომ მეფემ ი გ ი პაპუნას დაუტოვა (1641 წ. III.23. Ad–1172).

მგელია – ხელთუბანს მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო, ძამელასთან ერთად ი გ ი წილად ხვდა: მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს ([1656 წ.] Hd–14665), მანუჩარ თუმანიშვილს (1656 წ. Hd–11348).

მგელია: მგელიასეული – მ გ ე ლ ი ა ს ე უ ლ ი ორი ღლის მიწა მიჰყიდა ბასილა სულხანაშვილმა ზურაბ ჯავახიშვილს (1672 წ. Y.9. Ad–967).

მგელია – ახალდაბას მცხოვრები, დათუნა მაღრან[ე]ლის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს.II ნახ. 1448–5032).

მგელია – რუისპირს მცხოვრები, შეტანილის სამების ყმების ნუსხაში (XYII–XYIII სს. მიჯნა. 1449–1841).

მგელიაშვილი – ციცი [ციციშვილის] და მამუკა მაღრაძის სამამულე დავის განჩინებით, ი გ ი მამულით დარჩა მამუკას (XYII ს. ბოლო. Hd–821).

მგელიაშვილი ბერიკა – ტყიურეთს მცხოვრები, დათუნა ქარუმიძის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა ლაშქრობა (XYII ს.II ნახ. 1448–5032).

მგელიაშვილი გელიტა – მ ო წ მ ე უცნობი პირის მიერ მამუკა ბახჩიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ. 1448–10000).

მგელიაშვილი მახარა – ჭ ყ ა ვ ს [ძ მ ა] ხიზანა, მ ი ჭ ყ ი დ ა ფირშავათ ამაზაშვილ პაპუას გაყოფის შედეგად წილში ნარგები თავისი მკვიდრი სა–

სახლე, ოცდაერთი ადლის სიგანისა ქალაქისაკენ. სასახლეს ესაზღვრებოდა მისი განაყოფის დარბაზის კედელი, წურლა მათ სოლთაყულას სახლი, ფარსუმანაშვილის სახლი და სათემო შარა ბურჯალათ სახლისაკენ (1679 წ.YIII. Sd–767).

**მგელიაშვილი მგელია** – [ძ მ ა] შიო მგელიაშვილისა, იხ.

**მგელიაშვილი შიო** – ვეძელი, ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] მგელია. ირემა ნაოქა – შვილთან ერთად მ ი ჰ ყ ი დ ა ესტატე მარინდაშვილს ერთი დღის ნავენახევი ახალშნურში (1690 წ. 1450–28/243).

**მგელიაშვილი ხიზანა** – [ძ მ ა] მახარა მგელიაშვილისა, იხ.

**მგელიტა** – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა სოზია შეშაბერიძის მიერ მათეოზ მოსეშვილისათვის მიყიდულ ვენახს (1657 წ. 1450–38/125).

**მგელიტა** – მ ო წ მ ე მაზიტა იმარასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.XII.15– 1450–49/112).

**მგელიტა** – ქარელი, მ ო წ მ ე ხოსიტას მიერ თამაზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ.YI.Hd–5266).

**მგელიტა** – შიბლიანელი ქ ე მ ხ ა, მ ო წ მ ე კაკაბელთა და შიბლიანელთა შორის სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1700 წ.XI.15.Ad–574).

**მგელიტა** – ცხვილოსს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მგელიტა** – კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მგელიტა** – მ ი ს საზღვრამდე უწყალობა ბახუტა ჯავახიშვილმა წოდორელ ხუცეს იასეს ლაზარას ნაქონი სასახლე ადგილი (XYII ს. მესამე მეოთხ.Hd––14987).

**მგელიტაშვილი ბერიკა** – გიორგი მეფემ ი გ ი გაათარხნა (1679 წ. Hd––1968).

**მგელიტაშვილი თამაზა**– მ ი ჰ ყ ი დ ა მამულა ვარამასშვილს ნავენახევი გიორგასშვილის ვენახის ქვევით, ლაზარასა და სულხანიშვილის მიწებამდე, აგრეთვე– სათოხარი ლაზარასა და ბერუა გოლიასშვილის საზღვრებამდე (1696 წ. Ad–981).

**მგელიტაშვილი მღთისია** (ვარ.ღთისია, ღმრთისია) 1672–1686 წწ. მ ჴ ე დ ე ლ ი, მ ო წ მ ე: ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბ ჯავახისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.Y.9.Ad–967), სვიმონ სულხანაშვილის მიერ ზურაბ ჯავახიშვილისათვის მიცემული წოდორეთს სასახლისა და მამულის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. Y.1. Hd–2629), ნადირა მირზაშვილის მიერ ივანე სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. Y.1. Sd–149).

[**მგელიტაშვილი**] **სეხნია** – გიორგი მეფემ ი გ ი გაათარხნა (1679 წ. Hd – 1968).

**მგელო** – მ ა ს შეუწირავს ზვარი სვეტიცხოვლისათვის (1613 წ.1449–2640).

**მგელუა** – ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა მამინა, შ ვ ი ლ ი ბაირამა, ი ყ ი დ ა დავით მურაჩაშვილისაგან ვენახი პარონშას ვენახამდე (1657 წ. Ad–915).

**მგლისჯოგი გიორგი** – კურვალეთს მცხოვრები, თამაზის ყ მ ა, საამილახვ-

რის დავთრის მიხედვით მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მგლისჯოგი პაატა** — მუხრევალეთს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მდივანასშვილი თანდილა** — ძმისწული პაპუნა მდივანასშვილისა,იხ.

**მდივანასშვილი ნონა** — ძმისწული პაპინა მდივანასშვილისა,იხ.

**მდივანასშვილი პაპინა** — ჰყავს ძმისწულები: თანდილა, ნონა. მისცა პირობა თავის ბატონს, სახლთუხუცეს მანუჩარ [ციციშვილს],რომ თეთრის ვალის საზღაურში ემსახურებოდა და წელიწადში მისი სულის საწირავად ორ ცხვარს, ღვინოს და სანთელ-ს კმეველს დახარჯავდა (XYII ს.I ნახ.Sd–142).

**მდივანბეგიშვილი სულხან** — მოწმე ხოსუა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699 წ. IX.27. Hd–10257).

**მდივნისშვილი აგთანდილა** — მოწმე დუშია ელიარაშვილის მიერ სოლბათიასაულ მაინდურ გოგიბაშვილ-პაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ. YI.1.1450–6/13).

**მდივნისშვილი სულხან** — დამწერი და მოწმე ალიხან არეშიშვილის მიერ გერმანოზ ბარათაშვილისათვის მიცემული მიწების გაცვლილობის წიგნისა (1638 წ. IY.5. Hd–6261).

**მდიქისაძე** — იგი დაზავებ ა მომჩივნის დედ-მამას და მიუცია მათთვის ძმობისა და უვნებლობის ჩაქი, აღნიშნულია უცნობი პირის საჩივრის წიგნში (XIII ს. II ნახ.Hd–1589).

**მებაზისშვილი** — კოდმანს მცხოვრები, იგი სახლ-კარით ერგო არდიშელ რამაზაშვილს ([1695–1697 წწ.] 1450–31/132).

**მებუკე განანა** — ხონის საყდრის ყმა, ემართა: ხადილი, ორი ლორი, ორი ქათამი, ორი თეთრის თევზი, ყველი, კვერცხი, ლომი, ღვინო, საჯვარისმტვირთველო ხადილი, ორი საკლავი, ორი ქათამი, ორი თეთრის თევზ , ყველი , კვერცხი, ლომი, ღვინო, სამარხო ხადილი, ლომი, ღვინო, თევზი (XYI ს. ბოლო, 1448–5034).

**მებუკე კაცია** — ხონის საყდრის ყმა, ემართა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, საპურობო, ერთი ქათამი, სამი კოდი ლომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, სამი თეთრის საბატკობო და ერთი ქათამი, სამი კოდი ლომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, ოთხი ქათამი, სამაჰრობო, სამი კოდი ლომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, ერთი თეთრის საყველიერო, ათი კოდი ცეხვილი, ოცი კოკა ღვინო, სამსახური. სხვა მებუკეებთან ერთად ემართა კიდევ სასვენებლის ანჩისხატის ორი ხვადაგი და კალანდის წინა დღეს დეკანოზისა და ბატონის მოხელეების მასპინძლობა (XYI ს. ბოლო 1448–5034).

**მებუკე მიდოდა** — ხონის საყდრის ყმა, ემართა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, საპურობო, ერთი ქათამი, სამი კოდი ლომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, სამი თეთრის საბატკობო, ერთი ქათამი, სამი კოდი ლომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, ერთი თეთრის საყველიერო, თექვსმეტი კოკა ღვინო, ათი კოდი ცეხვილი ლომი, სამსახური. სხვა მებუკეებთან ერთად ემართა კიდევ სასვენებლის ანჩისხატის ორი ხვადაგი, კალანდის წინა დღეს დეკანოზისა და ბატონის მოხელეების მასპინძლობა (XYI ს. ბოლო 1448–5034).

მებუკე სულმამა — ხონის საყდრის ყ მ ა, ე მ ა რ თ ა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი თეთრის ყველი, სამი თეთრის საბატკობო, ერთი ქათამი, სამი კოდი ღომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, ოთხი ქათამი, სამაჭრობო, სამი კოდი ღომი, ორი კოკა ღვინო, ორი თეთრი, ერთი თეთრის საყველიერო, შვიდი კოკა ღვინო, ექვსი კოდი ცეხვილი, სამსახური, სხვა მებუკეებთან ერთად ე მ ა რ თ ა კიდევ სასვენებლის ანჩისხატის ორი ხვადაგი, კალანდის წინა დღეს დეკანოზისა და ბატონის მოხელეების მასპინძლობა (XYI ს. ბოლო. 1448–5034).

მებუნისშვილი ბერიკა — [შ ვ ი ლ ი] ნიკოლოზ მებუნისშვილისა, იხ.

მებუნიშვილი თევდორა — მაღლაკს მცხოვრები, ი გ ი ნასისხლად მიუცია ესტატე ნიჟარაძეს ლაშხიშვილისათვის, ლაშხიშვილისაგან ი გ ი იყიდა ბაგრატ მეფემ და შესწირა გელათის წმინდა გიორგის საყდარს, დაუწესა გადასახადი: ათი თეთრი, ორმოცი კოკა ღვინო, ერთი ბატკანი (1545 წ. YI. 12. Hd–11201).

მებუნისშვილი ივანა — ძ მ ა ნიკოლოზ მებუნისშვილისა, იხ.

მებუნისშვილი ნიკოლოზ — ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ივანა, [შ ვ ი ლ ე ბ ი]: ოქრუა, ბერიკა. [ნიკოლოზ] კათალიკოსმა გამოართვა მ ა ს სხერტაში ნასყიდი სამი დღის მიწა და სამაგიეროდ მისცა მახარებლის ნასყიდი მიწა ზვრის თავში ([1678–1687 წწ.] Qd–3694).

მებუნისშვილი ოქრუა — [შ ვ ი ლ ი] ნიკოლოზ მებუნისშვილისა, იხ.

მებურნიშვილი მამისიმედი — კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

მებურნიშვილი შიუკაი — მ ო წ მ ე კაცია დიასამიძის მიერ ზებედე ნიქოზელისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1626 წ. III.20.1450–33/355).

მეგრელი დათუნა — სამწევრისში მცხოვრები, მ ო წ მ ე პაპუნა დოდაშვილის მიერ შერმაზან ხაშარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. 1448–8763).

მეგრელი თამაზა — 1681–1696 წწ. გიორგი მეფემ ი გ ი უწყალობა ალავერდა [იაგულაშვილს] სოფელ ჯახოშაში ამოვარდნილი ალიხანას ნაქონი მამული, რომელიც თამაზა მ ე გ რ ე ლ ს ჰქონდა და აგრეთვე — მ ი ს ი კუთვნილი მამული შულავერში (1681 წ. 1450–9/104); მ ო წ მ ე თამაზა მგელიტაშვილის მიერ მამულა ვარამასშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. Ad–981).

მეგრელი პაატა — კრობანში მცხოვრები, წილად ხვდა ქაიხოსრო [ციცი — შვილს] ([1664–1673 წწ.] 1448–5042).

მეგრელისშვილი||მეგრელიშვილი

მეგრელისშვილი — პაატა აბაშიძემ შესწირა კაცხის ეკლესიას საზანოსა და ტყლაპში მამული, რომლის ერთ-ერთი საზღვარი მ ი ს ი მიწა იყო (1680–იანი წწ. სს. II. 52–57).

მეგრელიშვილი ივანე — აცანაში მცხოვრები; ბეჟან ტატუაშვილმა ი გ ი შესწირა [იერუსალიმის] ჯვრის მონასტერს და დააკისრა სამი რუბი ბეგარა და სამსახური (XYII ს. Hd–11275).

მეგრელისშვილი ნასყიდა — ბაილეთში მცხოვრები, მამია გურიელმა ი გ ი შესწირა ჩხეჲდენას ტაძარს და დააკისრა ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, სამი სამადგანი ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, საყველიერო, სამეჯინიბო, საბაზიერო და საშობო-საპურობო, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ორი სამადგანი ღომი

და ორი საწყავი ღვინო ([1601–1627 წწ.] Ad–1913).

მეგრელიშვილი სეხნია — ი ყ ი დ ა პაატა ელიაშვილისაგან ნაფუძარი(1609წ. ახლო. ქკმეის. 11).

მეგრელიძე — ქუთაისს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის ტაძრის ზეგარა: საყდრის ჰედვა და ხელოსნობა (1578 წ. H–626).

მეგრელიძე პაპია — ოცხანელი, საკათალიკოსო გლეხების ბეგრის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ა ს ემართა: ერთი ძროხის ნახევარი, ერთი საკლავი სასტუმრო, ორი წონა ღომი, ექვსი სამესხო ღვინო, პური, ორი ქათამი (XYI ს.II ნახ. 1448–3322).

მეგუტაშვილი ელიზბარა — ზესში მცხოვრები, შაჰნავაზს ი გ ი შეუწირავს [მანგლისის] ტაძრისათვის (XYII ს. ბოლო მეოთხ. 1449–1931).

მედი — ბ ი ძ ა ხიზანასი, იხ.

მედია — რეხაში მცხოვრები, ელიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს, ი გ ი, უზანას ნასახლარით და მამულით, ერგო ელიშერს ([1688–1703წწ.] Hd–1636).

მედიასშვილი||მედიაშვილი

მედიაშვილი ადუა — ახალშენში მცხოვრები, გიორგი მეფემ დურმიშხანის წილი ყმა-მამულიდან ი გ ი მამულით უწყალობა გიორგი მიქელაძეს (1688 წ.Sd–547).

მედიაშვილი არაქელა — მ ო წ მ ე პაპუნა შატბერაშვილის მიერ ალექსანა ნანუკაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ.YI.1. 1450–10/173).

მედიასშვილი ბასილა — შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ქიტია მედიასშვილისა, იხ.

მედიასშვილი იასე — შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი ქიტია მედიასშვილისა, იხ.

მედიასშვილი მედია — შ ვ ი ლ ი ქიტია მედიასშვილისა, იხ.

მედიასშვილი ქიტია — ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: შიო, მედია, შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი: იასე, ბასილი. ი გ ი გაათარხნა პაპუა პატასშვილმა და დაუტოვა მხოლოდ თავისი მამის მეალაპეობა და ქალაქში შეშის ჩამოტანა (1691 წ. Y. 25. Hd–1702).

მედიასშვილი შიო — შ ვ ი ლ ი ქიტია მედიასშვილისა, იხ.

მეზვრისშვილი||მეზურიშვილი||მეზრისშვილი||მეზრიშვილი

მეზურიშვილი — მ ი ს მიწამდე მიჰყიდა მერაბ ციციშვილმა ამილამბარ ციციშვილს ნიჩბისში დადიანის ნავენახევი (1693 წ. Y.17. Ad–1159).

მეზრიშვილი — მ ი ს ი [მიწა ატენში] ესაზღვრებოდა ბერუკა იშხანაშვილის მიერ ყალანდარ თუმანიშვილისათვის მიყიდულ ვენახს (XYII ს. დამლ.1450–3/33).

მეზვრისშვილი — მ ა ს ლეერეთში ჰყავდა ერთი კომლი ბოგანო– ივანე და მისი შვილები: ნინია, ლაზარე, ზაქუტა და იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ.Qd–7017).

მეზრიშვილი ბერი — ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პეტრია. ივანე სხირტლაძეს მიჰყიდა უკეში შვიდი მხარი მიწა საგინაშვილის საზღვრამდე (XYII–XYIII სს. მიჯნა. Hd–9716)

მეზვრისშვილი ბიძინა — 1680–1689 წწ. მონაწილეობდა, როგორც მ ა ხ ს ო ვ ა რ ი კ ა ც ი გიორგი საავაძესა და ფარეიძეს შორის სადაო საქმის გარ–

ჩევის დროს (1680 წ. Ad–1017); მ ო წ მ ე ბერ სარიდანაშვილის მიერ თევდორე რაზმაძისათვის მიცემული საწისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.1448–9429).

მეზურისშვილი დათუა – მ ო წ მ ე პაპუნა მირიანაშვილის მიერ თევდორე რაზმაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (16[9]8 წ. 1448–5439).

მეზრისშვილი მგელიტა – მ ო წ მ ე გარსევან გელასშვილის მიერ წინამძღვარ ონოფრე [მაჭუტაძისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. Ad–2055).

მეზრიშვილი პატა – მ ო წ მ ე ხიზანა ბაკურაშვილის მიერ ბერა ნარიმანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. Hd–10897).

მეზრიშვილი პეტრია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბერ მეზრიშვილისა, იხ.

მეზური – ყვავილში მცხოვრები, მ ი ს სახლს ევალებოდა ანანურის დეკანოზისათვის პურისა და ღვინის ნაცვლად პეტრე-პავლობა დღეს ერთი ბატკნის მიტანა (XYII ს. II ნახ. Ad–20).

მეთევზიშვილი – კეხისჯვარელი ყ მ ა-გ ლ ე ხ ი, ადრე ეკუთვნოდა ბალათარ ხოსაშვილს; კოსტანტინე მეფემ ი გ ი უწყალობა ქართლში გადმოსახლებულ ზაზა ფანასკერტელს (1467 წ. 1448–64).

მეთევზიშვილი – აშურაშვილის [ყ მ ა], „საბატონოდ დაიდვას", იხსენიება საბუთის ფრაგმენტში (XYII ს. Hd–14990).

მეთია – ენაგეთს მცხოვრები, წილად ხვდა ხოსია [ბარათაშვილს] (1640 წ. 1450–11/89).

მეთოდი– მ ო უ რ ა ვ ი, მ ო წ მ ე მახარა როსტიაშვილის მიერ ამირა ამბროსაშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1631 წ. X.4. 1449–1780).

მეთოფიშვილი ადაბაბა – მ ო წ მ ე სანასარას მიერ ვეციკასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1547 წ. Hd–1555).

მეთურა – მ ი ს ი მიწა იყო საზღვარი მახარა როსტიაშვილის მიერ ამირა ამბროსაშვილისათვის მიყიდული ნავენახევისა. მ ო წ მ ე ა ამ ნასყიდობის წიგნისა (1631 წ. X.4. 1449–1780).

მეითრისშვილი – მ ი ს ი ყმებისათვის ავლაბრის მეღალეს უკანონოდ (რადგან მ ე ი თ რ ი ს შ ვ ი ლ ს მეფის საღალო წიგნი ჰქონია), გამოურთმევია ნავთლუღის ქერი. სახლთუხუცესმა ლუარსაბ [ორბელიშვილმა] და ნაზირმა ედიშერ [შალიკაშვილმა] უბრძანეს ავლაბრის მეღალეს უკან დაებრუნებია გამორთმეული ქერი (XYII ს. მიწ. Hd–14966).

მეითრისშვილი ავთანდილ – იხ. ავთანდილ, მანუჩარ მეითარის შვილიშვილი.

მეიფარაშვილი ლუნია – მ ო წ მ ე ხიზანა მირიაშვილის მიერ პაპუნა სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1650 წ.IX.Sd–26).

მეკარვიშვილი – მ ი ს ნასახლარზე იასეს დაუსახლებია ატენელი მელქუაშვილი, აღნიშნულია ზაზა და ქაიხოსრო ციციშვილებს შორის ყმა-მამულზე დავის წიგნში (1666 წ.ახლო. Hd–802 ).

მეკარვიშვილი – ციციშვილის ყ მ ა, ედავებოდა ტერტერას ცხენზე (1679 წ. YIII.5.Ad–1218).

მეკარვიშვილი ბეჟუა – დრგუისს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: ბერი, სეხნია. ნაზარალი-ხანმა ი გ ი მამულით უწყალობა პაპუნა ფანველი-

შვილს (1689 წ. XI.16.1448–63).

მეკარვიშვილი ბერი.– [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბეჟუა მეკარვიშვილისა, იხ.

მეკარვიშვილი სეხნია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბეჟუა მეკარვიშვილისა, იხ.

მეკარისშვილი დათუნა – ქუთაისის მამასახლისი, ახლდა ქართლში გადმოხვეწილ ალექსანდრე მეფეს; ერეკლე მეფის შუამდგომლობით, ალექსანდრე მეფემ უწყალობა მ ა ს ქუთაისის მამასახლისობა და დაჰპირდა აგრეთვე წყალობას ასლან მდივნის მამულიდან ([1690–1691 წწ.] Hd–15034).

მეკარისშვილი ხატისა – მ ო წ მ ე თურქისტანის მიერ იესესათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1588 წ. Sd–734).

მეკურტნისშვილი ბერი – მძორეეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd––1636).

მეკურტუმაშვილი – ქუთაისის საყდრის ბეგარის დავთარში მოხსენებულია მ ი ს ი პარტახტი როკითში (1578 წ. H–626).

მელანასშვილი||მელანაშვილი

მელანაშვილი ამუან – კეხელი, მ ო წ მ ე ბერიკა ბესიაშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1669 წ.Sd–11).

მელანასშვილი პაპუა – ერთი კომლი, ერთი თავი, მოხსენებულია ყმების ნუსხაში (XYII ს. Hd–14912 ა).

მელანიაი – დ ე დ ა გულშარ თმოგველისა, იხ., მ ი ს სახელზე გულშარმა ვაჰანის მონასტერში დააწესა აღაპი 31 დეკემბერს (XIY ს. Ad–933, კედი 7v).

მელაღურაძე ბუგა – მ ო წ მ ე დავით ბერისძის მიერ კათალიკოს ელიოზისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1411 წ. X.25. 1449–1651).

მელაშვილი – მ ი ს ი საწისქვილე არბუხში დავით კოზმანაშვილმა მიჰყიდა ბატონ ზურაბ [ენდრონიკაშვილს] (1662 წ. 1461–13/31).

მელაძე – გუშტიბში მცხოვრები, ალექსანდრე მეფემ ი გ ი უწყალობა ეზია იოსელიანს (1658 წ.ახლო. Hd–14742).

მელაძე – დ ი ა კ ო ნ ი, მათხოჯელი, მოხსენებულია ყმების ნუსხაში(XXYII ს. Hd–11220).

მელაძე გიორგი – კარბელი, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე სახასო ყ მ ა (1700 წ. 1448–3602).

მელაძე ივანა – მანთხოჯს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ერთი ურემი ღომი, შვიდი მთელი ღვინო, ორი საკლავი, ხუთი ნათხალი ცეხვილი ღომი, სამი თეთრის საბატკობო, ერთი თეთრის საყაჰობო, ერთი თეთრის საყველიერო, სამი ქათამი, საბაზიერო, საჯინიბო, ერთი ნათხალი ღომი, ერთი კალათა მჭადი, ერთი ქათამი, ერთი კოკა ღვინო, ერთი ურემი თივა და ბარგის ზიდვა (1621 წ. ქსძ. III. N91).

მელაძე მახარობელი – ხატისკაცი, მოხსენებულია მათხოჯის დავთარში(XYII ს. 1448–1512).

მელაძე ნასყიდა – მანთხოჯს მცხოვრები, მ ი ს ე უ ლ მამულზე ცხოვრობდა ანანია (1621 წ. ქსძ. III. N91).

მელაძე ნატრია – ახალსოფელს მცხოვრები, ა ზ ა ტ ი, ქუთაისის საყდრის ბეგრის დავთრის მიხედვით, მ ი ს ი ვალდებულებები ემთხვეოდა სხვა აზატი ყმების ვალდებულებებს (1578 წ.H–626).

მელაძე საყვარელა — მათხოჯელი ყ მ ა, მოხსენიებულია ყმების ნუსხაში (XYII ს. Hd–11220).

მელაძე სუნბატა — მ ო წ მ ე ელიბა ფეტურაძის მიერ ბერ კვალინიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. 1448–5301).

მელაძე პუპუა — მესეფე კ ა ც ი, მოხსენიებულია მათხოჯის დავთარში (XYII ს. 1448–1512).

მელაძე ხახუტა — მანთხოჯს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ერთი ურემი ღომი, ათი მთელი ღვინო, ორი საკლავი, ბარგის ზიდვა, ექვსი ნათხალი ცეხვილი ღომი (1621 წ. ქსძ. III. N 91).

მელენტიოს — (ვარ. მელეტიოზ, მელეტოზ)— 1666–1675 წწ. ჯ ვ ა რ ის მ ა-მ ა (1666 წ. Ad; 650, 63, 100) || იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყოფილი მამა (1675 წ. Ad–553); უწყალობა ელისე ტფილელმა ადგილი, სადაც მ ა ნ ააშენა სახლი. შემდგომ წავიდა იერუსალემში და თავისი სახლ-კარი მიაბარა სიონის ღმრთისმშობელს და იოსებ ტფილელს, რომელსაც სთხოვა, რომ მიბარებული სახლის შემოსავლის ნახევრით გადაეხადათ ქირა მისი ძმის, აბდულმესისათვის, ხოლო თუ სახლს გაყიდდნენ, ნახევარი საყდრისათვის მოეხმარათ, ნახევარი კი მისთვის შეენახათ (1666 წ. Y.14. Ad–650); თავისი ძმა აყმო ბატონ ციცი [ციციშვილს] და სახლი გასაყიდად ჩააბარა თბილელს (1666 წ. ახლო. Ad–63); შეადგინა კათალიკოსისა და დედოფლის მიერ საქართველოსა და კახეთის თავადების, ეპისკოპოსებისა და გლეხებისაგან აკრეფილი თანხის (148 თუმანი და 1 მინალთუნი) დანახარჯის ნუსხა (1666 წ. ახლო. Ad–100); მიუძღოდა რაღაც დანაშაული იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინაშე, რის გამოც კიცხავს მას [ნიკოლოზ წულუკიძე] (1675 წ. II.8. Ad–553).

მელგოდა — აკურისში მ ი ს ი მამული ეკუთვნოდა [ბარათაშვილს] (XYII ს. ბოლო. 1450–33/286).

მელია — წყარიგზურს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ცხრამეტი ლოჯი ღომი, თოთხმეტი საწყავი ღვინო, ორი საკლავი, სამი ქათამი, მოსი პური, თევზი, ყველი, კვერცხი ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N 92).

მელია — ჰ ქ ო ნ დ ა დ ა ვ ა საყდრისკაცებთან ([1628–1647 წწ.] Hd–1551 ა).

მელია — წყალიგზას მცხოვრები, დ საეკლესიო გ ლ ე ხ ი, დაკისრებული ჰქონდა ხუთი ლოღარიკი სანთლის გამოღება (XYII ს. Hd–11221).

მელია თოლიკაკა — მ ო ლ ა რ ე, გააყოლეს მარიამ დედოფალს მზითვში ([1634 წ.] 1448–3369).

მელია ოთარ — [1673]–1675 წწ. ლევან დადიანის კარის მესტუმრე ([1673]–1675 წწ. 1448: 2141, 2225); მ ო წ მ ე ლეონ დადიანის მიერ დავით ნევესაძისათვის მიცემული კათალიკოსობის დამტკიცების წიგნისა ([1673 წ.] 1448–2141); დ ა მ წ ე რ ი ლევან დადიანის მიერ ბიჭვინტის საყდრისათვის მიცემული საკანონო შეწირულების წიგნისა (1675 წ. 1448–2225).

მელია პიპილეი — წყალიგძას მცხოვრები, ლევან დადიანმა შესწირა ი გ ი ბიჭვინტას (1628 წ. Sd–2904).

მელია ხუხუნია — ლევან დადიანმა შესწირა ი გ ი ბიჭვინტას (1628 წ. Sd–2904).

მელითაურისძე — გოდოგანს მცხოვრები, „ძველითგან“ საყდრისშვილი ყოფი-

ლა. ბაგრატ მეფეს უწყალობებია იგი ცირღილიძისათვის, მელქისედეკ გენათელმა განუახლა მისი წყალობა ივანე ცირღილაძეს ([1548 წ.] Hd–1573).

მელიმონაძე ყოჟიკა – მისი ნაქონი ყმა-მამული ჩაქუში და ქობულეთში გიორგი გურიელმა უწყალობა ბოქაულთუხუცეს მირზაბეგ თაუდგირიძეს (1664–1677 წწ.) ლაი 800.I.N 1201).

მელინკაური ლოთიკა – მოწმე რევაზ ერისთავის მიერ ნინია ოდიშელიძისათვის მიცემული მესლაპეობის წიგნისა (1677 წწ. III.6. 1449–1869).

მელინწყიაური პაატა – ჯეჯიკურს მცხოვრები, სესიას ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მელისპირაძე–მამაგულასშვილნი – გოდოგანს მცხოვრებნი, ისინი უწყალობა ბაგრატ მეფემ ივანე ცირღილაძეს (1545 წ.YII.19. ქმ.N 747).

მელისპირაძე–მამისთვალასშვილნი – გოდოგანს მცხოვრებნი, ბაგრატ მეფემ ისინი უწყალობა ივანე ცირყილაძეს (1545 წ. YII.19. ქმ.N 747).

მელიქა – რატევანს მცხოვრები, მამულით ერგო ითამ ბარათაშვილს([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მელიქაანთ ვართან – მოწმე ნასყიდას, ბალდასარას და ჯანუას გაყრის წიგნისა (1672 წ. III.8. Sd–34).

მელიქასშვილი – გულეულს მცხოვრები, მამულით ერგო როსტევან ჯანიაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/12).

მელიქის შვილი თაყინა – იხ. მირიმანაშვილი თაყინა

მელიქისშვილი ლევან – იხ. [მირიმანიძე] ლევან

მელიქიშვილი ნაზარა – იხ. იავანგულაშვილი ნაზარა

მელიქიშვილი ქაიხოსრო – იხ. [მირიმანიძე] ქაიხოსროჳ

მელიქისშვილი ყარახანა – იხ. იავანგულაშვილი ყარახანა

მელიქსადექ – შვილი „გურჯი" რევაზასი, მოწმე პაპუა ანდერმანიშვილის მიერ ასლან ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. 1450–15/79).

მელიქსათაშვილი ბიძინა – შვილი დათუნა მელიქსათაშვილისა,იხ.

მელიქსათაშვილი დათუნა – ჰყავს შვილი ბიძინა. იყიდა თამაზ ხეჩუაშვილისაგან „თურმანიჩში" ერთი დღის მიწა ყადიასშვილისა და მატიას მიწებამდე (1692 წ.IY.1450–10/37).

მელიქსეთა ტერ–ნერსესა – მოწმე იაგანა აკოფაშვილის მიერ მურადა დუთასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ.IX.15. 1450–8/17).

მელიქსეთაშვილი (ვარ.მელიქასათაშვილი) სალმახანა (ვარ.სოლმახანა) – 1671–1683 წწ. ქვემო ბოლნისის მამასახლისი (1671–1681 წწ.XYII ს. ბოლო მეოთხ.1450: 6/45, 9/136, Hd: 1306, 9285, 9275). ჰყავს ძმისწულები: დათუნა, პაპუა, ტერ–ანდრიაზა, იასე [სალმახანაშვილები] (1683 წ. 1448 – 1291). მას განუახლა იარალი [იარალიშვილმა] ბოლნისში მოსახლე მკვიდრი ყმების: ზაზაშვილი მატიას, ამირას, საქიაშვილი ევანეზასა და მისი შვილის, ზაზას ნასყიდობის წიგნი (1683 წ. I.5.1448–1291); მოწმე: გასპარ ბეროაშვილის მიერ დავით შალბუნაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ.1450–6/45), შიოშ ბარათაშვილის მიერ მდივანბეგ ვახტანგ [ბარათაშვი-

ლისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. YII.1. Hd–13106), ყაფლან ყაზარაშვილის მიერ დოლმაზ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნიაა (1681 წ. Y.1. Hd–9285), ხუგაზა ადიბეგაშვილის მიერ ბატონ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს.ბოლო მეოთხ.Hd–9275); მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ფარსადან შიხაშვილის მიერ ზა[ა]ლ იაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. 1450–9/136).

მელიქჯანა – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა მერაბ სარდარაშვილის მიერ იაგულანთ ალავერდასათვის მიყიდულ მიწას (XYII ს. ბოლო მეოთხ. 1450–9/124).

მელიძე რუსია – მ ო წ მ ე ზაალ საკაძის მიერ ზურაბ საკაძისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. YII.20.Sd–548).

მელქაშვილი სტეფანე – ატენს მცხოვრები, მ ო წ მ ე ბერ ს[ა]დალაშვილის მიერ ნონიკასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1327 წ.S1 cl გსიემ 4847–ბ, XYI ს.ბოლო).

მელქიასშვილი ალექსა – ბერშოეთს მცხოვრები, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე ს ა ხ ა ს ო ყ მ ა (1700 წ. 1448–3602).

მელქიასშვილი ალექსი – [1678]–[1696] წწ. მ ი ს ი მამული ანდუყაფარ ამილახორისშვილმა უწყალობა დათუნა ტარშიჰაშვილს ([1678–1696 წწ.] Ad–1203); მ ო წ მ ე პაპუნა კვეზერლის მიერ უგანაძის ასულ თინათინისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.Ad–1201).

მელქიაშვილი ბერუკა – [ძ მ ა] ხოსიტა მელქიაშვილისა, იხ.

[მელქიაშვილი] ელისბარ – მ ო წ მ ე პაპუნა კვეზერლის მიერ უგანაძის ქალის, თინათინისათვის, მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.I.1. Ad–1201).

მელქიაშვილი შალვა – ბერშოეთს მცხოვრები, ამილახვრის სახასო ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მელქიაშვილი ხოსიტა – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] ბერუკა, მასთან ერთად მ ო წ მ ე ა ქაიხოსრო ციცისშვილის მიერ ლაზარე ზღუდაშვილისათვის მიცემული მამულის თარხნობის წიგნისა (1671 წ. III. 10. Ad–1336).

[მელქიაშვილი] ჯავახ – მ ო წ მ ე პაპუნა კვეზერლის მიერ უგანაძის ქალის, თინათინისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.I.1. Ad–1201).

მელქისედეკ ||მელქიზედეკ||მელქისედეგ

მელქიზედეკ – ქართლის კათალიკოს-პატრიარქი. მ ი ს ი გამზრდელი ყოფილა ბაგრატ კურაპალატი. ჰ ყ ა ვ ს დ ე დ ი ს ძ მ ა ანტონი. მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე კ ი ს ანგარიშგებაში სვეტიცხოვლის სამოციქულო საყდრის წინაშე აღნიშნულია შემდეგი: თავისი კათალიკოსობის დროს განაახლა სვეტიცხოველი, შეამკო „ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარუშემო სტოითა მოქმნითა და ზედა დაბურვითა". შექმნა სვეტიცხოვლის საკურთხეველი ოქროთი, ვერცხლით და თვალ-მარგალიტით. მოჭედა ოქროთი და ვერცხლით საკურთხევლის კანკელი და კარი, შეაკეთა და შეამკო ხატები, შესწირა ტაძარს ახალი ხატები, საღმრთო წიგნები, საკელაპტრეები, სამღვდელთმოძღვრო შესამოსლები და სოფლები: ბერძენთა მეფის, ბასილის მიერ ნაბოძები სოფელი კესტორი 105 (რე) სოფლით, ტაოში– თავისი ნასყიდი სოფელი ზადკარეკი ხუთი აგარით, ძაღლისხევს– ნასყიდი სოფელი

ორთაი სამი აგარით; კლარჯეთს— მოგებული ერთი სოფელი— სხლუანი; შავშეთს — შეძენილი სოფელი დიდი სხლობანი და მისი აგარა— ნაღუარევი; ჯავახეთს— სოფელი ტონთიო, კოლას— მის მიერ მოგებული და აშენებული სოფელი დიდი ოროტანი აგარით; ფანავრას— მის მიერ აშენებული ერთი სოფელი— მახარონი; საკოეთს— მის მიერვე მოპოვებული და აშენებული სოფლები— ნაქალაქევი და ბერდაძორი; ქართლში მონასტერი პალავრაჲ, ოთხი სოფლით; ცუქითი, ყინცუისი მათი შესავლით, შინდების ნახევარი, კურბითს— საამზნაურო ერთი კარგი სოფელი; ჩოჩეთს — ერთი უბანი, სასეფო მიწა და ვენახი, ზეგანთა— ერთი სოფელი; შიდარი— ერთი სოფელი; კახეთში: ახატანში ერთი უბანი, ნოსორნაჲ— ერთი სოფელი; ჰერეთში— მონასტერი „დიდითა ძ(ა)ლითა"— ლაგოდეხი, კატეხის ეკლესია მისი შესავლით; კაკს: თორმეტი ვაჭარი, სოფელი ზიარი. მთლიანად შესწირა თავისი მოგებული სოფლები რიცხვით 135 (რლე). ამ სოფლებისათვის მელქიზედეკს ბაგრატ კურაპალატისაგან მოუპოვებია შეუვალობა, ხოლო ალი-აძირასაგან— ქალაქისათვის შეწერილი „გასავალისაგან"— ცხვრის, ცხენის, ღვინის— თავისუფლება; შეწირული სოფლები მოუშენებია, ყველგან აუშენებია ეკლესიები. სვეტიცხოველში, „სამხრით სადიაკონოსა, წმიდათა მოწამეთა სამარტუილოსა შიგან „აიშენა საფლავი და დადგა საკურთხეველი. თავის ჟამისმწირველად საფლავზე დაადგინა იოვანე, თავისი გაზრდილი. ამ უკანასკნელს გაუჩინა: თეძში სამი სრული საგლეხო ფუძე, ერთი ვენახი, ერთი მიწა, ერთი წისქვილი და ერთი ჭალა; ოტათლოანს და ციხედიდს— თითო—თითო გლეხი სრული ფუძეებით და ერთი ვენახი ; მცხეთაში — ერთი სენანი, ერთი ბოსელი, ერთი ყანა და ერთი მცირე ვენახი. ეს „გასარომელი" გადაეცა იოანეს მემკვიდრეობის წესით. თავისი საკურთხეველი მელქიზედეკს მოუჭედია ვერცხლით, დაუდგამს ვერცხლის ბარზიმ-ბეშხუემი, ვერცხლის კოვზი, სანაწილე და ასაპყრობელი, საცეცხურნი, სასაკმეველე, შესამოსელი სკარამანგი, ზეწარი. გაიჩინა აღაპი 24 იანვარს ღამისთევითა და ჟამისწირვით ([1031/1033 წწ.] 1448—5018-ა).

**მელქისედეკ** — მამათმთავარი, იხსენიება მღვიმის მონასტრის შეუვალობის შესახებ საეკლესიო კრების დადგენილების არსენი კათალიკოსისეულ დამტკიცებაში: არსენი წყევით იხსენიებს იმ პირებს, რომლებიც დაარღვევდნენ მელქისედეკისა და სხვა მამათმთავარ-კათალიკოსების დადგენილებას შიომღვიმის მონასტრის მიმართ ([1244—1248 წწ.] შმმის. 50—52).

**მელქიზედეკ**— მაწყვერელი, მისი, ჭყონდიდლის მწიგნობარ იოანესა და სამოელ ხუცესის შუამდგომლობით, ბასილი ალავერდელმა გაიჩინა სამწირველო მღვიმის მონასტერში (XIII ს. Hd—1586).

**მელქისედეკ** — ქართლის მთავარეპისკოპოსი, დაამტკიცა შიომღვიმის კრებულის მიერ ჯაუნორ ბავტისძისათვის მიცემული მიწის წყალობის დაწერილი (1344 წ. IY.5. ქრ. II.180—181).

**მელქიზედეკ**, გელათის წინამძღვარი — იხ., აბაშიძე მელქიზედეკ

**მელქიზედეკ** გენათელი — იხ. საყვარელიძე მელქიზედეკ

**მელქიზედეკ** — [1526]—1540 წწ. კათალიკოს-პატრიარქი, ძმა: დავით (X) მეფისა, იხ., გიორგი-გერასიმესი. გიორგი-გერასიმემ მისი კათალიკოსობის დროს შესწირა სვეტიცხოველს სოფელი ზერტები (1540 წ.1449—1497).

**მელქიზედეგ** — მრუელის შვილიშვილი, ჰყავს ძმა ათანა. დავით ეზიკელისშვილს მიჰყიდა უნგალში თავისი წილში ნარგები მიწა

(1554 წ. YI.16. გსიემ 4847 ა).

მელქიზედეკ – შ ვ ი ლ ი თამარისა, იხ.

მელქისედეკ, შიომღვიმის წინამძღვარი– იხ. ყანჩაელი მელქისედეკ

მელქისედეკ – მ ი ს ი ნაქონი მამული ფოცხვერანში როსტომ მეფემ უწყალობა ყაფლანბეგ [ბარათაშვილს] ([1633–1657 წწ.] 1450–15/41).

მელქისედეკ – მ ო წ მ ე ზაქუმბეგ [ზაქუმისშვილის] მიერ დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ.IY.15.1450––9/122).

მელქისეთა: ტერ–მელქისეთა – შ ვ ი ლ ი ტერ–აკოფასი, გივი ამილახორმა ამოუკვეთა მ ა ს სამოურავო და ულაყი (1679 წ.მატ. N252.8).

მელქისეთა: ტერ–მელქისეთა – ნორაშნის ხ უ ც ე ს ი, მ ო წ მ ე სეფიყულას მიერ იავანგულაანთ ზურაბასათვის მიცემული ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. Y.20. 1450–47/17).

მელქოა – პონი, მ ო წ მ ე ბანდურა ბიძინასშვილის მიერ ბულინათ ნაზარასათვის მიცემული გირაოს წიგნისა (1678 წ. YI.14. 1448–5108).

მელქოა – შ ვ ი ლ ი ტერ–პოღოსასი, მ ო წ მ ე ოთამაანთ შაროას მიერ ბაზანაანთ პაპოასათვის მიცემული სახლ–კარის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. YIII.22. 1448–5336).

მელქოასშვილი გასპარა – იხ. ჰაჰასშვილი–მელქუასშვილი გასპარა

მელქუა – ტაგნაგეთს მცხოვრები, ი გ ი მამულითა და სახლიკაცით ბიძინა სოლაღაშვილმა მიჰყიდა ელიზბარ სოლაღაშვილს (1661 წ. IY.16.Sd–751).

მელქუა – მ ო წ მ ე ვახტანგაანთ ნასყიდას მიერ სუფრაჩ პაატაბეგისათვის მიცემული თავენასყიდობის წიგნისა (1669 წ.1450–21/9).

მელქუა – შ ვ ი ლ ი ამირსეთასი, იხ.

მელქუა – შ ვ ი ლ ი მეარაყე შერმაზანასი, იხ.

მელქუა – ხარაზი, მ ო წ მ ე ასატურ ხუბიარასშვილის მიერ სოლრუაანთ მამაჯანასშვილ ფასუასათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. X.15. 1450–5/182).

მელქუა – მ ი ს ი სახლი ესაზღვრებოდა ალიჰექაბარა ალაბაბასშვილ–რამაზასშვილის მიერ ფირყულაანთ ნაზარასშვილ გიორგისათვის მიყიდულ სახლ–კარს (1699 წ-X.7.1450–6/119).

მელქუა – მ ი ს ი სახლი ესაზღვრებოდა ალიჰექაბარა ალაბაბასშვილ–რამაზასშვილის მიერ ფირყულაანთ ნაზარასშვილ გიორგისათვის მიყიდულ სახლ–კარს (1699 წ. X.7.1450–6/119).

მელქუაშვილები – მ ა თ ფარდად იესეს წილად ხვდა ტაგნაგეთში მცხოვრები პაატა მიქელაშვილი და ბეჟიტა ვარსიმაშვილი თავიანთი განაყოფებით (XYII ს. I ნახ. Sd–869).

მელქუაშვილი – ზაზა და ქაიხოსრო [ციციშვილებს] შორის სადაო ყმა–მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ატენელი მ ე ლ ქ უ ა შ ვ ი ლ ი იასეს დაუსახლებია მეკარეისშვილის ნასახლარზე (1666 წ.ახლო. Hd–802).

მელქუასშვილი ნადირა – მ ო წ მ ე ზაზა მაჩაბლის მიერ შიო საბანაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1612 წ. III. Hd–9440).

მელქუსაშვილი პეტრუსა – მ ო წ მ ე გიორგი ოთიასშვილის მიერ ტაჰიკა–

ანთ მანველისშვილ არუთინასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1691 წ. YI.12. Hd–5993).

მემარნისშვილი||მემარნიშვილი

მემარნიშვილი– ღმანისს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1638 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მემარნისშვილი გულა– მ ო წ მ ე პაპუნა მაჯანიძის მიერ ბიძინა ავთანდილაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ.1450–38/207).

მემარნისშვილი ზაზუტა – მ ო წ მ ე სეხნია მაჯანიძის მიერ ბიძინა ავთანდილაშვილისათვის მიცემული ნაფუძრის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ.1450––38/200).

მემარნისშვილი ლაზარე – 1692 წ.ახლო.1897 წ.ახლო. ფალავანდისშვილის ყ მ ა, მ ო წ მ ე: სეხნია ტატიშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული საფქვავის ამოკვეთის წიგნისა (1692 წ. ახლო. Hd–732), ჯირდან ტატიშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. ახლო. Hd–750).

მემარნისშვილი პაპუნა – ლეთეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd ––1636).

მემისურ[ა]ძე დათუნა – მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ლიპუაშვილის მიერ ზაზასათვის მიცემული ვალის თამასუქზე უდაობის წიგნისა (XYII ს.Qd–623).

მემნაძე– სოფელ ჯონიას მცხოვრები, ათი კომლი გლეხი მ ე მ ნ ა ძ ე ბაგრატ მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის საყდარს (1545 წ. YI.12.Hd–11201).

მემშვილდისშვილი||მემშუილდისშვილი

მემშვილდისშვილი – ლანირში მცხოვრები ხონის საყდრის ყ მ ა, ე მ ა რ თ ა ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ყველი, კვერცხი, ხუთი კოკა ღვინო, ძღვენი (XYI ს. ბოლო. 1448–5034).

მემშუილდიშვილი – ენაგეთში მცხოვრები, ა ზ ნ ა უ რ ი, [ბარათაშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523 წ. Ad–1299 ა).

მემშუილდისშვილი – ენაგეთში მ ე მ შ უ ი ლ დ ი ს ე უ ლ ი მამული და საკომლო სვიმონ მეფემ უწყალობა ქაიხოსროვ ბარათაშვილს (1630 წ.IY.22.1450––12/107).

მემშვიდისშვილი – 1679,1680 წწ. ენაგეთში მცხოვრები, ქაიხოსრო ბარათაშვილმა დააგირავა ი გ ი პაპუნა ბარათაშვილთან (1679 წ. Hd–4156), შემდგომში ი გ ი მამულითურთ მიჰყიდა ქაიხოსრო ბარათაშვილმა პაპუნა ბარათაშვილს (1680 წ. 1448–2242).

მემშვილდისშვილი სარქისა – მ ო წ მ ე სუმბატა მურადაშვილის მიერ სუხინასა და გაბუასათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1665 წ.1448––1465).

მემხრიასშვილი ბერი – ტაბიკურაში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd ––1636).

მენაბდიშვილი – ყაია, ბადურ, და პაპუნა [ციციშვილებს] შორის სამწევრისის მამულზე დავის წიგნში აღნიშნულია, რომ მ ა ს და ევანეზა ხასილაშვილს ეჭირათ ექვსი დღის ღელის ხოდაბუნი ([1633–1658 წწ. 1448–2316).

მენაბდისშვილი — კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა შუბით ლაშქრობა მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მენაბდიშვილი — ერთი კომლი, მოხსენებულია საკომლოების ნუსხაში (XYII ს. ბოლო. 1449–1794).

მენაქიშვილი — კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა(XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მენაქიშვილი— ორი კომლი, მოხსენიებულია საკომლოების ნუსხაში (XYII ს. ბოლო. 1449–1794–2).

მენდისშვილი — მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ზაზა მაჩაბლის მიერ შიო საბანიძისათვის მიყიდულ „ტოხაურ" მიწას (1612 წ. III. Hd–9440).

მენდისშვილი ნინია — მ ო წ მ ე ზაზა მაჩაბლის მიერ შიო საბანაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1612 წ. III. Hd–9440).

მენისძე ამიშელ — პ ყ ა ვ ს ძ მ ა გულია. შ ე ს წ ი რ ა აკდილას წმინდა გიორგის ოთხთავი და ერთი ნასყიდი ყანა „ჩაგრძელთა" (XIY–XY სს.Hd–9440).

მენისძე გულია — ძ მ ა ამიშელ მენისძისა, იხ.

მეოქია ბახუტა — მ ო წ მ ე როსტომ გურიელის მიერ ნასყიდა იაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ( [1534–1566 წწ.] АШГА.282–283).

მეოქია სეხნია - მ ო წ მ ე როსტომ გურიელის მიერ ნასყიდა იაშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1534–1566 წწ.] АРГА.282–283).

მერაბ — ჰქონდა სამამულე დავა მახარებელ სულხანაშვილთან ორი დღის ნავენახევის გამო. დავა გაარიგა მდივანბეგმა როინ [ჯავახიშვილმა]. თუ მახარებელი თავის ცოლისძმასთან, აზარასთან ერთად, დაიფიცებდა, სადაო მიწა მას დარჩებოდა, თუ ვერ დაიფიცებდა— მ ე რ ა ბ ს (1641 წ. Sd–496).

მერაბ — ქინძარას მცხოვრები, წინამძღვარმა მელქისედეკ ყანჩელმა მ ა ს დემეტრე ძაბახიძესთან და თაფლიაშვილთან ერთად პირობით მისცა და გაუყო ვენახი, რომელიც ციციშვილის ასულ ულუმპიას წმინდა შიოსათვის შეეწირა და რომელიც შემდეგ გაპარტახებულიყო. ხუთი წლის შემდეგ, როცა ეს ვენახი მოშენდებოდა, მ ე რ ა ბ ს და მის მოზიარეებს დაევალათ ულუმპიას და მისი მეუღლის, ამილახორის სულისათვის ჟამისწირვისა და პანაშვიდის გადახდა ქრისტეშობის დღეს (1654 წ. 1449–1875).

მერაბ — მ ო წ მ ე დათუნა ბეჟანისშვილის მიერ სეხნია გულიაშვილისათვის მიცემული ნაფუძრის ნასყიდობის წიგნისა (1655 წ. Ad–1049-ბ).

მერაბ – მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა მ ი ი ღ ო კათალიკოსის, ელიზბარ ქსნის ერისთავის და გივი ამილახორის სამამულე დავის გარჩევაში (1659 წ.Hd–2113).

მერაბა — ლეონ მეფემ ი გ ი უწყალობა მაქსიმე ბოდბელს (1566 წ. I.19. 1449–2285).

მერაბა — ლეონ მეფემ ი გ ი სხვა გლეხებთან ერთად შესწირა სვეტიცხოველს (1569 წ. 1448–5529).

წირა მთაწმინდის ხარების ღვთისმშობელს მამამისის, მანუჩარის, სულის მოსახსენებლად; დაეკისრა: რვა ლალანიკონი სანთელი, ერთი საკლავი, ორი გუდა ღვინო, ერთი ხალთა ღომი, ერთი ქათამი, საბერო საჭმელი, პური, ყველი, ძვერცხი, თევზი (1642 წ. Qd–6740).

**მიკირტიჩა** – მჭედელი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ფირია, ლადაზა, რაგულ, ჰოსკია, ხეჩატურა· ი ყ ი დ ა მასურ ჯავახიშვილისაგან ბეჟიაური სასახლე ბალჩით, ყარადისშვილის სახლის აქეთ, აგრეთვე – სამარნე ადგილი და კარი უთრულაშვილის კარისაკენ (1573 წ.1450–18/79).

**მიკირტიჩა** – მ ო წ მ ე თულუაანთ ჰასანას მიერ პეტროზისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1637 წ.YI.22.1448–1713).

**მიკირტიჩა:ტერ–მიკირტიჩა** – ნორაშნის ხუცესი, ჰ ყ ა ვ ს შვილები: მათოზა, გასპარა. მ ი ჰ ყ ი დ ა მანველა იასასშვილ ჯულელს ზარაფხანასთან, ციხის მხარეზე, ორი სახლის ადგილი და ერთი სახლი, ზაქარას მიერ აშენებული ქერსხანის ადგილი, რომელსაც ესაზღვრებოდა ზარაფხანის, ფასულხანის და ბასილას კედლები (1678 წ.YI.I.Qd–283 ა).

**მიკირტიჩასშვილი||მიკიტიჩაშვილი**

**მიკირტიჩასშვილი** – ქალაქს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448––5032).

**[მიკირტიჩაშვილი] გრიგოლა** – ძ მ ა ხეჩუმა [მიკირტიჩაშვილისა], იხ., მ ი ჰ ყ ი დ ა შიოშ [თუმანიშვილს] თავისი მკვიდრი ვენახი (XYII ს. Sd–820 ბ).

**მიკ[ი]ტიჩაშვილი ტერ–ოჳანა** – 1661–1675 წწ. ხელთუბნელი, მ ო წ მ ე: სველნელი იმრაშვილის მიერ ქრისტესიასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. Sd–1136), ქრისტესია ხუცესის მიერ ზურაბ [თუმანიშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. XI. Sd–55).

**[მიკირტიჩაშვილი] ხეჩუმა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა გრიგოლა. მ ი ჰ ყ ი დ ა ბატონ შიოშს თავისი მკვიდრი ვენახი შუა და ზემო ნოლნისს შუა (XYII ს.Sd–820ა).

**მიკოლიშვილი** – სანავარდოში მცხოვრები მ ე ზ უ თ ხ ე გ ლ ე ხ ი, სანავარდოში ჩამოსული მთავარეპისკოპოსის, სვიმონ ჩხეტიძისათვის მ ა ს უნდა მიერთმია ერთი ზუთხი (XYII ს. შუა წლები. 1448–5034 მი ნაწ.).

**მილაძე დემეტრა** – მეჯვრისხევს მცხოვრები, მ ი ს ი შეწირულება თეიმურაზ მეფემ განუახლა მთაწმინდის პორტაიტის ღმრთისმშობელს () 1630 წ.1461.–3/127).

**მილიდონაშვილი ფრიდონა** – ი ა ს ა უ ლ ი, მოხსენიებულია საყაფლანიშვილოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების დავთარში (XYII ს. II ნახ.Hd–1365).

**მილიტოლმასშვილი დათინა** – შ ვ ი ლ ი ბაბინა მილიტოლმასშვილ-ზურაბასშვილისა, იხ.

**მილიტოლმასშვილი ზურაბა** – შ ვ ი ლ ი ბაბინა მილიტოლმასშვილ-ზურაბასშვილისა, იხ.

**მილიტოლმასშვილი–ზურაბასშვილი ბაბინა** – 1661–1671 წწ. პაპუნა შატბერაშვილის ყ მ ა (1664 წ. Sd–16 ბ), ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზურაბა, დათინა, ოთია. მ ი ჰ ყ ი დ ა მირიანა ანდრონიქისშვილს თავისი ნასყიდი სახნავი მიწა მიქაელის, შოშიასშვილის, ხიზანა შოშიასშვილის მიწებამდე და რუსხ-

მულამდე (1662 წ. Sd–16 ა); მ ი ს მ ი წ ა მ დ ე მიჰყიდა: სველნეთელმა იმრაშვილმა მიწა ქრისტესიას (1661 წ. Sd–1136), რეხელმა ჭახრაკმა პაპიამ — მანუჩარ თუმანიშვილს მიწა (1670 წ. III.5.Sd–35), გიორგი შოშიაშვილმა — მანუჩარ თუმანიშვილს მიწა გრძელაური (1671 წ. YII.6. Sd–59); პაპუნა შატბერაშვილის მიერ ელიზბარა [ანდრონიქისშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია, რომ ბ ა ბ ი ნ ა ს მიუყიდია ელიზბარასათვის მიწა. ამ მიწაზე პაპუნა ელიზბარას შედავებია და მხოლოდ მას შემდეგ დაუთმია, რაც ელიზბარამ მისი „გულიც შეუჯერა“, ე.ი. ფასი გადაუხადა (1664 წ.Sd–16 ბ).

**მილიტოლმასშვილი ოთია** — შ ვ ი ლ ი ბაბინა მილიტოლმასშვილ-ზურაბასშვილისა, იხ.

**მილხინაშვილი** — მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა შოშიტა დვანელიშვილის მიერ ოთარ ტატიშვილისათვის მიყიდულ მიწას (1652 წ.1450–46/8 ა).

**მილხინაშვილი დათუნა** — მჭედელი, მ ი ჰ ყ ი დ ა ოთარ ტატიშვილს კოჭალათ მიწა ტატიაანთ საზღვრამდე ქრცილოვანის თეთრ გზამდე (1652 წ.1450–46/8 ბ).

**მინაზარისშვილი** — იხ. [მაყაშვილი]–მინაზარისშვილი

**მინაი** — მ ო წ მ ე ჩაფქევასძეთა მიერ გრიგოლ ვერხუაისძისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა ([1247–1260 წწ.] Ad–7 ა).

**მინანაშვილი გიორგი** — ალექსანდრე (IY) მეფემ ი გ ი შესწირა გელათის მონასტერს თავისი პაპის, ალექსანდრე (III) მეფის საალაპედ, დააკისრა გამოსაღები ყოველწლიურად თორმეტიანი კოკა ღვინო ([1683–1695 წწ.] Ad–598 ბ).

**მინანაშვილი დათუა** — რიონს მცხოვრები, დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ი გ ი ერთ კომლად. შესწირა გელათს ალექსანდრე მეფის საალაპედ (1660 წ. ახლ. Ad–598 ა).

**მინანაშვილი მამუკა** — ნოღას მცხოვრები, ხუცია ქელბაქიანის ყ მ ა, დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ი გ ი შესწირა გელათის ეკლესიას თავის მეუღლის, ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად (1660 წ. ახლ.Ad 598 ა).

**მინანაშვილი ნასყიდა** —ნოღას მცხოვრები, დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ი გ ი ერთ კომლად შესწირა გელათის ეკლესიას თავისი მეუღლის ალექსანდრე მეფის საალაპედ (1660 წ.ახლ. Ad–598 ა).

**მინასა** — მ ა ს ბოგვისხევში ეჭირა ორი წილი იმ მიწიდან, რომელიც ტერ-ასატურა ხუციშვილმა მიჰყიდა პაპუნა ყორღანაშვილს (1666 წ.1450–16/8).

**მინასა: ტერ–მინასა** — მ ი ს ი მიწა იყო საზღვარი გოგინა ფიბინაშვილის მიერ ასატურ ბეჟინაშვილისათვის მიყიდული მიწისა (1676 წ. YI.15.1450–49/122).

**მინასა: ტერ–მინასა** — 1679–1686 წწ. გივი ამილახორმა მ ა ს ამოუკვეთა·სამოურავო და ულაყი (1679 წ. მატ. N252–8); მ ი ს ი კედელი ესაზღვრებოდა იმ მიწას,რომელიც ამირალას შვილიშვილმა, გაბრიელ [ამირალასშვილმა] მიჰყიდა ასატურა ბეჟინასშვილს (1686 წ. III.1450–49/104).

**მინასაშვილი** — მისგან ნაყიდი ვენახი, რომელიც ადრე სუმბატ ურდოელისშვილს ეკუთვნოდა, გიორგი მეფემ დაუმტკიცა ვირშელ ზუადისშვილს (1460 წ. I. 30. 1449–1171).

**მინასაშვილი თამაზა** — 1683–1689 წწ. მ ო წ მ ე: მანუჩარ ყორღანაშვილის მიერ ვახტანგ [ბარათაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. II.17. 1450–26/256), თამაზ [ყორღანაშვილ]-ქემაროზიშვილის მი-

ერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689წ. II.13, 1450–16/5).

**მინაძე ნასყიდა** – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდათორმეტი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, სამი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ოცდათოხი ნათხალი ღომი, ერთი საბელი, ქათამის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ყირუბულების ყავრის მოტანა, ქუთაისის საყდრის მუშაობა (1558 წ. H–626).

**მინდაშვილი შოშია** – სკრაში მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527–1558 წწ. Qd–605).

**მინდელი მიქელ** – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე გიორგი მეფის მიერ ხახულის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა ([1565–1585 წწ.] Qd–8501 ბ).

**მინდი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] გიორგისა, იხ.

**მინდიაშვილი ბერიკა** – წინა-გარაზას მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448 – –5032).

**მინდიაშვილი ირემა** - ზაკორს მცხოვრები, ზურაბ ლაზნელის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მისი კომლიდან ორ კაცს ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მინდიაშვილი პაატა** – ახალშენში მცხოვრები, შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

**მინდიაშვილი პაპუნა** – ახალშენს მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

**მინდიაშვილი შოშია** – სკრას მცხოვრები, როინ და გოშფარ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო როინს ([1527–1558 წწ.]Qd–605).

**მინდიკაშვილი** – მ ი ს ი ვენახი დიღომში ზურაბმა შესწირა მთაწმინდის მამადავითის მონასტერს თავისი დედის, მირაინგულის სულის მოსახსენებლად ([1527–1556 წწ.] 1449–1605).

**მინდოდაშვილი გოგინა** – ზემო ყურს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**[მინდოდაშვილი] დათიკა** – მ ო წ მ ე პაპუნა ფავლენიშვილის მიერ დეკანოზ დავითისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ.Qd–9611).

**მინდოდაშვილი თევდორა** – მ ო წ მ ე გორასპ ფავნელიშვილის მიერ ბერ ვახტანგაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII–XYIII სს. მოჯნა. 1448–1129).

**მინდოდაშვილი ინანა** – ნიქოზელი ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, მ ო წ მ ე დავით ფავნელიშვილის მიერ გაბრიელ გილაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1642 წ. Hd–5940).

**მინდოდაშვილი მამუკა** – მ ო წ მ ე პაპუნა ფავნელისშვილის მიერ დათუნა ქრისტესიასშვილისათვის მიცემული ახოს ნასყიდობის წიგნისა (1700 წ.IY.1. 1448–4307).

**მინდოდაშვილი პატა** – მ ო წ მ ე პაპუნა ფავნელისშვილის მიერ დეკანოზ

დავითისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ.Qd–9611).

[მინდოდაშვილი სეხნია]– მ ო წ მ ე პაპუნა ფავნელისშვილის მიერ დეკანოზ დავითისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ.Qd–9611).

მინდუაშვილი გიგუტა – ოკამს მცხოვრები, წმინდა შიოს ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით მ ი ს ი კომლიდან ორ კაცს ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მინიაშვილი ავთანდილ – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] სულხან, შაჰ-თამაზის შემოსევის შედეგად დაობლებულა, ხელმოკლეობის გამო მიჰყიდა ფილასონ ქურდეევანისძეს ყრისისხევში თავისი მკვიდრი გოგოშაური მამული (1569 წ.1450–47/12).

მინიაშვილი სულხან – [ძ მ ა] ავთანდილ მინიაშვილისა, იხ.

მირაბაშვილი ბურბა – ძ მ ა სულხანა მირაბაშვილისა, იხ.

მირაბაშვილი გეგა – ძ მ ა სულხანა მირაბაშვილისა, იხ.

მირაბაშვილი სულხანა – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ბურბა, გეგა. მ ი ჰ ყ ი დ ა ჯანდიერისშვილის ასულს, დარეჯან-ხანუმს თავისი მამის ნასყიდი ვენახი (1634 წ. 1450–21/6).

მირაზიზაშვილი საფარა – მ ო წ მ ე ალიყაფლანა ლაჩინაშვილის მიერ ნაზარა ხოჯაბეგაშვილისათვის მიცემული სახლისა და კალოს ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. X.1.1450–14/107).

მირათაშვილი გაბრიელა – მ ო წ მ ე სულხან მირაბაშვილის მიერ ჯანდიერისშვილის ასულ დარეჯან-ხანუმისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1634 წ. 1450–21/6).

მირაინგულ – დ ე დ ო ფ ა ლ ი - დ ე დ ო ფ ა ლ ი, თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე მეფე დავით X–ისა, იხ.

მირაინგულ – დ ე დ ა ზურაბისა. მ ი ს ი სულის მოსახსენებლად ზურაბმა მთაწმინდის მამადავითის მონასტერს შესწირა დილომში ვენახები ([1527–1556წწ. 1449–1605).

მირამ – მ ა ს და კაციაის მთაწმინდის ხარების ღვთისმშობლისათვის შეუწირავთ ქორთოძენს მცხოვრები თუთაშხია შეგიჰკორია, აღნიშნულია ლევან დადიანის შეწირულების წიგნში მთაწმინდის ხარების მონასტრისადმი (1642 წ. Qd–6740).

მირამაშვილი – მ ი ს ი დაქცეული დუქანი საბატონოდ დაიდო (XYII ს. Hd–14990 ფრაგმ.).

მირანაშვილი– ერთი კომლი, იხსენიება საკომლოების ნუსხაში (XYII ს.ბოლო. 1449–1794–2).

მირ[ა]ნაშვილი ზურაბა – შ ვ ი ლ ი თევდორა მირანაშვილისა, იხ.

მირ[ა]ნაშვილი თამაზა – შ ვ ი ლ ი თევდორა მირ[ა]ნაშვილისა, იხ.

მირ[ა]ნაშვილი თევდორა –1669–1671 წწ. ნიჩბელი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზურაბა, თამაზა, მახარა. მ ი ჰ ყ ი დ ა ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს [ნიჩბისში] ორი დღის მიწა ზაზას სასახლის გვერდით, ზაზას მიერ მამუკასაგან ნაყიდ მიწამდე, შოშაშვილისა და ბერ ივან[ა]შვილის მიწებამდე (1669 წ.Hd–6562); მ ო წ მ ე იმედა ფანიაშვილის მიერ მანუჩარ ციციშვილის ასულ ანუკასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. II.1.1450–51/70).

მირ[ა]ნაშვილი მახარა – შ ვ ი ლ ი თევდორა მირ[ა]ნაშვილისა, იხ.

მირანაშვილი შალუტა – ქაიხოსრო ბარათაშვილის ამოვარდნილი ყ მ ა,

ნაზირალი-ხანმა ი გ ი უწყალობა როსტომ ბარათაშვილს (1694 წ.1450–32/320).

მირანშა – მ ი ს ი ნაქონი მამული ქვემო ბოლნისში როსტომ მეფემ უწყალობა ხოსრო ნარიმანიშვილს (1642 წ.1448–269).

მირანშა – – შულავერელი, [როსტომ] მეფემ ი გ ი მამულით შესწირა ეჩმიაწინის მონასტერს (1657 წ. I.15. მატ.252 N 4).

მირანშასშვილი ვანია – ვანქს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა სოთია და შვილები. პაატა ბარათაშვილმა ისინი გაუცვალა შაჰყულა იაგულაშვილს რატევნის ყმა-მამულში (1656 წ. XII.13. 1450–9/150).

მირანშასშვილი სოთია – ძ მ ა ვანია მირანშასშვილისა, იხ.

მირაქა – ხ ო ჯ ა, მ ა მ ა სულხანისა, იხ.

მირაქა – ე მ ა რ თ ა ჯგალის ციხის ბეგარა ისევე,როგორც შონია ეჩაკოჩიას ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N 92–1).

მირაქა – სიონის მეალაპე, მ ო წ მ ე ხუგაზა ადიბეგაშვილის მიერ ბოლნელისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა ([1645–1677 წწ.] Hd–9275).

მირაქა – მ ი ს ი მამული ენაგეთში როსტომ მეფემ უწყალობა პაპუნა ბარათაშვილს (1658 წ. Hd–4153).

მირაქა – მ ო წ მ ე ნასყიდა ფასაშვილის მიერ გასპარასა და სიმონისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ. Y.20. სს. II. N 335).

მირაქა – მ ო წ მ ე პაპუა ყამაზასშვილისა და გიგოლა ფირველაშვილის მიერ გიორგი ყაფლანისშვილისათვის მიცემული ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. IY.10. Hd–6083).

მირაქა – მ ო წ მ ე მიზოა იარაზიზაშვილის მიერ მანთაშა დათოაშვილისათვის მიცემული ბაღის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. I.1. 1450. 10/153).

მირაქა – მ ი ს ი მიწა იყო საზღვარი ხოსრუა ასლუაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის ვალში მიცემული თავისი კერძი ახალშენისა (1693 წ. Hd–6604).

მირაქასშვილი|| მირაქაშვილი

მირაქაშვილი – შუა ბოლნელმა რევაზამ მ ი ს ი მიწის გვერდით მიჰყიდა ბაინდურ გოგიბაშვილს ერთი დღის მიწა ხატის სოფელში (1683 წ. III.1.1450–9/15).

მირაქასშვილი ვართანა – მ ო წ მ ე შუა ბოლნელი ევანეზ ზეგულასშვილის მიერ ავთანდილ ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1644 წ. III. 27. 1450–33/66).

მირაქასშვილი თამაზა – მ ო წ მ ე სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ.Y.10.Sd –620).

მირაქაშვილი მამულა – ზერტში მცხოვრები, ნიკოლოზ კათალიკოზმა მ ი ს ი წყალობა განუახლა რევაზ მაღალაძეს (1678 წ.YII.5. Ad–1498–20).

მირაქაშვილი მანდევაქა – ძ მ ი ს წ უ ლ ი მირაქაშვილ ყაზარასი, იხ.

მირაქასშვილი მირაქა – 1665–1688 წწ. ძ მ ა ყაზარა მირაქაშვილისა,იხ., მ ო წ მ ე: ყარაბუდახის მიერ ქრისტეფორე ბარათაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1665 წ. Sd–622), ყაზარა ყუზანაშვილის მიერ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ.I.21. 1450–6/16), ტერ-გრიქორ ტერ-ვართანაშვილის მიერ პაპოა გოგიბაშვილისათვის

მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ. I.21.1450–6/49).

**მირაქაშვილი ყაზარა** – შულავერს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ა მირაქა, ძ მ ი ს წ უ ლ ი მანდევაქა, ი გ ი ბაგრატ და ლევან ბატონიშვილებმა უწყალობეს ქაიხოსრო რატიშვილს (1688 წ. X.17. Hd–8415–ა).

**მირაქასშვილი ხუდადა**– მ ო წ მ ე როსტომა [მირიმანაშვილის] მიერ გასპარა მელქუასშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. I. 13. 1450–7/121 ა).

**მირაშაშვილი** – კასპს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა; საამილახვროს დავთრის მიხედვით, მი ს ი კომლიდან ოთხ კაცს ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მირაშაშვილი ხარახანა** – მ ო წ მ ე ფარსადან შიხაშვილის მიერ ზა[ა]ლ იაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. 1450–9/136).

**მირემაშვილი სარქისა** – მ ო წ მ ე არაქელა მურადაშვილის მიერ იარალი ბაისოლულასშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. I. 24. 1448–91).

**მირვან** – სამეფო კარის მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი, დ ა მ წ ე რ ი გიორგი მეფის მიერ პაპუნა თუხარლისათვის მიცემული სახლის დამტკიცების წიგნისა (1679 წ. IY.19. 1450–13/57).

**მირველასშვილი** – ქვაბევანს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მირველასშვილი გოზალ** – ახალქალაქელი, მ ო წ მ ე ესტატეს მიერ ნოინ დავითაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. I.15. Hd – –15067 ფრაგმ.).

**მირველიშვილი პაპუნა** – მ ო წ მ ე [არჩვაძის] მიერ ბერია ყაზარასშვილისათვის მიცემული მამულის გირავნობის წიგნისა (1700 წ. ახლო. Hd–14565).

**მირზა** – კარშაგარს მცხოვრები; ი გ ი მამულით·ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მირზა** – შაგთგოზს მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII. 16. 1450–11/112).

**მირზა** – უკანგორს მცხოვრები, ერთ წილად მამულით ერგო [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450–50/88).

**მირზა: მირზასეული** – თეიმურაზ მეფემ გიორგი სააკაძეს უწყალობა მ ი რ ზ ა ს ე უ ლ ი ვენახი (1631 წ. 1448–3261).

**მირზა** – 1666–1694 წწ. მ ო წ მ ე: ავთანდილ ესტატაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ. IY– დამღ.Hd–9282), გასპარა დარისპანაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილის, ბაინდურ [შანშიაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680–იანი წწ. 1450–9/24), ავთანდილა ესტატეშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული სახლ-კარისა და მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. Hd–1823), დოლმაზა ესტატესშვილის მიერ ბაინდურ [შანშიაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IY. 7. 1450–10/27), ათაბეგ უსუფაშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IY. 7. 1450–10/15 ), დუშია გოგიბაშვილის მიერ ფარემუზ გოგიბაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IY.7. 1450–6/36).

**მირზა** – სამთავისს მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო, სამთავნელის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448–5032).

**მირზათა, მირზ[ა]ნთა**– იხ. მირზაშვილი

**მირზაბეგ** – ატენში მ ი ს ი ნაქონი ოთხი ურია ყმა იხსენიება [საურის გამომღებ] ყმათა ნუსხაში ([1658–1675 წწ.] Hd–14534-ბ)

**მირზალაშვილი მირზა** – სავანეთს მცხოვრები, ერთ წილად ხვდა ხოსია ბარათაშვილს (1640 წ. 1450–11/80).

**მირზა–ალა** – რევაზას ყ მ ა, მ ო წ მ ე რევაზას მიერ ფეშანგ ფინეზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.IY.1.1450–35/51).

**მირზაშვილები** – ფუზეთში მცხოვრებნი, შედიოდნენ წილკნის სამწყსოში. თუ სახლის უფროსები ან მათი მეუღლენი გარდაიცვლებოდნენ, წილკნის საყდრისათვის უნდა მიერთმიათ: კაცზე– მთელი ნიშანი, შეკაზმული ცხენი, ორი გადასახურავი, სუფრის იარალი და თასი; ქალზე– საწირავი ნიშანი ან ტოლომა, კაბა, სარტყელი, ლილი, ბეჭედი, თავსახურავი, ორი გადასახურავი (1669 წ. 1448 – –5013).

**მირზასშვილი|| მირზაშვილი|| მირზათა|| მირზანთა**

**მირზაშვილი** – ლისში მცხოვრები ა ზ ნ ა უ რ ი [ბარათაშვილების] გაყრის დროს ი გ ი ერთ წილად ერგო გერმანოზსა და მის ძმებს (1523 წ. Ad – –1299 ა).

**მირზაშვილი** – მ ა მ ა მ თ ა ვ ა რ ი, ევალებოდა წილკნელის ხლება, როდესაც იგი არაგვის ერისთავის მამულში "სარკულავზედ" შებრძანდებოდა.ხოლო ქსანზე და ანანურს ზემოთ, მთიში, მ ი ს ი უფლებები არ ვრცელდებოდა (1669 წ. 1448–5013).

**მირზაშვილი** – ვერეში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს მ ი ს ი მამული ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

**მირზაშვილი** – მ ი ს ი საკომლო კრკონში თამაზ [ბარათაშვილმა] მიჰყიდა კაცია [ორბელიშვილს] (1690 წ. IY.12. 1450–10/186).

**მირზასშვილი** – ტყვიავში მ ი ს მამულზე ესახლა მიზუა (1700 წ. 1558 – –3602).

**მირზაშვილი აბულა** – თადანს მცხოვრები, პ ყ ა ვ ს [ძ მ ა] სარქისა; ზაალ გაბაშვილმა ი გ ი ცოლ-შვილით, ძმითა და მამულით მიჰყიდა გიორგი ბარათაშვილს (1653 წ.1450–38/36).

**მირზაშვილი აზარა** – მ ო წ მ ე მიქელის მიერ მახარებელ სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. YIII. 1. Sd–37).

**მირზაშვილი აიგაზა** – 1652–1685 წწ. ძ მ ა ჰასანა მირზაშვილისა,იხ., მ ო წ მ ე: ნაზარა თამაზაშვილის მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ.ახლო. 1450–10/9 ბ), თამაზ ავთანდილაშვილის მიერ თავისი განაყოფის, ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1685 წ. 1450–7/21).

**მირზაშვილი ამირა** – [ძ მ ა] მანთაშა მირზაშვილისა, იხ.

**მირზათა ამოა** – მ ო წ მ ე ყანყუზარათ მირაქას მიერ მერაბ ყანდინაშვილისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.YII.24. 1448 – –2944).

**მირზასშვილი გასპარა** – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე [ამირ]ჯანათ ამ-

სარქისას მიერ შიოშ ბარათაშვილისათვის მიცემული ხელწერილისა (XYII ს. Hd—14997).

**მირზაშვილი გიორგი** — ვეძელი; შ ვ ი ლ ი ნადირა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი გოჩია** — 1648–1650 წწ. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზაქარია, ივანე, ზურაბ (1648 წ. Sd—8). მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა სულხანაშვილს კოდიზე თავისი ერთი დღის მკვიდრი მიწა (1648 წ. IY. 22. Sd—8), მ ო წ მ ე ხიზანა მირაშვილის მიერ პაპუნა სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1650 წ. IX. Sd—26).

**მირზაშვილი ელიზბარ** — [ძ მ ა] მანთაშა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ესტატე** — ვეძელი, ძ მ ა ნადირა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ზაქარია** — შ ვ ი ლ ი გოჩია მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ზურაბ** — შ ვ ი ლ ი გოჩია მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი თამაზა** — მ ო წ მ ე გრიგოლ ბარამისშვილის მიერ ალიბეგაშვილისათვის მიცემული ფიცის წიგნისა მონასტერთან სადაო ნაცარგორის ხოდაბუნის კუთვნილების თაობაზე ([1688–1703 წწ.] Hd—837).

**მირზაშვილი თამაზა** — ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი მანთაშა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ივანე** — შ ვ ი ლ ი გოჩია მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ივანე** — მ ო წ მ ე როსტევან მახვილაძის მიერ ტერ-მარქარასათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. YIII. 1450—33/234).

**მირზაშვილი მანთაშა** — 1696–1700 წწ. ჰ ყ ა ვ ს: [ძ მ ე ბ ი]: ამირა, ელიზბარ, ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი თამაზა (1700 წ. Hd—10246); მ ი ჰ ყ ი დ ა ნასყიდა დოლმაზაშვილს მიწა ბაინდურაშვილის ახალშენს ქვემოთ (1700 წ. YIII. 19. Hd—10246), მ ო წ მ ე თამაზას მიერ ნასყიდა დოლმაზასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. IY. 5. Hd—1777).

**მირზაშვილი ნადირა** — 1686–1688 წწ. ვეძელი, ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ესტატე, შ ვ ი ლ ე ბ ი: გიორგი, ხიზანა. მ ი ჰ ყ ი დ ა ივანე სულხანაშვილს წოდორეთში კვირაცხოველთან მდებარე გოგია შოშიტაშვილისაგან ნაყიდი ერთი დღის დღის მიწა (1686 წ. Y. 2. Sd—149). მ ო წ მ ე გიორგი მიდეგასშვილის მიერ ივანე სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. XI. 14. Sd—7).

**მირზ[ა]შვილი ნასყიდა** — მ ო წ მ ე ქაიხოსრო ჯავახიშვილის მიერ პაპია ჭყოპი[ა]შვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1633 წ. Ad—1802).

**მირზაშვილი პაპუა** — შ ვ ი ლ ი ჰასანა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი სარქისა** — [ძ მ ა] აბულა მირზაშვილისა, იხ.

**მირზ[ა]ნთა საფარა** — მ ო წ მ ე ბეჟანა რაგვიშვილის მიერ სოლომო ხ[ა]ტისაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Y. გასული. 1449—1861).

**მირზაშვილი ყულიჯანა** — უკანგორში მცხოვრები, ი გ ი წილში ერგო ლეონ თურქისტანიშვილს, რაც დაუმტკიცა როსტომ მეფემ (1646 წ. III. 12. 1450—18/89).

**მირზასშვილი ჰრელა** — სამეფო კარის მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი, დ ა მ წ ე რ ი ალექსანდრე მეფის მიერ თავისი დის, ქეთევანისათვის მიცემული აკურის მონასტრის წინამძღვრობის წყალობის წიგნისა (1597 წ. IY. 18. 1448—2242).

**მირზაშვილი ხიზანა** — შ ვ ი ლ ი ნადირა მირზაშვილისა, იხ.

**მირზაშვილი ჰასანა** — სამწერული, ჰ ყ ა ვ ს: ძ მ ა ბივაზა, შ ვ ი ლ ი პა-

პუა. მ ი ჰ ყ ი დ ა პაპია შანშიაშვილს სამწევერისში თავისი ნასყიდი სავენახე მიწა, რომელსაც ესაზღვრებოდა თამაზას საწნახელი და მაჰმადას ვენახი (1652 წ. I.13. 1450–6/14).

მირზაჯანა – მ ი ს ი სახლი იყო საზღვარი ლორტუკაანთ მერაბასშვილ ამოანას მიერ მახარობლისათვის მიყიდული ბაღჩის ადგილისა (1682 წ. XI.1.1450–5/175).

მირზია – ჰქონია ატენში მამული, რომელიც მეფეთა მიერ შეწირული ყოფილა სიონის ღმრთისმშობლისათვის. როსტომ მეფემ ეს მამული უწყალობა გიორგი საძაკაძეს, ხოლო მ ი რ ზ ი ა ს დაავალა ზეთის ხდა ატენის ეკლესიისათვის (1635 წ. Ad–1010).

მირზიაშვილი – მ ი ს ი ნაქონი ვენახი ტბისში თაყა ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს (1665 წ.XI.15.Hd–6248). თაყა ასანბეგიშვილმა გაუცვალა მ ი ს ი მამული პაპუნა გოსტაშაბიშვილს ენაგეთში მცხოვრებ სამ კომლ ჯანიკაშვილებზე, ცამეტ თუმან თეთრსა და პაპისგორში ხუთი დღის მიწაზე (1671 წ. II. 12. Hd–6777, Hd–7592).

მირზუაშვილი სუხია – გორინჯუკს მცხოვრები, ი გ ი წილში ერგო ლეონ თურქისტანიშვილს, რაც დაუმტკიცა როსტომ მეფემ (1646 წ.III.12.1450–18/89).

მირზუკაშვილი – მ ი ს ვენახამდე მიჰყიდა ბარათა ბარათაშვილმა ვახტანგ ორბელიშვილს თაფანში მამული (1684 წ.X. დამდეგი. Sd–540).

მირიან: მირიანისეული – ბერთისა და პარეხის უდაბნოები ერთმანეთს ედავებოდნენ მ ი რ ი ა ნ ი ს ე უ ლ მამულზე (XYI ს. Q–906, 264v–265 r).

მირიან – გორელი, მ ო წ მ ე მამისა გოგიჩაიშვილის მიერ ამირალა მესხასატურაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ. YII.25. Hd–5306).

მირიან – მ ო წ მ ე ნასყიდა ხარ[ა]ტიშვილის მიერ ბეჟან ანდრონიკაშვილისათვის მიცემული სასახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1650 წ.Hd–6441).

მირიანა – მ ი ს ი კერძი მამული სველნეთში სვიმონ მეფემ შესწირა ქვათახევის მონასტერს (1567 წ. YI.12. 1449–1612).

მირიანა – მ ი ს ი ნახევარი მამული საუფროსოდ წილად ხვდა გულბაათ ელიოზიძეს ძმასთან გაყრის დროს (1573 წ. Sd–527).

მირიანა – მ ო წ მ ე მხითარა წურიკაშვილის მიერ ესტატე ფრანგიშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1637 წ. YIII.25.1450–53/11).

მირიანა – მ ი ს ი მიწა იყო საზღვარი გაბიტა ელგემიძის მიერ მაწნაძისათვის მიცემული სავენახე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ.1448–5397).

მირიანა – მ ო წ მ ე გასპარა დარისპანასშვილის მიერ დოლმაზასათვის მიცემული მიწებისა და ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.YI.1.Hd–1780).

მირიანა – მ ო წ მ ე კაკალა გოგრისშვილის მეერ ბერუა მოდრეკილაძისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს.Ad–1668).

**მირიანასშვილი||მირიანაშვილი||მირიანისშვილი**

მირიანაშვილი – მ ი ს ი მიწა იყო საზღვარი გიორგი მუჩათიძის მიერ უცნობი პირისათვის მიყიდულ ოთხი დღის მიწისა (1681 წ.Hd–834).

მირიანაშვილი: მირიანაშვილისეული – აბულეარდ მუჩათიძემ მიჰყიდა მღუდელ პეტრე კაკასიძეს მიწა მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ მიწამდე (1682 წ. ახლო. Hd–808).

**მირიანაშვილი: მირიანაშვილისეული** — ყაყა წინამძღვრიშვილმა მიჰყიდა აბელს მირიანაშვილისეული ექვსი დღის მიწა (1691 წ. XI.13. 1450–2/131).

**მირიანასშვილი ამირზა** — შვილი მირიანა მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი ბადრია** — [სახლიკაცი] ბერუა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი ბეჟანისშვილი ოთია** — მოწმე ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბ ჯავახისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. Y. Ad–967).

**მირიანაშვილი ბეჟუა** — [სახლიკაცი] ბერუა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი ბერი** — შვილი გიორგა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი ბერი** — შვილი მახარა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი ბერუა** — ჰყავდ [სახლიკაცები]: ბადრია, შემაზა, გოდერძი, ბეჟუა. მიჰყიდა პეტრეს მელის სოროებთან მდებარე პანიური მამული მუჩათიძეების მიწის გვერდით (1682 წ. Hd–812).

**მირიანაშვილი ბერუა** — შვილი პაპუნა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი გიგოლა** — რეხს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**მირიანაშვილი გიორგა** — ჰყავს შვილი ბერი. მიჰყიდა შალვა რაზმაძეს მროველის ხოდაბუნის ბოლოს ორი დღის მიწა — თავისი ნასყიდი და განაყოფებისაგან ნარგები წილი (1646 წ. IY.13. 1448–5443).

**მირიანაშვილი გოგია** — მოწმე სვიმონ სულხანაშვილის მიერ ზურაბ ჯავახიშვილისათვის მიცემული სასახლის და მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. Y. წ. Hd–2629).

**მირიანაშვილი გოდერძი** — [სახლიკაცი] ბერუა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანასშვილი დათუნა** — რუისში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს მამულით ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

**მირიანაშვილი დათუნა** — ძმა პაპუნა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი დათუნა** — შვილი მახარა მირიანაშვილისა, იხ., ჰყავს [შვილი] ოთარ. მიჰყიდა თევდორე რაზმაძეს მიწა კლდის თავს, რაზმაძის მიწის გვერდით და იქვე, თავისი განაყოფისაგან დახსნილი მიწა (1690-ანი წწ. 1448–5436).

**მირიანასშვილი ერაპეტა** — შვილი მირიანა მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანასშვილი ზუბა** — შვილი თევდორე მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანასშვილი თამაზა** — შვილი თევდორე მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანასშვილი თამაზა** — 1675–1690 წწ. ჰყავს ძმა ფრიდონა. მასთან ერთად მოწმეა წატურაანთ პაპინასშვილ ფასუას მიერ ასატურ ბეჟანისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. YII. 1450–49/118), მოწმე ამირან სუნბატასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IY. 1450–49/101).

**მირიანასშვილი თევდორე** — ნიჩბელი, ჰყავს შვილები: თამაზა, ზუბა, მიჰყიდა ხოჯა როსტომას მწყერაძისაგან ნასყიდი ვენახი (1670 წ. XI. 28. Ad–1209).

**მირიანაშვილი მამისიმედი** — ძმა პაპუნა მირიანაშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი მახარა** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: შიო, ბერი, დათუნა; მ ი ჰ ყ ი დ ა თევდორე რაზმიაშვილს თავისი მკვიდრი ერთი დღის მიწა კუთხაშვილის მიწის გვერდით (1690–ანი წწ. 1448.5441).

**მირიანასშვილი მირიანა** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ამირზა, ერაპეტა.მ ი ჰ ყ ი დ ა გიორგი ბარათაშვილს მიწა (XYII ს. II ნახ. 1450–38/15).

**მირიანასშვილი თთარ** – [შ ვ ი ლ ი] დათუნა მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი პაატა** – 1635–1646 წწ. წოდორელი, ს ა ხ ა ს ო გ ლ ე ხ ი. როსტომ მეფემ ი გ ი დაუმტკიცა მერაბ ყორღანაშვილს (1635 წ. IX.10. Qd – –2432); მ ო წ მ ე გელიტა ივანაშვილის მიერ მახარებელ სულხანაშვილისათვის მიცემული საბოსტნე მიწის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ.IX.1. Sd–13).

**მირიანაშვილი პაპუნა** – მ ო წ მ ე შოშიტა სალარიშვილის მიერ დავითისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ.Qd–6893).

**მირიანაშვილი პაპუნა** – მ ო წ მ ე ქიტია ქუბიაშვილის მიერ გოგილა მალულიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.III.15.Sd–57).

**მირიანაშვილი პაპუნა** – წოდორეთს მცხოვრები; შერმაზან და ზურაბ ჯავახიშვილების ყ მ ა, ტატინას მენახევრე; ზურაბ ჯავახიშვილმა ი გ ი თოთხმეტი დღის მიწით და სასაფლაოთი მიჰყიდა ყალანდარ თუმანიშვილს (1696 წ. YII. 23. 1450–3/6).

**მირიანაშვილი პაპუნა** – 1690–ანი–16[9]8 წწ. ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: დათუნა, მამისიმედი, შ ვ ი ლ ი ბერუა (16[9]8 წ. 1448–5439); მ ი ჰ ყ ი დ ა თევდორე რაზმაძეს ორი დღის ნაფუძარი ზურაბაშვილისა და პავლეს მიწებამდე (16[8]8 წ.1448– –5439); მ ო წ მ ე: დათუნა მირიანაშვილის მიერ თევდორე რაზმაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690–ანი წწ. 1448–5436), მახარა მირიანაშვილის მიერ თევდორე რაზმიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690–ანი წწ. 1448–5441).

**მირიანაშვილი რამაზა** – 1683–1692 წწ. გორელი (1683 წ. Sd–44). მ ო წ მ ე: ბეჟან [თუმანიშვილის] მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული ნაზვრევის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. II.17. Sd–44), ამირალას შვილიშვილის, გაბრიელ [ამირალასშვილის] მიერ ასატურ ბეჟინასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ. III.1450–49/104), ამირან სუნბატასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. IY. 1450 – –49/101), ბეჟან თამაზასშვილი-ამირალასშვილის მიერ ასატურა ბეჟანისშვილისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. XI.15. 1450–49/ 105).

**მირიანასშვილი (ვარ.მირანისშვილი) ფარსადან (ვარ.ფარსადანა)**–1654–1697წწ. გორს მცხოვრები (1679 წ. გსიემ 7601/28). მ ო წ მ ე: ხოსინა წერეთელასშვილის მიერ პაპინა ხუდიდასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1654წ. Hd–6858), გივი ამილახორის მიერ სუბატაშვილისა და გოგინაშვილისათვის მიცემული სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1664 წ.I.15.Hd–13141), მამუკა ამირალაშვილის მიერ ასატურა ბეჟინაშვილისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1670 წ. XII.15. 1450–49/102), ენდრონიკაანთ ელიზბარას მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 YII. დამდეგი. Sd–6), მამასახლის გუმანას მიერ სიმონგულა მამუკასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ. YIII. Hd–5303); ნაზარა ხოჯუასშვილის მიერ ამირალანთ ფარსადანისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ.X.

10. გსიემ. 7601/13), მამუკა ამირალასშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული ხახანასეული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ.Y.20.Sd–10), ნასყიდა არჩუკაშვილის მიერ დავით [გარსევანისშვილისათვის] მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1679 წ. I.30. გსიემ 7601/28), მამუკა პარკაძის მიერ დავით გარსევანიშვილისათვის მიცემული ნაწისქვილარი მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. XI.18. გსიემ 7601/59), პაპუნა ლალასშვილის მიერ დავით ამირალაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. Hd–5270), ავთანდილ მირიმანიძის მიერ გივი თუმანიშვილისათვის მიცემული შამირზას ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. XI.11. Hd–403).

**მირიანაშვილი ფარსადანა** – 1688–1692 წწ. მ ო წ მ ე: სომხითის მელიქის, ავთანდილის მიერ, ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ. 1450–10/18), სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა [ბარათაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. Y.10. Sd – 620 ), გასპარა დარისპანასშვილის მიერ დოლმაზასათვის მიცემული ვენახისა და მიწების ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. YI . 1. Hd–1780).

**მირიანასშვილი ფრიდონა** – ძ მ ა თამაზა მირიანასშვილისა, იხ.

**მირიანაშვილი შემაზა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბერუა მირიანაშვილისა,იხ.

**მირანაშვილი შიო** – შ ვ ი ლ ი მახარა მირიანაშვილისა,იხ.

**მირიანაშვილი ხოსია** – მ ო წ მ ე ბაინდურ ელიარაშვილის მიერ ფარსელ არლუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ.XI.26.1450–
–28/8).

**მირიანისძე || მირიანიძე**

**მირიანისძე** – უმკვიდროდ გარდასული, მ ი ს ი მამული კოსტანტინე მეფემ უწყალობა საღვინის მოლარეს, ახალციხელ ქავთარისძეს (1487 წ.Hd–14695).

**მირიანიძე ბასილა** – მ ო წ მ ე ძაბილა ჩაჩუნაშვილის მიერ თევდორე მოდრეკილაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. Ad–1794).

**მირიანისძე იოვანე** – კავთისხეველი, ჯილავის მეთოფე, ი გ ი სვიმონ მეფემ გაათავისუფლა სამეფო გადასახადებისაგან (1581 წ.YIII.8.1448–5510).

**მირიასშვილი || მირიაშვილი**

**მირიაშვილი** – ჯანაზიანს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მირიაშვილი გიორგი** – შ ვ ი ლ ი ხიზანა მირიაშვილისა, იხ.

**მირიაშვილი იოსებ**– შ ვ ი ლ ი ხიზანა მირიაშვილისა, იხ.

**მირიაშვილი ნასყიდა** – მ ო წ მ ე თევდორე მირ[ა]ნაშვილის მიერ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1669წ. Hd–6562 ).

**მირიასშვილი ნიკოლოზ** – მ ღ ვ დ ე ლ ი, მ ო წ მ ე თამაზა მგელიტასშვილის მიერ მამულა ვარამასშვილისათვის მიცემული ნავენახევის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. Ad–981).

**მირიაშვილი ხიზანა** – 1646–1650 წწ. ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: იოსებ, გიორგი (1650 წ. Sd–26). გაჭირვების გამო მ ი ჰ ყ ი დ ა პაპუნა სულხანაშვილს თავისი ნასყიდი მიწა ქერუაშვილის მიწასთან და აგრეთვე– მამის მამულიდან ნახევარი დღის მიწა (1650 წ. I X. Sd–26); მ ო წ მ ე: მიქელის მიერ მახარებელ სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ.YIII.1.Sd–

–37), გოჩია მირზაშვილის მიერ პაპუნა სულხანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1648 წ.Y.22. Sd–8).

**მირიმანა** – ა მ ბ ა რ დ ა რ ი, ლუარსაბ მეფემ განუახლა სიონის ეკლესიას შეწირულება სასახლისა და ოთხი ქულბაქისა, რომლებიც ესაზღვრებოდნენ მ ი ს სახლს (1552 წ.1449–1498); ზურაბ ბარათაშვილმა შესწირა თბილისის სიონს მ ი ს ი და თოღრუას პირდაპირ მდებარე ქულბაქი (1637 წ.1449––2650).

**მირიმანა** – მ ე ლ ი ქ ი; მ ო წ მ ე: ჯავახაანთ მასურას მიერ მიკირტინა პოდიკაშვილისათვის მიცემული ბაღჩის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ.1450–18/78), მასურ ჯავახიშვილის მიერ მჭედელ მიკირტიჩასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1573 წ. 1450–18/79).

**მირიმანა** – თამაზ ბარათაშვილის მკვიდრი ყ მ ა, თამაზ ბარათაშვილმა მიჰყიდა იგი როსტომ ყორღანაშვილს (1688 წ.XII.2.1450–1/91).

**მირიმანასშვილი||მირიმანაშვილი||მირიმანაანთ**
**მირიმანათ**

**მირიმანაშვილი** – ღმანისში მცხოვრები, მამულითურთ წილში ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**მირიმანაანთ** – მ ა თ ი ვენახი ესაზღვრებოდა როსტომ მეფის მიერ იავანგულაანთ-ფარყუზათაშვილი სულხანისათვის ნაწყალობევ მიწას (1645 წ. YI.20.1450––22/67).

**მირიმანანთ** – იავანგულაანთ ბაინდურამ ხოჯა ბეჰბუთას მიჰყიდა ნაიონჯარი მიწა მ ი რ ი მ ა ნ ა ნ თ ვენახამდე (1658 წ. II.4. 1450–22/61).

**მირიმანაშვილი** – მ ი ს ი ოთხი დღის მიწა შიოშ ბარათაშვილმა მიჰყიდა როსტომ ყორღანაშვილს (1685 წ. Y.6. 1450–1/86).

**მირიმანაშვილი ალიბეგ** – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: მირიან, დურმიშხან, ელიზბარ, იაგან, ქაიხოსრო. შაჰნავაზმა მ ა ს განუახლა ყაენისა და როსტომ მეფისაგან ადრე ნაბოძები სოფელ კარმირქარის წყალობა (1660 წ.1450–6/143).

**მირიმანაშვილი ამირჯანა** – ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა,იხ.

**მირიმანათ ასლანა** – ზ ა რ ა ბ თ უ ხ უ ც ე ს ი, მ ო წ მ ე აღაბაბასშვილ-რამაზასშვილ ალიჰექაბარას მიერ ფირყულაანთ ნაზარასშვილ გიორგისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. X.7.1450–6/117).

**მირიმანაშვილი აღაჯანა** – ლუარსაბ მეფემ სიონის ეკლესიას განუახლა ქულბაქის წყალობა ა ღ ა ჯ ა ნ ა ს ქულბაქის გვერდით (1552 წ. ის.II.40–42).

**მირიმანაშვილი აღაჯანა** – იხ. **მირიმანაანთ შალუბათასშვილი აღაჯანა**

**მირიმან[ა]თ ალყუნაშვილი ვაზონ** – დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე გრიქორა ბაკურაშვილის მიერ მკრტიჩ [ო]ნიკაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. შუა ხანები. 1448–5333).

**მირიმანაშვილი ბაინდურა** – 1611–1641 წწ. ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა, იხ. მ ო წ მ ე: მირიმანაანთ აღაჯანას მიერ ხეჩუასათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1611 წ. 1450–22/117), ახპერჯანას მიერ სარქისასათვის მიცემული სამამულე დავის განჩინებისა (XYII ს. I ნახ. Qd–499).

**მირიმანაშვილი ბაღუმა** – ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაშვილი ბაღუმა** (ვარ.ბაღინა)– შ ვ ი ლ ი ენალა მირიმანაშვილი – სა, იხ.

მირიმანაშვილი ბეჟანა — 1656–1692 წწ. ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა ენალა მირიმანაშვილი, იხ., ძ მ ე ბ ი: თაყინა მირიმანაშვილი, იხ., როსტომა მირიმანაშვილი, იხ. (1692 წ. 1450–7/121 ბ). მ ი ჰ ყ ი დ ა თავისი ძმის, როსტომას ყმას, გასპარა მელქოაშვილს, წილში ნარგები ყმა — ყაზარა მელქოასშვილი (1692 წ. I. 21. 1450–7/121 ბ).

მირიმანასშვილი გიორგი — ძ მ ი ს წ უ ლ ი იოვანეზა მირიმანასშვილისა, იხ.

მირიმანაშვილი გოგინა — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მირიმანაანთ შალუბათასშვილ ალაჯანასი, იხ.

მირიმანაშვილი დანელა — შ ვ ი ლ ი როსტომა მირიმანაშვილისა, იხ.

მირიმანაშვილი დურმიშხან — შ ვ ი ლ ი ალიბეგ მირიმანაშვილისა, იხ.

მირიმანაშვილი ელიზბარ — შ ვ ი ლ ი ალიბეგ მირიმანაშვილისა, იხ.

მირიმანაშვილი ენალა (ვარ. ეინალ, ენალბეგ)— 1634 sic/1641–1684 წწ. ქ ა ლ ა ქ ი ს მ ე ლ ი ქ ი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: მამუკა, მირიმანა, ბაინდურა, სოლალა, ბალუმა, ამირჯანა, მირაქა ( 1641 წ. 1450–6/4). შ ვ ი ლ ე ბ ი: ბალუმა (1645, 1656 წწ. 1450;5/119, 5/115), თაყა (1645–1666 წწ. 1450: 5/119, 5/115, 5/117, 1449–564, Ad–1973), საფარ (1645–1665, [1692 წწ.] 1450: 5/119, 5/115, 1449–564, 1450–5/117), ქაიხოსრო, ბეჟანა (1656–1666, [1692] წწ. 1450–5/115, 1449–564, 1450–5/117, Ad–1973), როსტომა (1656–1692 წწ. 1450: 5/115, 1449–564, 1450–5/117, Ad–1973). როსტომ მეფემ მ ა ს განუახლა წყალობა: აბანოს უბანში ნასყიდი და ნაწყალობევი ვენახებისა, რომლებსაც ესაზღვრებოდა აუთანდილა ქაფანაკაშვილის, სუხინა ტერტარასშვილის და ფოთინას ვენახები(1641 წ. 1450–6/4), შაჰნავაზმა — თორმეტი კომლი მკვიდრი ყმისა: ავაქასი, გრიქოლასი, დათუნასი, ბეგაბეგაშვილ ოჰანასი, ბერინაშვილი გოგინასი, ფინაჩ ზურაბასი, ერაპეტასი, მეწისქვილე ბიძინაშვილის, მამუკაშვილის, ასატურასი, ბერიკასი (1661 წ. 27.XII.1449–564). შაჰნავაზმა უწყალობა მ ა ს სომხითში სოფელი სამწევრისი სანაცვლოდ იმ ყმებისა, რომლებიც ქალაქში ჩამოართვა (1666 წ.III.3. Ad–1973); ი ყ ი დ ა: გოსტამაანთ ყოყუნაშვილ ბიძინასაგან ქალაქში ჩასული მისი მკვიდრი ყმა, ბერუკა გივნაშვილი ცოლშვილით (1645 წ. I.20. 1450–5/119), მამუკა შატულიშვილისაგან — მისგან გაქცეული მკვიდრი ყმები: დათუნა და ხიზანა ( 1656 წ. 1450–5/115); გაარიგა ტოტუაშვილებისა და მანდენაშვილების დავა აჯაბნუშასშვილებთან (1648 წ.Qd–503); მ ა ს ყმობის წიგნი მისცა მახარე გამაზიდაშვილმა (1665 წ. 1450–5/117); მ ი ს ქულბაქამდე მიჰყიდა გოგინა თამამშაშვილმა ადგილი ხოჯა ბეჰბუდას (1661 წ. III.21. 1450–22/108); მ ო წ მ ე: პაატა აბაშიძის მიერ მოურავ მანუჩარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1634 წ. სიჩ XYII ს. შუა ხანები.8.IY. 1450–8/150), გრიქოლა ბაკურაშვილის მიერ მკრტიჩ [ო]ნიკაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა(XYII ს. შუა ხანები. 1448–5333), ხოჯა ფიროას ყმის, სარქისას მიერ არაქელა ბეგოჯანაშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1641 წ. 1448–2939 ), გიორგი სანჯარაშვილის მიერ მეჯორეთუხუცეს მაჰმადასათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. ახლო. 1450–53/120), შანაზარ მურაჩაშვილის მიერ მანუჩარ მოურავისათვის მიცემული ბატონყმობის წიგნისა ( 1646 წ. 10.YI.1450–53/97), ოლქათ ყალაბეგაშვილ ყალუას მიერ მანუჩარისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. YI.10. Hd–13005), გივი ამილახო-

რის მიერ მოურავ მანუჩარისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1646წ. Hd–14911), ზურაბა ხუდადაშვილის მიერ ფარსადანა მირველასშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1646 წ. IY.19. 1450–57/5), ოჰანა ასატურასშვილის მიერ ამირაღასათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1649 წ. Y. 1449–2654), დათუნა სოლაღაშვილის მიერ მოურავ მანუჩარისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1651 წ. YI.10. 1450–53/92), შარუათ შარუაშვილ ოჰანას მიერ თავისი ძმების, გოგინასა და გასპარასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1652 წ. 18.IX.1450–51/243), მანდენაანთ მამუკას მიერ ხოჯა ზაქარია მასაჯანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ.III. 26. 1448–1496), აკოფა ქოჯანასშვილის მიერ თავისი ბიძაშვილის, საქუასათვის მიცემული ქულბაქების გაცვლის წიგნისა (1656წ. YIII.20. 1450–17/9), რამაზ ფარლუზათაშვილის მიერ მამისიმედ ენაგელაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. Qd–16), იავანგულაანთ ბაინდურას მიერ ხოჯა ბებუთასათვის მიცემული ნაიონჯარის ნასყიდობის წიგნისა (1658 წ. II.4.1450–22/61), ციცი ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ შაბანასათვის მიცემული ყმის წყალობის წიგნისა (1658 წ.III.1. Hd–9653), ელენეხანუმის მიერ შერმაზან სულოაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1658 წ. 1448–2341), ხოჯა ბეჰბუდას მიერ სევანის ანაპატისათვის მიცემული ქულბაქის შეწირულების წიგნისა (1658 წ.1450–21/101), დურმიშა დაუთა – შვილის მიერ მამუკასათვის მიცემული სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1659 წ.IY.15. 1448–1087), სომხითის მელიქის, ათაბეგის მიერ ქალაქის მოურავის, მანუჩარისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1659 წ. 1450–8/145), იავანგულაანთ ყარახანასა და ხოჯა ბეჰბუდას შორის დუქნების გაცვლის წიგნისა (1661 წ.IX.12. 1450–22/111), პაპუას მიერ ხოჯა ბეჰბუდასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1661 წ. Y.1.1450–22/117 ა), გოგინა თამამშაშვილის მიერ ხოჯა ბეჰბუდასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1661 წ.III.21. 1450–22/108). პაპოა სეფოასშვილ-ასლანისშვილის მიერ ხოჯა ბეჰბუდასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა ( 1661წ. IY.27. 1450–22/119), შერმაზანის მიერ ხოჯა ბეჰბუდასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1662 წ. IX.4. 1450–22/122), სტეფანას მიერ თავისი განაყოფის, არაქელასათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1664 წ.I.6.1450–18/77), ასლანის მიერ ეჩმიაძინის ეკლესიისათვის მიცემული ქულბაქის შეწირულების წიგნისა (1664 წ.III.18.1450–21/47), ამირჯანა იევანგულაშვილის მიერ დომენტი კათალიკოსისათვის მიცემული ხატების ნასყიდობის წიგნისა ( 1664 წ. XII.3 Ad–621), გოგინა ასლანბეგიშვილის მიერ ზურაბ თუმანიშვილისათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1666 წ.Hd–13128), სუფრაჩ იმამყულიბეგის მიერ ყაიბულასშვილისათვის მიცემული პირობის წიგნისა (1666 წ.2.XI.1450–11/109), ბაისოლულ და ნასყიდა მაღდადაშვილების გაყრისა (1670 წ.1450–50/204 ); სარუხანათ ხოსინას მიერ ქაფანაკანთ ფარსადანასათვის მიცემული ქულბაქების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. Sd–754), მამასახლის ასლამაზის მიერ ელიზბარა ხარატასშვილისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.YI.15. Hd–13025), ყარახან შერმაზანაშვილის მიერ გასპარ ქოჩინასშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.IX.17. 1448–1940), ელიზბარა ხარატიშვილის მიერ მანუჩარ მოურავისათვის მიცემული სახლების გაცვლილობის წიგნი-

სა (1673 წ. Hd–1785), სოლაღა ულანცასშვილის მიერ დიღმელი სულხან ჩაჩასშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. IY.1. 1450–28/248). მ ი ს ი ბეჭედი უზის შემდეგ საბუთებს: Ad: 621,1664, 1448: 1940,1672 ,Sd: 754, 1672).

**მირიმანაშვილი ენალა** – შ ვ ი ლ ი როსტომა მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაშვილი ზაქუმ** – იხ. **ზაქუმიშვილი ზაქუმ**

**მირიმანაანთ ზაქუმისშვილი ბეჟან** – იხ. **ზაქუმისშვილი ბეჟან**

**მირიმანასშვილი ზურაბა** – იხ.**მირიმანაანთ მამუკასშვილი ზურაბა**

**მირიმანაშვილი (ვარ.მელიქისშვილი) თაყა (ვარ.თაყინა)**– 1645–1690,[1692 ]წწ. შ ვ ი ლ ი ენალა მირიმანაშვილისა, იხ., ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: საფარა, ბეჟანა,ქაიხოსრო|| ქაინა, როსტომა (1690–[1692] წწ. Qd: 650, 833). მ ი ს მ ა ძმამ, როსტომამ, თავისი ცოლის მზითვი დახარჯა საერთო აბანოს მოწყობაზე, შემდეგ დანახარჯის წილი მოსთხოვა ძმებს. მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთავიშვილმა] მათი დავის გარჩევა დაავალა ქეთხუდებს. თაყინას და დანარჩენ ძმებს დაეკისრათ შემდეგი ვალდებულება: თუ კი აბანოთი სარგებლობა სურდათ, მაშინ როსტომას დანახარჯი უნდა აენაზღაურებინათ, წ ილი უნდა გადაეხადათ. თუ არ გადაიხდიდნენ, მაშინ ვერც აბანოთი ისარგებლებდნენ (1690 წ.XI.2.Qd–650); მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთვისშვილმა] მდივნებთან ერთად ეს საქმე კვლავ გაარჩია. მელიქ-მამასახლისსა და ქალაქის ქეთხუდებს უანგარიშიათ როსტომას დანახარჯი აბანოზე. აღმოჩენილა, რომ თაყინასა და მის დანარჩენ ძმებს: საფარას, ბეჟანას , ქაინას აბანოზე გაწეული ხარჯი რომ აენაზღაურებინათ როსტომასათვის, უფრო მეტი უნდა გადაეხადათ, ვიდრე წილით მიიღებდნენ. ამიტომ ძმებმა უარი თქვეს აბანოს წილზეც და ხარჯის ანაზღაურებაზეც. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო ([1690–1692 წწ.] Qd–833).

**მირიმანაშვილი იაგან** – შ ვ ი ლ ი ალიბეგ მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაშვილი მამუკა** – ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაანთ მამუკასშვილი (ვარ.მირიმანასშვილი) ზურაბა** – 1692–1699წწ. მ ო წ მ ე: როსტომ მირიმანაშვილის მიერ გასპარა ჰაჰასშვილ-მელქუასშვილისათვის მიცემული სახლის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ.I.13.1450–7/121 ა), აღმურაანთ გასპარას მიერ მერაბ ფუნდუაშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ.IX.24. 1448–2946), ბაღდინა ამირჯანაშვილის შვილებსა და არაქელას შორის დავის გარიგების წიგნისა (1698 წ. YII.1.1450–6/173), ალიპექაბარა აღაბაბასშვილ-რამაზასშვილის მიერ ფირყულაანთ ნაზარასშვილ გიორგისათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.X.7.1450–6/117).

**მირიმანაშვილი (ვარ.მირიმანაანთ; მირიმანასშვილი) მირაქა** –1641– 1652 წწ. ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა, იხ., მ ო წ მ ე შარუათ შარუაშვილ ოჰანას მიერ თავისი ძმების, გოგინასა და გასპარასათვის მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1652 წ.IX.18. 1450–51/243).

**მირიმანაშვილი მირიან** – შ ვ ი ლ ი ალიბეგ მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაშვილი მირიმანა** – 1634–1641 წწ. ქ ა ლ ა ქ ი ს მ ე ლ ი ქ ი (1634 წ. 1450–21/6). ძ მ ა ენალა მირიმანაშვილისა, იხ., მ ო წ მ ე სულხან მირაბაშვილის მიერ დარეჯან-ხანუმ ჯანდიერიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1634 წ. 1450–21/6).

**მირიმანაანთ მირი[მა]ნა** – მ ო წ მ ე ბაბუათ ბალინაშვილ როსტომას მიერ

იავანგულაანთ გარსუასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. IX.1456–27/303).

**მირიმანაანთ მირიმანასშვილი მირაქა** – იხ. მირიმანაშვილი მირაქა

**მირიმანასშვილი ოვანეზა** – ნაბახტევში მცხოვრები, ჰყავს ძმისწული გიორგი. გიორგი მოურავისშვილმა პირობა მისცა ბეგთაბეგ მარტიროზისშვილს, რომ თუ გიორგი მეფე მას კავთისხევის საწინამძღვროს უბოძებდა, მაშინ ბეგთაბეგს მიჰყიდდა ნაბახტევში ოვანეზა მირიმანასშვილის ნაქონ მამულს (1686 წ. Hd–2418).

**მირიმანაშვილი (ვარ.ელანასშვილი,მელიქისშვილი) როსტომა** – 1656–1692 წწ. ჰყავს: მამა მირიმანაშვილი ენალა, იხ. ძმები: თაყინა (1690 წ.Qd: 650, 833), ბეჟანა (1690, 1692 წწ. Qd: 650, 833, 1450–7/121 ა), სიფარა, ქაიხოსრო ([1689–1692 წწ.] Qd–833), შვილები: დანელა, ენალა (1692 წ.1450–7/121 ა). Qd–833). მიჰყიდა გასპარა მელქუასშვილ-ქაჭასშვილს თავისი წილი სახლი იზასშვილის, გასპარას განაყოფისა და ხუცის სახლებამდე (1692 წ.I.13. 1450–7/121 ა); ედავებოდა ძმებს აბანოს საქმეზე: მას ცოლის მზითევი დაუხარჯავს საერთო აბანოს მოწყობაზე. გაყრის შემდეგ ძმებს დანახარჯის ანაზღაურება მოსთხოვა. საქმის გარჩევა მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთვისშვილმა] დაავალა ქეთხუდებს. მათ დაადგინეს: თუ ძმები როსტომას დანახარჯის წილს გადაიხდიდნენ, მაშინ მათ აბანოში წილი მიეცემოდათ, თუ არ გადაიხდიდნენ, მაშინ აბანო მხოლოდ როსტომას განკარგულებაში რჩებოდა (1690 წ.X.2. Qd–650), შემდგომში ეს საქმე ხელახლა გაარჩიეს მდივანბეგმა ბარძიმ [ერისთვისშვილმა] და მდივნებმა. მელიქ-მამასახლისს და ქალაქის ქეთხუდებს როსტომას ხარჯი უანგარიშიათ და დაუდგენიათ, რომ ძმები თუ ხარჯის ანაზღაურებაში მონაწილეობას მიიღებდნენ, მათი წილი, აბანოდან მიღებული, ვერ დაფარავდა ამ ხარჯს. ამიტომ ძმებმა უარი თქვეს აბანოს წილზე და იგი მთლიანად როსტომას დაუტოვეს ([1690–1692 წწ.] Qd–833).

**მირიმანაშვილი საფარ (ვარ.საფარა)** – შვილი ენალა მირიმანაშვილისა, იხ., ძმა თაყინა და როსტომა მირიმანაშვილებისა, იხ.

**მირიმანაშვილი (ვარ.მირიმანაანთ) სოლაღა** – 1641–1690 წწ. ძმა ენალა მირიმანაშვილისა, იხ. მისი ვენახის გვერდით სუფრაჩმა პაატაბეგმა ლაზარე ელიაშვილს მიჰყიდა ვენახი (1690 წ.IY. Qd–6786).

**მირიმანაანთ ფრიდონა** – მოწმე მანდენაანთ მერაბასშვილ მამუკას მიერ ხოჯა ზაქარია მასაჯანაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1656 წ. III.26.1448–1496).

**მირიმანაშვილი ქაიხოსრო** – შვილი ალიბეგ მირიმანაშვილისა, იხ.

**მირიმანაშვილი (ვარ.მელიქისშვილი) ქაიხოსრო (ვარ.ქაიხოსროჯა,ქაინა)** – 1656–[1692] წწ. შვილი ენალა მირიმანაშვილისა, იხ., ძმა თაყინა და როსტომა მირიმანაშვილებისა, იხ., მოწმე ფარსადან ჯავახისშვილის მიერ იბგულაანთ გასპარასათვის მიცემული ვალის დაბრუნების წიგნისა (1682 წ.YIII. 20.Hd–2370).

**მირიმანაანთ (ვარ.მირიმათ) ზაღუბათასშვილი (ვარ.მირიმანაშვილი) ალაჯანა** – 1611–1661 წწ. ჰყავს [სახლიკაცები]: გიორგი (1611 წ. 1450–22/117), გოგინა (1661 წ. 1450–22/117 ა). მიჰყიდა ხეჩოას თავისი მკვიდრი ქულბაქი. სოლროას და ამბროასშვილის ქულბაქების გვერდით (1611 წ. 1450–

–22/117); მ ი ს გ ა ნ ნაყიდი ქულბაქები პაპუამ მიჰყიდა ხოჯა ბეჰბუდას (1661 წ. Y.1. 1450–22/117 ა).

**მირიმანაანთ შალუბათასშვილი გიორგი** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მირიმანაანთ შალუბათასშვილ ალაჯანასი, იხ.

**მირიმანაანთ შალუბათასშვილი გოგინა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] მირიმანაანთ შალუბათასშვილ ალაჯანასი, იხ.

**მირიმანაანთ ხოსია** – [როსტომ] მეფემ ეჩმიაწინს შესწირა „გალმა-გამოლმა" სახასო მიწა მირიმანაანთ ხოსიასა და ყარჩილას მამულების გარდა (1657 წ. 15. I. მატ. 252. N 4,I).

**მირიმანიძე ავთანდილ** – 1680–1700 წწ. ს ო მ ხ ი თ ი ს მ ე ლ ი ქ ი, ბ ყ ა ვ ს მ ა მ ა ქამარბეგ (1697 წ. Hd–403), ბ ი ძ ა ქაიხოსროვ (1688, 1689 წწ. 1450–10/18, 9/120), ძ მ ე ბ ი: პაპუნა (1688–1697 წწ. 1450,10/18, 9/120, 9/125, 15/95, Hd–403, 1450–9/119), ზაალ (1688–1697 წწ. №№. –10/18, 9/120, Hd–403), დავით, ზურაბ (1689–1697 წწ. 1450–9/120, Hd–403), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ე ბ ი: ლევან (1695–1699 წწ. 1450–9/125, Hd–403, 1450–9/121, 9/119), ათაბეგ, თეიმურაზ, იმანყული, რევაზ, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: იასე, გორჯასპ (1697 წ. Hd–403). გ ა უ თ ა რ ხ ნ ა სამელიქო გადასახადისაგან სვეტიცხოველს როსტომ მეფის მიერ 1645 წ. შეწირული სოფელი დარპაზი, იოანე დიასამიძის კათალიკოსობის დროს (1689 წ. 1449–2365); გ ა ნ უ ა ხ ლ ა განქის სამელიქოს თარხნობა როჰიკ შალიკაშვილს ([1660 წ.] III.1. 1450–37/205, გვიანდელი მინაწ.); მ ი ჰ ყ ი დ ა: ბაინდურ გოგიბაშვილს ბოლნისში, თურმანი[ს]ში, თორმეტი დღის მიწა „საფარაანთ თელნარს ქვემოთ", საფარაშვილის, აკოფაშვილის, ყადინაშვილის მიწებამდე (1688 წ. 1450–10/18), ალავერდა ალიხანას-შვილს – თათარას, ხოჯიას, ახიას და ხეჩიკას ნაქონი მიწები ალავერდას, ილიას, ალავერდას ყმის – სარდარასშვილისა და ყარუმანთ სარქისას მიწებამდე (1689 წ. Y.10. 1450–9/120), ქაიხოსრო ასლანისშვილ-ორბელიშვილს – სოფელი ანდიკა(?) (1695 წ. 15. II. 1450–15/95), გიგი თუმანიშვილს – შამირზას ნასოფლარი კირაკოზას სოფლამდე, ლურჯევანქის, ბერდიკის და ჩიტალის საზღვრებამდე (1697 წ. XI.11. Hd–403); ე დ ა ვ ე ბ ო დ ა უთრუთ ციციშვილს წერაქვის სამელიქო გამოსაღებზე და მელიქის ყმის მიერ ნაყიდ ზვარზე. ეს დავა ადრე, ნაზარალი-ხანის დავალებით გაურჩევია ბაგრატ თურქისტანიშვილს, დავა ისევ განახლებულა. ამჯერად საქმე გაარჩია პაატა შალიკაშვილმა. მელიქის ყმებმა ნასყიდობის წიგნი ვერ წარმოადგინეს, წერაქველებმაც დაიფიცეს, რომ სამელიქო გამოსაღები არ ედოთ. დავა უთრუთ ციციშვილის სასარგებლოდ გადაწყდა ([1688–1703 წწ.] 1450–61/81); მ ო წ მ ე: აბესალამათ ბეჟოას მიერ ფასინასათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა (1680 წ. III.30. 1448–1103), თავის ძმასთან, პაპუნასთან ერთად – ლევანბეგის მიერ ალავერდა[იაგულაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ. YI.15. 1450–9/125), ზაქუმბეგ [ზაქუმიშვილის] მიერ: დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696 წ. 1450–9/122), იეგულაანთ ბეჟანისშვილ ალიხანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. II.7. 1450–12/2), ალავერდა იაგულაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Y.10. 1450–9/119), პაპა ნასრიაშვილის მიერ დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. XI.1. 1450–9/121), შერმაზან ხურდაყულიშვილის მიერ პაპუა ორბელი-

შვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.1450–20/28 ), სვიმონ ბოშიაშვილის მიერ დურმიშხან [იაგულაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700 წ.XII.25. 1450–9/39); მისგან ნაყიდი ორი დღის მიწა გიორგი ყაითმაზასშვილმა მიჰყიდა ფარემუზ შანშიაშვილს (XYII ს. ბოლო. 1450–9/29).

**[მირიმანიძე] ათაბაგ** – 1616–1659 წწ. სომხითის მელიქი,ჰყავს ძმა ზაქარია (1616 წ. 1448–1024), შვილი ყორხმაზ (1659 წ.1450–8/145). ბაგრატ მეფემ მას გამოართვა ლუარსაბ მეფის მიერ ნაწყალობევი ქარატაკი და გელაქთაგი. სანაცვლოდ კი უწყალობა ქვემო წერაქვი (1616 წ.XI.8.1448–1024); ქალაქის მოურავს, მანუჩარს, მიჰყიდა ქალაქში, მტკვრის პირას, სასახლე, რომელიც ლუარსაბ ბატონიშვილის ალაყაფთან ახლოს იდგა (1659 წ.1450–8/145).

**[მირიმანიძე]** – **ათაბეგ** – ძმა ქამარბეგ [მირიმანიძისა], იხ.

**მირიმანიძე (ვარ.ათაბეგისშვილი) ათაბეგ** – 1681–1698 წწ. ძმა ლევან [მირიმანიძისა], იხ., ბიძაშვილი ავთანდილ [მირიმანიძისა], იხ.

რა: რვა ჩითახური, ერთი ქათამი, ერთი საკლავი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე გიორგი – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდათოხი ნათხალი ლომი, ერთი საბელი, ქათმის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა, საყდრის მუშაობა (1578 წ. H–626).

მჭედლიძე გოგიჩა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდასამი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდაოთხი ნათხალი ლომი, ერთი საბელი, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, თითო თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა, საყდრის მუშაობა, ქათმის მოკრეფა (1578 წ. H–626).

მჭედლიძე დავ[ი]თა – შ ვ ი ლ ი თამაზ მჭედლიძისა. მამის გარდაცვალების შემდეგ „შემოსწყრა" მანუჩარ მეითრის შვილებს და ე ყ მ ო ქსნის ერისთავს. მის ხელში შეუძენია მამული, ქულბაქი და სხვა ქონება: ჰქონდა დავა მეითრის შვილებთან, გარიგების შედეგად შეძენილი ქონების ნახევარი მეითრის შვილებს მიაკუთვნეს, ნახევარი კი მ ა ს დაუტოვეს ([1695–1700 წწ.] Hd–14904).

მჭედლიძე დათუნა – თიხრევს მცხოვრები, სახასო ყ მ ა, მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XYII ს. დამდ. Qd–7014).

მჭედლიძე დათუნა – მ ო წ მ ე დავით ფალავანდიშვილსა და თილველ სამხარაძეს შორის სამამულე დავის გარიგების წიგნისა (1687 წ. Y.25.Sd–499).

მჭედლიძე დეისმამა – ბახვს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] უზუნა, ორივეს ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ცხრა ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძეები – ნამარხევს მცხოვრები, ლეონ მეფემ ისინი უწყალობა ნიკორწმინდელ ამბროსი ბაქრაძეს ([1583–1590 წწ.] 1448–3323).

მჭედლიძე ზაქლია – ბახვს, კიბილაურის პარტახტ მამულზე მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა – ოცი ჩითახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე ზაქარია – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თერთმეტი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე თამაზ – მ ო წ მ ე ასპან ამირეჯიბის მიერ სეხნია გუგუნაშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. მიწ. Hd–748).

მჭედლიძე თამაზ – ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი დავითა· პაპუნა ფავლენისშვილმა ი გ ი მიჰყიდა მანუჩარ მეითარს ([1695–1703 წწ.] Hd–14906).

მჭედლიძე ივანე – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხი და ერთი მეოთხედი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე იოვანე – ბახვს მცხოვრები, მ ა ს და მის ძმისწულებს ე მ ა რ თ ა თ ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხი და ერთი მეოთხედი ჩითახური, პურის ჭამა და ცხენით სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე იმარინდო – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის

ბეგარა: ოთხნახევარი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ორის სამსახური (1578 წ.H–626).

მჭედლიძე კაცია – ძ მ ი ს წ უ ლ ი პაატა მჭედლიძისა, იხ.

მჭედლიძე ლომისკაცი – როკითს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თოთხმეტი ათიანი კოკა ღვინო, ბურის ჭამა და სამსახური, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა, ჰქონდა სამი პარტახტი...(1578წ.H–626).

მჭედლიძე მამისბედა – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხი და ერთი მეოთხედი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ორის სამსახური (1578 წ. H–626).

მჭედლიძე მამისთვალა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდახუთი კოკა ღვინო, თეთრი, ერთი ურემი ღომი, ერთი კვერცხი, საბელი, ქათამი, ყავრის მიტანა ქუთაისს, საყდრის მუშაობა (1578წ.H–626).

მჭედლიძე მახარა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორნახევარი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნათხალი ღომი, ერთი საბელი, ქათმის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთ თეთრად ღირებული ყავრის მიტანა (1578 წ. H–626).

მჭედლიძე მახარობელი – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაორი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნათხალი ღომი, ერთი საბელი, ქათმის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, საყდრის მუშაობა, თითო თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა (1578 წ.H–626).

მჭედლიძე მიქელა – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყაო ღვინო, სამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ.H–626).

მჭედლიძე მიქელა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი ან „საფერი შენებაი", ან ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნათხალი ღომი, ერთი საბელი, ქათმის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა (1578 წ. H–626).

მჭედლიძე მლაღურ – ბახვს მცხოვრები, მ ა ს და მის ძმისწულს ე მ ა რ თ ა თ ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი. ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ.H–626).

მჭედლიძე ნასყიდა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტნახევარი კოკა ღვინო, ექვსი თეთრის საკლავი, თეთრნახევარი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნათხალი ღომი, ერთი საბელი, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა, საყდრის მუშაობა (1578 წ.H–626).

მჭედლიძე ნასხიდა – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხნახევარი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ღომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ორის სამსახური (1578 წ.H–626).

მჭედლიძენი – ნიკორწმინდას მცხოვრებნი, სამი კომლი, ბაგრატ მეფემ ი ს ო ნ ი შესწირა ნიკორწმინდის ეკლესიას (1544 წ.YIII.9.ლაი.P–22 ა).

მჭედლიძე ოზბეგ – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ·H–626).

მჭედლიძე პაატა – მუხლში მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: შალუტა, კაცია; ქაიხოსრო იაშვილმა შესწირა ი გ ი ძმისწულებით თავის ეგვტერს (XYII ს. II ნახ. 1448–1535).

მჭედლიძე პატა – თიხრევში მცხოვრები, ს ა ხ ა ს ო ყ მ ა, მოხსენიებულია ზემო ქართლის საკომლოების ნუსხაში (XYII ს. დამდ. Qd–7014).

მჭედლიძე საყვარელა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაშვიდი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდათხი ნათხალი ლომი, ერთი საბელი, ქათმის მოკრეფა, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის ქუთაისს მიტანა, საყდრის მუშაობა (1578 წ·H–626).

მჭედლიძე სულთმამა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაორი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდათხი ნათხალი ლომი, ერთი საბელი, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავარი, საყდრის მუშაობა, ქათმის მოკრეფა (1578 წ·H–626).

მჭედლიძე უზუნა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ლეისმამა მჭედლიძისა, იხ.

მჭედლიძე შალუტა – ძ მ ი ს წ უ ლ ი პაატა მჭედლიძისა, იხ.

მჭედლიძე ხახულა – შუბანს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდათხი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ლომი, ოცდათხი ნათხალი ლომი, ერთი საბელი, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, საყდრის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა (1578 წ·H–626).

მჭედლიძე ხუტა – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოთხნახევარი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, ოჩის სამსახური (1578 წ·H–626).

მჭედლიძე ხუტა – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, ს ამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ·H–626).

მჭედლიძე ხუტია – ბახვს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ხუთი ჩითახური, ერთი საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ფსომიარე ლომი, ხუთი საწყავი ღვინო, სამი პური, მეჯინიბობით სამსახური (1578 წ·H–626).

მჭედლიძე – ხ უ ც ე ს ი, სანავარდოში მცხოვრები, მ ა ს უნდა მიერთმია სანავარდოში ჩამოსული მთავარეპისკოპოსის, ს ვიმონ ჩხეტიძისათვის ერთი ზუთხი (XYII ს. შუა ხანები. 1448–6034 მინ.).

მჭედლიძე გოჩიტა – რიონს მცხოვრები, დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ი გ ი შესწირა გელათს ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენებლად (1660 წ. ახლო. Ad–598).

მჭედლიძე დატუნა – სანავარდოში მცხოვრები მეზუთხე გლეხი, უნდა მიერთმია სანავარდოში ჩამოსული მთავარეპისკოპოსის, სვიმონ ჩხეტიძისათვის ერთი ზუთხი (XYII ს, შუა წლ. 1448–5034 მინ.).

მჭითავა ულეიმა – ე მ ა რ თ ა ჯგალის ციხის ბეგარა ისევე, როგორც ბუ-

მბავა შამიბის, იხ. ([1616–1621 წწ.] ქსძ. III.92–1).

მჭიფია ამარცალია – ცაიშელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, სამი ლიჯი ღომი, სამი ფოხალი ღვინო და გოჭკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III.92).

მჭიფია ბაბადიბა – ცაიშელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, სამი ფოხალი ღვინო, სამი ლიჯი ღომი, ღვინო და გოჭკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. 92).

მჭიფია ლიპურდღუვა – ცაიშელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, სამი ლიჯი ღომი, სამი ფოხალი ღვინო და გოჭკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III.N92).

მჭიფია ჯუმარია – ცაიშელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, სამი ლიჯი ღომი, სამი ფოხალი ღვინო და გოჭკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III.92).

მჭიშია კაკაური – ე მ ა რ თ ა საკათალიკოსო გამოსაღები: ორი საკლავი,ორი ქათამი, ორი გულა ღვინო, ორი გობი ღომი, მეთორმეტე წელიწადს ძროხის ნახევარი და მუშაობა (XYI ს. II ნახ.1448–3326).

მხალაძე დათუნა – ყ მ ა იოთამ ამილახორისა, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი:სვიმონ, იესე. იოთამ ამილახორმა მ ა ს უწყალობა ბერშოეთში პეტრე ციციანაშვილი ძმითა და ცოლ-შვილით, ბერუკა კვიწინაძე და მისი ძმისწული ზაზუტა, ციციანაშვილ-ქვეტანაშვილები მამულებით და ბეგრით, შანშე და ზაზუტა ტარსაიჰაშვილების კერძი მამულები (1698 წ.II.18. Ad–1059).

მხალაძე დმეტრე – მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ მ ე ივანე გუგუნაშვილის მიერ თავისი განაყოფების, სეხნიასა და ბერისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. მიწურული. Hd–747).

მხალაძე თესე – შ ვ ი ლ ი დათუნა მხალაძისა, იხ.

მხალაძე სვიმონ – შ ვ ი ლ ი დათუნა მხალაძისა, იხ.

[მხარგრძელი] ავაგ (ვარ.ავაგ–სარგის)– 1241–[1260] წწ. ა თ ა ბ ა გ ი (1241/1242 წწ. 1448–5003). დ ა ა მ ტ კ ი ც ა: არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული სოფლის წყალობის დაწერილი (1241/1242 წ. 1448–5003), მიქაელ კათალიკოსის მიერ ვაჩე გუარამისძისათვის მიცემული სოფლის წყალობის დაწერილი ([1241 წ.] 1448–9253), კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემული შეწირულების დაწერილი ([1260 წ.] Sd–2859).

[მხარგრძელი] შანშე – იხსენიება მ ო წ მ ე დ დაწერილის ფრაგმენტში (1317 წ. Hd–11243 ა).

[მხარგრძელი] შაჰანშა – მ ან დ ა ტ უ რ თ უ ხ უ ც ე ს ი, დ ა ა მ ტ კ ი ც ა არსენ ჭყონდიდლის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული სოფლის წყალობის დაწერილი (1241/1242 წწ. 1448–5003); მიქაელ კათალიკოსის მიერ ვაჩე გუარამაისძისათვის ბოძებული სოფლების წყალობის დაწერილი ([1241 წ.]1448–9253).

მხატვარი – ბაილეთში მცხოვრები, მამია გურიელმა ი გ ი შესწირა ჩუხუღნას ტაძარს და დააკისრა ბეგარა: ერთი ძროხა, ერთი საკლავი, ორი ქათამი, ორი სამადგანი ღომი და ორი საწყავი ღვინო ([1601–1627 წწ.] Ad–1913).

მხატვარი – შ ვ ი ლ ი ფოცხვერასი, იხ.

მხაჰაშვილი – გიორგი მეფემ განუახლა მ ი ს ი წყალობა იბაშერ [შალიკა-

შვილს] (1682 წ. Y.25.1450—35/137).

მხეიძე— ამირეჯიბმა ქეცნა [გაბელიძემ] ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტერს შესწირა მ ი ს გ ა ნ ნაყიდი და ნამზითვი წაღვლი ([1412—1431 წწ.] ქრ. II.210); [გაბელიძეების] მიერ ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტრისათვის შეწირულ ყმა-მამულის ნუსხაში შედიოდა „მხეიძის მზითევი გარდაისად წაღული სრულიად" (XYI ს. ქრ.II.212)

მხეიძე — გიორგი მეფემ უბრძანა მ ა ს კლდიაშვილ-შალიკაშვილისათვის მიცემული წყალობის აღსრულება ([1563—1564 წწ.] Hd—8727).

მხეიძე გიორგი — მ ო წ მ ე გიორგი ლიპარტიანის მიერ გიორგი ფალავასათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა (XYII ს. მიწ. ქმ.N 1178).

მხეიძე კაცია— 1691—1695 წწ. მ ო უ რ ა ვ ი (1691 წ.Hd—7883). მო წ მ ე: გენათელი მარკოზ ლაშხიშვილის მიერ სვიმონ დეკანოზისათვის მიცემული წყალობის წიგნისა (1691 წ. Hd—7883), ალექსანდრე მეფის მიერ იესე კვიმსაძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1693—95] ქმ. N 1222).

მხეიძე ფირან — 1660—1682 წწ. მ ო წ მ ე სეხნია ჩხეიძის მიერ ქაიხოსრო წერეთლისათვის მიცემული ყმა-მამულის დანებების წიგნისა (1660—ანი წწ. Hd—2179); მ ა ნ დაიჭირა კიკოლაი ეჯიბია და დაუპირა გაყიდვა (1682 წ. 1448—1526).

მხეიძე შიოშ — იესესთან, პაატა ფანჩულიძესთან, დიაკონ მასხარაშვილთან ერთად პირობა მისცა მოძღვარს, რომ სტამბოლიდან მობრუნებული ყმის, გიორგი ჭილიკაშვილისათვის მიცემულ პირობას არ დაარღვევდა (XYII ს. Hd—11228).

მხეცაძე — ყაყა წინამძღვრიშვილმა მიჰყიდა აბელს, მიქელს, გაბრიელსა და დემეტრეს თორმეტი დღის მ ხ ე ც ა ძ ი ს ე უ ლ ი მ ი წ ა გძელაში, როსაფაშვილის მიწის, საქცევზე ოთხი დღის მიწა მაისაძის მიწის გვერდზე (1691 წ. XI.13. 1450—2/131).

მჴეცისძე || მჴეციძე || მხეცისძე || მხეციძე

მჴეციძე — მიქაელ მეფესთან და სხვა დარბაისლებთან ერთად გაარჩია მიქელაძის და გოგიტაშვილთა სასისხლო საქმე (1326 წ. Hd—14793 სას.).

მჴეცისძე — თურქისტანიშვილს უნდა დაეფიცა, რომ მ ა ს [ბარათაშვილის თანამეცხედრის], ელენესათვის, მიეცია ბარათაშვილებთან სადაო ყმა — ჯოუშვილი (1523 წ.Ad—1299—1).

მხეციძე — ა ზ ნ ა უ რ ი, შ ვ ი ლ ი ჯანგაშ [მხეციძისა]. ბაგრატ მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის მ ხ ე ც ი ძ ი ს ე უ ლ ი გლეხები: მესხეთში მცხოვრები სამი კომლი ღანდურიძე და ერთი პარტახტი, ფარსმანაყანევში მცხოვრები ფუძედ ერთი და კომლად რვა მარდალაშვილი და სამი პარტახტი მარდალაშვილები, რომლებიც მ ა ს ცოლის მზითევში მიუღია ჭილაძისაგან. ეს ყმა-მამული მეფეს შეუსყიდია ჯანგაშ მხეციძის შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, რომელსაც ბიძამისის სასისხლო საქმეზე ფული დასჭირვებია (1545 წ.YI.12.Hd—11201).

მხეციძე — ამოწყვეტილი, მ ი ს გ ა ნ ჰქონდა ნასისხლად მიცემული გლეხები ავთანდილ ქელბაქიანს; მ ი ს ი ყმა-მამული ფარცმანაყანევში გიორგი მეფემ შესწირა გელათის ეკლესიას (1573 წ.1448—3324).

მხეციძე გიორგი — შ ვ ი ლ ი სარგის მხეციძისა, იხ.

მხეციძე ზურაბ — შ ვ ი ლ ი სარგის მხეციძისა, იხ.

მხეციძე სარგის — 1448—[1519] წწ. მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი (1488 წ.

Hd–8731); ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: ზურაბ, ფირალ, გიორგი, ქაიხოსრო, ჯანგაზ. ყ მ ა ნასყიდა ბანცაძე ([1505–1519 წწ.] 1449–1670). მ ო წ მ ე: ალექსანდრე მეფის მიერ სიაოშ ფალავანდიშვილისათვის მიცემული ოქონის ნასისხლად წყალობის წიგნისა (1488 წ.YII.1.Hd–8731), თავის შვილებთან ერთად მ ო წ მ ე ა ნასყიდა ბანცაძის მიერ გელათის ღმრთისმშობლის მოძღვართ-მოძღვარ ილარიონისა და წინამძღვარ მელქისედეკ აბაშიძისათვის მიცემული პირობის წიგნისა ბეგრის მოუშლელობის შესახებ ([1505–1519 წწ.] 1449–1670).

მხეციძე ფირალ (ვარ.ფირან)– შ ვ ი ლ ი სარგის მხეციძისა, იხ., ძ მ ა ჯანგაზ მხეციძისა, იხ.

მხეციძე ქაიხოსრო – შ ვ ი ლ ი სარგის მხეციძისა, იხ.

მხეციძე ჯანგაზ (ვარ.ჯანგაშ)– [1505]–1531 წ.ახლო. შ ვ ი ლ ი სარგის მხეციძისა, იხ., ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] ფირან (1531 წ.ახლო. 1449–1674), შ ვ ი ლ ი მხეციძე, იხ. შ ე ს წ ი რ ა გელათის ხახულის ღმრთისმშობელს საალაპედ ნაქალაქევში ექვსი კომლი: ხუცესი, მიქელა და მისი ძმა ზოსიმე, მახარტელი, ნასყიდა მგელაძე, როსტე[ვან] ახალაძე, ხუცესი გაბრიელი, ქოცნა, სულთმამა სპათარია (1531 წ.ახლო. 1449–1674).

მხთისია – ქინძარას მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო, წინამძღვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ე ვ ა ლ ე ბ ო დ ა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

მხთისია – ძ მა წინამძღვარ გიორგისა, იხ.

მხთისია – ერთი კომლი. მოხსენებულია კომლთა სიაში (XYII ს.ბოლო. 1449–1794).

მხითარა – კარშაგარს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მხითარა – რატევანს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მხითარა –კრუფას მცხოვრები; მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([ 1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მხითარა –მუშელი სომეხი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი ოვანეზა, მისცა თ ა ვ შ ე წ ი რ უ ლ ე ბ ი ს წიგნი თბილელ ნიკოლოზ ბარათაშვილს (1619 წ.1449–2642).

მხითარა – მ ო წ მ ე ბასილი ტოტუაშვილსა და მანდენა მანდენაშვილს შორის სახლისა და მარნის თაობაზე დავის გარიგების წიგნისა (1648 წ.Qd–503).

მხითარა – მ ო წ მ ე დემურა უსუფაშვილის მიერ ბაინდურ პაპიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1667 წ.YIII.1450–6/22).

მხითარა – მ ო წ მ ე გრიგოლ მიკირტიჩაშვილის მიერ ბატონ შიოშისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. Sd–820/ბ).

მხითარაშვილი – კარშაგარს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16 . 1450–11/112).

მხითარაშვილი – გულეულს მცხოვრები, მამულით ერგო იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

მხითარასშვილი ოლქია – მ ო წ მ ე იესე თურქისტანიშვილის მიერ სულხან მირზიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1626 წ.ახლო. 1450–50/69).

მხითარისშვილი – მ ი ს ი და ალაჯანაშვილის სავენახე მიწა გაუცვალა ბოლნელმა იოსებ რევიშვილმა დოლმაზა შანშიაშვილს სხვა მიწაზე (1670 წ.YIII.

2.Hd–5242).

მჭეცაშვილი ბადრია – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ვეფხია მჭეცაშვილისა, იხ.

მჭეცაშვილი ვეფხია – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი] ბადრია და ყ[ი]ზილა. შ ე ს წ ი რ ა ყანა ყუდარის ძელიჭე შმარიტის ეკლესიას (XYI–XYII სს. A–219, 102 r).

მჭეცაშვილი ყ[ი]ზილა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ვეფხია მჭეცაშვილისა, იხ.

მჭეციძე – იხ.მხეციძე

მჯაფარიანნი – იხ. ჯაფარიძე

მჯაფარიძე – იხ. ჯაფარიძე

მჯობიაშვილი ბუჟუა – ერთაწმინდის მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] დათუნა; ერთ წილად ერგო მოურავსა და ზურაბ [საავაძეს] ესტატესა და დათუნას ფარდად (XYII ს. ბოლო მეოთხ. Hd–12016).

მჯობიაშვილი დათუნა – ახალქალაქს მცხოვრები , [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბუჟუა მჯობიაშვილისა, იხ.

მჯგუჯვია ხახუშია– დარჩელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი და გოჰკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N92).

მჯუჯია – დარჩელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი და გოჰკუმური ([1619–1621 წწ.] ქსძ. III. N92).

მჯუჯია ამაწყაპა – დარჩელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი და გოჰკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III.N92).

მჯუჯია მახილა – დარჩელი, ე მ ა რ თა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი, გოჰკუმური ([1619–1621 წწ.] ქსძ. III. N92).

მჯუჯია უჩაკოჩი – დარჩელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი და გოჰკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N92).

მჯუჯუა კაჰულია – დარჩელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, ხუთი ფოხალი ღვინო, ექვსი ლიჯი ლომი და გოჰკუმური ([1619–1621 წწ.] ქსძ. III. N92).

# ნ

ნაბაძიძე ივანე – ი ხ ს ე ნ ი ე ბ ა დაწერილის ფრაგმენტში (XIY–XY სს. S–1699, 12 r).

ნაბერლიშვილი – მ ი ს ი ზვარი ხოჯლეში ესაზღვრებოდა ზვარს, რომელიც მანგლელმა გაუცვალა ფარემუზ [ჯავახიშვილს] ვენახში (1694 წ. YIII.3.Hd–14083)

ნაგლაძე ზაალ – ს ა ხ ლ თ უ ხ უ ც ე ს ი, მ ო წ მ ე შიოშ და ვარდან ფალავანდისშვილების მიერ გიორგი გულიკაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა (1518 წ.1448–2612).

ნადარაია – გვაზაურში მცხოვრები საეკლესიო გლეხი (XYII ს.Hd–11.221).

ნადარაია საქვამიშია — ი გ ი თავის სახლიკაცთან ერთად ლევან დადიანმა შესწირა ბიჭვინტის ღმრთისმშობელს და დაუწესა გადასახადი: ერთი ცხვარი, სამი გუდა ღვინო, ერთი მახათელი ღომი, ერთი ქათამი (1628 წ.Sd–2904).

ნადთინასშვილი — მძოვრეთს მ ის ი მამული ერგო თამაზ [ბარათაშვილს] ([1633–1658 წწ.] 1448–2318).

ნადიკაშვილი ბერუა — ბეთანიას მ ი ს ფარდად წამალა მამულითურთ, ერგო საამ [ბარათაშვილს (1692 წ. YIII.30.1450–11/84).

ნადიმაშვილი — ზაკვს მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დროს ი გ ი მამულით ერგო გოშფარს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

ნადიმაშვილი — ზაკუს მცხოვრები, გარდაცვლილი შერმაზან ჯავახიშვილის ყ მ ა, ზაქარია ჯავახიშვილმა [გიორგი სააკაძესთან] შეყრილობის დროს ი გ ი დასდო თავის წილში (1624 წ.Hd–147693).

ნადირა — თაფანში მცხოვრები, ი გ ი ბარათაშვილების გაყრის დროს ერგო გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბსა და ფალავანხოსროს (1523 წ. Ad–1299 ა).

ნადირა — გომარეთს მცხოვრები, ი გ ი ქონებით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

ნადირა — მანაკერტს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

ნადირა — ბალახაურს მცხოვრები, ი გ ი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

ნადირა — ი გ ი ლეონ მეფემ თარხნად უწყალობა მაქსიმე ჩოლაყასშვილსა და მის ძმებს (1566 წ. I.19. 1449–2285).

ნადირა — ზემო ღანუხში მცხოვრები, ი გ ი ლეონ კახთა მეფემ შესწირა სვეტიცხოვლის ეკლესიას (1569 წ.1448–5529).

ნადირა — ჯიმითელი, ი გ ი და მისი სახლი ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (1601 წ.1448–5526).

ნადირა — პატარძეულს მცხოვრები, ერთი კომლი, „შავერდასეული" ნ ა დ ი რ ა დავით მეფემ შესწირა წმინდა ნინოს ეკლესიას ([1602 წ.] 1449–1782).

ნადირა — გრემს მცხოვრები, ი გ ი მისი სახლითა და მამულით თეკლა მონაზონმა შესწირა შუამთის მონასტერს (1603 წ.1449–2636).

ნადირა — დიასახლისი, მ ო წ მ ე არდაშელ სოლაღაშვილის მიერ ბართლომე შეშაბერიძისათვის მიცემული გვრიტიაულის ნასყიდობის წიგნისა (1603 წ. 1448–5432).

ნადირა — კისისხევს მცხოვრები გ ლ ე ხ ი, თეიმურაზ მეფემ ი გ ი შესწირა ალავერდს თავისი მეუღლის ანას სულის საალაპედ (1612 წ.Y.10. 1448–5017).

ნადირა — ვაკეს მცხოვრები, მანგლელმა მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ ი გ ი მისი მამულით უბოძა კეირილას ([1615 წ.] 1449–1828).

ნადირა — ჭ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: გოგია, პაპია და ბერუა. მ ი ჭ ყ ი დ ა გიორგი თევდორესშვილს ერთი დღის მიწა ქვითკირის ხიდთან, რომელსაც ერთი მხრიდან ესაზღვრებოდა ბეთიასშვილის მიწა (XYII ს.20–ანი წწ. 1450–38/129).

ნადირა — [ციციშვილების]: ყაიას, ყორჩიბაშ ბადურის და სარდალ პაპუნას შორის. სადაო ყმა-მამულის ნუსხაში აღნიშნულია, რომ მ ა ს ეჭირა ორი დღის

მიწა ([1633–1658 წწ.] 1448–2316).

ნადირა – ძეგვლი, ჰყავს ბიძაშვილი ვარდია, რომელთან ერთადაც შვილებითურთ, ქარსიძეების გაყრის დროს ერგო დავითს (1651 წ. 1450–29/59).

ნადირა – საშვებში მცხოვრები, იგი ორ ტირძნელ კაცთან ერთად საქურდლად ჩასულა რევაზ სტეფანაშვილთან. რევაზს მათ საშოვარს შეპირებია და ყაფლან [ბარათაშვილის] ციხეზე თავდასასხმელად წაუყვანია. რადგანაც ციხე ვერ აუღიათ, რევაზს მათთვის ყევარი ხარი და ერთი ფიტარული ცხენი მიუცია და გაუტუმრებია საციციანოში. მაგრამ ეს საქონელი თხილოვანს დაუყრევინებიათ და მათი ჩანაფიქრი გამჟღავნებულა (1664 წ. III.1. Hd–10,346).

ნადირა – მოწმე ნასყიდა ნონეშვილის მიერ ქიტიასათვის მიცემული მიწების ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. II. 1450–32/282).

ნადირა – მის მიწამდე მიჰყიდა რუისში ქიტია ქუბიაშვილმა გოგილა მალულიძეს მიწა (1672 წ. III.15. Sd–57).

ნადირა – მეჯოგე, ედიშერ და პაპუნა. [ციციშვილების] გაყრის დროს იგი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

ნადირა – ერეკლე მეფის დედის მსახური, მოხსენებულია სამეფო კარის მსახურთა ნუსხაში ([1688–1703 წწ.] Ad–763).

ნადირა – ახალშენს მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ. 1449–1792).

ნადირა – შვილი ყინწვისის კანდელაკისა, მოწმე ბიძინა ბერუკაშვილ-მწყურაძის მიერ უთრუთ ციციშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. II.5. 1450–51/84).

ნადირა – რეჯს მცხოვრები, ნათლისმცემლის კუთვნილი მოსაურე ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალება მისი კომლიდან ორ კაცს თოფით სალაშქროდ წასვლა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

ნადირა – ნადარბაზევს მცხოვრები, ბოგანო, სამთავნელის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

ნადირა – ფრითას მცხოვრები, ბოგანო, ამილახვრის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

ნადირა – ნაცვალი, მოწმე ბერუა რონასშვილის მიერ სეხნიასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. Hd–15.005).

ნადირა – მოწმე პაატა ტატუაშვილის მიერ მღვდელ იოვანესათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. Hd–3805).

ნადირა – შვილი სუხიტასი, იხ.

ნადირა – „ჩუკუმა (sic!) ნადირა“. ერთი კომლი, შეტანილია [ალავერდის ტაძრის] საკომლოების ნუსხაში (XYII ს. Ad–848).

ნადირალაშვილი პაპუნა – მოწმე გიორგი კობიაშვილის ჯალაბის ქეთიას მიერ ოთია შაბურიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. Sd–761).

ნადირაული აფია – ფანშტელი, ალექსანდრე მეფის ბრძანებით იგი ხევმა მძევლად მისცა გერგეტის საყდრისშვილებს (1439 წ. II.20. A–1085, 13–15).

ნადირალაშვილი – მისი ვენახი ბაინდურ ერისთავმა უბოძა ოთია შაბურიშვილს (1698 წ. Hd–2362).

**ნადირასშვილი||ნადირაშვილი||ნადირის შვილი**

ნადირაშვილი – ახალშენის (ან ცხორეთის) მცხოვრები, გოშფარ და როინ [ჯავახიშვილების] გაყრის დრო ი გ ი თავისი მამულით ერგო როინსა და მის ბიძაშვილებს ([1527–1558 წწ.] Qd–605).

ნადირაშვილი – მ ი ს ი მიწის საზღვრამდე მიჰყიდა ოლულა ხუცაშვილმა როსტომ ყორღანაშვილს მერუბანშისაბოსტნე (1678 წ.XI.15. 1450–1/67).

ნადირაშვილი – ამოვარდნილი ქაიხოსრო ბარათაშვილის ყ მ ა, ი გ ი ნაზარალი-ხანმა უწყალობა როსტომ ბარათაშვილს (1694 წ.1450–32/320).

ნადირაშვილი ამირა – გზირი, მ ო წ მ ე მახარა მგელიაშვილის მიერ ფირშაეათ ამაზაშვილ პაპუასათვის მიცემული სასახლის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.YIII.Sd–767).

ნადირაშვილი ბერი – მ ო წ მ ე გივიაშვილის მიერ ბერუა და დათუნა მუჩაიძეებისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ.Qd–1785).

ნადირაშვილი ბერისა – მ ო წ მ ე უმეკა დონდარასშვილის მიერ პაპუნა ხითარასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.Hd–1582).

ნადირაშვილი გასპარა – მ ო წ მე გოჯასპ საგინაშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. XI.1.1450–15/5).

ნადირაშვილი გიორგი – შ ვ ი ლ ი ფრიდონა ნადირაშვილისა, იხ.

ნადირაშვილი გოგია – ტბისს მცხოვრები, ბოგანო, წილად ხვდა თამაზ [ბარათაშვილს] ([1633–1658 წწ.]).1448–2318).

ნადირაშვილი გოგია – ზაპორს მცხოვრები, ზურაბ ლაზნელის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მ ის ი კომლიდან ორ კაცს ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448–5032).

ნადირაშვილი გოგია – ნაწრეტს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვრო დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

ნადირაშვილი (ვარ.ნადირისშვილი) თევდორა–1677–1681 წწ. მ ო წ მ ე:ბეჟიკა პაპანაშვილის მიერ როსტომა [ყორღანაშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1677 წ.X.22.1450–1/55), ზუბიტა ფირუაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ. IY. 1450–1/112), თაყა ბარათაშვილის მიერ როსტომ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმების (ნასყიდობის წიგნისა (1681 წ.Y.15. 1450–1/50).

ნადირასშვილი თევდორა – იმარხებში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი თავისი მამულით ერგო პაპუნას ([1688–1703წწ.] Hd–1636).

ნადირაშვილი ივანე – რუისში მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] შიო, ერთი კომლი. ი გ ი ერეკლე მეფემ და იოანე კათალიკოსმა შესწირეს ურბნისის წმინდა სტეფანეს საყდარს (1697 წ.1448–9999).

ნადირაშვილი ივანე – ძახორს მცხოვრები, მ ო წ მ ე ბერის მიერ ლიპარიტიშვილებისათვის მიცემული ნაფუძარისა და სახლის ნასყიდობის წიგნისა (XYII ს. Hd–9999).

ნადირასშვილი ირემა – ცხვილოსელი, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე

სახასო ყ მ ა (1700 წ.1448–3602).

**ნადირაშვილი მამუკა** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ძამუკა ნადირაშვილი,იხ.ოთია, პატა. თინათინ ბატონიშვილმა ი გ ი თავისი ძმებითა და მამულით უწყალობა პაპუა ტატიშვილს (1670 წ. Hd–9860).

**ნადირასშვილი მუქაფა** – წყნეთში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს ი გ ი თავისი მამულით. ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

**ნადირაშვილი ოთარა** – სახუნდრული, მ ო წ მ ე მანთაშა მირზაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1700წ. YIII.19. 1450–16/38).

**ნადირაშვილი ოთია** – ძ მ ა ძამუკა ნადირაშვილისა, იხ., მამუკა ნადირაშვილისა, იხ.

**ნადირაშვილი პატა** – ძ მ ა ძამუკა ნადირაშვილისა, იხ., მამუკა ნადირაშვილისა, იხ.

**ნადირაშვილი სუთინა** (ვარ.სუთანა)– ძ მ ი ს წ უ ლ ი ფრიდონა ნადირაშვილისა, იხ.

**ნადირასშვილი სუხია** – აბელიაში მცხოვრები, ერთი კომლი, ყაფჩიბაშმა დოლმაზ გოგიბაშეილმა ი გ ი გაუცვალა ოთარ ბარათაშვილს ვანქს მდებარე მამულში (1653 წ.Hd–14664).

**ნადირაშვილი ფრიდონა** – 1681–1690 წწ. ჰ ყ ა ვ ს: შ ვ ი ლ ი გიორგი (1681– XYII ს.80–ანი წწ. 1450:16/127, 16/124), ძ მ ი ს წ უ ლ ი სუთინა (1681–1686 წწ. 1450: 16/127, 1/54), გ ა ნ ა ყ ო ფ ი ქიტა [ნადირაშვილი] (1681 წ.1450–1/54). მ ი ჰ ყ ი დ ა: ზურაბა ყორხმაზაშვილს მკვიდრი სავენახე მამული (1681.1110.1450–16/127), გიორგი ყორღანაშვილს „მოლოდინურის ვენახი“ ხატუაანთ, ლიპარიტასშვილის და გიორგი ყორღანაშვილისავე მამულების საზღვრებამდე (1686 წ. XII.1450.1/54), ავთანდილ ყორღანაშვილს მკვიდრი სავენახე მიწა (XYII ს.80–ანი წწ. 1450–16/124); მ ო წ მ ე : თამაზ [ყორღანაშვილ-ქემაროზიშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ. II.13. 1450–16/5). ვახტანგ ბარათაშვილს შიმშილაანთ უბანში მ ი ს გა ნ ნაყიდი ჰქონდა 8 დღის მიწა, რომელიც შემდეგ როსტია ყორღანაშვილს წაურთმევია (1690 წ.IY.7. 1450–26/257).

**[ნადირაშვილი ქიტა]**– გ ა ნ ა ყ ო ფ ი ფრიდონ ნადირაშვილისა, მ ო წ მ ე ფრიდონ ნადირაშვილის მიერ გიორგი ყორღანაშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1686 წ.XII.1450–1/54).

**ნადირასშვილი შიო** – რუისში მცხოვრები, მ ო წ მ ე ესტატე ბუხუნასშვილის მიერ ბასტამანთ ყანდინასშვილ ბეჟუასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა.

**ნადირაშვილი შიო** – ძ მ ა ძამუკა ნადირაშვილისა, იხ.

**ნადირაშვილი შიო** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ივანე ნადირაშვილისა, იხ.

**ნადირასშვილი შოშიტა** – იმარხებში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილების] გაყრის დროს ი გ ი თავისი მამულით ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

**ნადირაშვილი ძამუკა** – ღვერთეთს მცხოვრები, პაპუა ციციშვილის ყ მ ა, ერთი კომლი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ოთია, მამუკა, პატა, შიო და იმათი ნაშენი

ოთხი ვაჟი. მოხსენიებულია ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში (XYII ს. II ნახ. Qd–7017).

**ნადირაძე** – [ჩხერის] ციხის მ ე ც ი ხ ო ვ ნ ე, სხვა მეციხოვნეებთან ერთად დაარბია გლეხები, გოგიჩა ბაბულიძეს წაართვა ოცი [კოკა] ღვინო და ორი ჩოხა (XYII ს. Ad–2233 ბ).

**ნადირაძე ბიძიკა** – ორჭოშანს მცხოვრები, ამილახვარის ყ მ ა, საამილახვრის დავთრის მიხედვით, მ ი ს ი კომლიდან ხუთ კაცს ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს.II ნახ.1448–5032).

**ნადირაძე გიორგი** – ნაზირის ა ზ ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი, მ ო წ მ ე ბაინდურ ელიარაშვილის მიერ ფარსელ არღუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ.XI.26.1450–28/8).

**ნადირაძე გოგია** – [ძ მ ა] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძეები** – გორისას მცხოვრებნი, ორი კომლი, ლევან აბაშიძის ყოფილი ყმები], ბაგრატ მეფემ ი ს ი ნ ი უბოძა ქაიხოსრო წერეთელს ([1660–1681 წწ.] Sd–516).

**ნადირაძე ზაქარია** – [ძ მ ა] სამნა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე თამაზა** – [შ ვ ი ლ ი] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე ივანაი** – ცხუკურს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გელათს (1658 წ.YIII.30.Sd–2901).

**ნადირაძე ლომკაც** – [ძ მ ა] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე მაისაი** – ჩუნეშს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გელათს (1658 წ.YIII.30. Sd–2901).

**ნადირაძე მამისაი** – ცხუკურს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გელათს (1568 წ.YIII.30.Sd–2901).

**ნადირაძე მახარობელაი** – ჩუნეშს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გელათს (1568 წ.YIII.30. Sd–2901).

**ნადირაძე ოთია** – [შ ვ ი ლ ი] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე პაატა** – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი]: სეხნია, ლომკაც (XYII ს.I მეოთხ. Hd–755 ა,ბ), გოგია (XYI ს.I მეოთხ. Hd–755 ა). ქუმსი (XYII ს.I მეოთხ. Hd – –755 ბ), [შ ვ ი ლ ე ბ ი]: თამაზა, ოთია (XYII ს. I მეოთხ.Hd–755 ა,ბ). ი ყ ი დ ა როსტია ძაგანაშვილისაგან დღენახევრის მიწა (XYII ს. I მეოთხ.Hd–755 ა); მ ი ჰ ყ ი დ ა შალვა ბატარაძეს ბილურთის ბოლოს კოშკაძისა და ხატის მიწების მოსაზღვრე ოთხი დღის მიწა (XYII ს. I მეოთხ. Hd–755 ბ).

**ნადირაძე სამნა** – ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ე ბ ი]: შიო და ზაქარია. მ ი ჰ ყ ი დ ა უმეკა ბახჩიაშვილს საბოსტნე მიწა, რომელსაც ესაზღვრებოდა თავაქალაშვილის ბოსტანი, დაუმტკიცა აგრეთვე ადრე მიყიდული ერთი დღის ნაფუძარის ნასყიდობა (1631 წ.Y.13.Ad–1567).

**ნადირაძე სეხნია** – ბალთას მცხოვრები, მამულით წილად ერგო ფეშანგ ფალავანდიშვილს ([1676–1709 წწ.] 1450–31/2).

**ნადირაძე სეხნია** — [ძ მ ა] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე ქუმსი** — [ძ მ ა] პაატა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე შაქარაი** — ჩაქვს მცხოვრები, ი გ ი გიორგი გურიელმა უწყალობა ბოქაულთუხუცეს თაუდგირიძეს ([1664—1677 წწ.] ლაი 800gI—N1201).

**ნადირაძე შიო** — [ძ მ ა] სამნა ნადირაძისა, იხ.

**ნადირაძე პუპულაი** — ცხუკურს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა გელათს (1568 წ. YIII.30.Sd—2901).

**ნადირბერი** — მ ო წ მ ე ივანე მათეშელის მიერ მიქაელ ხუცესისათვის მიცემული მიწის წყალობის დაწერილისა (XII ს. Gr.28g121v—122r).

**ნადირია მამისთუალი** — მიქელა ნადირიასთან ერთად შედიოდა შამანდაველა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის გაჩენილ სარგოში([1455 წ.] 1449—1571).

**ნადირია მიქელა** — მამისთუალ ნადირიასთან ერთად შედიოდა შამანდაველა დადიან-გურიელის მიერ იოვაკიმ კათალიკოსისათვის გაჩენილ სარგოში([1455 წ.] 1449—1571).

**ნადირისძე** — და მ წ ე რ ი ივანე მათეშელის მიერ მიქაელ ხუცესისათვის მიცემული მიწის წყალობის დაწერილისა (XII ს.Gr.28.121v—122r).

**ნადირხან** — ქალაქში მცხოვრები, მანუჩარის ყ მ ა, თ ა ნ ა გ ა ზ რ დ ი ლ ი მანუჩარისა, ნაზარალი-ხანმა დაუმტკიცა მ ი ს ი წყალობა მანუჩარს (1689 წ.1450—53/91).

**ნად[ი]რხანა** — მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი ბასილა გულხაშვილის მიერ ქიტია ქუბაშვილისათვის მიცემული საეენახის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ. X.8. Hd—5205).

**ნადუა** — ცხვილოსს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით,ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

**ნადურა** — კუარხითს მცხოვრები, ბ ო გ ა ნ ო მ ო ლ ა შ ქ რ ე, თანიას ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა მშვილდით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448—5032).

**ნაესძე** — მისგან ნასყიდი მიწა ბეგა სურამელმა უბოძა ჯერ დემნას, შემდეგ კი გურზი და გიორგი ტოტებაისაშვილებს ([1247—1260 წწ.] Ad—8).

**ნავარელიანი||ნაუვარელიანი**

**ნავარელიანი** — შატმაზის მიერ ივანე სეტიელისათვის მიცემულ „წარკვეთილი გარდაწყვეტილობის დაწერილში აღნიშნულია, რომ მ ი ს ი ასაბიობის დროს საავუგოდ" დაიკოდა შატმაზი (XIY—XY სს. მიჯნა. სსძ. II. N93).

**ნაუვარელიანი გოგაილა** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ჩარგას ნაუვარელიანისა,იხ.

**ნაუვარელიანი დუდა** — [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ჩარგას ნაუვარელიანისა, იხ.

**ნავარელიანი ივანე** — მოხსენიებულია მ ო უ რ ა ვ ა დ და მ ო წ მ ე დ დაწერილის ფრაგმენტში (XIY—XY სს, მიჯნა. სსძ. II. N116).

**ნავარელიანი ივანე** — თ ა ვ მ დ ე ბ ი კალაელთა და გელოვანთა ერთობის დაწერილისა (XYII ს. სწძ.N1,146).

**ნავ[ა]რელიანი იურანი** — თ ა ვ მ დ ე ბ ი მულახის, მუჟალეის და სეტის

ხევების მიერ ფალიანებისა და ქონრი გორულიანისათვის მიცემული გადაწყვეტილების დაწერილისა ბერა ყიფიანის (?) სძ ხლის დაურვების თაობაზე (XIY—XY სს. მიჯნა. სსძ. II.N 41).

**ნაუვარელიანი მიქაელ** — [სახლიკაცი] ჩარგას ნაუვარელიანისა, იხ.

**ნაუვარელიანი ჩარგას** — ჰყავს [სახლიკაცები]: დუდა, მიქაელ და გოგაილა ნაუვარელიანები. ერთობილ ჰადიშის სოდელმა მას მოახსენა „საერთო და სამოკეთეო გაუყრელობის " დაწერილი (XIY—XY სს. მიჯნა. სსძ. II. N 63).

**ნავაროსა** — მისი ნაქონი მესამედი სახნავი და საწისქვილე ვერეზე ოთარმა უწყალობა ნახშირგორელ ვერუა იაგულასშვილს (1663 წ.I.22. 1450—32/355).

**ნავარქაი** — [ნიკოლაოსწმინდელს] შსრის მისგან უყიდია ყანა, რაშიც გადაუხდია ერთი გრივი ხორბალი და ერთი სახნისი ([1071—1080წწ.] 1449—1563).

**ნავაძე გოჩა** — ძმა მიდუა ნავაძისა, იხ.

**ნავაძე ზაზუტა** — ძმა მიდუა ნავაძისა, იხ.

**ნავაძე მიდუა** — ზოდში მცხოვრები, ჰყავს ძმები: გოჩა, ზაზუტა. მეფე ალექსანდრემ იგი უბოძა წინამძღვარ ფილიპე წერეთელს (1639 წ. ქმ. N 66).

**ნავეკაძე ყარლას** — [ჩხარის] ციხის მეციხოვნე, გიორგი ბლუაშვილთან და კილაძესთან ერთად გლეხ კაკალა ქურციკიძეს წაართვა ოცდათხი კოკა ღვინო, ხოლო აზარას მან წაართვა ოცი ადლი ტილო (XYII ს.Ad—2233ბ).

**ნავროზა** — დმანისს მცხოვრები, თავისი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537—1538 წწ.] YIII.16.1450—11/112).

**ნავროზა** — მანაკერტს მცხოვრები, თავისი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537—1538 წწ.] YIII.16. 1450—11/112).

**ნავროზა** — მირტაშენს მცხოვრები, თავისი მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537—1538 წწ.] YIII.16.1450—11/112).

**ნავროზა** — სასხორელი, მისი ექვსსაპალნიანი ქვევრი ყულიამ მიჰყიდა ტერტერა ეზიაშვილს. მოწმე ამ ნასყიდობის წიგნისა (1544 წ. I.10.1448—9233).

**ნავროზა** — ოთია ლაშხიშვილის ყმა, იგი ცოლითა და ქალ-ვაჟით ოთია ლაშხიშვილმა მიჰყიდა მანუჩარ თუმანიშვილს (1669 წ.IY.1. Sd—40).

**ნავროზა** — პაპუნაშვილის ყმა, მოწმე დათუნა კატიძის მიერ პაპუნასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.1450—26/95).

**ნავროზა** — ბოგანო, კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის საკომლოების ნუსხაში (1689 წ.1449—1792).

**ნავროზა** — ნადარბაზევს მცხოვრები, ბოგანო მოლაშქრე, სამთავნელის ყმა, საამილახვროს დავთრის მიხედვით ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ.1448—5032).

**ნავროზაანთ პაპოა** — შვილი ნავროზაანთ როსტომასი, იხ.

**ნავროზაანთ ხოსროვაშვილი როსტომა** — კუმელი, ჰყავს შვილები: ყანდინა და პაპოა, მოქალაქე გედოაანთ ბეროასშვილ გელოას მიჰყიდა კუმისს მდებარე ვენახი, რომელიც ესაზღვრებოდა ამირხანაშვილის, ლობიარაშვილის და ზიალაშვილის [მიწებს]. ეენახი გაიყიდა სოლაღაანთ ბიძინასშვილი დავითას და მისი ყმის როსტომას დასტურით (1687 წ.III.20. 1450–47/27).

**ნავროზაანთ ყანდინა** — შვილი ნავროზაანთ როსტომასი, იხ.

**ნავროზაი** — ახალციხელი, მოწმე გრიგოლ ფარაშიშვილის მიერ ყარაგოზასათვის მიცემული სავენახე მიწის ნასყიდობის წიგნისა (XIY–XY სს.III.2.Sd–140 ა).

**ნავროზასშვილი||ნავროზაშვილი**

**ნავროზაშვილი** — ლისში მცხოვრები, [ბარათაშვილების] გაყრის დროს ერგო გერმანოზსა და მის ძმებს: თაყას, გოსტასაბს და ფალავანხოსროს (1523 წ.Ad–1299 ა).

**ნავროზაშვილი დავით** — შუაბოლნისში მისგან ნაყიდი სამი კევალი ვენახი ყარაბუდახმა მიჰყიდა ქრისტეფორე ბარათაშვილს (1655 წ.Sd–622).

**ნავროზასშვილი დათუნა** — აზატი, შეტანილია უცნობი პირის ყმების ნუსხაში (XYII ს. Hd–14912 ზ).

**ნავროზასშვილი ივანე** — მოწმე გედევან გედევანისშვილის მიერ სეხნია ჯაშიაშვილისათვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. Y.5.1448–4188).

**ნავროზაშვილი პაპუნა** — მოწმე გორჯასპ საგინაშვილის მიერ ბეჟან [საგინაშვილისათვის] მიცემული სახლ-კარის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. 1450–26/90).

**ნავროზიშვილი** — მისი სავენახე ესაზღვრებოდა ფიბუა მჭედლიშვილის მიერ პაპია წამალაშვილისათვის მისყიდულ სავენახეს (1662 წ.Y.1450–51/45).

**ნავსაზარაშვილი შიუკა** — უსისტყეს მცხოვრები, სამთავნელის მოსაურე ყმა. საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა შუბით ლაშქრობა (XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**ნავსია** — ხოზეთს წილად ხვდა ხოსია [ბარათაშვილს] (1640 წ. 1450–11/93).

**ნ[ა]ვყენაშვილი ბერი** — შვილი დემეტრა ნ[ა]ვყენაშვილისა, იხ.

**ნ[ა]ვყენაშვილი დემეტრა** — ჰყავს შვილები: ბერი, ქიტესა. მიჰყიდა თავისი ნასყიდი ვენახი მარიამს (1685 წ. Hd–1838).

**ნ[ა]ვყენაშვილი ქიტესა** — შვილი დემეტრა ნ[ა]ვყენაშვილისა, იხ.

**ნაზარა** — მიჯას მცხოვრები, მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.]YIII.16. 1450–11/112).

**ნაზარა** — ღმანისს მცხოვრები, იგი თავისი ქონებით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.]YIII.16. 1450–11/112).

**ნაზ[ა]რა** — მოწმე მხითარა წურიკაშვილის მიერ ესტატე ფრანგიშვილისათვის მიცემული ქულბაქის ნასყიდობის წიგნისა (1637 წ.YIII.25.1450–53/111).

**ნაზარა** — გორელი, მისი წისქვილი ესაზღვრებოდა გიორგი გორგიჯანას-

შვილის საწინქვილეს (1641 წ.1449–1785).

ნაზარა – 1641–1680 წწ. [ქალაქის] მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი (1669–1680 წწ.] შ ვ ი ლ ი ქალაქის მამასახლის ასლამაზისა, იხ. მ ო წ მ ე: ვახტანგაანთ ნასყიდას მიერ მანუჩარის შვილ პაატაბეგისათვის მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (1669 წ.X.27. 1450–21/9), ბაბუათ ბალინაშვილ როსტომას მიერ იავანგულაანთ გარსუასათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.IX.1450–27/303), ალიყაულან ლაჩინაშვილის მიერ ნაზარ ხოჯაბეგაშვილისათვის მიცემული სახლის და კალოს ნასყიდობის წიგნისა (1677 წ.X.1.1450–14/107), მათა – შას მიერ აშოთან ბატონიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ.I.23.1450–5/101), ნორაშენის ხუცეს ტერ-მიკიჩას მიერ მანაველა ჯუღელასათვის მიცემული სახლის ადგილის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ.YI.1.Qd – –283 ა), თამაზ ჯანშიარასშვილის მიერ ეჩმიაძინის კათალიკოს-პატრიარქ იაკობისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1678 წ.YIII.Є.1450–21/41), აბესალამანთ მურადაშვილ ხოჯინას მიერ აშოთან ბატონისშვილისათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1679 წ.YII. 1450–5/87),გულიფაშათ მითიჯანაშვილ პაპაჯანას მიერ შამირანათ თაყინასშვილ მამიჯანასათვის მიცემული სახლების ნასყიდობის წიგნისა (1679 წ.Hd–13009), აბესალამა[ა]ნთ ბეჟოას მიერ ფასინას ათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.III.30. 1448 – –1103). ჯანაბოაანთ პაპინაშვილ გასპარას მიერ დავით ჯანლაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1680 წ.XII.1450.53.118).

ნაზარა –1672–1677 წწ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი|| შ ვ ი ლ ი ხოჯუასი. ჰ ყ ა ვ ს: მ ა მ ა ასლან (1672 წ. გსიემ 7601/19), შ ვ ი ლ ე ბ ი: ნასყიდა,გიორგი (1672–1677 წწ. გსიემ:7601/19, 7601/13), ესტატე (1672 წ.გსიემ 7601/13), იასე, დავით (1677 წ. გსიემ 7601/13), ს ი ძ ე მძოვრელი პაპუა (1672 წ. გსიემ 7601/19). მ ი ჰ ყ ი დ ა მარკოზ [გარსევანიშვილს] სასახლე (1672 წ.გსიემ. 7601/19), ამირალაანთ ფარსადანს მამა-პაპისეული სასახლე, რომლის უკანა კედელი ესაზღვრებოდა გარსევანიანთ მარანს (1677 წ.X.10. გსიემ 7601/13).

ნაზარა – თარხან გიორგისა და მისი ძმების ყმებს, დავითასშვილებს;მამულასა და მის [სახლიკაცებს] ჰქონიათ ნ ა ზ ა რ ა ს ე უ ლ ი მიწა, რომელიც ნ ა ზ ა რ ა ს შვილებისათვის დაუბრუნებიათ (XYII ს. III მეოთხ.1450–33/208).

ნაზარა – მღებავი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ი ბერი. მ ი ჰ ყ ი დ ა მარიამს სამნიაურს მდებარე მიწა ცალქალამანიძის და მიქუტასშვილის მიწამდე(1678წ. Hd–9639).

ნაზარა – დ ა მ წ ე რ ი დავით ბიძინაშვილის მიერ ძლევის მთავარმოწამის ხატისათვის მიცემული მიწის შეწირულების წიგნისა (1680 წ.1450–32/325).

ნაზარა – 1681–1687 წწ. მ ო წ მ ე: ყაფლანა ყაზარაშვილის მიერ დოლმაზა შანშ[ი]აშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ. Y. 1. Hd–9285), შაყუბათა ბეროაშვილის მიერ დოლმაზა შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ.IX.30.Hd–14. 179).

**ნაზარა** – მეჩახჩურე, მ ი ს ი სახლი ესაზღვრებოდა ყანყუზარათ მირაქას სახლს, რომელიც იყიდა მერაბ ყანდინაშვილმა (1686 წ. YII.24.1448–2944).

**ნაზარა** –1687–1694 წწ. მ ო წ მ ე და დ ა მ წ ე რ ი: ჰოვათიალანთ არაქელაშვილ ჰოვათალას მიერ მურადა დუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ.1450–8/43), ჰოვათალაანთ ჰვათალას მიერ აკოსთ[აა]ნთ მიტიჩასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1687 წ.1450–9/34), იაგანა აკოფაშვილის მიერ მურადა დაუთასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1694 წ. IX.15. 1450–8/17).

**ნაზარა** – 1688–1693 წწ. მეშარბათე, მ ო წმ ე: ქვემო ბოლნელი ბიძინა ყანდინაშვილის მიერ ბაინდურ შანშიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1688 წ.III.17. 1450–7/11), სეხნია შემაზასშვილის მიერ პაპუა [ბარათაშვილისათვის] შუა ბოლნისში მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ.I.10. Sd–620), პაპუა იელიკაშვილის მიერ ბაინდურ ნაზირისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ.IY.10. 1450–10/42), მერაბ ადიბეგაშვილის მიერ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ.YII.15. 1450–7/16); ზაქუმბეგ ალიყულიშვილს მ ი ს თ ვ ი ს მიუყიდია ერთი დღის მიწა ბოლნისში (XYII ს. დამლ. 1448–130).

**ნაზარა** – შ ვ ი ლ ი ევანეზასი, იხ.

**ნაზარა** – უ ს ტ ა, მ ა მ ა თამაზასი, იხ.

**ნაზარა** – გორელი, მ ოწ მ ე მოქალაქე ხუდინა შაზინაშვილის მიერ სევანის ანაპატისა და მოლნისის საყდრის წინამძღვარ-ეპისკოპოსისათვის მიცემული დუქნის დაგირავების წიგნისა (1700 წ. 1450–21/103).

**ნაზარასშვილი ბასინა** – მ ო წ მ ე თაყინა ჯუტ არაქელასშვილის მიერ ეპისკოპოს ტერ-ანდრიასა და ტერ-ფარსელ თუმანიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1612 წ.Hd–1567).

**ნ[ა]ზია** – გორუმს მ ი ს სანაცვლოდ ერთწილად ერგო სულხანი თაყისი მამულით [თურქისტანიშვილს] (1626 წ. 1450–50/75).

**ნაზირაშვილი ნაზარა** – გორს მცხოვრები, ამილახვრის ყ მ ა, საამილახვროს დავთრის მიხედვით, ევალებოდა ლაშქრობა მ ი ს ი კომლიდან ორი კაცს XYII ს. II ნახ. 1448–5032).

**ნაზირი** – ახალდაბელი, ნ ა ზ ი რ ი ს ა და მისი ძმების კუთვნილი გლეხები ნაზარალი-ხანმა უბოძა მდივან გივი და შიოშ [თუმანიშვილებს] ([1688 – – 1703 წწ.] Qd–9037 რმ).

**ნაზირიშვილი ფარსადან** – დ ა მ წ ე რ ი გოჯასპ საგინაშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშისშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ.XI. 1. 1450–15/5).

**ნათაანიშვილი ზურაბ** – პ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: როსებ, რევაზ, ოთარ. ნაზარალი-ხანმა უწყალობა მათი მკვიდრი და ბარათში ნარგები მამული მაღრანში: მჰედელ შერმაზანას შვილის ნასახლი და სასახლის ადგილი (1699 წ.YII. 15. 1449–1229).

ნათაანიშვილი ოთარ – ძ მ ა ზურაბ ნათაანიშვილისა, იხ.

ნათაანიშვილი რევაზ – ძ მ ა ზურაბ ნათაანიშვილისა, იხ.

ნათაანიშვილი როსებ – ძ მ ა ზურაბ ნათაანიშვილისა, იხ.

ნათან – დ ა მ წ ე რ ი პაპუნა ყაზ[უ]ასშვილის მიერ მამუკა გურგენიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1681 წ.1448–272).

ნათან (ვარ.ნათანა)– 1692–1699 წწ. ატოცის წმინდა გიორგის დ ე კ ა ნ ო ზ ი. გიორგისთან,თევდოსესა და ოთიასთან ერთად მდივან გივი თუმანიშვილს მისცა პირობა იმის შესახებ, რომ არ მოუშლიდა თრიალეთში ნასოფლარ თურანის მოურავობას (1692 წ. VI.26.Hd–9656-ბ); მ ო წ მ ე ბაგრატ [მაღალაძის] მიერ სახლთუხუცეს რევაზ [მაღალაძისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ.1450–29/37).

ნათანა – უხუცესი, მ ო წ მ ე ქართლის კათალიკოს ქრისტეფორეს მიერ დათუა ზუმბულიძისათვის მიცემული სარგოს წყალობის წიგნისა (1655 წ. 1450–31/152).

ნათანა – დ ა მ წ ე რ ი დ ა მ ო წ მ ე პაპუნა მაჯანიძის მიერ ბიძინა ავთანდილაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1682 წ. 1450–32/207).

ნათანაელ//ნათანე//ნათანელ

ნათანელ – მცხეთის დ ე კ ა ნ ო ზ ი, მ ო წ მ ე ელიაზარ ელიოზისშვილის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1492 წ. 1449–1615).

ნათანელ – დავით გარეჯის მონასტრის წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი– იხ. გრწყილაძე ნათანაელ.

ნათანაელ – მცხეთის დ ე კ ა ნ ო ზ ი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: პეტრე,შიო, იოანე. სვიმონ მეფის ბრძანებით, კათალიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზმა მ ი ს ი დეკანოზობის დროს მცხეთას შესწირა ქადაგისშვილ ესაიასეული და მისი განაყოფის გიორგის მამული ( 1568წ.XII.10. 1450–31/108).

ნათანაელ – 1625–1641 წწ. მ დ ი ვ ა ნ ი, ჰ ყ ა ვ ს: ბ ი ძ ა თადუა (1625წ. I449–1239), ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ნონე (1625–1641 წწ. 1449; 1239,1238),შ ვ ი ლ ე ბ ი: ზაალ, ნათანელისშვილი, იხ. ,დათუნა (1641 წ.1449–1238). გაჰყოლია თეიმურაზ მეფეს იმერეთში, რის საფასურადაც თეიმურაზმა მ ა ს და ნონეს უწყალობა: პანკისის მოურავ თამაზასეული ყმები; არგოხს– ბალათარისშვილის მამული; მაღრანს– დათუკა ხოხლიაშვილის და ნუმერჩაისეული ყმა-მამული; პანკისს – მ ა თ ი ბიძის თადუას ნაყმევი პაპია რუბიასშვილი; თურქია და სულა ჭ ვხისშვილების, ნაომიშვილის, გირასშვილების და შავერდაშვილის ნაოხარი მამულები (1625 წ.1449–1239),მანვე– არგოხში მ ი ს ი ბიძაშვილის, ნონეს ნაქონი მამული; მაღრანს– ორი კომლი კაცი, ღუმასურას– მ ი ს ი სამკვიდრო და ძალთაგორს– მამუჩა მისი სახლით (1641 წ. V.5. 1449–1238).

ნათანელ – 1683–1698 წწ. დ ა მ წ ე რ ი: ბატატა ბეგიასშვილის მიერ თამაზა ნინიასშვილისათვის მიცემული სასოფლოს ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450–35/4), ტატია ბეგიასშვილის მიერ გიორგი ნინიასშვილისათვის მიცემული

სასაფლაოს ნასყიდობის წიგნისა (1683 წ.1450–35/21), ზურაბ მანაგაძის მიერ გიორგი ნინიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.1450–35/12), პაპუნა მანაგაძის მიერ გიორგი ნინიაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.1450–35/20), მახარა ბაკურასშვილის მიერ გიორგი ნინიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. 1450–35/16), დათუნა ყუზანაშვილის მიერ თამაზ ბერუკაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. 1450–35/15); დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე მახარა ბაკურასშვილის მიერ ფარემუზ [ჯავახიშვილისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.X.30. Hd–14'084), იონათამ აბულვარდიშვილის მიერ გიორგი ნინიასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. YI.1. 1450–35/9).

**ნათანე** – დ ე კ ა ნ ო ზ ი, მ ო წ მ ე სულია გოგიჰაშვილის მიერ ბერუკა გოგინასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ.1448–2145).

**ნათანასშვილი იორდანე** – მ ო წ მ ე ზურაბ ეგაძის მიერ თამაზასითვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1695 წ.IY.20. 1448–2931).

### ნათანლისშვილი//ნათანულისშვილი

**ნათანლისშვილი** (ვარ.ნათანულისშვილი) დათუნა – შ ვ ი ლ ი მდივან ნათანაელისა, იხ., [ძ მ ა] ზაალ ნათანლისშვილისა, იხ.

**ნათანლისშვილი** (ვარ.ნათანულისშვილი) ზაალ – 1641. 1671,[1703] წწ. შ ვ ი ლ ი მდივან ნათანაელისა, იხ. ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] დათუნა (1671–[1703] წწ. 1449:1236, 1240), [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: მამუკა, ქაიხოსრო, პაპუა ([1688––1703 წწ] 1449–1240). მ ას განუახლა არჩილ მეფემ თეიმურაზ მეფის მიერ ნაბოძები ყმა-მამულის წყალობა მაღრანს: საზვერლიშვილი ხომიზური ძმებით და მიქელა ანდრიაშვილი მათი მამულებით (1671 წ.1449–1236); თუშეთში ყოფნისას ერთგული სამსახურის სანაცვლოდ ერეკლე მეფემ უბოძა მაღრანს– ჩრიკასშვილი პაპია და ტაბაძე, ბალთაგორს– ბირჩიშვილი მათი მამულებით([1688––1703 წწ.] 1449–1240).

**ნათანულისშვილი მამუკა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ზაალ ნათანულისშვილისა,იხ.

**ნათანულისშვილი პაპუა** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ზაალ ნათანულისშვილისა,იხ.

**ნათანულისშვილი ქაიხოსრო** – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ზაალ ნათანულისშვილისა, იხ.

**ნათაუნადაშვილი** – პატრონმა ზაქარიამ და ჰილამ ყუდრის საყდარს შესწირეს კლილიქსინე, „ვითარცა ნ ა თ ა უ ნ ა დ ა შ ვ ი ლ ი" (XIY ს. A–219, 60r ).

**ნათაძე** – ნ ა თ ა ძ ი ს ე უ ლ ი მიწა გომს წილად ხედა არდაშელ [ზუმბულიძეს] ([1695-1697 წწ.] 1450–31/132).

**ნათელ** – პატრონი, დ ე დ ა ზაზა ფანასკერტელისა, იხ.

**ნათელ** – თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე გერმანოზისა, რ ძ ა ლ ი სალაროს მოლარე დავით ქაჩიბაძისა, იხ.

**ნათელ** – თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე მურვან მცარქოზისძისა, იხ.

**ნათია** – დ ე დ ო ფ ა ლ ი, [ა ს უ ლ ი] ამირეჯიბ ქეცნა [ გიბელიძისა], იხ.

[თ ა ნ ა მ ე ც ხ ე დ რ ე] კონსტანტინე (I) მეფისა. მ ი ს სახელზე ამირეჯიბ ქეცნა [გაბელიძემ] ულუმბის ღმრთისმშობლის მონასტერს შესწირა სოფელი ღოღეთი და დააწესა ერთი დღე ალაპი. ი გ ი „უბედო ქმნილ იყო და შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღმრთისმშობელსა" და შესძენია ძე ([1412–1431 წწ.] ქრ. II. 208–212).

ნათინაშვილი — მძოვრეთში მცხოვრები, წილად ხვდა თომა ბარათაშვილს ([1633–1658 წწ.] 1449–590).

ნაიბაშვილი გულთაბ — ძ მ ი ს წ უ ლ ი მერაბა ნაიბაშვილისა, იხ.

ნაიბაშვილი იარალი — ძ მ ი ს წ უ ლ ი მერაბა ნაიბაშვილისა, იხ.

ნაიბაშვილი მერაბა — ახალციხეში მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: გულთაბ, იარალი. ი გ ი შვილითა და ძმისწულებით, სახლ-კარითა და ქულბაქით თამარმა შესწირა აწყურის მონასტერს (1575 წ. ახლო. 1449–1503).

ნაირაშვილი — ხ უ ც ე ს ი, მ ო წ მ ე მღთისია ხატიაშვილის მიერ რამაზ [ზუმბულიძისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ. 1450–31/100).

ნაკაიძე ბახუტა (ვარ. ბახუტელაი) — ნაკაშიძეების კ ა ც ი, ნაკაშიძისა და გიორგი მამულაიშვილის დავის წიგნის მიხედვით, ბ ა ხ უ ტ ა ს გარდაცვალების შემდეგ მ ი ს ი ცოლი მამულაიშვილს თავისი კაცისათვის, გაბრიელა ბუშისათვის, ცოლად შეურთია და ობოლიც თან გაუტანებია. ნაკაშიძეები ითხოვდნენ თავისი კაცის ობოლს ([1689–1717 წწ.] Hd–10345).

ნაკას[რე]ვ[ე]ლი — იხსენიება ალის მონასტრისათვის მიცემულ საწირავის წიგნში (?) (XIY ს. S–1245. 441–449).

ნაცვლიშვილი სიხარულა — ბაშს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ერთი ურემი ღომი, ოცი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი ქათამი, სათეთროდ თევზი, სამარიობოდ— ორი ქათამი, საჯინიბო— ოცდაათი მკლავი მჭადი, ერთი შექმნილი მჭადი, ერთი ჩარექი მკედი, ტვირთი, სასახლეში მუშაობა, მძაღე, მარილი, ნიორი, საკლავზე — ყველი, კვერცხი, თევზი (1578 წ.H–626).

ნაცვლიშვილი შავერდა — მ ა ს უბოძა სახლთუხუცესმა რევაზ [ჩოლაყაშვილმა] უჯარმას გუგუნაური მამული ([1688–1703 წწ.] Hd–15/052).

ნაცვლიშვილი ხახუტა — ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: მამუკა, ოთია. ი გ ი შვილებითა და მათი ცოლ-შვილით ბეჟანმა მიჰყიდა თავის ძმისწულს, ალიბეგს(1647 წ. XII.1. 1448–273).

ნაცვლიშვილი ხუცესა — ბაშს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ერთი ურემი ღომი, ოცი კოკა ღვინო, ერთი საკლავი, ორი ქათამი, სათეთრო თევზი, სამარიობო— ორი ქათამი, საჯინიბო— ოცდაათი ხელი მჭადი, ერთი შექმნილი მჭადი, ერთი ჩარექი მკედი, ტვირთი, სასახლეში მუშაობა, მძაღე, მარილი, ნიორი, საკლავზე — ყველი, კვერცხი, თევზი (1578 წ.H–626).

ნაციღდანას იორდანე — იხ. იორდანე

ნაჭყეპია თაფლიშია — ცაიშს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: სატრაპეზე ერთი მთელი თევზი და გოჭკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N 92).

ნაჭყეპია მახარებელი — ბონბოთში მცხოვრები, ი გ ი გიორგი ლიპარტიანმა მისი სახლ-კარითა და მამულით შესწირა ბიჭვინთის ღმრთისმშობელს([1616–1620 წწ.] ქსძ. III. N 92).

ნაჭყეპია მახარობელი — ნაგვაზაუს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: ერთი ძროხა, ერთი ღორი, ერთი ამოკირული ძირა ღომი, ექვსი კოკა ღვინო, ერთი ქათამი, მისი პური და სამარხო, კიდევ გოჭკომური— ორი ღორი, ერთი დიდი ძარა ღომი, ცხრა გუდა ღვინო, „მზარეულსა და მეღვინეს ერთი თოხი უწერია (1621 წ. ქსძ. III. N 91).

ნახყეპია მიშველია — ცაიშს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა: ერთი საკლავი, ერთი ქათამი, მისი მარილი, ერთი პური, სამი ლიჯი ღომი, სამი ფოხალი ღვინო და გოჭკუმური ([1621–1621 წწ.] ქსძ. III. N 92).

ნახიკაშვილი— სამებელის ყმათა ნუსხის მიხედვით, [სამებელს] მისთვის მიუცია: ოთხი თუმანი, ერთი თოფი, ერთი ხარი, ერთი ნაბადი, ერთი ქუდი (XYII ს. ბოლო. 1449–1841).

ნახუზარაშვილი — ბასილა რიზმანაშვილმა მიჰყიდა ზაზა [ციციშვილს] ხვედურეთში ვენახი ნ ა ხ უ ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს საზღვრამდე (1693 წ.Sd–17).

ნახუცრისშვილი ბეჟანა – მ ო წ მ ე იორდანე და გოგია მჭედლიშვილების, დათუნა ბასაძის და ძაღლუა შარიქაძის მიერ პატა აბაშიძისათვის მიცემულ თავდებობის წიგნისა (XYII ს.I ნახ. Hd–8914).

ნახუცრისშვილი დათუნა – მ ი ს ი მოწმობით ეპიფანე მიტროპოლიტმა დაამტკიცა გრიგოლ ჩხუტიაშვილის მიერ ბატონ ანასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნი (1666 წ. ახლო ხანები. Sd–533).

ნახუცრიშვილი ნიკოლოზ– ნასახჩი (?). მ ო წ მ ე ყანდურ[ა]ლის მიერ მოურავისშეილ თარხან გიორგისათვის მიცემული ყმად თავდაწერის წიგნისა (1663წ. ახლო. Hd–2589).

ნ[ა]ჰაპეტაშვილი პაპია – მ ო წ მ ე შუა ბოლნისის მამასახლის სამებისას მიერ პაპია შანშიაშვილისათვის მიცემული ნასოფლარის ნასყიდობის წიგნისა (1648 წ.YIII.22.1450–5/35).

ნები[აა]ნთ ნასყიდა – მ ო წ მ ე ალავერდისშვილების გაყრის წიგნისა (1699 წ.IX.16. 1450–11/41).

ნებიარიძე – მ ი ს ი და სვიმონაშვილის ნასყიდ მიწასთან მდებარეობდა მდივან ბეგთაბეგ [მარტიროზიშვილის] ვენახი, სადაც ნასყიდა მაისურაძემ მას ერთი საურმე გზა დაუთმო (1697 წ.III.7.1450–2/4).

ნებიარიძეენი – ნებიერთუბანში მცხოვრებნი, თეიმურაზ მეფემ განუახლა მ ა თ ი წყალობა ბატონ ლევანსა და მის სიძეს, ამილღამბარს (1628 წ. X. 30. Hd–14.680).

ნებიერიძე ბეჟიტა – ჰ ყ ა ვ ს [ს ა ხ ლ ი კ ა ც ე ბ ი]: მამუკა, ბერუკა,პატა. უყიდია : ჩაფაურში ვენახი გიორგი ჩიქუანისაგან (XYII ს. II ნახ.Qd–725 ა), ტეტია ჩიქუანისაგან „ჩაფაური" ვენახი (XYII ს. II ნახ.Qd–725 ბ).

[ნებიერიძე] ბერუკა – ს ა ხ ლ ი კ ა ც ი ბეჟიტა ნებიერიძისა, იხ.

ნებიერიძე ესიტა – ცხილვანის მ ო ხ ე ლ ე, მ ო წ მ ე ზაქარია [გარსევანიშვილის] მიერ მარკოზ [გარსევანიშვილისათვის] მიცემული ყმა-მამულის განაწილების წიგნებისა (1668 წ.გსიემ 4642, 4644).

[ნებიერიძე] მამუკა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბეჟიტა ნებიერიძისა, იხ.

ნებიერიძე მახარობელ – გ ლ ე ხ ი, პაატა აბაშიძემ ი გ ი შესწირა კაცხის ეკლესიას და დაუწესა გამოსაღებები: ოცი ათიანი [კოკა] ღვინო, ოცი თეთრის საკლავი ან საკლავის ნაცვლად ოცი ათიანი ღვინო, ხუთი ქათამი, ერთი საპურობო ბურვაკი, ოთხი ფოხალი ღვინო, ერთი შაურის გოჰი, ერთი კოდი პური, ერთი კოდი ქერი, ოცდაორი კვერცხი ([1684 წ.] სკ.III. 52–57).

[ნებიერიძე] პატა – [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] ბეჟიტა ნებიერიძისა, იხ.

ნებიერიძე პაპუნა – მ ო წ მ ე გოგინა ჯიბაძის მიერ მურვანა რუსაშვილისათვის მიცემული სასიფლაოს ნასყიდობის წიგნისა (1672 წ.1448–9616).

ნებიერიძე პაპუნა – გ ლ ე ხ ი, პაატა აბაშიძემ ი გ ი შესწირა კაცხის ეკლესიას და დაუწესა გამოსაღები: ოცი ათიანი ღვინო, ერთი გობი საფერე,ოცი თეთრის საკლავი, ან მის ნაცვლად ოცი ათიანი ღვინო, რვა ქათამი, ერთი საპურობო ბურვაკი, ორი ფოხალი ღომი, ერთი შაურის გოჰი საბატკობო, ორი სართლო ქათამი, ერთი კოდი პური, ერთი კოდი ქერი, ოცდაორი კვერცხი([1684 წ.] სკ. II. 52–57).

ნებსაძე შოშიტა – მ ო წ მ ე ალექსანდრე მეფის მიერ იესე კვიმსაძისათვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის წიგნისა ([1693–1695 წწ.] ჭშ.1222).

ნევულაშვილი პაპუა – მ ო წ მ ე პაპუა ლიმაზაშვილის მიერ ქაიხოსრო ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1689 წ.XI.15.1450–15/50).

ნეიშვილი კაცია – ნ ა ც ვ ა ლ ი, მ ო წ მ ე ხოსეა ასლუაშვილის მიერ ნასყიდა დოლმაზაშვილისათვის მიცემული ვენახის გაცვლის წიგნისა (1699წ. IX. 27. Hd–10257).

ნეკაშვილი ნინიკა – ხიდაშენში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილი საკომლოების ნუსხაში (1689 წ.1449–1792).

ნეკევრიშვილი – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა ჯავნიაშვილ-თეალიშვილ პატატას მიერ ესტატე მარინდაშვილისათვის მიყიდულ ვენახს (1685 წ. 1450–28/245).

ნემსა: ნემსაური – ნაოხარი ნ ე მ ს ა უ რ ი მამული სოფელ კუნელში ელენე დედოფალმა უწყალობა მარკოზ მაღალაძეს (1512 წ. Ad–149816).

ნემსაშვილი მახური – ქორღს მცხოვრები, ჰ ყ ა ვ ს [ძ მ ა] ჩურუხული; ეკუთვნოდა პაპუას; ი გ ი და მისი ძმა როსტომ მეფემ უბოძა ჰიაურთ მოურავ შანშე [ჩოლაყაშვილს] (1656 წ. Hd–14672).

ნემსაშვილი ჩურუხული – [ძ მ ა] მახური ნემსაშვილისა, იხ.

ნემსაძე – გიორგი მეფემ ბერინას უბოძა სულაშვილის ნაქონი ვენახი ნ ე მ ს ა ძ ი ს ვენახის მოკიდებით ([1446–1465 წწ.] Qd–10121).

ნემსაძე– გიორგი მეფემ შესწირა გელათის წმინდა გიორგის ჩუნეშში ხოშტიბელას სასახლე, რომელზედაც ერთმანეთს ეცილებოდნენ ქურდიანი და ნ ე მ ს ა ძ ე (1569 წ. II. 4. 1448–3327).

ნემსაძე – საკათალიკოსო მამულების ნუსხაში იხსენიება ნ ე მ ს ა ძ ი ს ე უ ლ ი ხოშტიბელა სასახლე 12 კომლი კაცით (XYII ს. 1449–1564).

ნემსაძე ბეჟან – მეფე გიორგის ცხუკურსა და ჩუნეშში მ ი ს თ ვ ი ს მიუცია სახასო ქონება. ბ ე ჟ ა ნ მ ა გიორგი მეფეს უღალატა და თავს დაესხა მისივე ბიძაშვილი ხოსროჲის გამოც ნაწყალობევი ქონება მეფემ ნასისხლად შესწირა გელათს (1658 წ.YIII.30. Sd–2301).

ნემსაძე გიორგი – ძ მ ა დავით ნემსაძისა, იხ.

ნემსაძე დავით – იხ. დავით ნემსაძე გ ე ნ ა თ ე ლ ი, ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი.

ნემსაძე დავით – ხ უ ც ე ს ი, ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: გიორგი, ჯობია. მ ო წ მ ე გედევან გედევანიშვილის მიერ სეხნია ჯაშიაშვილისათვის მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1683 წ.Y.5.1448–4188).

ნემსაძე იოვაკიმ – გაბრიელ ცაგერელს მ ი ს გ ა ნ უყიდია გლეხი გიორგი აკობიძე და შეუწირავს ცაგერის ეკლესიისათვის (1656 წ.ახლ.Qd–9085-ე).

ნემსაძე (ვარ. ნეუსაძე) სეხნია – გიორგი ლიპარტიანის მ ო უ რ ა ვ ი (1620–ანი წწ. Ad–2251კზ). მ ო წ მ ე გიორგი ლიპარტიანის მიერ ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნისა

([1610–1620 წწ.] დსს. II. 172).

ნემსაძე ჯობია – ძ მ ა დავით ნემსაძისა, იხ.

ნემსიწვერიძე იონა – ტვიშს მცხოვრები, ყ უ ა ვ ს შ ვ ი ლ ი შოშიტა (1660–ანი წწ. Qd–9085 ქ). მ ი ს ი შვილი [შოშიტა] მეფე ალექსანდრემ უწყალობა გიორგი და ხოსია ახვლედიანებს ([1639–1659 წწ.] ლაი H 86–8, 13 v); მოხსენებულია გაბრიელ ცაგერელის მიერ ცაგერის ეკლესიისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნში: ი გ ი შვილთან ერთად მეფე ალექსანდრეს უბოძებია გაბრიელისათვის და მის მიერ დაკავებული გოჩიის ძღვილი და მამული გაბრიელმა შესწირა ცაგერის ეკლესიას ([1660–ანი წწ.] Qd–9085-ქ).

ნემსიწვერიძე კავია – ი გ ი შვილთან და ძმისწულებთან ერთად გაბრიელ ცაგერელს უყიდია ელყან ყიფიანისაგან და შეუწირავს ცაგერის ღმრთისმშობლის ეკლესიისათვის (1656 წ. Qd–9085-ე).

ნემსიწვერიძე შოშიტა – შ ვ ი ლ ი იონა ნემსიწვერიძისა, იხ.

ნენგულაშვილი ბაინდურა – მ ო წ მ ე პაპუა ლამაზასშვილის მიერ ქაიხოსრო [აბაშისშვილისათვის] მიცემული წისქვილის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. YI. 1. 1450–15/7).

ნერსენია ძომათია – ჯარიელი, ე მ ა რ თ ა ცაიშის საყდრის ბეგარა-გოჯკუმური ([1616–1621 წწ.] ქსძ. III. N 92).

ნერსეს – მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ მ ე ბოვნელი აბრამ ბარათაშვილის მიერ გიორგი შანშიაშვილისათვის მიცემული შვილის ნასყიდობის წიგნისა (1621 წ. IY.7.1450–7/8).

ნერსესა – უსტა, მ ო წ მ ე სარუხანა არაქელაშვილის მიერ ზალინა ხოსროვასშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1690 წ. Y.7.1450–48/142).

ნერსესა: ტერ–ნერსესა – მ ო წ მ ე დავით ჭილაშვილის მიერ მურადა [დათუაშვილისათვის] მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. Y.1450–5/55 ა).

ნერსესანთ– ნ ე რ ს ე ს ა ნ თ მიწა იყო საზღვარი დავით ჭილასშვილის მიერ მურადა [დათუაშვილისათვის] მიყიდული მიწისა (1699 წ. 1450–5/55-ა).

ნერსესასშვილი//ნერსესაშვილი

ნერსესასშვილი – მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა: ყორხმაზ ყორღანაშვილის მიერ ბეჟან ყორღანაშვილისათვის კენჭიყარიასთან მიყიდულ მიწას (1688 წ. II. 11. 1450–7/60), ნაზარა ხატუაშვილის მიერ ასლამაზ ყორღანაშვილისათვის მიყიდულ მიწას ლამისხევში (1693 წ. 1450–7/53).

ნერსესასშვილი ალავერდა – ზემო-ბოლნელი, ყ მ ა, მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა შაჰნავაზ მეფის მიერ სოიბათიასაული პაპია გოგიბაშვილისათვის ნაწყალობევ მიწას ურწაშენში (1674 წ. 1450–10/22).

ნერსესაშვილი ზურაბ (ვარ. ზურაბა)–1674–1688 წწ. ავდროზანა [ყორღანაშვილის] ყ მ ა, მ ო წ მ ე აბაზა ყორღანაშვილის მიერ თავისი ბიძაშვილის, შიოშისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1674 წ. XII.17. 1450–16/154); ავდროზანა [ყორღანაშვილმა] მ ი ს ი კუთვნილი მიწა მიჰყიდა ოთარ ყორღანაშვილს (1688 წ. IY. 1450–17/28).

ნერსესაშვილი ნერსესა – მ ო წ მ ე: ყაზარა ყუზანაშვილის მიერ ბაინდურ

გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ.I.21. 1450–6/16), ტერ-გრიგორ ტერ-ვართანაშვილის მიერ პაპოა გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ.I.21.1450–6/49).

ნერსესაშვილი საქია – მისი მიწა ბაინდურა [შანშიაშვილმა] მიჰყიდა ყორღან ყორღანაშვილს (1688 წ.IY.1. 1450–16/150).

ნერსესაშვილი ყულია – მოწმე შუა ბოლნელი ევანეზ ზუგულაშვილის მიერ სუფრაჯ აჲთანდილ ბარათაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1644 წ.III. 27. 1450–33/66).

ნერსუა – გივი ამილახორმა იგი დაიხსნა თათრისაგან და, ცოლ-შვილითა და მამულით, მიჰყიდა ქალაქის მოურავ მანუჩარს (1646 წ.Hd –14911).

ნესტან დარეჯან (ვარ.ნესტარდარეჯან)– დედოფალი, თანამეცხედრე მეფე გიორგი YIII–ისა, იხ., დედა ალექსანდრე (I, კახთა) მეფისა, იხ.

ნესტანდარეჯან (ვარ.ნესტანჯარ)– 1508–1520 წწ. იგივე ნესტანჯარ-ყოფილი ნინო (1520 წ. 1449–1535), თანამეცხედრე ათაბეგ ყვარყვარე [ჯაყელისა], ჰყავს შვილები: [. . . . ] ათაბაგი საზუერელ||საზურელ, სალუყაზან (1506, 1520 წწ. Sd –732, 1449–1535), თამთან, ძმა კორხმან (1520 წ. 1449–1535), სიძე დავით მეფე (1508, 1520 წწ. Sd –732, 1449–1535). იყიდა შალვა ქავთარასშვილისაგან მისი ნასყიდი წითლისძისეული ვენახი (1508 წ. Y.1.Sd –732); ქვათახევის მონასტერს შესწირა შალვა და ივანე კახაბრისშვილებისაგან 1300 თანგად შეძენილი ვენახი და 15 მაისს, თავისი ძმის, კორხმანის სახელზე დააწესებინა ალაპი (1520 წ.X.9.1449–1535).

ნესტანდარეჯან (ვარ.ნესტანჯარ)– 1556–1612 წ. დედოფალი, ასული ლეონ მეფისა (1558წ. 1450–51/ 178), თანამეცხედრე მეფე სვიმონ I–ისა, იხ., ჰყავს შვილები: გიორგი, ლუარსაბ (1588წ.1450–51/178, [1561–1600 წწ.] Hd –13050), ალექსანდრე ([1561–1600 წწ.]Hd –13050), არსენ )(ალექსანდრე-ყოფილი) (1588 წ.1450–51/178), ასული ელენე, [შვილიშვილები]: ლუარსაბ, ათაბაგი მანუჩარ [ჯაყელი] ([1606–1610 წწ.]1448–1258). უწყალობა: დალელ დონდორა მამალედაშვილს დალეთის მამასახლისობა და ნარიკასული მიწა სავენახით (1556 წ.Sd –138), გიორგი სააკაძეს – გორში ვაჭრები- ნირნიკასშვილები თოხარიკი და აბოვაი, მათი ქონებით ([1561–1600 წწ.] Hd –12050), ჰრეშელ მელიქ მირიმან [ნარიმანიშვილს] სოფელი თალა (1584 წ.XI.7.1449–1025), დედოფალ თამართან ერთად– ბეჟან სოლაღაშვილ-ბებურიშვილს ზურაბ სოლაღაშვილის კერძი მამული, მამისდაბის „გარდაისად" და საბია ხიზანიშვილი უმამულოდ (1606 წ.III. 24. Hd –2091), ზურაბ სააკაძეს – ნაოხარი სოფელი ჩალისციხე (1593 წ. YI.24. 1448–5617), სახლთუხუცეს ზურაბ [სააკაძეს] ფიზია [ჯავახიშვილის] მამული ცხირეთსა და სამებაში (1607 წ.Hd –14 417). შესწირა: მეტეხის ღმრთისმშობლის ტაძარს ატენში მდებარე აგარაკი–ზვარი, სახასო მიწა და ვენახი (1608 წ. ქრ. II. 437); გინუახლა სვეტიცხოველს ატენში მოსახლე თბილელაშვილების შეწირულება (1574 წ. YI. 6. ქრ. II. 415). სვიმონ მეფეს იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის შეწირული

ჰქონია სოფელი დირბი, რომლის სამღებროს გამოსაღები— ყიშენი და ბეგარა — ნესტანდარეჯანმა შესწირა ამავე მონასტერს (1588 წ.YIII.3. 1450—51/178); უბრძანა ალის მოურავს, ციხისთავს, მებაჟეებს და სხვა მოსაქმეებს, რომ სვეტიცხოვლის ყმებისა და მოქალაქეებისათვის ბაჟი და სალამათი არ გამოერთმიათ, ვინაიდან ესენი სვეტიცხოვლისათვის ჰქონდა შეწირული (1577 წ. ქრ. II.416); მას, დედოფალ თამარს და მეფე ლუარსაბს ერთგულების ფიცი მისცა ბატონმა ელენემ და მისმა შვილმა ათაბაგმა მანუჩარ [ჯაყელმა] ([1606—1610 წწ.] 1448—1258); ნაზარა ფერალაშვილის ოცდაათ თუმან ვალში მისცა ალში თაყიაური მამული (1612 წ. III.7. 1450—24/12). სხვადასხვა: მის სახელზე რობამ ფავლენისშვილმა ნიქოზის ეკლესიას შესწირა სოფელი ნიქოზი (1565 წ.Ad—1504—4); მისი ნებით დომენტი კათალიკოსმა პატრონ ვახტანგს გაუცვალა მამულები და მისცა სააღაპე წიგნი (1595 წ. 1449—1620), მისი დასტურით, და აღათანგ სახლთუხუცესის ჩარევით იონათამ ხარანიძემ შეირიგა მამისთვალა (1612 წ.1450—49/149); იხსენიება: მისი წყალობის წიგნის საფუძველზე როსტომ მეფემ პაატა გლურჯიძეს განუახლა ქვემო ბოლნისში ყმების წყალობა (1635 წ.1448—81), როსტომ მეფის მიერ ყაფლან ბარათაშვილისათვის მიცემული განაყოფებთან სამამულე დავის გარიგების წიგნის თანახმად, მისი დავალებით, სახლთუხუცეს შიოშ [ხმალაძეს] და ბოქაულთუხუცეს აღათანგს გაურჩევიათ იგივე დავა (1651 წ.YIII.30. 1450—38/30); მისი ხელრთვა აქვს საბუთებს: Qd—8584, 1448—4.

ნესტანდარეჯან (ვარ.დარეჯან)— ჰილაძის ასული, თანამეცხედრე გიორგი ლიპარტიანისა, იხ., შემდგომ დედოფალი, თანამეცხედრე ლევან დადიანისა, იხ.

ნესტანდარეჯან — 1639—1660 წწ. კახთა მეფის ასული, დედოფალი. „...გვირგვინისა მპყრობელი აფხაზთა და ქართველთა მეფეებისა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა, შანშა, შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა, ორისავე ტახტისაგან სამეფოისა... მფლობელ-მპყრობელი, დედოფალთ-დედოფალი (1660 წ. ახლო. Ad—598 ა). უწყალობა მარეხ ჩხეიძეს და მის შვილებს, ქაიხოსრო და პატა წერეთლებს, საფალავანდიშვილოში ხოსროსა და შემდეგ ტყავძველიძეების ნაქონი ყმა-მამული და დაუმტკიცა საჩხერეში ხოდაბუნის ნახევარი (1660 წ.Hd—9466); შესწირა: მეფე ალექსანდრეს სულის სააღაპედ ცაგერის ღმრთისმშობელს გაბრიელ [ჩიქოანის] ცაგერლობის დროს ცხუნკუშვერში მცხოვრები ოთხი კომლი სვანიძეები და დააკისრა მათ სააღაპე ბეგარა (1660 წ.Qd—9085-ა), გენათის ხახულის ღმრთისმშობელს — ნოღას სასახლე და ქელბაქიანი შოშიტას და ხუციასეული ყმა-მამული; ბიშნარაშვილი ხახუტა, მინანაშვილი მამუკა, ჯანელიძე მახარობელი, ჯანგავაძე ქაქუა, სამსოაშვილი მახეტა, მინანაშვილი ნასყიდა; ესენი ხუცია და შოშიტა ქელბაქიანების ყოფილი ყმები იყვნენ. შესწირა აგრეთვე რიონს — გოლათაძე ნასყიდა, მჭელიძე გოჩიტა და მისი ძმები, კახაძე მახარობელი; სორმონს— ჩიბურდანიძე მამუკა; ოკრიბას— გაბადაძე მამუკა; ნაძვას— ჩირაძე გოჩია; დღნორისას— [..]რძალაძე ბენია; რიონს— მაჩალაძე ნასყიდა, ერთ კომლად

ტურაბელიძე გიორგი, გოგია, კაცია, მახარობელი და მისი ძმები, ქაქუა ტურაბელიძე, შოშიტა ტურაბელიძე, შოშიტა ახალაძე, ხახუტა გოგლიჩაძე, დათუა მონანაშვილი, მამუკა შუბლაძე— თავიანთი მამულებით. ამას გარდა, შესწირა ხუთი პარტახტი, სორმონს— ნასყიდა გოლათაძე, მამუკა გოლათაძე; აპორეთს— კაცია ხორხომელიძე, მამუკა ევატაშიძე; გუჩნას— გიორგი მეჯავიძე ; ჯვარისას— პაატა ებაურიძე, გოჩია ებაურიძე, ხახუტა ცირღილაძე, დათვია სიბილაძე— თავიანთი მამულებით (1660 წ. ახლო. Ad–598 ა); დაამტკიცა გენათელი ზაქარია ქვარიანის მიერ გელათისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი (1644 წ. YI.5. ქმ. N 139). იხსენიება: ტვიშში მცხოვრები ნასყიდა სვანიძე და მისი ძმისწულები ნესტანდარეჯანს და მეფე ბაგრატს უბოძებიათ ცაგერელ გაბრიელ ჩიქოანისათვის (1660–ანი წწ. Qd–9085 ც). დედოფალმა ელენე დიასამიძის ასულმა, ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიას მიართვა შესაწირავი თავისი შვილებისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის სულის მოსახსენიებლად (1683 წ.1449–112 ).

[ნეფესაანთ] ათაბეგა – [სახლიკაცი] ნეფესაანთ ზაქარიასი, იხ.

ნეფესაანთ ზაქარია — ჰყავს: მამა მამიჯანა, [სახლიკაცი] ათაბეგა. მიჰყიდა ამირალაანთ გაბრიელას თავისი ნასყიდი სასახლე ციხისძირში, მამუკას დარბაზის კედლამდე და გელიასა და დათუნას სახლებამდე (1698 წ.IX.1. 1449–964).

ნეფესაანთ მამიჯანა – მამა ნეფესაანთ ზაქარიასი, იხ.

ნეფისასშვილი ათაბეგა — გორელი, ფარსადან ფანასკერტელ-ციცისშვილმა მას და სხვა გორელებს მისცა ტყით სარგებლობის უფლება ზედაველის მთაში, სანიაქორში და ურიულში (1699 წ. II.24.Hd–13/151).

ნეფსაძე:ნეფხაძისეული – [აფხაზეთის] საკათალიკოსო გლეხების ნუსხის მიხედვით, საკათალიკოსო მამულებს აკლდა ოფჩაში ორი ნეფსაძისეული პარტახტი (1650 წ.ახლო. დსსს. I.53–55 ).

ნექა – არატუაზანში გუგუნა მაყაშვილის ყმები, ნექას შვილები—ორი ობოლი— მეფე ალექსანდრემ შესწირა ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიას(1594წ. 1449–1509).

ნექე – მოხსენიებულია ბიბილ დევდარიანის დაწერილის ფრაგმენტში (XIY ს. ლაგ. N 4).

ნექისძე დანიელ — საყდრისშვილი, ქორებისკოპოზი, ჰყავს შვილები: საბა, მირიან. კონსტანტინე მეფეს თან ახლდა ორჯერ ურდოში. ამ ხანებში თბილელობა გაყუქმებულიყო. მისი თხოვნით, კონსტანტინე მეფემ თბილელობა ისევ აღადგინა. მანგლელ-თბილელმა იოვანემ მას ამ დამსახურებისათვის უბოძა ქაშვეთთან მდებარე საყდრის მკვიდრი სავენახე მიწა გაყიდვისა და გამზითვების უფლებით (1440 წ. III.20. 1448–5240).

ნექისძე მირიან — შვილი დანიელ ნექისძისა, იხ.

ნექისძე საბა — შვილი დანიელ ნექისძისა, იხ.

ნეჩრელნი — [ნიკოლაოსწმინდელს] მათგან კაჩაეთში უყიდია ნახევარი ყანა, რაშიც გადაუხდია ერთი ფური, ორი კაბიწი ხაჭო, ხუთი კაბიწი ფეტვი

([1071–1080 წწ.] 1449–1563).

**ნვარუზა (ნავროზა?)** — ჰონი, მ ო წ მ ე [გოჰილოდაანთ] თათოსას და ბალდასარას გაყრისა (1690 წ.YII.1450–50/207).

**ნიაბაძე** — ადამ [მაღალაძის] ყ მ ა, ადამმა ი გ ი გაუცვალა ერასტი [მაღალაძეს] (XYII ს. IY მეოთხ. Ad–1787).

**[ნიანიასძე] გრიგოლ** — „მაოხრებელი“, მ ა მ ა ნიანია ნიანიასძისა, იხ.

**ნიანიასძე ნიანია** — შ ვ ი ლ ი გრიგოლ „მაოხრებლისა“. მ ა ს, რადგან „ბერი კაცი იყო ლაშქრობაი ალარ შეეძლო“, უწყალობა დავით მეფემ არიშიანის თხოვნით მზითვში მიღებული მამულის, ვეძისპევის, შეუვალობა ([1104–1125 წწ.] 1448–1015).

**ნიგორიანი ტატაჩა** — ლელჯგრაგის ექვსი თემის ერთობის წიგნში აღნიშნულია, რომ ი გ ი ლელჯგრის მიწისთვის მოკვდა და შენდობის მეტი არაფერი ეშველებოდა (XYII–XYIII სსჰსძ.II. N 121).

**ნიგუსრიანი ენე** — მ ო წ მ ე ხერგიანების სისხლის საფასურის დადგინების წიგნისა (XYII–XYIII სს. სსძ. II. N 123).

**ნიკიფორე** — [იერუსალმმის] ჯვრის მონასტრის მ ა მ ა, ქაიხოსრო გურიელმა მ ა ს მისცა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული ჩეხედანასა და ბაილეთის შეწირულებათა განახლების წიგნი ([1647–1658 წწ.] Hd–10274-ა).

**ნიკოლაიშვილი ნასყიდა** — როკითს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, ერთი ურემი ღომი, ორი ნაოთხალი ღომი, ოცდაათი მკლავი ფეტვი, ერთი საკლავი ყველით, თევზით, კვერცხით. ერთი ლიტრა ყველი, ერთი გოჰი, ერთი ქათამი, ტვირთი, მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავარის მიტანა (1578 წ. H–626).

**ნიკოლაშვილი** — მ ი ს ი მიწა ესაზღვრებოდა გიგოლა ჩხიკვაძის მიერ გოჩია მოუდევარისათვის ახალდაბის გზაზე მიყიდულ მიწას (1682 წ.1450–46/127).

**ნიკოლაშვილი ნადირა** — მ ო წმ ე სოლალა ულანჯაშვილის მიერ დილმელი სულხან ჩაჩასშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. IY. 1. 1450–28/248).

**ნიკოლაშვილი ნიკოლა** — ერთი კომლი, მოხსენებულია [ალავერდის ტაძრის] საკომლოების ნუსხაში (XYII ს. Ad–848).

**ნიკოლაძე დემეტრა** — ჩხარს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა აფხაზეთის საკათალიკოსო ბეგარა: თექვსმეტი კოკა ღვინო, თექვსმეტი თეთრი, რვა ქათამი, სამი კოდი ქერი, ერთი მენახევრე პური, ერთი მენახევრე ღომი, ერთი მარხილი თივა, ტვირთი და მუშაობა (1621 წ. ქსძ. III. N 91).

**ნიკოლაძე ივანა** — მ ა ნ როსტევანა ბარდაველიძესთან ერთად მიჰყიდა იოვანე კლდიაშვილს ნაფაცხევი სხტეში (XYII ს. Hd–14981).

**ნიკოლაძე მიქელა** — როკითს მცხოვრები, ე მ ა რ თ ა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდარვა კოკა ღვინო, ერთი საკლავი — ყველით, კვერცხით და თევზით, ერთი ლიტრა ყველი, ერთი გოჰი, ერთი ქათამი, ტვირთი, მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავარი (1578 წ. H–626).

ნიკოლაძე ნასხიდა — მეფე ალექსანდრემ იგი შესწირა ხვამლის წმინდა გიორგის (1655 წ. Qd—3085-დ).

ნიკოლისშვილი ივანა — ციხის-ქალაქს მცხოვრები, ზურაბ მაჩაბლის მეკოდისპურე ყმა (1700 წ. 1448—3602).

ნიკოლისშვილი მამუკა — ციხის-ქალაქს მცხოვრები, ზურაბ მაჩაბლის მეკოდისპურე ყმა (1700 წ.1448—3602).

ნიკოლაოზ||ნიკოლაოს||ნიკოლეოზ|| ნიკოლოზ

ნ(ი)კ(ო)ლ(აო)ზ — ლულუნა-ყოფილი, მწირი, მოწმე და დამამტკიცებელი მღვიმის კრებულის მიერ იოვანე, ნიკოლაოზ და ნიანია ტოხაისძეებისათვის მიცემული სამწირველოს წყალობის განახლების დაწერილისა ([1189—1200 წწ.] Ad—3).

ნიკოლოზ— [სუღიერი] ძმა იოვანე ოპიზის მოძღვრისა, იხ., მისი შენდობა ითხოვა იოვანე ოპიზის მოძღვარმა ბერთის მონასტრისათვის ბოძებულ შეწირულების დაწერილში (XII ს. Q—906. 340r —341r ).

ნ(ი)კ(ოლაო)ზ— წილკნელი, მოწმე და დამამტკიცებელი მღვიმის კრებულის მიერ იოვანე, ნიკოლაოზ და ნიანია ტოხაისძეებისათვის მიცემული სამწირველოს წყალობის განახლების დაწერილისა ([1189—1200 წწ.]Ad — —3).

ნ(ი)კ(ოლაო)ზ— მნათე, ბასილი მემღვიმესთან და მღვიმის კრებულთან ერთად განუახლა კვირიკე კახთა მეფის სამწირველოს წყალობა იოვანე, ნიკოლაოზ და ნიანია ტოხაისძეებს. მოწმეა და დამამტკიცებელი ამ დაწერილისა ([1189—1200 წწ.] Ad—3).

ნიკ(ოლაო)ზ— [წმინდა] კვირიკეს ჯვარისმტვირთველი, მოწმე მუჩათურისძეების და გავაზელისძეების მიერ წმინდა კვირიკეს მონასტრისათვის მიცემული შეწირულების წიგნისა (XII—XIII სს. მიჯნა. A—281.4v—5r ).

ნიკ(ოლაო)ზ— წმინდა კვირიკეს დეკანოზი, მოწმე მუჩათურისძეების და გავაზელისძეების მიერ წმინდა კვირიკეს მონასტრისათვის მიცემული შეწირულების წიგნისა (XII—XIII სს. მიჯნა. A—281. 4v—5r ).

ნიკოლაოზ— მამა დემეტრე [წირკნელისა], იხ.

ნ(ი)კ(ოლაო)ზ— მღვიმის მონასტრის ძმა, მოწმე მღვიმის კრებულის მიერ ზოსიმესათვის მიცემული სამწირველოს წყალობის განახლების დაწერილისა (1200 წ. ახლო.Ad—4 გ).

ნიკ(ოლაო)ზ— „საგდუხტისი", მოწმე მღვიმის კრებულის მიერ ზოსიმესათვის მიცემული სამწირველოს წყალობის განახლების დაწერილისა (1200 წ. ახლო. Ad—4 გ).

ნიკოლ(აოზ)— დიდი მონასტრის წინამძღვარი, მოწმე და დამამტკიცებელი არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მიერ მგელა აბულახტარისძისათვის მიცემული სოფელ ღუერკის წყალობის დაწერილისა(1241/1242 წ. 1448—5003).

ნიკ(ოლაო)ზ— ქართლის კათალიკოსი, იხსენიება მიქაელ კათალიკოსის მიერ ვაჩე გუარამაისძისათვის მიცემულ წყალობის დაწერილში: მას მცხეთის საყდრის სოფლებში, ხატისოფელსა და ორომაშენში მეფეთა და

კათალიკოსთა მწირველებად დაუდგენია „სიგლოსანი ხუცები" და „გალმა გახუმული საყდრისათუინვე შინა შემოუხუმან" ([1241 წ.] 1448–9253).

**ნიკოლაოზ II**–[1249]–1282 წწ. ქართლის კათალიკოსი//ყოვლისა საქართველოს კათალიკოსი. დავით მეფეს კლარჯეთის სიმაგრეებში ემსახურებოდა არვანბეგ საბაისძე, მეფემ მას უწყალობა „მცხეთის მკუიდრი" მამული–შეუბანი. ნიკოლაოზ კათალიკოსმა, როდესაც საკათალიკოსო ტახტი დაიჭირა, შეუბანი საკათალიკოსოდ მიიჩნია. არვანბეგ საბაისძემ კათალიკოსს წარუდგინა დავით მეფის წყალობის სიგელი და აგრეთვე ამ სოფლის ძველი მფლობელებისაგან დადებული ვალდებულებების– აბუსერეთ საერისთავოსი და ბეგრის, ასევე გელათის ცვილისა და ბეგრის– გამოსყიდვის თაობაზე არსებული საბუთები. ნიკოლაოზმა არვანბეგს დაუთმო შეუბანი, მხოლოდ დაუმატა სოფელს ძველ ვალდებულებაზე– თერთმეტ ლიტრა ცვილზე– ცხრა ლიტრა. ეს ოცი ლიტრა ცვილი უნდა ჩაებარებინათ ტანუტერისათვის. ნიკოლაოზი ამტკიცებს ამ საბუთს (1281/1282 წ. 1448–5037); დაამტკიცა აგრეთვე: მღვიმის კრებულის მიერ გრიგოლ სურამელისათვის მიცემული დაწერილი მისგან მღვიმისათვის მეწისქვილის შეწირვის შესახებ ([1249–1260 წწ.] ქისკ I. N 28), კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მიცემული შეწირულების დაწერილი ([1260 წ. £Sd–2859).

**ნიკოლაოზ**– საწოლისა და საჭურჭლის [მწიგნობარი], დამწერი დავით მეფის მიერ [გელათის] ხახულის ღმრთისმშობლხსათვის მიცემული სოფელ საბანელას შეწირულების სიგლისა (1271/1272 წ. ქისკ. I. N 39).

**ნიკ(ოლაო)ზ**– აწყურის მსახურთუხუცესი, მოწმე ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსის მიერ არვანბეგ საბაისძისათვის მიცემული შეუბანის წყალობის დაწერილისა (1281/1282 წ. 1448–5037).

**ნიკ(ოლაო)ზ**– საუნჯეს ძმისწული, მოწმე ქართლის კათალიკოს ნიკოლაოზის მიერ არვანბეგ საბაისძისათვის მიცემული შეუბანის წყალობის დაწერილისა (1281/1282 წ. 1448–5037).

**ნიკოლოზ**– დამწერი და მოწმე: გიორგი როჩაგიანისა და მისი შვილების მიერ მოხერის მთავარანგელოზისათვის მიცემული ყმად თავდათვლილობის დაწერილისა (XIII–XIY სს. სსძ. II. N 14). იოანე და და ხუერგო გელოვანების მიერ მოხერის მთავარანგელოზისათვის მიცემული ყმად თავდათვლილობის დაწერილისა (XIII–XIY სს. სსძ. II. N 12), უცნობი პირების მიერ მოხერის მთავარანგელოზისათვის მიცემული ყმად თავდათვლილობის დაწერილისა (XIII––XIY სს. სსძ. II. N 13).

**ნიკო(ლაო)ზ**– მანგლელის ძე, კარის მწიგნობარი, დამწერი მეფე ანდრონიკეს მიერ წითლოსან ქვენიფნეველისათვის მიცემული სოფლების წყალობის წიგნისა (1348 წ. Hd–1360).

**ნიკოლოზ III** – კათალიკოსი, დიდი მონასტრის მოძღვარი, დაამტკიცა გიორგი მეფის მიერ გუგუნი მაყაშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნი (1377 წ. Ad–1284).

**ნიკოლოზ**— შალვასთან ერთად იხსენიება ბოცო [ბოცოსძის] მიერ ალის მონასტრისათვის მიცემულ საწირავის გაჩენის წიგნში (XIY ს. S–1245. 6–23).

**ნიკოლოზ**— სახლთუხუცესი, დამწერი დავით ქაჩიბაძის მიერ სვეტიცხოვლისათვის მიცემული სოფელ ყუარანთას შეწირულების განახლების წიგნისა ([1466–1479 წწ.] 1449–1528).

**ნიკოლაოს** (IY)— ქართლის კათალიკოსი, მას შეურისხავს გაბრიელ ამბა-ალავერდელი. გაბრიელმა მისცა მორჩილების პირობისა და ფიცის წიგნი ([1488—1492 წწ.] Ad –1717).

**ნიკოლ[ა]ვოზ**— დამწერი და მოწმე: ფლშ[ელის] მიერ ხადელთათვის მიცემული საბუთისა (XY ს. A–222. 164v–165r), შებმა და ტორმ ლაბრისძეთა მიერ [ხადისის] ეკლესიისათვის მიცემული ბეგრის შეწირულების წიგნისა (XYს. A–222. 76v–77r).

**ნიკოლოზ**— [ვაჩიძორის მონასტრის] მოძღვარი, მისთვის საბას მიუწერია წერილი (XY–XYI სს. აეკორ. 65–66).

**ნიკოლაოზ**— პატრონი, ქრისტეს საფლავის [ბერი]. [ვაჩიძორის] მოძღვარმა დავითმა და ჯურელმა ბართლომემ მას მისწერეს: წერილი, რომელშიც სთხოვეს ხავალიდან [ვაჩიძორის] წმინდა სტეფანეს მონასტერში დაბრუნება და მათთან ერთად მოღვაწეობა. ამავე დროს, შეატყობინეს, რომ მას ნამორეთს უბოძებდნენ (XT–XYI სს. ხეკორ. 65).

**ნიკოლაოზ**— მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი, იოანე ქართლის კათალიკოსის გაზრდილი, მაწყვერლად კურთხევის ჟამს მისცა პირობა იოანე ქართლის კათალიკოსს მცხეთის საყდრისადმი ერთგულების შესახებ ([1505–1509 წწ.] Ad –547).

**ნიკოლოზ**— კანდელაკი, მოწმე მღვიმელი დედაბრის, ბარბარეს მიერ, თევდორე და სულია კოლელიშვილებისათვის მიცემული საალაპე წიგნისა (1512 წ. Ad –11-ბ).

**ნიკოლოზ**— მანაკერტს მცხოვრები, წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს ([1537–1538 წწ.] YIII.16. 1450–11/112).

**ნიკოლოზ**— მონაზონი, ქართლის კათალიკოს ნიკოლოზის და ტფილელ იოანეს ნებართვით, მან მონაზონ დავითთან ერთად ააშენა უდაბნო, რომელსაც ეწოდებოდა მთაწმინდა. აქვე ააშენეს ღმრთისმშობლის სახელობის საყდარი და შესწირეს ორ ხრამს შუა მდებარე ბაღი (1542 წ. Sd –526).

**ნიკოლოზ** (Y ან YI)— ქართლის კათალიკოსი, დაამტკიცა ალექსანდრე მეფის მიერ 1542 წ. ქვათახევის მონასტრისათვის მიცემული საალაპე წიგნი (1542 წ. შემდგომ. Ad –504).

**ნიკოლოზ**, ხოფელი— იხ. წულუკიძე ნიკოლოზ

**ნიკოლოზ**— ამბა-ალავერდელი, მისი ალავერდელობის დროს ალექსანდრე კახთა მეფემ შესწირა ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიას დავით კირაულისძე მისი სახლიკაცებით, ჩვიდმეტი კომლი, არბუხს— სასახლე, ზვარი და ჩვიდმეტი კომლი კაცი, ლანუხს— ოცი კომლი, კონდოლს— სასახლე, საფადლიანთათ ჯანოს და როინასეული ყმა-მამული, გურაზისეული სასახლე, კისის-

ხევს— სომხები (1578 წ. Ad—1505).

**ნიკოლაოზ** (**ვარ. ნიკოლაოს, ნიკოლაოზ**) IY—562—[1584] წწ. ქართლის კათალიკოს-პატრიარქი, ბარათაშვილი, ჰყავს ძმები: ერაჯ, გულაბ, საჩინო (1587 წ. 1449—1507). უწყალობა: სვიმონ მეფის ნებართვით მცხეთიშვილ ქადაგ გედეონ მალალაშვილს, მისი უძეოდ ამოვარდნილი ბიძაშვილის მამულები ჩოჩეთში და გორში— ფუშრუკაული და დიაკვნისეული მამულები (1562 წ. Ad—1498-9), მცხეთის დეკანოზს ნათანელს, სვიმონ მეფის „ბრძანებათა და ჯერჩინებით"— მცხეთაში ქადაგის შვილის, ესაიასეული და მისივე განაყოფის, გიორგისეული მამული (1568 წ. XII. 10/ 1450—31/108); შესწირა: სვეტიცხოველს ერთი დიდი ორხოვა დედოფლისეული, მისი ჯეჯიმი, ოცი ხაზინის კარავი, ერთი დიდი დოსტაქანი და სხვა ნივთები. შეადგინა სვეტიცხოვლის განძის ნუსხა ([1562—1584 წწ.] Ad—97); დავით გარეჯას— თავისი მკვიდრი ყმა ხარება ვაშაყმაშვილი, რომელსაც მკვიდრი მამული მიუტოვებია და წინა საგარეჯოში, ხოდაშენთ ბოლოს, იფნიანში დასახლებულა. ამ ყმაზე კათალიკოსს ედავებოდნენ საკუთარი ძმები, რომელთაგანაც დაუხსნია და ისევ გარეჯასათვის შეუწირავს (1582 წ. IY. 5. 1449—1553); პირობის წიგნი მისცეს მას: სუფრაჩმა ფარემუზმა ერთგულებისა და მორჩილების შესახებ (1574 წ. Ad—105), ალექსანდრე მეფემ — საგარეჯოს მამულების გაუცემლობის შესახებ (1579 წ. Ad—1604), კახეთის ეპისკოპოსებმა: ზაქარია ამბა-ალავერდელმა, სილოვანე ნინოწმინდელმა, ფილიპე კაწარელმა, მაქსიმე ბოდბელმა, ქლიმე ნეკრესელმა, ეგნატე ჰერემელმა, ელისე ხარჭაშნელმა— ერთგულებისა და მხარდაჭერის შესახებ ([1562—1584 წწ.] Ad—64), მას მიუბარებია ჰერემელი ეპისკოპოსის, ეგნატესათვის კახეთის თავადები: ანდრონიკეშვილი, ჯორჯაძე, ჭავჭავაძე და აზნაურიშვილები. ეგნატემ მისცა მას პირობა, რომ სანამ ეს თავადები წესსა და საწირავს არ შეასრულებდნენ, მანამ იგი არც ჟამს უწირავდა და არც საწირავს აიღებდა მათგან ([1562—1584 წწ.] Ad—1626), ასეთივე პირობა მისცა მას ჰერემელმა ეპისკოპოსმა ანტონიმ ([1562—1584 წწ.] Ad—1632); დაამტკიცა სვიმონ მეფის მიერ ქვათახევისათვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი (1567 წ. YI. 12. 1449—1612); მან, მეფე სვიმონის ნებართვით, ვახტანგ ბატონიშვილს ყურისუბანში გაუცვალა სოფელი ვირშა მონასტრით და სვეტიცხოვლისათვის შეწირული მამულებით, წიასწყალს— ერისთავის მიერ შეწირული არჩვაძეები, ერეთს— გილაშვილი მამულით, ზაკვი, ქორდი, ტრძნისი, მეღვრეკისში— ვენახი და სათივარი, ახალდაბაში— ვარდან ფალავადიშვილის მიერ შეწირული სახლეხოები (1574 წ. III. 14. Ad—1654); გაარჩია ჯავახისშვილების დავა ტფილელ ბარნაბასთან (იხ.) არჯევანისშვილის შვილების თაობაზე. დავა გარიგდა მისი გადაწყვეტილების თანახმად (1580 წ. 1449—1552). მისი კათალიკოსობის დროს შესწირეს სვეტიცხოველს: ლეონ მეფემ ზემო ღანუხში მცხოვრები თექვსმეტი კომლი კაცი (1563 წ. ქრ. II. 405), კოზმან კირაულისძემ — თავისი კუთვნილი ჟინვანისპირული მამული: მამულიც და ნასყიდიც. ხანდაკში წილში ნარგები მამული თავის განაყოფებს დაუტოვა და დაავალა სვეტიცხოვლისათვის ორი ლიტრა ცვილისა და ორი ლიტრა საკმევლის მირთმევა (1566 წ. Hd—

–2579), სვიმონ მეფემ – სოფელი გომნი და სთხოვა კათალიკოსს გიეჩინა სამი
ალაპი მისთვის (1566 წ. YI.15. ქრ. II.408), თეიმურაზ ბატონიშვილმა– სოფელ
ბოკოწინში ბასნაშვილი (1568 წ.IX.17. ქრ. II.411), ლეონ მეფემ– ჯიმითის სა-
ნაცვლოდ ზემო ლანუხში თექვსმეტი კომლი კაცი: ქევხა, სულთანა, ბეგია, მოლა,
მანაველა, ესაია, ქემა, მერაბა, იმარინდო, სანჯა, ჯანა, სომლულა, ნადირა,ნას-
ყიდა, ხულია, ბალა, ცურა (1569 წ. 1448–5529), ყული ჯიმშიტამ – ვერისხევში
(//ვეძისხევში) ნასყიდი სასახლე. სამაგიეროდ კათალიკოსს სთხოვა დაეწესები-
ნა მისთვის წელიწადში ერთხელ ჟამისწირვა (1571 წ.1449:1548, 1549), სვიმონ
მეფემ– ზემო ქართლის სოფელი მოხისი, პატრონ რამაზის შვილის, კონსტანტი-
ნეს [ბაგრატიონი] გლეხების გარდა (1581წ.YIII.14.1448–2328); მისი კათალი-
კოსობის დროს ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს განუახლა საგარეჯოს შემო-
სავლის ნახევრის შეწირულება (1575 წ.Ad–1761); მისი თხოვნით, ალექსანდ-
რე მეფემ სვეტიცხოველს დაუბრუნა თავისი პაპის მიერ შეწირული მალემწის
ღვთისმშობლის მონასტერი, სოფლები: გუდალეთი, ეზატი და ქელივიძე ქერობინა
მამულით,– რაც ალექსანდრეს მამას,[მეფე ლეონს] დემეტრე ერისთავისათვის უწ-
ყალობებია ([1578–1579 წწ.] 1449–1660); იხსენიება გვიანდელ საბუთებ-
ში: მის ძმებს, ერაჯ, გულაბ და საჩინო ბარათაშვილებს სვეტიცხოვლის თეთრი
და საქონელი დაუხარჯავთ. სანაცვლოდ შესწირეს სოფელი ველკეთილი ( 1587 წ.
1449–1507), მას გაუცვლია ზემო ქართლის სოფლები: ქორდი, ზაკვი, სათიხა-
რი და მათ გარშემო მამული ვახტანგ ბატონიშვილისათვის მუხრანის სოფელ
ყურისუბანზე (1595 წ. 1449–1620) 1595 წ. IY.30.Sd–2871); მისი ხელრთ-
ვა და ბეჭედი უზის საბუთებს (Ad–97, 1604.

ნიკოლოზ (ვარ.ნიკოლაოს)–YI– 1584–1589 წწ. ქართლის კათალი-
კოსი// კათალიკოს-პატრიარქი, ლეონ მეფის ძე (1588 წ. Hd–
–2526, [1584–1589 წწ.] 1448–5087 ა), 1589 წ. Sd–464), ძმა ალექსანდრე
(II) მეფისა (1589 წ.Sd–464).

უწყალობა: გედეონ ელიოზიშვილს სოფელ ზარაუნში ოთხი კომლი კაცი:
კახიაშვილი, ბორჯალა მაჭარაშვილი, ფოცხვერა აპრილაშვილი და არსა ყველა-
შვილი მამულებით (1588 წ. Hd–2526), ... ვარსიმეს და თევდორეს „საქვევრმა-
რნოდ"– ვენახი და გაუთავისუფლა გადასახადებისაგან ([1584–1589 წწ.] 1449–
–2340), ლეონ მეფეს და დედოფალ [თინათინს] ქადაგი გედეონ მაღალაძე წაუყვა-
ნიათ კახეთში ნიკოლაოსის აღსაზრდელად. როდესაც იგი კათალი-
კოსი გახდა, სვიმონ მეფის ნებართვითა და ბრძანებით, გედეონ მაღალაძეს უწ-
ყალობა ნიაბში კანაჩაძე გივისეული მამული და თავისი სახასო სამი გლე-
ხი ([1584–1589 წწ.] 1448–5087 ა); გაუჩინა ყოველწლიური ალაპი ომანს, რომელ-
მაც შესწირა სვეტიცხოველს მამული ([1584–1589 წწ.] Ad–77); დაუმტკი-
ცა მანგლისის ღმრთისმშობლის ეკლესიას აბაშ და დავით [ბარათაშვილების]
კერძი მამულები: შოშილეთი, იფნარიანი, ახალშენი, ვარდისუბანი, ქციის გაღმა
ახლდია (1584 წ.Qd–1604); მისი თხოვნით: ალექსანდრე მეფემ სვეტიცხო-
ველს დაუბრუნა მისი კუთვნილი მამულები: ვეძისხევი, ფაშაანი, ხევთუბანი და
გიორგაანი, რომლებიც ორი წლის მანძილზე ყარაასლანის ხელში ყოფილა ([1589წ.]

Ad –614), ალექსანდრე მეფემ განუახლა სვეტიცხოველს ძველი შეწირულობები:ხორაუგს საწინამძღვრო მონასტერი ყუავისთავი, კილმატი, კილმატის ციხე, ასკილოვანი, ვერენა ციხით, ფადლაშენი, ტაზრები, კეხთა, საბაწმიდა; კაწარეთს– მიწა ძმარაშვილის სახლამდე, რაჟიანთ ეკლესიის ქვემოთ; მიწა სამგორს, თამარ მეფის რუმდე, ბოსტან-ქალაქამდე ხაჯერნესა და გრძელ ტბებამდე, შურთხაანთ კლდემდე, ლურჯ ფლატომდე, მამადის გორამდე, საქალაქო შარამდე, დამპალოს მხარემდე; მარტვილთ მონასტერი, ივრის პირს– სამი გორა, ივრის გაღმოლმა– დედოფლის წისქვილები, მცხეთის გორაკი თარაქათ ბოლოს, ბრმაწყარო, შავქე[დ]თ ღელე, დავალთისას იქით–ღელე მარიამჯვარი, სტაფისთავს– ძველი ეკლესია, შავწყაროს ღელე, ხოდაშენსა და წინანდალს შუა ოლე, ბალთაკარი, განთა მონასტერი , ბუშტი მამულით და მონასტრით, შაშიანთ თავს–მთავარანგელოზთ საყდარი მარმაროვანთ საზღერამდე, ომანის საკომლოებამდე; გომთ წყალი გომის წყლისა და ჰერემის ხევის შესართავთან; რაჯახს– წმინდა გიორგის საყდარი, ვარცა, ღუმასუბანი, შენოანთუბანი, ახალშენი, თოღაანი, კახისუბანი, შალეაშვილნი მამულით. ნასოფლარი ჯვარა, ახაშენს– ხუთი კომლი გლეხი და ერთი ზვარი. ალაზანს გაღმა ფიჩხოვანს, თორმეტი საგლეხო მამული, პანკისს– ორი კომლი გლეხი, თორმეტი კომლი სომეხი ვაჭარი და ურია, გრემს– ორი გლეხი, ვეძისხევს– ვარცანის მონასტერი და სოფელი ვეძისხევი, გიორგიწმიდა, გოგანი, ღელისუბანი, ქორეთი, სეფორის ღელე და ბიწკინტელის ღელე, ჩელტს– გრემის გამოღმა, თეთრ კლდემდე, სოფელი ფაშაანი, გავაზს– შვიდი საკომლო და ერთი ზვარი, ბარაუნთაში– მცხეთის სოფლები და მონასტრები, ლაგოდეხი, ლანუხი, ვარდიანში– შვიდი საკომლო, ჭარანს– ხუთი საკომლო; ენისელში– ლერწანი და კუნელანი; ბაზარს– სასახლე, საყდარი და თვრამეტი კომლი ურია და სომეხი; ერწოს– მონასტრები ბოჭორმისა და წმინდა გიორგისა, წმიდა არჩილის სამარხი; სოფელი კვერნაძენი, ტოხასძე მისი მამულით, ერწოს თხილნარას ორი გლეხი მამულებითურთ; ჩრდილოეთით, აძუძამდე, დასავლეთით, თეძმის ხევამდე; სოფელი ნოდოკრა და ასადურნი, სოფელი ჩეკურნი ნეფის წყარომდე, გოგიას ფლატემდე; დასავლეთით, ძლევის ჯვარს აქეთ, დამპალი წყალი, ტოხასძის და ნოდოკრელთა სამანებამდე; ძაგნაკორნას– თორმეტი მთელი საკომლო; ანეშს– ყოვლადწმიდის მონასტერი, თვით სოფელი ანეში და ოდიშელოძენი; ზარბე , მამისიმედი და მისი განაყოფი, სოფელი წირდალი, ხატისწობენა, ნოჯა, ნოჯიკეთი, პიტლოვანი, ევჟეტი, აბანო, გორანა, თორეჯნი,ხარჭაშანს – ილი, თიანეთის თავს– სოფელი ჯოჯეთი, სვეტიცხოვლის ეგლეხია; გლეხები– ბამანძანძურიძენი; ხანდაკს– კირაულნი მამულით; სოფელი ბაგა, ცოცხაძის მამული და მისი სოფელი ჰოპარტი, ბიწმენი და გიჯიყრელნი ორი სახლი; ახატანს– ხუთი მთელი გლეხი და საგლეხო მამული; მეორე ბიწმენი, ბოკოწინი, არჯაკალი, მიწობელნი, ნავნიოს და მისი განაყოფები– გიორგი და პატა მამულებით; იპტისი, ზაქარიანი, აზვი; საგურამოს– ზედაძნელაშვილნი მამულებით; გორისუბანს–წყალსთველასშვილი მამულით; ჯვრის მონასტერი მამულით,ფოსვი, ჯაჭვი, ზავრად გარაყანიძე მამულით. ნასოფლარი ავჭალა, ოროტა „მოლამურთ ჩატანებასა, მუხრაულთა პირპირ", გოგიას ხევამდე; ნიშარძეულის ნასახლარამდე სამნიაშვილის მიწის თავს მდებარე სამი კომლი ნასახლარი, გლდანში– გიორგი და გულბათ ლაჭო-

აძეები მამულებით; ნასოფლარი კუტალა; ლილოს– გვერდისსოფელი, ახალდაბა, ჯომითი, რომელსაც ესაზღვრებოდა თუთუბოს ღელე; ნასოფლარი ნაკუერცხალა, ღრმაღელე; გაღმა– პიაბერთ ეკლესია, ფხოელთაკენ, ლაკუათპირს– წვრილი ღელე, დიდი გორა, ჩუმლაყისაკენ– კულენაანი, ძამაურა, წვრილი ხევი, გაწყუეტილა წნორამდე, რაჯაკი, წითელაანი (1579 წ. sic! ინდ. მე-15.[1589 წ.] Sd–464); მისი ბეჭედი უზის საბუთებს: Hd–2526, 1448–6087.

**ნიკოლოზ**– კარის დეკანოზი, დამწერი და მოწმე ფეშანგ ფალავანდიშვილის მიერ ბეჟან ტატიშვილისათვის მიცემული თანხმობის წიგნისა სამადანიშვილისაგან მამულის შეძენის თაობაზე ([1618–1646 წწ.] 1450–46/10-ბ).

**ნიკოლოზ**– მანგლელი მთავარეპისკოპოსი, მდივანბეგ როინ ჯავახიშვილს მისცა საბუთი, რომელშიც გამოხატულია თანხმობა ჯავახიშვილებისათვის მანგლისის საყდართან სადაო მამულების გადაცემის შესახებ (1652 წ. III. 5. Hd–8584).

**ნიკოლოზ**– მღვდელ-მონაზონი, თბილელ ეპისკოპოს ელისესთან და ზებედე [ნიქოზელთან] ერთად ბოქაულთუხუცეს დავით [დავითიშვილისათვის] მიუბარებია სოფელი დირბი ([1650–1658 წწ.] Hd–15041).

**ნიკოლოზ**– კარის დეკანოზი, დამწერი: ფეშანგ ფალავანდიშვილის მიერ ბეჟან და პაპუა ტატიშვილებისათვის მიცემული წიგნისა ხოდაბუნის მიცემის თაობაზე (XYII ს. 50–70–ანი წწ. Hd–3240-ბ).

**ნიკოლოზ**– მღვდელი, მოწმე ზაზუტა ალხაზიშვილის მიერ პაპუა [მაღალაძისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. 1450–30/124).

**ნიკოლოზ**– მღვდელი, მოწმე ზაზუტა ალხაზიშვილის მიერ პაპუა [მაღალაძისათვის] მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1663 წ. 1450–30/124).

**ნიკოლოზ**– [ნიქოზელი]– იხ. ფავნელიშვილი ნიკოლოზ

**ნიკოლოზ**– შვილი ოხიაყორჩ როსებისა, იხ.

**ნიკოლოზ**– შვილი დეკანოზ პეტრესი, იხ.

**ნიკოლოზ**– ბოდბელი– იხ. ციციშვილი ნიკოლოზ

**ნიკოლოზ**– სახლთუხუცესი (1676 წ. 1448–633 ბ)//ზურაბ ჯავახისშვილხს სახლთუხუცესი (1676 წ. Hd–14090). მოწმე: თევდორე სალუყაზანასშვილის მიერ ზურაბ ჯავახისშვილისათვის მიცემული ხოდაბუნის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. YII. 27. Hd–14090), უცნობი პირის მიერ კირაკოზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. IY. 1448–633 ბ).

**ნიკოლოზ**– მოწმე და დამწერი უცნობი პირის მიერ კირაკოზასათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1676 წ. IY. 1448–633 ბ).

**ნიკოლოზ**– შვილი ონანა მდივნისა, იხ.

**ნიკოლოზ**– პაპა, მოწმე გიორგი მეფის მიერ დოსითეოს პატრიარქისათვის მიცემული საბუთისა იერუსალიმის ქართული მონასტრების დასახსნელად თანხის გადაცემის შესახებ ([1678–1785 წწ.] 1448–1283).

**ნიკოლოზ, ბოლნელი**– იხ. [ბაგრატოვანი] ნიკოლოზ

**ნიკოლოზ, ალავერდელი** — იხ. ენდრონიკაშვილი ნიკოლოზ

**ნიკოლოზ, გენათელი** — იხ. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ

**ნიკოლოზ** YII — 1678–1695, [1696] წწ. ამილახორისშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი (XYII ს. 70–ანი წწ. 1461–3/86), კათალიკოსი// სრულიად საქართველოს კათალიკოსი// ქართლის კათალიკოს-პატრიარქი // ქართლის, კახეთის, სამცხე-საათაბაგოს და კათოლიკე ეკლესიის საჴევთმპყრობელი. შვილი იოთამ ამილახორისა (1678–1688 წწ. Qd–45, Ad–1498–20, 1450–23/64, 1449–1788, Hd–7221, 1450–29/52, ქრ. II.506, 1450–31/131), ჰყავს: ძმა დემეტრე ამილახორი, იხ., გივი ამილახორი (1688 წ. ქრ. II.506), [ძმისწულები]: ავთანდილ (1693 წ. Hd–2142), ანდუყაფარ ამილახორი, იხ. ქრისტეფორე, ვახტანგ ([1678–1695 წწ.] Ad–1203). უწყალობა: სვეტიცხოვლის ყმას, გიორგი ელიოზისძე-გედევანიშვილს ვირშისწყალი, მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი (1678 წ. III.28. Qd–45), ხუცია მაღალაძეს სამოურავოდ — სოფელი აშენდა „ყოველთ სვეტიცხოვლის ყმათ ნებადართვითა" (16[7]8 წ. XI.3. 1450–23/64). დათუნას — მცხეთიშვილ ალვსებაძის მამული (1680 წ. III.27. 1448–123), რევაზ მაღალაძეს — სოფელი ციხებდავი და დაუბრუნა ციხედიდში ნასყიდი ვენახი, რომელიც ჩამორთმეული ჰქონდათ მაღალაძეებს (1686 წ. Hd–7221), მასვე — დიღვამში რომნაზაული ზვარი და ესტატე ფეიქრისშვილი ძმებითურთ. ეს ზვარი რევაზ მაღალაძის პაპას როსტომ მეფის დროს გაუყიდია სვეტიცხოვლის დაკარგული ბეჭდის ფასის ასანაზღაურებლად. შემდგომ კათალიკოსს უკან გამოუსყიდია, რადგან მაღალაძეების მკვიდრი მამული იყო (1687 წ. Ad–1646), ზაალ ქარციძეს — „ყოველთა მცხეთისშვილთა ნებართვით" — მეღვინეთუხუცესობა, განუსაზღვრა სარგო, აგრეთვე სამოურავოდ — ზემო ქართლის სოფელი ბერძენაული და მოხისს იქით ახლად დასახლებული ახალსოფელი (1687 წ. XII. 5. 1450–29/52), სვეტიცხოვლის ყმას, პატა ჭარმეულს — სასაფლაოდ წეროვანში კარის ეკლესია (1693 წ. 1449–2685), სარდალ გიორგი გედევანისშვილს — ქორდაში ბახუტა ბადასშვილის მამული და გლეხი [ჯ[ა]ლ[ა]ბაძე მამულით (1694 წ. IX. 5. Hd–13999), გიორგი შუბითიძეს — ზვრის ნახევარი და აშენდის მამასახლისობა (1694 წ. II.20. 1448–5061) განუახლა წყალობა სახლთუხუცეს რევაზ მაღალაძეს ზერტში მაღალაძეთა მკვიდრი ყმებისა: ხეჩუა მიქელაშვილის და მამულა მირაქაშვილისა (1678 წ. YII.5. Ad–1498–20); დაამტკიცა// დაუმტკიცა: ლეონ და ალექსანდრე მეფეების მიერ წმინდა ნინოს ტაძრისათვის ბოძებული ყმა-მამულის შეწირულების წიგნი (1597 წ. 1449–1561), დიღმელ ათანელს — დეკანოზობა (1678 წ. Hd–1035), დომენტი კათალიკოსის მიერ დიონოსე ზუ[მ]ბულიძისათვის 1663 წ. მიცემული წყალობის წიგნი ([1678–1695 წწ.] 1450–31/125); პირობა მისცა გიორგი მეფესთან ერთად კახეთის თავადებს წყალობისა და მფარველობის შესახებ ([1678–1688 წწ.] Hd–2159); მას მისცეს პირობის წიგნი: მოლარეთუხუცეს პატი [რუსიშვილის] შვილებმა, ქაიხოსრომ და გირგელდმა, რომ შილდაში და ვეძისხევში სვეტიცხოვლის მამულებზე ხელს აიღებდნენ ([1678–1688 წწ.] 1449–1789), [მანგლელმა] გაბრიელ [ჯავახიშ-

ვილმა] მორჩილებისა და ერთგულების შესახებ ([1686–1688 წწ.] ქკმეის. №922); „დიდი შიმშილობის დროს" იყიდა იმარინდო ისრალაშვილისაგან ნახევარი წისქვილი და საწისქვილე, გადაუხადა ერთი უღელი ხარი ([1678–1696 წწ.]1449–1194); ნიკოლოზ მებუნიშვილს გაუცვალა ზერის თავში, ფშატთან მდებარე მახარებლის ნასყიდ მიწაზე სხერტაში მდებარე სამი დღის მიწა ([1678–1687 წწ.] Qd–3694); ძეგველებს დიდი კოკით დაწესებული კულუხი შეუცვალა თორმეტლიტრიანით, უწყალობა ნასასახლარი ადგილი(1678წ. Hd–2918); პქონდა დავა აშოთან მუხრანის ბატონთან რუისელ ყმაზე ღვინია იოველიძეზე. აშოთანს ეს ყმა „ფიცით გამოუტანია" (1687 წ.Ad–1825); გაარიგა დავა: სხვებთან ერთად ციციშვილებსა და მაღრაძეებს შორის მამულზე (1678 წ.1450–14/62), დეონისე სუმბულიძის ძმისშვილებისა კათალიკოსის მოხელეებთან (1688 წ.Y.18. 1450–31/131), ავთანდილ ამილახორისა და მისი ბიძაშვილებისა სახლიკაცობის რიგის შესახებ (1693 წ.Hd–2142 ), იასე ბატონიშვილთან ერთად– სარდლიშვილი ზაალ ციციშვილსა და ხატისთეღეთელთა შორის ([1678–1696 წწ.] Ad–1226); მოწმე და დამხვდომი ანდუყაფარ ამილახორიშვილის მიერ დათუნა ტარსაიჯასშვილისათვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა ([1678–1695 წწ.] Ad–1203); მონაწილეობა მიიღო გიორგი მეფის დარბაზობაში, სადაც გადაწყდა დოსითეოს პატრიარქისათვის იერუსალიმის მონასტრების დასახსნელად თანხის მიცემა ([1678–1685 წწ.] 1448–1283); სხვადასხვა: სვეტიცხოვლის მამულების მითვისებისათვის შილდაში და ვეძისხევში შეაჩვენა ქაიხოსრო რუსიშვილი ([1678–1695 წწ.] Ad–823), გიორგი მეფის წყალობის შედეგად იგი ეკურთხა კათალიკოსად. კურთხევის შემდეგ მრავალს ცდილა სვეტიცხოვლის განახლებასა და შეკეთებაზე (1678 წ.ქრ. II 493), შეადგინა სვეტიცხოვლის ყმათა ნუსხა (1683 წ. 1449–1788); შეადგინა ანგარიშგება სვეტიცხოვლისა და სხვა ეკლესიების აშენება–განახლებაზე გაწეული შრომისა და საერთოდ თავისი მოღვაწეობის თაობაზე. ხელახლა აუშენებია სამხრეთის კედელი, გამოუცვალა ხუთი სამხრე, სვეტზე გააკეთებინა სადაფქარის ჩარდახი, სვეტის პირდაპირ მოახატვინა ჩრდილოეთის კედელი. გაადებინა ხიდი არაგვზე, დაადგმევინა ანტიოქიასთან დიდი ჩარდახი, მცხეთაში, გალავანს გარეთ, ქვიტკირის სასახლე ააშენა. თბილისში შეალესვინა საყდარი და მოახატვინა, ააშენა სასახლე და გააშენა ბაღი, კოჯორში დაუდგამს კარის საყდარი და აუშენებია საზაფხულო სასახლე, დარბაზში–საწნახელი, ყორანთის თავს სოფელი გააშენა, ყორანთაში მარანი დადგა; ციხედიდში ზვარი გააშენა, ძეგვის ზერის ზემოთ ქვის საყდარი ააშენა, გომში– მარანი და საწნახელი, სალხინოში– საყდარი, სასახლე, მარანი და ბაღი; მეტეხში ძველი საყდარი განაახლებინა, მეტეხის თავს სოფელი სხერტა გააშენა. სალხინოში ორი კომლი გლეხი მებაღედ დაასახლა, აშენდაში ერთი საყდარი დადგა, ზვარი გააშენა და ხმალაძისაგან შეძენილი ერთი კომლი კაცი დაასახლა; ატენში დაასახლა ერთი კომლი დარჩიაშვილი, რუისში ნასყიდი ვენახი ზურაბისაგან ნასყიდი კომლი, რომელიც აშენდაში დაასახლა, თავის საალაპედ სვეტიცხოველს შესწირა; აღაიანში საწნახელი დადგა, წეროანში მარანი ააშენა,

მოხისის თავში– სოფელი ახალშენი, თრიალეთზე სოფელი ბარალეთი ხელახლა მოაშენა, დაასახლა. მცხეთის სამწყსოს შეჰმატა: წაღული, უწლევი და ლოლეთი.მოაგროვა გაბნეული სამოცი კომლი კაცი. ააშენა ნასოფლარი ბადანი, სიამარდ ხერხეულიძისაგან იყიდა და არაშენდაში დაასახლა ერთი კომლი კაცი; ერთი კომლი იყიდა ჩიგიანაშვილისაგან და თბილისში მიიყვანა, ბერძნული წიგნები სვეტიცხოველს შესძინა, ძეგვში განაახლა ქ არესლა (1687 წ.1449–2681), გიორგის მეფედ კურთხევის დროს მან სვეტიცხოველში ააშენა ეგვტერი, სამხრეთ სვეტზე გააკეთებინა სადაფქარის ჩარდახი და გარშემო შეამკობინა ხომლით და კანდელით. ძირს მავთულის ფანჯარა შემოავლებინა და სვეტი გარშემო მოაფენინა. დაახატვინა სვეტი და ზედ დაჰკიდა ხომლი. ამას გარდა, არაგვზე გაადებინა ხიდი და ანტიოქიასთან ჩაადგმევინა ჩარდახი. მცხეთის გალავნის გარეთ ააშენებინა ქვიტკირის სასახლე კარით და ფანჯრით, მორთო და გაალესვინა, თფილის-ქალაქში ააშენებინა სასახლე, ბაღი და დააკიდევინა ზარი, კოშკზე დაადგმევინა ერთი კარის საყდარი და კარგი საზაფხულო სახლი, მეტეხში განაახლებინა ძველი საყდარი (1688 წ.ქრ. II.506). მეფეებს, გიორგი (YIII?) და ალექსანდრე (I, ცახთა), სამთავისის ტაძრისათვის მიცემული მამულების შეწირულების გამო გაუჩინა მოსახსენებლები ([1678–1688 წწ.] Ad–565). ი ხ ს ე ნ ე ბ ა: პაპუა მაღალაძის ანდერძის თანახმად, მ ი ს კათალიკოსობას პაპუა მოსწრებია (1681 წ.YI.1.1448––5038), მ ი ს ი ნებართვით მიურთმევია ხუციას ნიკოლოზ მაღალაძისათვის ანდერძი (1691 წ.1448–5072), მ ა ს, რუსთველობის დროს უწყალობებია ჯაბანა მაკუჰაძისათვის ყმა-მამული „ჯოთენური“ (1697 წ.YIII.1449–170); მ ი ს ი ხელრთვა და ბეჰედი უზის საბუთებს: Hd,2918, 1035, 7221, 2142, 13999, 15059, 2918, 7221, Ad,1203, 1646, 1226,Qd,45, 3694, 1448,1283, 123, 5061).

ნიკოლოზ– [ს ა ხ ლ ი კ ა ც ი] პაპუასი, იხ.

ნიკოლოზ– მ ი ს ი ზვარი იყო საზღვარი: ბერუა სამებისაშვილის მიერ პაპიაშვილებისათვის მიყიდული მიწისა (1688 წ.I.1.1450–8/21), სარუხანას მიერ ბაინდურ პაპიაშვილისათვის მიყიდული მიწისა (1688 წ. I.1. 1450–9/11)

ნიკოლოზ– შ ვ ი ლ ი თამაზასი, იხ.

ნიკოლაოზ– რ უ ი ს ი ს მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი, გაარიგა ორპნის მიწის სამართალი. ეს მიწა ეშხიანისშვილის ნასყიდი ყოფილა, შემდეგ იგი თეიმურაზ მეფეს თბილისის სიონისათვის შეუწირავს. მასზე ჰოპორტელნი ეცილებოდნენ თბილელს. მიწა,როგორც ნასყიდი, ნ ი კ ო ლ ა ო ზ მ ა თბილელს დაუტოვა (1688 წ. 1450–34/183).

ნიკოლოზ– მ ღ ვ დ ე ლ ი, დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე გიორგი საბარაშვილის მიერ ბერია ბერიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა(1690წ. Hd–1747).

ნიკოლოზ– დ ა მ წ ე რ ი და მ ო წ მ ე ხუციას მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ანდერძისა (1691 წ.1448–5072).

ნიკოლოზ– 1693–[1696] წწ. დ ა მ წ ე რ ი დ ა მ ო წ მ ე პაპუნა გოსტაშაბიშვილის მიერ: გიორგი ლარაძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1693 წ. IY.20. 1450–10/134), საბა მოლოდინაშვილიხათვის მიცემული მამულის

ნასყიდობის წიგნისა ([1688–1696 წწ.] Hd–2756).

**ნიკოლოზ**– ერედელი, საყდრის ყმა. მოწმე გარეჯელთა, გიორგი-წმინდელთა, თვალელთა და ბერთუბნელთა მიერ არსენ ნინოწმინდელისათვის მიცემული პირობის წიგნისა ([1688–1694 წწ.] Ad–116).

**ნიკოლოზ**– დამწერი და მოწმე ბერ ონასშვილის მიერ დავით ძამუკაშვილისათვის მიცემული საბუთისა (1699 წ.1448–1174).

**ნიკოლაოზ**– აგარაში მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა [ციციშვილებს] გაყრის დროს იგი მამულით ერგო ედიშერს ([1688–1703 წწ.] Hd–1636).

**ნიკოლაოს** – მთაწმინდის ხარების მონასტრის მამა, მას ჰქონია მიბარებული ხოდაშნის საწინამძღვრო მამული. ნაზარალი-ხანმა იგი, მისი მამულით, მიაბარა არაგვერდელს ([1688–1703 წწ.] Ad–587).

**ნიკოლოზ**– 1692–1697,[1703] წწ. წინამძღვარი// ჯვარის წინამძღვარი. მოწმე: კათალიკოს იოანე დიასამიძის მიერ: სვეტიცხოვლის დეკანოზის, ფოცხვერასათვის მიცემული კრწანული მამულისა და ველკეთილის მეღალეობის წყალობის წიგნისა (1692 წ.IX.1.Qd–9087), სახლთუხუცეს რევაზ [მაღალაძისათვის] მიცემული მეჭურჭლე გიორგის სასახლისა და ქურის წყალობის წიგნისა (1692 წ. ახლო. Ad–1708, Qd–1326), ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისათვის მიცემული საალაპე წიგნისა (1696 წ. 1448–5060), ზაქარია ზუმბულიძის მიერ ქადაგ არქიმანდრიტ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. Qd–7025); ნაზარალი-ხანის ბრძანებით, უნდა გაერიგებინა ფარსიასა და დათუნას შორის დავა ([1688–1703 წწ.] Qd–254); მისი წინამძღვრობის დროს ჯვარის ხატის ყმებად მოიხსენიებიან: დეკანოზი მარკოზ,მისი განაყოფი თევდორე, ხახუტა, ხუცესი ძამუკა, შოშიტა, ქიტია ხუცესიშვილი, გონიასშვილები: ნადირა, ბერუკა, გიორგი, გიუნა; ბუგაურები: ბასილა, ირემა,გოგილასშვილი ბერუკა და მისი განაყოფი გიორგი, ამნიკასშვილი სვიმინა, საღირასშვილები: თევდორე და ბასილა (XYII ს. 90–ანი წწ. Hd–14912-ბ).

**ნიკოლოზ** (ვარ.ნიკოლაოზ)– 1690–1696 წწ. სამებელი მთავარეპისკოპოსი, მდივანმწიგნობართუხუცესის// მდივნის ძე (1695 წ.1449–2686, 1696 წ. 1448–1469, 1690–ანი წწ. 1449–1835), ხელი ჩაურთო იოანე კათალიკოსის და სხვა მღვდელთმთავრების დადგენილებას დავით-გარეჯის უდაბნოს წინამძღვრად ონოფრე მაჩუტაძის გამწესების შესახებ (1690 წ.Ad–349); შესწირა გარეჯის იოვანე ნათლისმცემლის მონასტერს ქოქრაშვილისაგან შეძენილი მამული და ვენახი ხაშმზე საზღვრებით: თეთრაშვილის, დეკანოზ ბედიანასშვილის და დავითას ვენახები. ეხმარება მონასტერს ძველი მამულების დაბრუნებაში და აღდგენა-განახლებაში (1690–ანი წწ. 1449–1835), დამწერი:ერეკლე მეფის მიერ სვეტიცხოვლისათვის ბოძებული სოფელ შინდისის შეწირულების განახლების წიგნისა (1695 წ.II.1.1449–2686), კახი ეპისკოპოსებისა და დარბაისლების საფიცრის წიგნისა გარეჯის ყმების თარხნობის შესახებ (1696 წ. 1448–1469).

**ნიკოლოზ, რუსთველი**– იხ. ჩოლაყაშვილი ნიკოლოზ

**ნიკოლოზ**– მამასახლისი, მოწმე ბეროა ახალკაციშვილის მიერ

თანდილა მარინდაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1696წ. 1450–28/242).

ნიკოლოზ, ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი– იხ. გაბადიძე ნიკოლოზ

ნიკოლოზ– ძ მ ა სვეტიცხოვლის დეკანოზ ათანასესი, იხ.

ნიკოლოზ, ხ ო ფ ე ლ ი. იხ. წულუკიძე ნიკოლოზ

ნიკოლოზ (ვარ. ნიკოლაოზ)– დ ი ღ მ ი ს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მ ო წ მ ე: თამაზ გოშფარიშვილის მიერ ნიკოლოზ მაღალაძისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1697 წ. I.1.Ad–1614), ნიკოლოზ მაღალაშვილის მიერ ქობულაშვილისათვის მიცემული სააღაპე წიგნისა (1696 წ. 1448–5060).

